

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

Фонд развития гуманитарных и педагогических наук

ISSN 1987-7323

სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი

ენა და კულტურა

№20

Language and Culture

Scientific Peer Reviewed Journal

UDC (უაკ) 81+001

ე-65

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

Фонд развития гуманитарных и педагогических наук

ქურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ დაუბრუნდება.

მთავარი რედაქტორი:

მანანა მიქაძე,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის

აკადემიური დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ენათმეცნიერება: ი. აიდუკოვიჩი, დ. ანისიმოვა, ა. არაბული, მ. აფანასიადი, ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, დ. ბახტაძე, ფ. ბახშივეა, ა. ბერდიჩევსკი, ბ. ბოლესტა-ვრონა, ე. ბუნიაკოვა, ნ. გელდიაშვილი, რ. გერსამია, გ. გოგოლაშვილი, ი. გომსეთელიანი, ა. დიომიდოვა, რ. ენოხი, ნ. ვასილევა, ნ. ზვიადაძე, ხ. თუმანიშვილი, ნ. კირვალიძე, მ. კობეშავიძე, ა. კოვტუნი, ს. კოროტკაია, გ. ლებანიძე, თ. ლეშაკი, თ. მახარობლიძე, მ. მეგრელიშვილი, ს. მუჯირი, ა. ჟდანოვიჩი, რ. სვანიძე, ნ. სიჭინავა, გ. ტოკარევი, მ. ქაცარავა, მ. ფაღავა, მ. ღარიბაშვილი, ვ. შენგელია.

ლიტერატურისმცოდნეობა: ც. აბულაძე, ხ. არსლანი, ვ. ასათიანი, ლ. ბორისოვა, მ. გავრილინა, ვ. დროზდოვა-დიესი, ზ. ვალიევა, თ. ინკოვა, ნ. კაკაურიძე, ნ. კვირიკაძე, კ. კორენოვსკა, ა. ლევიცი, ა. ნიკოლეიშვილი, ს. ნიკოლეიშვილი, ნ. ჟანპეისოვა, ს. სიგუა, ტ. სიმიანი, ვ. სტარიჩენოკი, ნ. ჩიხლაძე, ნ. ხელაია.

პედაგოგიური მეცნიერებები: რ. გაბეჩავა, ო. გუსევა, ლ. ეკშემბეევა, ლ. თავდგირიძე, ვ. იზბულე, ბ. იმნაძე, ლ. კიროვა, ნ. მადლაკელიძე, ს. შაფიევი, ლ. ჩერნოვატი.

ქურნალისტიკა: პ. ჟოლნეროვიჩი, ი. ჭუმბურიძე.

უმაღლესი სკოლის ადმინისტრირება, განათლების ლიდერობისა და პოლიტიკის ანალიზი: ქ. მამისეიშვილი

ისტორიული მეცნიერებები: ვ. განკევიჩი, გ. მჭედლიძე, ე. პეტროსიანი, გ. სანიკიძე, მ. ჩხარტიშვილი

ფილოსოფიური მეცნიერებები: ე. არუტუნიანი, რ. ბალანჩივაძე, გ. ბარხალოვი, დ. ბერესტოვსკაია, რ. კაიციუნი, ი. შიოშვილი.

ფსიქოლოგიური მეცნიერებები: გ. ავანესიანი, ს. პილიშეკი, მ. სირბილაძე, ტ. ხოლუმენკო.

ხელთვებათმცოდნეობა: ა. არველაძე, რ. ღორთქიფანიძე, გ. მახმუდოვა, ა. როვენკო, გ. სიხარულიძე.

იურიდიული მეცნიერებები: ვ. ბენიძე, ე. დუმილოვი, მ. უგრეხელიძე, ს. შაიკენოვა.

მედიცინის მეცნიერებები: მ. მარგველაშვილი, ა. ნადარეიშვილი, გ. ხეჩინაშვილი, თ. ხეჩინაშვილი.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ქურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Editorial board:

Linguistic: Aidukovich I., Anisimova D., Arabuli A., Aphanasiadi M., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Bakhshieva, Bakhtadze D., F., Berdichevski A., Bolesta-Vrona B., Buniakova E., Garibashvili M., Geldiashvili N., Gersamia R., Gogolashvili G., Goshkheteliani I., Diomidova A., R.Enokhi, Jdanovich A., Katsarava M., Kirvalidze N., Kobeshavidze M., Kovtun A., Korotkaia S., Lebanidze G., Leshak O., Makharoblidze T., Megrelishvili M., Mudjiri S., Pagava M., Sichinava ., Shengelia V., Svanidze R., Tokarev G., Tumanishvili Kh., Vasileva N., N. Zviadadze.

Science of Literature: Abuladze Ts., Arslan Kh., Asatiani V., Borisova L., Chikhladze N., Gavrilina M., Gadjev A. Drozdova - Dies T., Janpeisova N., Inkova O., Kakauridze N., Kvirikadze N. G. Korenovska K., Khelaia N., Levitski A., Nikoleishvili A., Nikoleishvili S., Sigua S., Simian T., Starichenok V., Velieva Z.

Journalistic: Chumburidze I., Jolnerovich P.

Pedagogical sciences: Gabechava R., Chernovati L., Guseva O., Imnadze B., Tshembeeva L., Izbule V., Kirova L., Maglakelidze N., Shaphievi S., Tavdgiridze L.

PHD in Educational Leadership and Policy Analysis: Mamiseishvili K.

Science of History: Chkhartishvili M., Gankevich V., Mchedlidze G., Petrosiani E., Sanikidze G.

Science of Phylosophy: Arutunian E., Balanchivadze R., Barskalov G., Berestovskaia D., Kaitsun R., Shioshvili I.

Science of Psychology: Avanesian G., Polishek S., Sirbiladze M., Skolumenko T.

Science of Law: Benidze V., Dumilov E., Ugrekhelidze M., Shaikenova S.

Science of Art: Arveladze A., Lortkipanidze R., Makhmudova G., Rovenko A., Sikharulidze G.

Science of Medicine: Margvelashvili V., Nadareishvili A., Khechinashvili G., Khechinashvili T.

Head of the Board of Translators: Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, Franch, Spanish.

Position of authors may be out of the position of Editorial Board.

ქურნალის სარედაქციო კოლეგია:

- აბულაძე ცისანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- აგანესიანი გრანტ** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალაფი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბახშიევა ფ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბენიძე ვენედი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- ბერეტსკაია დიანა** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ბოლესტა-ფრონა ბოზენა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბოლესტოკი, პოლონეთი.
- ბორისოვა ლიუდმილა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვერნადსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გაბეჩავა როზა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკური აკადემია, თბილისი, საქართველო.
- გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია.
- განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო.
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გომხეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.

- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.
- დუმილოვი ვეგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკშებევა ლ.** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, აღმა-ატა, ყაზახეთი.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ველიევა ზემფირა ალიშას გიზი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე გ.** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- იმნაძე ბორის** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- ინკოვა თ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟენევის უნივერსიტეტი, ჟენევა, შვეიცარია.
- კაიცუნი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კირვა ლ.** – პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშვიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელარუსია.
- ლებანიძე გურამ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ლევიტკი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლეშაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლომთაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მამისეიშვილი ქეთევანი** – განათლების ლიდერობისა და პოლიტიკის ანალიზის დოქტორი, არკაზანსკის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, არკაზანსკი, აშშ.
- მარგველაშვილი მამუკა** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.

მაღლაკელიძე ნათელა – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მახაროშვილი თამარ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მახმუდოვა გ. – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.

მეგრელიშვილი მადონა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

მიქაძე მანანა – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

მუჯირი სოფიო – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მჭედლიძე გიორგი – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნადარეიშვილი აკაკი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

ნათაძე მაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

ნიკოლეიშვილი ავთანდილ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნიკოლეიშვილი სოფიო – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.

პეტროსიანი ემმა – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.

პილიშვილი ს. – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.

ჟანპეისოვა ნაზია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიშევის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.

ჟღანოვიჩი ანასტასია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელარუსია.

ჟოლნეროვიჩი პეტრე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელარუსია.

როვენკო ალექსანდრე – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.

სანიკიძე გუბაზ – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

სვანიძე რამაზ – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სიგუა სოსო – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

სიმიანი ტიგრან – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.

სირბილაძე მარინა – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სინარულიძე გომარ – მუსიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

სიჭინავა ნელი – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სტარიჩენოკი ვასილ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელარუსია.

ტოკარევი გრიგოლ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.

უგრესელიძე მინდია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.

ფაღავა მამია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

ქაცარავა მარინა – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

შაიკენოვა ს. – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპიისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.

შაფიევი ს. – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.

- შენგელია ვაჟა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- შიოშვილი ირმა** - ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** - პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჩხარტიშვილი მარიამ** - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ხელაია ნაზი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- ხეჩინაშვილი გიორგი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხლუმენკო ტიმოთე** - ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

Editorial Board :

- Abuladze Tsitsana** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.
- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dosent. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arveladze Ann** - Doctor of Art. access. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvkhishvili State University.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhshieva F.** - Doctor of Linguistics. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Beretskaia Diana** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Vernadsky Natioinal University. Ukrain.
- Bolesta-Vrona Bozena** - Doctor of Linguistics. Professor. Warsaw State University. Poland.
- Borisova Liudmila** - Doctor of Art. Professor. Vernadsky National University. Ukrain.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State Unversiry. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chkhartishvili Mariam** - Doctor of Historical sciences. Professor. I. Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Georgia.
- Gabechava Roza** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Political Academy. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolashvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Dotcent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.

Vasilieva Neli - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
Velieva Zemna - Doctor of Art. Professor. University of Linguistic. Baku. Azerbaijan.
Izbule V. - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Giga Psychological Institute. Latvia.
Imnadze Boris - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Politechnical University. Tbilisi. Georgia.
Inkova O. - Doctor of Art. Professor. Geneva State University. Switzerland.
Janpeisova Nazia - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Aktiubin National university. Kazakistan.
Jdanovich Anastasia - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
Jolnerovich Petr - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
Kaitsuni Robert - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Brusov State Linguistic University. Armenia.
Kakauridze Nanuli - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Kartozia Aleksandre - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
Katsarava Marina - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Kvirikadze Nino - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Khelaia Nazi - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
Kirvalidze Nino - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Ilia State University. Georgia.
Kirova L. - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
Kholumenko T. - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
Khechinashvili George - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
Khechinashvili Tamar - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
Kovtuni Aleksandr - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
Korenovska L. - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
Korotkaia Svetlana - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
Lebanidze Guram - Doctor of Linguistics sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
Levitsky Aleksandr - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
Leshak O. - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
Lomtadze Tamar - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Lortkipanidze Rusudan - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
Margvelashvili Vladimer - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
Maglakelidze Natela - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
Makhmudova G. - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaijan.
Makharoblidze Tamar - Doctor of Linguistics. Professor. Ilia State University. Georgia.
Mamiseishvili Ketevan - Doctor of Pedagogical Sciences in Educational Leadership and Policy Analysis. USA.
Megrelishvili Madona - Doctor of Linguistics. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Mikadze Manana - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Mchedlidze George - Doctor of Historical sciences. Professor. Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia.
Mudjiri Sophia - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
Nadareishvili Akaki - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
Natadze Maia - Doctor of Art. Professor.
Nikoleishvili Avtandil - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
Nikoleishvili Sophia - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
Pagava Mamia - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
Petrosiani Emma - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
Pilishek S. - Doctor of Psychology. Docent. Khmel'nitsky National University. Ukrain.
Rovenko Aleksandr - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
Sanikidze Gubazi - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
Sigua Soso - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
Simiani Tigran - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
Sirbiladze Marina - Doctor of Psychological sciences. Assos.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.
Sikharulidze Gomari - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of theatre and cinema. Georgia.
Sitchinava Neli - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Shaikenova S. - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakistan.
Shaphievi L. - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Baku Slavistic University. Azerbaijan.
Shengelia Vaja - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
Shioshvili Irma - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
Starichenko Vasil - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
Tavdgiridze Lela - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
Tokarevi Grigol - Doctor of Linguistic. Professor. Tolstoi Tula State Pedagogical University. Ukraina.
Tumanishvili Khatuna - Doctor of Linguistics. Accos.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
Ugrekheldidze Mindia - Doctor of Law. Professor. Tbilisi. Georgia.
Zviadadze Natia - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ლელა ავალიანი

ქუთაისი, საქართველო

ლექსები „ენა“, „სიტყვა“, „საუბარი“ და მათი მნიშვნელობა
(არაბული და ქართული ჰარემიების საფუძველზე)

სტატიაში გაანალიზებულია ის პარემიები, რომლებშიც საუბარია ენაზე, სიტყვაზე, საუბარზე და მათს მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში. ორივე ხალხის ანდაზებში დაგმოხილია ტყუილი, ენაშრობა, ბევრი ლაპარაკი. ჭკვიანი ადამიანი არ ჩქარობს აზრის გამოთქმას; ის ანალიზებს სათქმელს. ასეთ გააზრებულ სიტყვებში შეიძლება ჭეშმარიტება და სიბრძნე დაიბადოს. ენა ადამიანებთან ურთიერთობის უძლიერესი ინსტრუმენტია.

საანალიზო მასალამ აჩვენა ანდაზათა ორი ჯგუფი: მსგავსი ანდაზები, როგორც ლექსიკური, ასე შინაარსობრივი თვალსაზრისით და ლექსიკური თვალსაზრისით განსხვავებული და შინაარსით ერთნაირი. დადასტურდა განსხვავებული ანდაზებიც, რომელთა ანალოგი ქართულში არ მოიპოვება. მასალის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ არაბული და ქართული ანდაზები ბევრ საერთოს ავლენს სემანტიკური თვალსაზრისით.

თანამედროვე პირობებში აქტიურად ვითარდება ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობა. შესაბამისად, აქტუალურია ენობრივი ერთეულების შესწავლა, განსაკუთრებით იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც კულტურული კონტაქტით ხასიათდება. ასეთ ერთეულებს წარმოადგენს არაბული და ქართული ანდაზები. საანალიზო მასალა ძირითადად აღებულია არაბული და ქართული ანდაზების ფონდებიდან, რომლებიც აფართოებს ჩვენს ცოდნას ორი ხალხის ზეპირსიტყვიერების, კულტურისა და ყოფის შესახებ. წარმოდგენილ სტატიაში შევჩერდებით იმ პარემიებზე, რომლებშიც საუბარია ენაზე, სიტყვაზე, საუბარზე და მათს მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში.

არაბულ ანდაზებში დაგმობილია ტყუილი, ენამწარობა, ბევრი ლაპარაკი. ჭკვიანი ადამიანი არ ჩქარობს აზრის გამოთქმას; ის აანალიზებს სათქმელს, გულში გაატარებს და შემდეგ აძლევს სიტყვებს თავისუფლებას. ასეთ გააზრებულ სიტყვებში შეიძლება ჭკმარიტება და სიბრძნე დაიბადოს. უჭკუო ადამიანი ყველაფერს ამბობს და შედეგზე არ ფიქრობს. აქედან მომდინარეობს გამოთქმა: *لسان العاقل وراء قلبه* „ჭკვიანის ენა გულშია (სიტყვასიტყვით: გულის უკან)” (ე. კუხარევა, 2008: 159). არაბისთვის სიტყვა ძლიერი იარაღია როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: *رب قول أنفذ من صول* „სიტყვა შეიძლება იყოს ძალაზე უფრო დამაჯერებელი”; *خير الكلام ما قل ودل* „სჯობს ისაუბრო ცოტა და დამაჯერებლად (სიტყვასიტყვით: კარგი ნათქვამი ისაა, რომელიც ცოტაა და ზუსტი)” (ე. კუხარევა, 2005: 92–94). ადამიანი, რომელსაც ენა წინ უსწრებს ან ბევრს ლაპარაკობს, თავს უხერხულ სიტუაციაში იგდებს. ასეთ პიროვნებას ამ ანდაზებით მიმართავენ:

احفظ لسانك „ენას მიხედვე, მოუარე (შეინახე, გაუფრთხილდი!); *اربط حمارك إنه مستنفر* „დააბი შენი ვირი ბაგაზე, თორემ გაგირბის (სიტყვასიტყვით: ის გარბის)” (მ. მოუსა: 2014: 222). განხილულ ანდაზებს არაერთი აზრობრივი ანალოგი მოეძებნება. თითოეული მათგანი კიცხავს ფუჭ საუბარს ან მის შედეგს შეგვახსენებს: *كل لقمة كبيرة ولا تحكي كلمة كبيرة* (სირ.) „დიდი ლუკმა ჭამე და ბევრს ნუ ლაპარაკობ (სიტყვასიტყვით: დიდი ლუკმა ჭამე და სიტყვას ნუღარ იტყვი”; *كثرة الكلام ندامة* „ბევრ ლაპარაკს სინანული მოაქვს”; *طاعة اللسان ندامة* „ენის მორჩილებას (მონობას) სინანული მოაქვს”; *إن صنته صانك إن هنته هانك* „ენა შენი ბატონია: მოუფრთხილდები, ისიც გაგიფრთხილდება, თუ მას დაუფიქრებლად მოექცევი, არც ის გაგიწევს ანგარიშს” (ე. კუხარევა, 2005: 94). ენა ადამიანებთან ურთიერთობის უძლიერესი ინსტრუმენტია. მას შეუძლია თავის პატრონს სიკეთეც მოუტანოს და საფრთხეც. როგორც არაბული ანდაზები ამბობს: *يا لسان يُكرّم المرأ بفضلك وأ يُهان* (ლიტ./იორდ.) „ენავ, შენი წყალობით კაცს ან წარმატება ხვდება წილად, ან დამცირება”; *في يد اللسان الحياة و الموت* „ენას შეუძლია (ადამიანის) სიცოცხლეც და სიკვდილიც”, ამიტომ კაცს მუდმივი სიფრთხილე მართებს; *ما عدوّ الإنسان إلا لسانه* „ადამიანს საკუთარი ენის მეტი მტერი არ ჰყავს”.

არაბი ბელჟინისთვის სიტყვა სიბრძნის წყაროა, თუმცა შეიძლება სამხედრო კონფლიქტისთვის სავსებით რეალური მიზეზიც გახდეს. ადამიანის, მამაკაცის

სიცოცხლე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მას ენის კონტროლი. არაბები თვლიან, რომ კაცი შეიძლება სიტყვის პატრონიც იყოს და მისი ტყვეც: *رب حرب شبت من لفظة* „ომი შეიძლება სიტყვის გამო დაიწყოს“; *إلى أعطى كلمته أعطى رقبته* „ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია მისი ენის სიგრძეზე“ (სიტყვასიტყვით: ვინც ენა გასცა, კისერი გასცაო“; *مقتل الرجل بين فكيه* „ადამიანის სიკვდილი (სიცოცხლე) მის ბაგეებში იმალება“ (ე. კუხარევა, 2005: 94); *إياك وأن يضرب لسانك عنقك* (ლიბან. ეგვიპ.) „გაფრთხილდი, რომ შენი ენა არ გახდეს შენი თავის მოკვეთის მიზეზი“ (სიტყვასიტყვით: შენმა ენამ არ მოგჭრას კისერი; *اللسان عدو القفا* (პალესტ.) „ენა თავის (კისრის) მტერია“; ე. კუხარევა, 2008: 141). შდრ. ქართ. „თავში ვინ ჩაგარტყა და ჩემმა ენამაო“. მსგავსი შინაარსის გამონათქვამებით ადამიანს მიანიშნებენ, კარგად დაფიქრდეს, ვიდრე რაიმეს იტყვის და თავი შეიკავოს სხვათა გაკიცხვისაგან, ენით სხვისთვის ტკივილის მიყენებისაგან.

მჭევრმეტყველება არაბულ სამყაროში დიდად ფასობს. კიდევ უფრო დიდი ფასი აქვს საჭიროებისამებრ დუმილსა და ზედმეტი საუბრისგან თავშეკავების უნარს: *الكلام منفعة* „საუბრის შემოკლებას (სიმცირეს) სარგებელი მოაქვს“ (ე.კუხარევა, 2008: 140); *من الذهب* „დუმილი ოქროა“; *السكوت ذهب* „დუმილი ოქროა“; *إذا كان الحكى من الفضة فالسكوت* „საუბრის ხარისხი (ღირსება) მისი ლაკონიურობაა“; *الحكيم صمت* „დუმილი სიბრძნეა, [მაგრამ] ცოტას შეუძლია“ (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა). შდრ. „ქართ. სიტყვა ვერცხლია, დუმილი – ოქრო“. არაბული გამოთქმების დიდი ნაწილი ჭკვიან ადამიანს ახასიათებს როგორც სიტყვაძვირს: *ألقى عنده لسان طويل عنده عقل صغير* „ვისაც გრძელი ენა აქვს, მას მოკლე ჭკუა აქვს“. *ألقى عنده لسان طويل عنده عقل صغير* „ჭკვიანი ის არის, ვინც თავს გაჩუმებას ასწავლის (მიჩვენებს)“. *غضب الغبي بكلماته و غضب الذكي بعمله* „სულელის სიბრაზე მის სიტყვებშია, ჭკვიანის სიბრაზე – მის საქმეებში“.

السكوت عطاء الذكي و غطاء الغبي „გაჩუმება ჭკვიანის მორთულობაა და სულელის ნიღაბი“.

الذكي الصامت أفضل من الجاهل الترتار „მუნჯი ჭკვიანი სჯობს უვიცის ტლიკინს“ (მაზაელ ოდაი, 2014: 82). შდრ. ქართ. „ენითა მუნჯი სჯობია ავმეტყველ მოუბარესა“ (ლექსო, არ დაიკარგები, 1985: 272).

ერთი ადამიანისთვის ცხოვრებისეული სირთულეების გამკლავება საკმაოდ რთულია. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, მის გვერდით ვინმე იდგეს და თბილი, ბრძნული სიტყვებით ეხმარებოდეს პრობლემების მოგვარებაში. ადამიანი, რომელიც ყველას მიმართ აღერსიანია, მუდამ მეგობრებისა და ახლობლების გარემოცვაშია. ტკბილი სიტყვის ძალას შეგვახსენებს ეს ანდაზები: **حلي لسانك وكل الناس خلانك** (ერაყ. ქუვეით.) „ისაუბრე ტკბილად (დაიტკბე ენა) და ყველა შენი მეგობარი იქნება“; **الكلام الطيب ينجي** (ეგვიპტ.) „კეთილ სიტყვებს გადარჩენა (ხსნა) შეუძლია“; **الكلمة الحلوة بتطلع الحية من وكرها** (ლიტ./ სირ./ პალესტ./ ლიბან.) „ტკბილი სიტყვა გველს თავისი ხვრელიდან (ბუდიდან) ამოიყვანს“; **اللسان الطيب يطع الحية من الغار** (ერაყ.) „ტკბილი ენა გველს ხვრელიდან ამოიყვანს“; **الكلمة الحلوة تداوي جروح** (ტუნის.) „ტკბილი ენა ძუ ღომსაც მოათვინიერებს“; **الكلمة الحلوة إكلمة** „ტკბილი სიტყვა წყალობაა“ (ე. კუხარევა, 2008: 147–149). შდრ. ქართ. გამოთქმა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი“, „თაფლიანი ენა რკინის კარს გაადებსო“. ტაქტიანობა და გონიერება უნდა ახლდეს ნათქვამს, რომ მადლის ნაცვლად ცოდვა არ დაეთესოთ. ენამზეობისკენ, მისი სწორად მოხმარებისკენ მოგვიწოდებს ეს ანდაზებიც: **الكلام طعام** (ლიბან.) „საუბარი (სიტყვა) საჭმელია“, **الكلام بينذاق مثل الطعام** (სირ. / ეგვიპტ.) „სიტყვას საჭმლის გემო აქვს“. შდრ. ქართ. „არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისაო“; „ენა თაფლიანიცაა და შარიანაცაო“.

სიტყვით შეიძლება ადამიანს დაეხმარო ან სულაც გული მოუკლა. სიტყვამ შეიძლება, ადამიანი შეშალოს ან სამარემდე მიიყვანოს. ენით მიყენებული ჭრილობა ადამიანის გულში ხშირად სამუდამოდ რჩება. ამ მოსაზრებას ამყარებს გამოთქმები: **جرح الخنجر يطيب و جرح اللسان ما يطيب** (სირ.) „ხანჯლით მიყენებული იარა რჩება და სიტყვით მიყენებული – არა“; **جرح اللسان أزيد من جرح السنان** (ქუვეით.) „სიტყვით მიღებული ჭრილობა უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე დანით მიყენებული“; **جرح السلاح يطيب و جرح اللسان ميظيب** (ერაყ.) „იარაღით მიყენებული ჭრილობა განიკურნება, ენით მიყენებული – არა“; **الكلام أشد من السهام** (საუდ.) „სიტყვა ისრებზე ძლიერია“; **جرح الكلام أصعب من جرح الحمام** (თუნ.) „სიტყვით მიყენებული ჭრილობა უფრო რთულია, ვიდრე იარაღით (სიტყვასიტყვით: სასიკვდილო)“ (ე.კუხარევა, 2008: 150). ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა

ბაზაში ვკითხულობთ: **طول اللسان يقصر الأجل** (ლიტ.) გრძელი ენა სიცოცხლეს ამოკლებს (სისწრაფეს ამოკლებს (ამცირებს), **العويل لسانه طويل** (სირ.) ცრემლი მისი გრძელი ენის (ბრალდია), **كلام يبجر كلام و كلام يبجر بطن** (სირ. /ლიბან.) „სიტყვა საუბარსაც ჭრის და საზამთროსაც“. **م طرح ما تطلع الكلمه تطلع الروح** (ეგვიპტ.) „მსროლელმა შეიძლება ააცილოს (და ვერ მოკლას), სიტყვამ კი [შეიძლება კაცი] მოკლას“. შდრ. ქართ. „ენით დაკოდილ გულს ვერაფრით გაამთელებო“, „ენით დანაკოდარი ხმლისაგან უარესია“, „ენით დაჭრილი ცულით დაჭრილზე უარესიაო“, „ზოგჯერ სიტყვა მახვილზე მეტად მჭრელიაო“, „გლახა სიტყვა მათრახიაო“.

ადამიანები ხშირად ტკბილად საუბრობენ, სხვებს ჭკუას ასწავლიან, თუმცა თვითონ კეთილი საქმეებით არ გამოირჩევიან. ასეთი ადამიანები ხშირად დაპირებებსაც იძლევიან, მაგრამ არ ასრულებენ. მათი სიტყვა და საქმე განსხვავებულია. ასეთ შემთხვევაში არაბები ამბობენ: **لسان من رطب و أيد من حطب** (ერაყ.) „ენა ფინიკივით ტკბილია, ხელები კი – შეშა“; **كلام كالعسل وفعل كالأسل** „სიტყვები თაფლივითაა, საქმე კი როგორც როზგები (სიტყვასიტყვით: ღერწამი)“; **كلام لين و ظلم بين** „სიტყვები ტკბილია (რბილი, ნაზი) და საქმეები საძაგელი“ (ე. კუხარევა, 2008: 151–152); **المعاند مكناب** „ბევრი საბოდიშო სიტყვა სიცრუეა“; **الإحسان قطع اللسان ولا لسان** „მადლი ქენი და ენა დაიმოკლე“; **إنها أقوال فارغة لا تغنى لا وتسمن من جوع** (ლიტ.) „ეს საქმეს არ უშველის“; სიტყვასიტყვით: „ცარიელი სიტყვებია, არც მღერის და არც განაყრებს“ (ხ. ბარანოვი, 1989: 375). ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში ვკითხულობთ: **الرجال وبيانه عملو** (პაღესტ.) „კაცებს საქმე გამოაჩენთ“. შდრ. ქართ. „არ ვარგა ენა საქმეზე გრძელი“, „ვინც ბევრს ლაპარაკობს, იმას არ დაეჯერებაო“, „გახშირებულ სიტყვას შემცირებული საქმე მოსდევსო“, „ბევრის მოლაპარაკეს ცოტას მოქმედმა აჯობაო“.

საანალიზო მასალამ აჩვენა ანდაზათა ორი ჯგუფი: მსგავსი ანდაზები, როგორც ლექსიკური, ასე შინაარსობრივი თვალსაზრისით და ლექსიკური თვალსაზრისით განსხვავებული და შინაარსით ერთნაირი. დადასტურდა განსხვავებული ანდაზებიც, რომელთა ანალოგი ქართულში არ მოიპოვება. მასალის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ არაბული და ქართული ანდაზები ბევრ საერთოს ავლენს სემანტიკური

თვალსაზრისით, რადგან ორივე ეთნოსისათვის გარკვეულწილად მსგავსია სოციალურ-ისტორიული პირობები, გარე სამყარო, ძირითად ცხოვრებისეულ პრობლემებზე შეხედულებათა სისტემა; ამასთანავე, ადამიანის მიერ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიება საერთოა ყველა ერისათვის. ამ და სხვა ანალოგიურ პრობლემებს ადამიანები მსგავს ანდაზურ შეხედულებამდე მიჰყავს, მაგრამ მსგავსება პრობლემათა თემატიკაშია, განსხვავება კი ასახვის ფორმაში. ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეთნოსის ანდაზებში ნაირგვარად აისახება, რადგან განსხვავებულია ენობრივი სტრუქტურები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. კუხარევა, 2005 – ე.კუხარევა, 2005 – Е. В. Кухарева, Клише как отражение национального менталитета (На примерах арабских паремий), М. 2005
1. ე. კუხარევა, 2008 – ე.კუხარევა, 2008 – Е. В. Кухарева, Словарь арабских пословиц и поговорок, М. 2008
2. ლექსო, არ დაიკარგები, 1985 – ლექსო, არ დაიკარგები, თბილისი, 1985
3. მაზაელ ოდაი, 2014 – Мазаел Одай М., Интеллектуальные качества человека в зеркале в русской фразеологии, Воронеж, 2014
4. მ.მოუსა, 2014 – Mahmoud Sami Mousa, A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic, Cairo, 2014
5. თ. სახოკია, 1979 – სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979
6. ქართული ანდაზები, 1959 – ქართული ანდაზები, შეადგინა ა.კანდელაკმა, თბ., 1959
7. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო დონდი <http://idioms.tsu.ge>
8. ი. შაბა – И. К. Шаба. Сравнительный анализ русских и арабских фразеологических единиц (оборотов) <https://www.iasj.net/iasj?func=fulltext&aId=66888>

Лела Авалиани**Лексические единицы «язык», «слово», «беседа» и их значение
(на основе арабских и грузинских пословиц)**

Резюме

В статье анализируются пословицы грузинского и арабского языков, смысл которых содержит лексические единицы «язык», «слово», «беседа», обе страны осуждают ложь, язык и многие другие. Умный не торопится выразить свое мнение, он анализирует смысл того, что может быть мудростью. Язык может принести хорошие и человеческие страдания.

Аналитический материал продемонстрировал две группы пословиц: аналогичные предложения с точки зрения содержания и лексических перспектив, а также с точки зрения словарного запаса с одинаковым и различным содержанием. Мы проанализировали арабские пословицы, которые не имеют аналогии на грузинском языке.

Lela Avaliani**Lexical units "tongue", "word", "conversation" and their meaning
(based on Arabic and Georgian proverbs)**

Abstract

The article analyzes the proverbs of Georgian and Arabic languages, whose meaning contains lexical units "language", "word", "conversation", both nations condemn lies, language, and many others. Clever does not hurry to express his opinion, he analyzes the meaning of which may be wisdom. Tongue can bring good and human suffering.

The analytical material has demonstrated two groups of proverbs: similar sentences in terms of content and lexical perspectives, as well as the vocabulary point of view with the same and different content. We have analyzed the Arabic proverbs that do not have analogy in Georgian.

რეცენზენტი პროფესორი მ. აფანასიადი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

თბილისი, საქართველო

ფრანგული ენის ისტორიული ევოლუცია

ნაშრომი წარმოგვიდგენს ფრანგული ენის საერთაშორისო ურთიერთობათა საშუალებებად გამოყენების ისტორიულ სურათს, მოყოლებული XI საუკუნიდან დღევანდელობამდე, მისი როლის აღმასვლითა და დაცემით; ასევე განხილულია ისეთი ასპექტები, როგორცაა ფრანკოფონია და ფრანგული ენა როგორც უცხოური ენა.

მრავალენოვნება – ადამიანური ცივილიზაციის დამახასიათებელი თავისებურებაა. ადამიანთა მოდგმის არსებობის მანძილზე, მუდამ თავს იჩენდა ენათაშორისი კომუნიკაციების მოთხოვნილება. მისი კუთრი წონა პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობათა ტენდენციების ზრდას. როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დასაწყისში, უცხოურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთან კონტაქტის შესაძლებლობა ერთი პროცენტის მცირე ნაწილს წარმოადგენდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის, ეს მონაცემი 2% -მდე გაიზარდა, სამოციანი წლების ბოლოს – 20% -მდე, 2000 წლისათვის კი – 50% -ს მიაღწია. ამგვარად, თვით ცხოვრება მოითხოვს დაჟინებით, რომ უნდა არსებობდეს საერთაშორისო ენა, რომელიც შეძლებს მნიშვნელოვნად გააადვილოს უცხოელთა შორის ურთიერთობის პროცესი.

საერთაშორისო ურთიერთობის ენის როლზე, შორეულ წარსულში, ალბათ ლათინურ და ბერძნულ ენებს შეეძლოთ პრეტენზიის ქონა, რადგან მხოლოდ ისინი ფლობდნენ მკვეთრად გამოხატულ წიგნიერ, ანუ წერით სტატუსს. თუმცა, ისტორიულ მოვლენათა ნებით, შუა საუკუნეებში, ფრანგულმა ენამ თანდათანობით შეავიწროვა ლათინური შიდანაციონალურ და ნაციონალურის გამოყენების სფეროებში. ფრანგულ ენაზე პირველი ტექსტი - **Serments de Strasbourg** (“სტრასბურგის ფიცები”) გახდა ენათაშორისი კონტაქტის პირველი წყარო; ეს იყო 842 წელს, ლუდვიკო გერმანელის მიერ ფრანგი მეფის კარლოს მელოტის ჯარების წინაშე, კავშირის დამყარების მიზნით, წარმოთქმული ფიცი იმ დროის ფრანგულ ენაზე.

ნაციონალურის ურთიერთობის სფეროში, ლათინური ენის ჭეშმარიტ მეტოქედ, ფრანგული ენა ხდება XI საუკუნიდან; ეროვნულ ენებს შორის, ის (ფრანგული ენა) იყო პირველი, რომელმაც დაიწყო თავისი ტერიტორიის ფარგლებიდან გასვლა; ეს უკავშირდება ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობას (1066 წ.) და ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებას (1096 წ.). როგორც

უმაღლეს ფეოდალურ ფენათა ენა, ფრანგული მკვიდრდება ინგლისში სამი საუკუნის მანძილზე. ის (ფრანგული ენა) ასევე ხდება სხვადასხვა ჯვაროსანთა საერთო ენა, რის წყალობითაც, ეთნიკური სახელწოდება “ფრანკები”, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გადატანილ იქნა ყველა დასავლეთევროპელზე. ჯვაროსანთა მიერ დაპყრობილ ოლქებში განმტკიცდა ფრანგული დინასტიები: სირიასა და იერუსალიმის სამეფოში – 2 საუკუნის მანძილზე (1099 – 1291 წწ.), ათენსა და კვიპროსში - XV საუკუნის ბოლომდე. XII – XIII საუკუნეებში, ფრანგული ენა ვრცელდება გერმანიის, ფლანდრიისა და ნიდერლანდების სამეფო კართა წრეებში. იტალიის ცალკეულ ფეოდალურ სახელმწიფოებში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, მეფობდა ფრანგული დინასტიები. XIII საუკუნის ბოლოს, ზოგიერთი იტალიელი მწერალი უპირატესობას ანიჭებდა ფრანგულ ენაზე წერას. 1298 წელს, ვენეციელმა მარკო პოლომ ფრანგულ ენაზე დაწერა თავისი ცნობილი თხზულება ჩინეთში მოგზაურობის შესახებ.

XIV – XV საუკუნეებში, ფრანგული ენის საერთაშორისო გამოყენება გარკვეული პერიოდით შემცირდა: ჯვაროსნული ლაშქრობები დასრულდა ძირითადი სამფლობელოების დაკარგვით ახლო აღმოსავლეთში, ინგლისში და ინგლისურმა ენამ ძლიერ შეავიწროვა ფრანგული, რასაც ხელი შეუწყო ასწლიანმა ომმა; თუმცა ფრანგული ენა ძველებურად შენარჩუნდა ინგლისის სამეფო კართა წრეებში და მრავალი ინგლისელი მონარქისათვის მშობლიურ ენადაც კი იქცა, ანუ ფრანგული ენა გახდა სამეფო კართა საერთო ენა (*langue intercourtisaine*).

XVI – XVII საუკუნეებში, ფრანგული ენა, თავისი საერთაშორისო გამოყენებით, მეტოქეობას უწევს ახალევროპულ ენებს, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით, მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვეს საერთაშორისო ცხოვრებაში. XVII საუკუნეში, იტალიური ენა ხდება იტალიის ყველა სახელმწიფოს ოფიციალური ენა და თანდათანობით ავიწროვებს ფრანგულ ენას ქვეყნის შიგნით (თუმცა, ეს უკანასკნელი – ფრანგული ენა ინარჩუნებს არისტოკრატის ენის სტატუსს XIX საუკუნის შუახანებამდე).

XVII საუკუნეში, ფრანგული ენის ძლიერი კონკურენტი გახდა ესპანური ენა, რის საყრდენსაც წარმოადგენდა ესპანური ლიტერატურის ბრწყინვალე მიღწევები და ესპანური ენის მიერ მოპოვებული განსაზღვრული საერთაშორისო გავრცელება ესპანეთის პოლიტიკური გავლენის ძალისხმევით. ფრანგული ენის იტალიურ და ესპანურ ენებთან ეს კონკურენცია, ფრანგული ენის გამარჯვებით დასრულდა.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციით (1640 – 1660 წწ.) დამყარდა ახალი კაპიტალისტური ფორმაცია. სახელდობრ ამ პერიოდში, დიდად გაიზარდა ფრანგული ენის საერთაშორისო გამოყენება, რასაც ხელი შეუწყო იმ პოლიტიკურმა როლმა, რომელსაც საფრანგეთი ასრულებდა ლუდოვიკო XIV -ის (1643-1715) მეფობის პერიოდში. 1648 წელს, დასრულდა ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც ბოლო მოუღო ესპანეთისა და ავსტრიის იმედებს მსოფლიო იმპერიის შექმნის თაობაზე და პოლიტიკური ჰეგემონია გადავიდა საფრანგეთის ხელში; თუმცა ეს სწრაფად არ ასახულა ფრანგული ენის მდგომარეობაზე; ვესტფალის ხელშეკრულებები (1648 წ.), დადებული ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, შედგა ძველებურად ლათინურ ენაზე; თუმცა ეს აღმოჩნდა ლათინურ ენაზე დაფიქსირებული უკანასკნელი საერთაშორისო შეთანხმება.

XVIII საუკუნეში, ფრანგული ენის საერთაშორისო სტატუსით გამოყენებამ თავის აპოგეას მიაღწია. ფრანგულმა ენამ შეცვალა ლათინური ენა დიპლომატიის, მეცნიერების,

საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ლიტერატურის სფეროებში, გავრცელდა რა ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, ნიდერლანდების, იტალიის, სკანდინავიის ქვეყნების, რუსეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და რუმინეთის არისტოკრატიულ და სამეცნიერო წრეებში. მრავალმა უცხოელმა დამსახურებულად მოიპოვა ადგილი ფრანგ მწერალთა შორის; ესენი არიან: ლეიბნიცი, პრინცი დე ლინი, აბატი გალიანი, ფრიდრიხ მეორე; ვენეციელმა ჯ. კაზანოვამ, თავისი თანამემამულის – მარკო პოლოს მსგავსად, ფრანგულ ენაზე დაწერა თავისი მემუარები.

რაშტადის ხელშეკრულება (1714 წ.), რომელმაც დაასრულა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, ერთის მხრივ, და მათი მტრული კოალიციისადმი - მეორეს მხრივ, მნიშვნელოვან პუნქტად იქცა საერთაშორისო ენათა ისტორიაში: ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ფრანგულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გერმანიის იმპერიამ, რომელიც აქამდე მხოლოდ ლათინურ ენაზე შედგენილ დოკუმენტაციას აწერდა ხელს.

ამგვარად, დაიწყო ფრანგული ენის უნივერსალურობის პერიოდი (*l'universalité de la langue française*) და მან (ფრანგულმა ენამ) მიიღო საერთაშორისო კოდიფიკაცია დიპლომატიურ პრაქტიკაში.

1700 წელს, ბერლინის აკადემიამ ოფიციალურად აღიარა ფრანგული ენა და საფრანგეთის რევოლუციის წინა პერიოდში, იმავე აკადემიამ კონკურსი გამოაცხადა ფრანგული ენის უნივერსალურობის თემაზე (1782 წ.).

1725 წელს, პეტრე პირველის ბრძანებით დაფუძნებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, XVIII საუკუნის მანძილზე, იყენებდა ლათინურ და ფრანგულ ენებს. ფრანგული ენა სხვა სახელმწიფოების მეცნიერებათა აკადემიების ენაც გახდა. თუმცა, XVIII საუკუნეშივე, ფრანგულ ენას დაუპირისპირდა ინგლისური ენა საერთაშორისო, კერძოდ კი, დიპლომატიური აღიარების თავალსაზრისით. 1753 წელს, ბრიტანეთის ხელისუფლებამ წამოიწყო დემარში ფრანგული ენის გამოყენების წინააღმდეგ. საფრანგეთს შესთავაზეს, რომ ურთიერთობათა მოლაპარაკებები ეწარმოებინა ან ნეიტრალურ – ლათინურ ენაზე, ან ფრანგული და ინგლისური ენების ერთდროული გამოყენებით.

დიპლომატიური ურთიერთობებისათვის ინგლისური ენის გამოყენებისადმი სწრაფვა ახალ ინგლისურენოვან სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აღმოაჩნდა: 1778 წელს, აშშ –ს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებები შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. 1785 წელს, საგარეო საქმეთა მდივანმა ჯეიმ განსახილველად შესთავაზა კონგრესს მომავალში ყოველი ხელშეკრულება და ყოველი კონვენცია ფორმალურად შედგენილიყო ორ ენაზე – სახელდობრ აშშ –ს ენაზე და იმ ენაზე, რომელსაც აირჩევდა ხელშეკრულების მეორე მხარე. ინგლისური ენის ამ მოთხოვნის უკან უდავოდ დაფარულია ახალგაზრდა ბურჟუაზიული ინგლისისა და აშშ –ის მხარდი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს მათ დიდ გავლენას მსოფლიო ვაჭრობასა და პოლიტიკაზე. XVIII საუკუნეში, ინგლისურმა ენამ მაინც ვერ შეძლო ფრანგული ენისადმი სერიოზული კონკურენციის გაწევა. ამ უკანასკნელის (ფრანგული ენის) მხარეს იყო საერთაშორისო სფეროში გამოყენების ექვსსაუკუნოვანი ტრადიცია, ფრანგული

კულტურისა და ლიტერატურის პრესტიჟი, საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენა და ფრანგულენოვანი მოსახლეობის რიცხოვრები დომინირება (1500 წლიდან 1800 წლამდე ფრანგულენოვანთა რაოდენობა 2 – 2,5 –ჯერ უსწრებდა ინგლისურენოვანთა რაოდენობას). მდგომარეობა შეიცვალა საპირისპირო მიმართულებით მხოლოდ 1900 წელს. დაბოლოს, შესაძლებელია, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის ის აბსოლუტისტური მდგომარეობა, რომელიც მას ეჭირა, თავისებური სოციალური ეტალონის სახით, ფეოდალურ ევროპაში.

ოფიციალური საერთაშორისო ერთეულების პერიოდი დაასრულა პირველმა მსოფლიო ომმა, რის შემდეგაც დაფუძნებულმა ერთა ლიგამ (1919-1946) თავის ოფიციალურ ენებად აღიარა ინგლისური და ფრანგული ენები, ანუ სანქციონირებულ იქნა თავისებური საერთაშორისო ორენოვნება. ამ პერიოდიდან მოყოლებული, დაიწყო ინგლისური ენის გამარჯვებული სეკა. ფრანგული ენის პოზიცია თანდათანობით სუსტდებოდა და დღემდე სუსტდება.

მსოფლიოში ფრანგული ენის გავრცელებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საფრანგეთის მიერ აფრიკის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების კოლონიზაციამ. XX საუკუნეში, კოლონიალური სისტემის რღვევის პერიოდში, როდესაც საფრანგეთმა ერთიმეორის მიყოლებით დაკარგა კოლონიალური სამფლობელოები, ფრანგული ენა შენარჩუნებულ იქნა ამ ქვეყნებში, რადგან მის გარეშე განთავისუფლებული ქვეყნები ვერ შეძლებდნენ სამყაროსთან ურთიერთობას; და შემთხვევითი არ არის, რომ იმ პერიოდში, ფრანგებმა აქტიურად დაიწყეს ტერმინ «ფრანკომანიის» გამოყენება, რომელიც ჯერ კიდევ 1880 წელს გამოჩნდა ფრანგი გეოგრაფის ოკაზიმ რეკლიუს შრომებში, რომლებშიც ის შეისწავლიდა ძირითადად საფრანგეთსა და ჩრდილო აფრიკას. სახელდობრ, ამ მეცნიერს გაუჩნდა იდეა, რომ პლანეტის მცხოვრებთა კლასიფიკაცია მოეხდინა იმ ენათა მიხედვით, რომლებზედაც ისინი ლაპარაკობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და იყენებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებშიც (კ. კარლო, მ. კაუზო, გვ. 3).

ამჟამად, დაახლოებით მსოფლიოს 50 სახელმწიფოა ფრანკოფონიის წევრი. დაახლოებით 170 მილიონი ადამიანი იყენებს ურთიერთობისას ფრანგულ ენას. იგი არის მშობლიური ენა საფრანგეთის, კვებეკის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და მონაკოსი; ოფიციალური ან ადმინისტრაციული ენაა აფრიკის მრავალი ქვეყნისა, მადაგასკარისა და კანადის ნაწილისა; ფართო გამოყენების ენაა მალრიბის ქვეყნებში, სადაც შენარჩუნებულია ფრანგულენოვანი მოსახლეობის დიდი რაოდენობა.

საერთაშორისო არენაზე, ფრანგულ ენას, თეორიულად, ინგლისური ენის თანაბარი სტატუსი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციებში. “გაეროში” 115 დელეგაციიდან 36 დელეგაცია იყენებს ფრანგულ ენას სამუშაო ენად.

უცხოური ენის სტატუსით, ფრანგული ენის პოზიციები შესუსტებულია; თუმცა ის მაინც, ძველებურად, მეორე ადგილს იჭერს ინგლისური ენის შემდეგ და წინ უსწრებს გერმანულ და ესპანურ ენებს. ფრანგული ენის საერთაშორისო ცხოვრების ისტორიაში რა კორექტივებს შეიტანს XXI საუკუნე – ამას გვიხვენებს მომავალი.

ცხადია, რომ ფრანგულმა ენამ შეინარჩუნა თავისი პრესტიჟი, როგორც “გალანტურმა, დახვეწილმა და კეთილშობილმა “ ენამ; თვით ინგლისურ სარეკლამო დისკურსებშიც კი ფრანგული ენა გამოიყენება გასაყიდი საქონლის დასახელებათა “გაკეთილშობილებისათვის”.

ლიტერატურა:

Carlo C., Causo M. Civilisation du francais. France international. Paris, 2003.

Кузнецов С. Теоретические основы интерлингвистики. Москва, 1987.

ციური ახვლედიანი, კეტევან გაბუნია
Историческая эволюция французского языка

Резюме

Статья представляет историческую картину использования французского языка в качестве средства международного общения, начиная с XI в. до наших дней со всеми ее взлетами и падениями. Загравиваются также такие аспекты как: франкофония и французский язык как иностранный.

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia
The historical evolution of the French language

Abstract

The article presents a historical picture of the use of French as a means of international communication, starting from the XI century. to this day with all its ups and downs. Such aspects as francophone and French as a foreign language are also affected.

რეცენზენტი: პროფესორი ს. კოროტიკაია

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

თამარ გელაშვილი

თბილისი, საქართველო

საწყისისა და ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციის
ტიპოლოგიური მახასიათებლები
ქართულ და ინგლისურ ენებში

საწყისი და ინფინიტივი სახელზმნური ფორმებია ქართულსა და ინგლისურ ენებში, რომლებსაც ახასიათებთ როგორც ზმნისთვის, ასევე არსებითი სახელისთვის დამახასიათებელი მორფო-სინტაქსური თავისებურებები. სტატიის მიზანს წარმოადგენს საწყისისა და ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციების ტიპოლოგიური ურთიერთმიმართების საფუძველზე მათ შორის არსებული იზომორფიზმისა და ალომორფიზმის გამოვლენა. სტატიაში ასევე ნახვევებია, თუ რამდენად პროდუქტიული ერთეულებია საწყისი და ინფინიტივი სინტაქსური თვალსაზრისით, რადგან მათ შეუძლიათ შეასრულონ როგორც მთავარი, ასევე არამთავარი წევრების სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში.

ენას ყოველმხრივ რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის. ამ დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკას, რომელიც ორი დარგისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისგან შედგება. ეს დარგები შეისწავლიან ენის აგებულების ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეს. თუ მორფოლოგია სწავლობს ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფებს, მათთვის დამახასიათებელ ზოგად გრამატიკულ მნიშვნელობებს და კატეგორიებს. სინტაქსის შესწავლის საგანს წარმოადგენს სიტყვათშეერთება წინადადებაში. სინტაქსური კატეგორიები მჭიდროდ არის დაკავშირებული მორფოლოგიურ კატეგორიებთან და ხშირად მრავალ სინტაქსურ კატეგორიას საფუძველად მორფოლოგიური კატეგორიები უძევს.

„სიტყვა, როგორც ენის ლექსიკური ერთეული, და იგივე სიტყვა, როგორც წინადადების სტრუქტურული ელემენტი, ერთი და იგივე არ არის.“ თუ სემანტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით ინფინიტივი და საწყისი ზმნური სახასიათო ნიშნების მატარებელია, სინტაქსური თვალსაზრისით ისინი სრულად ავლენენ არსებითი სახელისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში [კვაჭაძე, 2007:67].

საწყისი და ინფინიტივი საკმაოდ პროდუქტიული ერთეულებია სინტაქსური თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ შეასრულონ როგორც მთავარი, ასევე არამთავარი წევრების სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში. სტატიაში მოცემულია, როგორც თეორიული მსჯელობა, ასევე ჩვენ მიერ მოძიებული საანალიზო წყაროებიდან ამონარიდები, რის საშუალებითაც ეს მსჯელობა კონკრეტული მაგალითებით საბუთდება.

საწყისი ქვემდებარის ფუნქციით წინადადებაში

ქართულ ენაში წინადადების წევრები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით იყოფიან მთავარ და არამთავარ წევრებად. ქვემდებარე წინადადების მთავარი წევრია, რომელიც ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელით არის გადმოცემული და ის ჩვეულებრივ სახელითა და სახელზმნით გადმოიცემა [კვაჭაძე, 2007: 86].

საწყისი, როგორც სახელზმნის ერთ-ერთი ფორმა, ხშირად გამოიყენება ქვემდებარის ფუნქციით წინადადებაში და მისი ექსპრესიული თავისებურებიდან გამომდინარე ის ხშირად გვხვდება როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში:

„ეს შენი ისმის სიმღერის ბრძოლა“ [ტაბიძე, 2011:68].

„იღვა გაშიშის სევდა, მწარე ნისლივით ვრცელი“ [ტაბიძე, 2011:73].

„მოდის ნაცნობი ზმანება ბრძოლის“ [ტაბიძე, 2011:67].

ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით წინადადებაში

ქართული ენაში გამოყენებული საწყისის მსგავსად, ინგლისურში ქვემდებარე წინადადების მთავარი წევრია და როდესაც ის ასრულებს ქვემდებარის სინტაქსურ ფუნქციას, მაშინ მას ძირითადად საწყისი პოზიცია უკავია მტკიცებით წინადადებაში (რადგან ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით არასდროს არ გვხვდება კითხვით და უარყოფით წინადადებაში) [Jersperson, 1987: 34].

„**To forget time, to forget life, to be at peace** all these seemed impossible“ [Wild, 1979:61].

„**To save his life** now seems practically impossible.“ [Wild, 1979:68].

საწყისისგან განსხვავებით, ინგლისურში გვხვდება ისეთი სინტაქსური კონსტრუქცია, როდესაც წინადადება იწყება ფორმალური ქვემდებარის „it“ რომელსაც მოსდევს შემასმენელი და შემდეგ კი ინფინიტივით გადმოცემული ქვემდებარე.

“**It is very wrong to kill anyone**“ [Wild, 1979:47].

„**It is very difficult sometimes to keep awake**“ [Wild, 1979:52].

„**It is strange to say** she was exrtremely fond of the young Duke“ [Wild, 1979:72].

საწყისი დამატების ფუნქციით წინადადებაში

ქვემდებარის მსგავსად, დამატება წინადადების მთავარი წევრია და ის ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელია. ქართულში დამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს: დამატება-ობიექტები და უბრალო დამატებანი. დამატება-ობიექტები ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელებია. უბრალო დამატება არ არის ზმნის აგებულებით ნაგულისხმევი და ამის გამო ზმნის ობიექტურ პირთან არც არის დაკავშირებული [კვაჭაძე, 2007:96]

დამატება-ობიექტები იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა, რომლებითაც ქვემდებარე. სწორედ აქედან გამომდინარე, ზმნის უპირო ფორმები და მათ შორის საწყისი, ხშირად გამოიყენება დამატება-ობიექტად წინადადებაში:

„მე არ მინახავს **გაფრენა** და **უკლავება**“ [ტაბიძე, 2011:81].

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის, ქალწულებივით ხიდიდან **ფენა**“ [ტაბიძე, 2011:81].

„მეზადემ **მოსვლა** თუ არ ინება“ [ტაბიძე, 2011:93].

ინფინიტივი დამატების ფუნქციით წინადადებაში

ქვემდებარული ფუნქციისგან განსხვავებით, ინფინიტივის გამოყენება დამატება-ობიექტებად გაცილებით მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რომელ ზმნებს ან ზმნურ კონსტრუქციებს რა სახის სახელზმნა სჭირდება. ინგლისურში მკვეთრად არის გამოიჯნული ზმნათა ჯგუფები, რომლებსაც მხოლოდ ინფინიტივი მოსდევთ:

„They sat down and began **to look** round, while Mrs. Umney waited for them“ [Wild, 1979: 38].

„For some days after this he was extremely ill, and hardly stirred out of his room at all, expected **to keep** the bloodstain in proper repair“ [Wild, 1979 : 47].

„As for the twins, he was quite determined **to teach** them a lesson“ [Wild, 1979: 48].

საწყისი გარემოების ფუნქციით წინადადებაში

გარემოება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს ან რამე სხვა ნიშან-თვისებას. გარემოების გადმოცემა ზმნიზედის ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა, მაგრამ ამავე ფუნქციით გამოიყენება სხვა მეტყველების ნაწილებიც, რომელთა შორის ერთ-ერთი საწყისია [კვაჭაძე, 2007: 154].

„**ლოცვად** მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ [ტაბიძე, 2011:57].

„**ტანჯვა** -განსაცდელში თვალნი მიურიდენ“ [ტაბიძე, 2011:57].

„ და დაგიწვება ფეხებთან **კვდომით**“ [ტაბიძე, 2011:82].

ინფინიტივი გარემოების ფუნქციით წინადადებაში

როდესაც ინფინიტივის სინტაქსურ ფუნქციებს განვიხილავთ ინგლისურ ენაში, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი გამოყენება გარემოების ფუნქციით წინადადებაში. ინფინიტივი ხშირად არის გამოყენებული სხვადასხვა სახის გარემოებად (მიზნის, შედეგის, თანმხლები გარემოების და ა.შ.) თუმცა კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინფინიტივი ყველაზე მეტად მიზნის გამომხატველ ერთეულად არის გამოყენებული წინადადებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფინიტივი წარმოადგენს მიზნის გარემოებას სინტაქსური სახელდებით: [file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20\(1\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20(1).pdf)

„He leaned up against a moonlight **to recover** his breath.“ [Wild, 1979: 43].

„Lord Canterville himself had left his duty **to mention** the fact to Mr. Otis.“ [Wild, 1979: 43].

„Mr. Otis had telegraphed for a wagonette **to meet** them“ [Wild, 1979: 37].

მოქმედების მიზნის გამომხატველ ინფინიტივს ხანდახან წინ უსწრებს მაკავშირებელი სიტყვები **in order** , **so as**. და მათი გამოყენებით ინფინიტივის ფუნქცია კიდევ მეტად არის ხაზგასმული:

„She made up her mind to go up by the black staircase **so as not to be seen**.“ [Wild, 1979: 58].

„ He left the door wide open **in order** for them **to hear** his footsteps.“ [Wild, 1979: 92].

„ He stood behind **in order to help** them in search.“ [Wild, 1979: 66].

საწყისი შედგენილი შემასმენლის შემადგენელი კომპონენტი

შედგენილი შემასმენელი ორი ნაწილისგან შედგება: ბრუნებადი სიტყვისა და ზმნის

პირიანი ფორმისაგან. რადგან შედგენილი შემასმენლის ბრუნებადი ნაწილი ჩვეულებრივ სახელია ან მორფოლოგიურად მასთან გათანაბრებული სახელზმნა, ამიტომ მას შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ჰქვია.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში ნახმარია სხვა ტერმინებიც: თანასაერთი, პრედიკატივი, სახელითი თუ სახელური ნაწილი. [კვაჭაძე ლ., 2010: 77]. საწყისი, როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გამომხატველი კომპონენტი იშვითად, მაგრამ მაინც გვხვდება ქართულში და ის ძირითადად **ყოფნა** ზმნასთან კომბინირებული ფორმით არის წარმოდგენილი:

„შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს, არის შრიალი და **მწუნარება**“ [ტაბიძე, 2011:82].

„ არის კივილი, მღელვარება, **ცეკვა**, სიცილი“ [ტაბიძე, 2011:100].

ინფინიტივი, როგორც შედგენილი შემასმენლის შემადგენელი ელემენტი

მარტივი შემასმენლისგან განსხვავებით შედგენილ შემასმენელში სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი გამოიყოფა ინგლისურ ენაში. მათ შორის არის ინფინიტივი, რომელიც ყოველთვის შედგენილი შემასმენლის მეორე შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს.

„ The plan was **to go** to him and tell him everything about his plan” [Wild ,1979: 102].

„ I intend **to lead** a better life in the future” [Wild ,1979: 77].

<file:///C:/Users/GGG/Downloads/Theoretical-Course-of-English-Grammar-28Script29.pdf>

თუ შედგენილი შემასმენელი მოდალობის გამომხატველია და მის შემადგენელ ელემენტებს მოდალური ზმნა და ინფინიტივი წარმოადგენს, მაშინ ინფინიტივი **to** ნაწილაკის გარეშე, ანუ „ bear infinitive“-ის სახით არის წარმოდგენილი. “Where we **can have** everything that money **can buy**.” [Wild ,1979: 47].

“...and before the terrified housekeeper **could interfere** he had fallen upon his knees.” [Wild ,1979: 52].

“We **must say** that I don’t think it is at all polite.” [Wild ,1979: 44].

„If I **may use** such a theatrical expression in connection with one of the greatest mysteries.” [Wild ,1979: 54].

გამონაკლის წარმოადგენს მოდალური ზმნები ,რომლებსაც სრული ინფინიტივი მოსდევს(**have to; ought to; to be**)

„We shall **have to take** his chains from him” [Wild ,1979: 54].

„ He **ought to find** one of the two horse-pistols.” [Wild ,1979: 37].

„ He **had to make** his way home through the flues and chimneys.” [Wild ,1979: 45].

საწყისი განსაზღვრების ფუნქციით წინადადებაში

განსაზღვრება და მისგან განსაზღვრული წევრი ბრუნებადი სიტყვებით გადმოიცემა. საზღვრული წევრი ბრუნებადი სიტყვით ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სიტყვით არის გამოხატული, განსაზღვრება კი შეიძლება გადმოიცეს ზედსრთავითა და მასთან გათანაბრებული სხვა სახელებითა და სახელზმნებით. ამ შემთხვევაში სახელზმნური ფორმებიდან ძირითადად მიმდევობის ფორმები იგულისხმება, მაგრამ როგორც კვლევამ გვიჩვენა, საწყისსაც, მიმდევობის მსგავსად, შეუძლია შეასრულოს განსაზღვრების სინტაქსური ფუნქცია, რადგან ის როგორც ზმნური, ასევე სახელადი ნიშნების მატარებელი სახელზმნური ერთეულია ქართულ ენაში [გამსახურდია, 2011:54].

„ასე მეგონა, ხელახლა ვმობილვარ -მეთქი და ჯერ არ მეგემნოს სიხარულის, ხტომის და

ჭენების სიხარული ამ მშვენიერ მიწაზე" [გამსახურდია, 2011: 5].

„გააჭირვე საქმე, არ გამოგია ყოველდღე მზის ამოსვლის ყურება" [დუმბაძე ნ., 1989: 7].

ინფინიტივი განსაზღვრების ფუნქციით წინადადებაში

ინგლისურ ენაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ინფინიტივი ასრულებს განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას წინადადებაში. მხოლოდ სრულ ინფინიტიურ ფორმას, ანუ ინფინიტივს „to" ნაწილაკით შეუძლია გამოხატოს ეს დამოკიდებულება და ასეთ შემთხვევაში ინფინიტივი ყოველთვის მოსდევს საზღვრულ წევრს. <file:///C:/Users/GGG/Downloads/Theoretical-Course-of-English-Grammar-28Script29.pdf>

„...there was only thing **to do**." [Wild ,1979: 56].

„She had a right **to see** the last of him." [Wild ,1979: 37].

„He had given a band of gypsies permission not **to go** there." [Wild ,1979: 34].

„The first thing **to be done** was to sit upon their chests..." [Wild ,1979: 25].

რადგან საწყისისგან განსხვავებით, ინფინიტივს სხვა დამატებითი სინტაქსური ფუნქციები გააჩნია ინგლისურ ენაში, ამიტომ აუცილებელია მათი დამატებით განხილვა:

ინფინიტივი მარტივი შემასმენლის ფუნქციით წინადადებაში

ინგლისურში ინფინიტივი ხშირად გამოყენება ზმნის აწმყო, მომავალი და წარსული მარტივი დროების საწარმოებლად, როგორც მტკიცებით, ასევე კითხვით და უარყოფით წინადადებაში. ამ შემთხვევაში ინფინიტივი არ დაირთავს „to" ნაწილაკს და „bear infinitive" ის სახით არის გამოყენებული წინადადებაში: [file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20\(1\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20(1).pdf)

„And you will **tell** our children some day, won't you?" [Wild ,1979: 48].

„ It will **stay** the same for ever" [Wild ,1979: 52].

“Will you **sit** to me again?" [Wild ,1979: 63].

ინფინიტივი პრედიკატული დანამატის ფუნქციით წინადადებაში

ინგლისურში ინფინიტივი ხშირად ასრულებს პრედიკატული დანამატის ფუნქციას წინადადებაში და ყოველთვის მოსდევს შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელით ან წარსულ დროიანი მიმდებარის ფორმით არის გადმოცემული:

„ My father **will be ready to help** you." [Wild ,1979: 60].

„ I' **m sorry to say** it again." [Wild ,1979: 44].

„ Lady Stutfield **was always obliged to wear** a black velvet band round her throat." [Wild ,1979: 43].

„ I am **prepared to help** you." [Wild ,1979: 34].

ინფინიტივი რთული დამატების ფუნქციით წინადადებაში

ქართული ენისგან განსხვავებით ინგლისურ ენაში ინფინიტივი წარმოადგენს რთული დამატების ნაწილს. ასეთ შემთხვევაში ინფინიტივი ყოველთვის მოსდევს არსებით სახელს ან ობიექტურ ფორმაში მდგარ ნაცვალს სახელს: [file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20\(1\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20(1).pdf)

„ He wanted **him to reconsider** his decision." [Wild ,1979: 92].

„ He wished some **detectives to be sent** down immediately." [Wild ,1979: 73].


„ I hear her **to say** that she was fed up with all this." [Wild ,1979: 47].

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული, როგორც აგლუტინაციური ენა და ინგლისური, როგორც ფლექსიური ენა, ტიპობრივად და სტრუქტურულად განსხვავებული ენებია, კვლევამ გვიჩვენა, რომ საწყისსა და ინფინიტივის საკმაოდ მრავალგვარი სინტაქსური ფუნქცია გააჩნია ორივე ენაში. მათი სინტაქსური ფუნქციის შესწავლა-შეპირისპირების საფუძველზე კი გამოვლინდა მათ შორის არსებული ხუთი სახის იზომორფიზმის და სამი სახის ალომორფიზის შემთხვევა. კერძოდ, საწყისსა და ინფინიტივის შეუძლია შეასრულოს ქვემდებარის, დამატების, განსაზღვრების, გარემოების და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის სინტაქსური ფუნქციები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაში. თუმცა ინფინიტივის, საწყისისგან განსხვავებით, დამატებით შეუძლია შეასრულოს მარტივი შემასმენლის, რთული დამატებისა და პრედიკატული დანამატის ფუნქცია ინგლისურ ენაში.


ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითების საფუძველზე 100 საწყისსა და 100 ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციის რაოდენობითი კვლევის თვალსაზრისით, გამოვლინდა შემდეგი თავისებურებები: საწყისის სინტაქსური ფუნქცია, როგორც ქვემდებარის (40%) და დამატების (40%), ბევრად აღემატება მსგავსი ფუნქციით წარმოდგენილ ინფინიტივის ფუნქციებს ინგლისურ ენაში. ამ უკანასკნელის შემთხვევაში შემდეგი სახის სურათი გამოიკვეთა: ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით (10%) და დამატების ფუნქციით (15%) ნაკლებად გამოიყენება ინგლისურ ენაში ქართულთან შედარებით. ამ ყოველივეს საპირისპიროდ კი, ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციები, როგორც გარემოების (20%), განსაზღვრების (10%) და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის (15%) გაცილებით ჭარბობს მსგავსი ფუნქციით წარმოდგენილ საწყისის ფუნქციებს. კერძოდ, საწყისის სინტაქსური ფუნქცია, როგორც გარემოების (10%), განსაზღვრების (5%) და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის (5%), მკვეთრად ნაკლებია ქართულ ენაში ინგლისურთან შედარებით.

საწყისსა და ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციის კვლევის შედეგი ქართულ და ინგლისურ ენებში მოცემულია შემდეგი დიაგრამების სახით:

საწყისის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში ქართულ ენაში



ინფინიტივის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში ინგლისურ ენაში



ლიტერატურა:

კვაჭაძე ლ. (2007): ქართული ენის სინტაქსი. გამომცემლობა „ცოტნე“. თბილისი.
 ფეიქრიშვილი ჟ. (2007): ქართული ენის სინტაქსი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.
 Gogsadze, I., Mamatsashvili N., Bolkvadze S. (1989). A Course in Current English Grammar. volume 2 . Tbilisi.
 Gordon, E.M.,Krilova I.P., (1986). A Grammar of Present Day English.(3-rd edition. M: Высшая школа.
 Jersperson , O., (1987)Essentials of English Grammar. George Allen and Unwin LTD. London
[file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20\(1\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20(1).pdf) მოძიებულია 03.03.2017
<file:///C:/Users/GGG/Downloads/Theoretical-Course-of-English-Grammar-28Script29.pdf> მოძიებულია 08.03.2017

საანალიზო წყაროები:

გამსახურდია კ.,(2011) დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. თბილისი: პალიტრა Z
 ღუმბაძე ნ.,(1988- 1989-1990). თხზულებანი ოთხ წიგნად.თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
 ტაბიძე გ. 2011, “პოეზია” თბილისი
 Wilde O., 1979, “The Canterville Ghost”, “ The Picture of Dorian Gray”, Moscow. Progress.

Тамар Гелашвили

**Типологическое взаимодействие синтаксической функции инфинитива и саткиси в
грузинском и английском языках**

Резюме

В грузинском и английском языках формами отглагольного существительного являются саткиси [груз.] и инфинитив, которые характеризуются морфо - синтаксическими особенностями как глагола, так и имени существительного. На базе типологических взаимодействий объектом статьи является выявление синтаксических функции саткиси [груз.] и инфинитива, а также установление между ними изоморфизмов и алломорфизмов. В статье также показано то, на сколько являются продуктивными компонентами саткиси [груз.] и инфинитив в плане синтаксиса, так как они могут выступать в предложении как в функции главного члена предложения, так и второстепенного.

Tamar Gelashvili

**The Typological Features of the Syntactic Functions of Satskisi and Infinitive
in the Georgian and English Languages**

Abstract

Satskisi and infinitives are non-finite forms of verbs in the Georgian and English languages and they reveal morpho-syntactic features of verbs as well as nouns. The purpose of the article is to demonstrate existing isomorphism and allomorphism and their peculiarities base on typological relationship of their syntactic functions in the sentence. The article demonstrates productivity of these non-finite forms of the verbs in accordance with their verified syntactic functions as main and secondary members of the sentence.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ლარიბაშვილი

Яговкина Елена

ქუთაისი, საქართველო

ЯЗЫК КАК ЗНАКОВАЯ СИСТЕМА

Аннотация. В предлагаемой статье язык рассматривается как знаковая система, которая создаётся постепенно и развивается в процессе своего функционирования, и посредством которой осуществляется человеческое общение на самых различных уровнях, включая мышление, хранение, передачу информации и т.п.

Изучение языка в семиотических рамках означает его исследование относительно семиотической системы в целом. В самом деле семиотика интересуется в установлении свойств языка в сравнении с другими знаковыми системами и кодами. Однако обычно признаётся, что язык имеет привилегированный и автономный статус, и это позволяет некоторым учёным считать, что семиотика может быть определена как наука о нелингвистических знаковых системах. Ельмслев, например, [6, 102] давал широкое определение языку. Это и язык людей, и музыки, и архитектуры, язык животных и прочее. Всё это включалось им в семиотическую систему вообще. В предлагаемой статье мы рассматриваем язык как знаковую систему, которая создаётся постепенно и развивается в процессе своего функционирования, и посредством которой осуществляется человеческое общение на самых различных уровнях, включая мышление, хранение, передачу информации и т.п.

Язык - самая сложная, мощная и выразительная из всех знаковых систем, поэтому его можно считать универсальной знаковой системой. С ее помощью мы можем описать любую другую знаковую систему. Р. Якобсон отмечал, что «... язык _ это система систем, это всеобъемлющий код, включающий в себя различные более мелкие коды»[1,30].

Вопрос о знаковой сущности языка занимал уже древних греков. В диалоге Платона «Кратил» ставится вопрос о том, закрепляет ли язык форму за содержанием «по природе» или «по соглашению». Главный участник диалога Сократ приходит к выводу, что репрезентация через подобие преобладает над использованием условных знаков, но имеет место и дополнительный фактор _ соглашение, обычай и привычка.

В теории стоиков знак рассматривался как сущность, образуемая отношением означающего

(«воспринимаемое») и означаемого («понимаемое»). Учение о знаке и его обозначении получило дальнейшее развитие в трудах многих крупных мыслителей средневековой схоластики.

В 60_70х гг. XIX века йельский языковед Д. Уитни [2] определяет язык как систему произвольных и условных знаков. Его воззрения были поддержаны и развиты создателем структурной лингвистики Ф. де Соссюром [3], утверждавшим, что связь, соединяющая означаемое с означающим произвольна. Выделяя значимость оппозиции «язык _ речь», Соссюр обнаруживает четыре компонента языковой предметности: язык как определенная знаковая структура; речевая деятельность как социально-исторический процесс функционирования языка; языковая способность владения индивидом языком и речь как индивидуальный акт реализации языковой способности и языкового знания каким-либо субъектом.

Огромное влияние на развитие науки о языке во всём мире оказала известная работа Хомского Н.»Knowledge of Language» [5]. Фундаментальное положение теории Хомского _ врождённая способность людей говорить при помощи языка. Автор идёт ещё дальше, считая, что язык это физический орган, данный человеку природой как, например, птицам дано свойство летать. Грамматические принципы, лежащие в основе языков являются врождёнными и неизменными, а различие между языками мира могут быть объяснены в терминах параметрических установок мозга, который в этом случае можно сравнить с переключателем. Исходя из этой точки зрения, ребёнку для изучения языка необходимо только выучить лексические единицы и морфемы, а также определить необходимые значения параметров, что делается на основе нескольких ключевых примеров. Такой подход, по мысли Хомского, объясняет удивительную скорость, с которой дети изучают языки, а также допускают характерные ошибки при усвоении родного языка. Впрочем, практически все теории, объясняющие процесс усвоения языка, пока являются спорными.

Язык всегда признавался инструментом или средством коммуникации, но если мы думаем об инструментах в обычном смысле этого слова (инструмент _ это орудие для производства каких-нибудь работ), то есть нечто неправильное в этом определении для языка.

Например, если мы можем взять и использовать для чего-нибудь молоток, а затем убрать его, выбросить, потерять и т.д., то мы не можем избавиться от языка, лишив себя этого важнейшего средства общения. Он (язык) _ наша часть и избавиться от него _ все равно, что избавиться от нашего тела. И если язык используется для того, чтобы обозначать все виды сигналов и символов, тогда уверенно можно сказать и о том, что мысль не существует без языка, хотя она может осуществляться и в нелингвистических знаках. Например, математики думают в схематических знаках, художники передают свою мысль в визуальных знаках, музыканты _ в акустических и т.д.

Неязыковые смысловые единицы, совпадающие с неязыковыми знаками (например, багровый закат как знак сильного мороза, желтые листья _ знак наступающей осени и т.д.), также обладают для нас определенным смысловым значением. Следовательно, если определять язык как совокупность смысловых единиц, надо будет признать существование языков, состоящих из неязыковых смысловых единиц («язык звезд», «язык природы»).

Поэтому определение языка, даваемое в лингвистике и семиотике, должно учитывать его роль как орудия общения между отдельными членами общества и его роль как орудия мышления. Язык в последнем смысле слова играет столь большую роль в жизни общества, а рассмотрение его проливает столько света на важнейшие проблемы семиотики, что без введения соответствующего понятия обойтись невозможно.

Это и есть язык в собственном смысле, язык как инструмент общения и мышления (познания).

Язык как важнейшая знаковая система отличается от всех остальных вспомогательных или специализированных знаковых систем. Языковая знаковая система, как мы уже отмечали, является всеобъемлющим средством передачи и хранения информации, в то время как специализированные знаковые системы служат для передачи ограниченной информации, перекодировки уже известного. Сфера употребления языка универсальна. Он используется во всех областях человеческой деятельности, тогда как специализированные знаковые системы имеют ограниченную сферу употребления. Специализированные средства общения, передачи и хранения информации являются результатом разового соглашения людей, имеют продуманный и искусственный характер.

Основной единицей (знаком) звукового языка является слово. Существует два способа использования слов: первичное и вторичное. При первичном использовании слова функционируют в качестве языковых знаков, отсылая слушателя к некоторому предмету. При вторичном же использовании (например, внутренняя речь) слова выполняют другую функцию, являясь инструментом мыслительной деятельности. Именно поэтому, определяя язык семиотически, необходимо прибегнуть к более широкому понятию, чем понятие языкового знака, - к понятию языковой смысловой единицы [4, 87].

Слова не представляют собой предела деления исходного языкового знака. Некоторые из слов делятся на единицы, также имеющие смысловое значение. Они членятся на корни, суффиксы, приставки, окончания, которые обладают определенным значением. Например, в слове «разоблачён» можно выделить в качестве значимых частей корень «разоблач» и суффикс «ён», который указывает на результат действия, совершенного в прошлом, выражает единственное число и мужской род. Ясно, что при делении сложного языкового знака на части, обладающие значением, мы рано или поздно приходим к минимальным значащим единицам, к минимальным языковым знакам, не состоящим из меньших значащих единиц. Например, деление корня «разоблач» на «бл» или «аз» или на какие-нибудь другие элементы дает части, не имеющие смысла в системе русского языка. Следовательно, «разоблач» - наименьший языковый знак. Такие знаки называются еще монемами (термин известного лингвиста А. Мартине). Монемы можно делить на части, не имеющие смыслового значения. Например, в монеме «разоблач» можно выделить 8 элементов _р, а, з, о, б, л, а, ч. Ни один из них не является носителем какого-либо смысла. Но каждый из них встречается в других монемах и может служить исходным материалом для построения другой монемы. Такие элементы называются фонемами. Следовательно, наш обычный язык делится не только на монемы, но и на фонемы, которые не являясь значащими единицами, позволяют, однако, различать значащие единицы, языковые знаки. Пользуясь ограниченным числом фонем и монем, можно построить практически бесконечное число высказываний.

Анализ ряда конкретных языков позволяет ответить на вопрос, какой минимум языковых единиц требуется для того, чтобы некоторую их совокупность назвать языком.

Очевидно, здесь нельзя установить каких-либо жестких границ. В развитом языке человека насчитывается несколько сот тысяч смысловых единиц, если ограничиться одними словами. Как предельный случай мыслим язык, состоящий из одной языковой смысловой единицы.

Использованная литература

1. Jakobson, Roman. Verbal Art, Verbal Sign, Verbal Time. Minneapolis: University of Minnesota Press, 1985, pg30.
2. Whitney, W. D. The Life and Growth of Language. Hittesheim: Olms. 1970
3. Соссюр Ф. Cours de Linguistique Generale. Paris; Payot.
4. Ветров А.А. Семиотика и её основные проблемы. М., Издательство политической литературы. 1968, стр 87.
5. Chomsky N. Knowledge of Language: Its Nature, Origin, and Use. New York: Praeger., 1986
6. Hjelmslev. L. Prolegomena to a Theory of Language. Madison: Univ. of Wisconsin Press. 1943

ელენე იაგოვკინა

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ენაზე, როგორც ნიშანთა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც ჩვენ ხელს ვუწყობთ ადამიანურ ურთიერთობას, სხვადასხვა დონეზე კონტაქტებს, მათ შორის აზროვნებას, შენახვას, ინფორმაციის გადაცემას და სხვა. პლატონიდან დაწყებული სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომებში და ჩვენი დროის სხვადასხვა მეცნიერთა შრომებში ვკითხულობთ ენის ბუნებას. ენა განისაზღვრება როგორც თვითნებური ან ჩვეულებრივი ნიშნების სისტემა (Whitney, W.), ან ადამიანთა თანდაყოლილი შესაძლებლობები (Chomsky N.), ან როგორც ინსტრუმენტი ან კომუნიკაციის საშუალება (ვეტროვი).

Yagovkina Elena

Language as a system of signs**Abstract**

The article deals with the problem of the language as a sign system, with the help of which we accomplish human intercourse, contacts on different levels, including thinking, keeping, passing the information, and etc. In the works of different scientists beginning from Plato and to our time different questions are being put about the nature of the language. The language is being defined as either a system of arbitrary or conventional signs (Whitney, W. D.), or as inherent abilities of people to speak (Chomsky N.), or as an instrument or means of communication (Vetrov A.A.). The least language sign is named monema. Forming-up material for monema are fonemas. Using limited number of monemas and fonemas we can built practically endless number of statements.

რეცენზენტი: პროფესორი ფ. ბახშიევა

სოფლის დარგობრივი ტექსიკა ოტია იოსელიანის პროზაში (მასალები)

ქართული ენის მდიდარი სიტყვათა მარაგი ლექსიკის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ლექსიკის სიმდიდრის ერთ-ერთი ნიშანი დარგობრივი ლექსიკის მრავალფეროვნებაცაა. ადამიანი როგორ აღიქვამს და როგორ გადმოსცემს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის აღმნიშვნელ სიტყვას მკვიდრად და დაკავშირებული ენის ლექსიკურ სიმდიდრესთან.

ოტია იოსელიანის შემოქმედება ნათლად წარმოაჩენს ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკურ შესაძლებლობებს. მწერალი რუდუნებით იყენებს ქართულ ძარღვიან სიტყვას და მკითხველი შესანიშნავ სიტუაციებში შეჰყავს.

სოფელი ოტია იოსელიანის სათაყვანებელი ადგილია, მწერალმა კარგად იცის ქართველი კაცი როგორაა ჩამკლავებული თავის ადგილის დედასთან, სოფლის სიძლიერე ქვეყნისა და ერის გადარჩენის საწინდარია, ამიტომ მის შემოქმედებაში უხვადაა ნაწარმოებები, რომლებიც სოფლის ყოფას აღწერენ, საინტერესო სიუჟეტები მკითხველისათვის იოლად აღსაქმელი და დაუფიქვარია. იოსელიანის შემოქმედების პერსონაჟები ძირითადად, მისი თუ მეზობელი სოფლების მაცხოვრებლები არიან და ამდენად მწერალი რეალისტია.

სოფლის ლექსიკის სიმდიდრით, ალბათ, იშვიათად მოიძებნება ქართულ მწერლობაში მწერალი, რომელიც კმნიდეს, იყენებდეს, ეფუფუნებოდეს, ეფერებოდეს ქართულ სიტყვას.

ოტია იოსელიანის ნოველებსა და რომანებში გამოყენებული სოფელთან დაკავშირებული ლექსიკა ჩვენ რამდენიმე ქვეჯგუფად დავყავით:

- ა) საყოფაცხოვრებო ნივთები
- ბ) საყოფაცხოვრებო ავეჯი
- გ) სახლის აღწერილობა
- დ) დამხმარე ნაგებობები
- ე) შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული
- ვ) ეზოსთან დაკავშირებული

- ზ) სამუშაო იარაღები
- თ) შრომის ტექნიკა
- ი) გადაადგილების საშუალებები
- კ) სოფელთან დაკავშირებული ზმნები
- ლ) პროფესიები
- მ) მოსავალთან დაკავშირებული
- ნ) ხე-მცენარეებთან დაკავშირებული
- ო) საკვები

ლექსიკურ ერთეულთა ამ ჩამონათვალიდან ამ ეტაპზე გთავაზობთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ნივთებთან, საყოფაცხოვრებო ავეჯთან, სახლის აღწერილობასთან, დამხმარე ნაგებობებთან, ეზოსთან, საკარმიდამო ადგილებთან და სასოფლო სამუშაო იარაღებს.

ა) საყოფაცხოვრებო ნივთები:

ბარამბა

ბარამბა 1. ორკაპა ხის ჯოხი იხმარება დომის, ღობიოს ამოსახედად (ქეგლ, I, გვ. 958). ყოველდღე თლიდა ოჯახისა და მეზობლებისათვის: ჩოგანს, სუთს, **ბარამბას**, სუფრას, ჯორკოს.

ბაწარი

ბაწარი სხვილი დაზლი ქალამნისა (საბა); თოკი (ქეგლ, I, გვ. 978). აგერ, კედელზე მიჭედებულ ხის კაკვზე სათლი და ზედ მიკიდებული ათოკილი **ბაწარი** არ დაინახა! (მეფეშტე რუსი, 258, 4).

დგიმ-სავარცხელი

დგიმ-სავარცხელი დარგ. ცდგიმი და სავარცხელი (ქეგლ. III, გვ. 1442). საცვალს ქვევით-ქვევით ექანებოდნენ და მოგეხსენება, ლელვის ნემს **დგიმ-სავარცხელში** ნაქსოვი ხამი არაა, რომ მუხლზე გამოიბეროს და არ გადაიფ-ხრიწოს (წერილები დაჩის, ქალი ქალია და კაცი - კაციას თაობაზე, 64, 13).

თუნგი

თუნგი სპილენძის (ან თიხის) ვიწროყელიანი ჭურჭელი (ქეგლ, IV, გვ. 492). დესმამ **თუნგი** სამფეხაზე შედგა და ტაშტი შემოიტანა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 404, 28).

კაკვი

კაკვი თავმოკაუჭებული ლითონის (ან ხის) ღერი რისამე დასაკიდებლად (ქეგლ, IV, გვ. 1027). აგერ, კედელზე მიჭედებულ ხის **კაკვზე** სათლი და ზედ მიკიდებული ათოკილი ბაწარი არ დაინახა! (მეფეშტე რუსი, 258, 4).

კარდალა

კარდალა მომცრო ქვაბი (ქეგლ, IV, გვ. 1079).

კარდალა კი ვერ აავსებს დიდ ქვაბს, დიდი ქვაბი რომ აღუდდება (კოკა წყალზე ტყდება, 300, 5).

კეცი

კეცი თიხის (ან თირის ქვის) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს (ქეგლ, IV, გვ. 1153).

შუაგეცხლზე ჩამოგორებული **კეცი** საკეციო ალზე გადადგა (ვარსკვლავოცვენა, თავი III, ხვალინდელი ჯარისკაცი, გვ. 385, 15).

კოკა

კოკა 1. წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი: მოზრდილი, დიდმუცლიანი, ვიწროქუსლიანი, დაბალყელიანი და ცალყურიანი (ქეგლ, IV, გვ. 1260).

კოკით მოარბენინა წყალი, საქონელს და ხარებს ჩალა დაუყარა (დედა, 53, 11).

ნაჭა

ნაჭა კუთხ. (ქვ-იმერ.) შუა გეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, - საკიდელი (ი. ჭყ.) (ქეგლ, V, გვ. 1436).

და კვირადლისთვის, საბაზროდ, სამფეხს, **ნაჭასა** და ჯაჭვს ჭედავდნენ (ჩაჩნის კვესი, 207, 29).

სათლი

სათლი [არაბ., -სპარს. სადღ “ვედრო”] ძვ. ტოლჩა, საკიდარი ქვაბი (დ. ჩუბინ.); (ქეგლ, VI, გვ. 614).

ღმერთი რომ გამწვრომდა და ის ფსკერგავარდნილი **სათლი** მიმეტანა, ხვალაც აქ იქნებოდა-მეთქი (მეფეშტე რუსი, 257, 3).

საკეცი

საკეცი ხის ან ლითონის მაშა ცხელი კეცების დასადგმელად და მათზე

ნაკვერჩხლის დასაყრელად (ქეგლ, VI, გვ. 643).

დედას უეცრად საკეციო აღებული კეცი ხელიდან გაუვარდა და მშივრებიც დაგვტოვა (დედა, 233, 5)

სამფეხა

სამფეხა 2. სამი ფეხის მქონე რკინის რგოლი ქვაბისა და მისთ. ცეცხლზე შესადგმელად, – ზედადგარი (ქეგლ, VI, გვ. 729).

2. ცალფეხ დამწვარ აგურშეყენებულ **სამფეხზე** ღომის ჩახელის დროს კი ქვაბს ვერ ვამაგრებდით (მეფეშტე რუსი, 257, 20).

საურმე ჭრაქი

საურმე ჭრაქი ქეგლ-ში განმარტებული არ არის, ეს არის, შედარებით დიდი ზომის ჭრაქი, რომელსაც იყენებდნენ მაშინ, როცა ურმით ღამით გადაადგილდებოდნენ.

ქართიდან **საურმე ჭრაქის** სინათლე ჩანდა (ვარსკვლავთცვენა, თავი III, ხვალინდელი ჯარისკაცი, 387, 9).

საცერი

საცერი თხელი ფიცრის რკალზე (გარაზე) გადაკრული ძუის წმინდა ბადე, რომლითაც ფქვილს და მისთ. ცრიან (იყენებენ რისამე გასაწურადაც) (ქეგლ, VI, გვ. 903).

ნაცარასათვის ბებია **საცერი** მოგვატანინა, სადაც ეგდო გაბრუებული, იქვე გადაამხო (მატარებელი და შავი მდინარე, 83,4).

სუთი

სუთი კუთხ. (გურ. იმერ.) სუფთად გათლილი ჯოხი ღომის ამოსახედად (ქეგლ, VI, გვ. 1172).

ყოველდღე თლიდა ოჯახისა და მეზობლებისათვის: ჩოგანს, **სუთს**, ბარამბას, სუფრას, ჯორკოს.

სუფრა

სუფრა იგივეა, რაც ტაბლა (ქეგლ, VI, გვ. 1201)

ღომს პირდაპირ **სუფრაზე** აკრავდა ბებია და ტყემლის წვენი მლოდინში მე და ჩემი ძმა ხელეებს ვილოკავდით (აბესალომი, 373, 25).

ტაშტი

ტაშტი ლითონის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი (ან მოგრძო) ჭურჭელი (ქეგლ, VI, გვ. 1263).

იქვე მცხოვრებმა, შვანგირაძის თუ კირთაძის ბიჭმა, გატეხილი სპილენძის **ტაშტი** გადმოიტანა (ტასიეს მინდორი და “არსენა მარაბდელი”, 265, 26).

ტიკი

ტიკი ოთხში (გუდად) ამოღებული, შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩამოსასხმელად (ქეგლ, VI, გვ. 1292).

ტიკი ინათხოვრა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 388, 20).

ქვასანაყი

ქვასანაყი 1. ნიგვზისა, ნივრისა და მისთ. სანაყი ქვა, - ფილთაქვა (ქეგლ, VII, გვ. 298).

პელომ ქვების სახურავს მძიმე ქვასანაყი დაადო (თბილი რძე, 466, 12).

ქვეერი

ქვეერი ღვინის შესანახი თხის დიდი ჭურჭელი, კვერცხის მოყვანილობისა (ქეგლ, VII, გვ. 302).

ისევ თოხს მისწვდა და ქვეერის თავზე დაყრილი მიწა კიდევ შეასწორა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 359, 13) .

ქვიჯა

ქვიჯა კუთხ. (ქვ. იმერ. გურ.) ფილთაქვა (ქეგლ, VII, გვ. 321).

მოგესხენებათ, სოფელში კეციცაა, ქოთნის და **ქვიჯა-ქვასანაყიც** (ხემი თეატრი, 380, 25).

ქოთანი

ქოთანი პირფართო, ყელგანიერი ჭურჭელი, თიხისა საჭამადის საკეთებლად (ქეგლ, VII, გვ. 340).

ტიკიც სჭირდება მეზობელს, კეციც და **ქოთანიც** (ჯარისკაცი დაბრუნდა, 288, 19).

ყანწი

ყანწი ღვინო-არყის სასმელი რქა (ქეგლ, VII, გვ. 507).

არადა, **ყანწს** მაწოდებს (აბესალომი, 373, 25).

ჩოგანი

ჩოგანი 4. კუთხ. (იმერ.) ღომის დასაგები პატარა ნიჩაბი (ქეგლ, VIII, გვ. 507)

ყოველდღე თლიდა ოჯახისა და მეზობლებისათვის: ჩოგანს, **სუთს**, ბარამბას, სუფრას, ჯორკოს.

ჩოტი

ჩოტი კუთხ. (ზ. იმერ.) ხის პატარა ნიჩაბი (ქეგლ, VIII, გვ. 532).

ბებიას, ალბათ, შეკრული აქვს ჯაჭვით ჯორკო, სამფეხი, ნაჭა, საკეცი და **ჩოტი** (ძალისხმევა, 114, 8).

ცოცხი

ცოცხი ზოგი მცენარის წვრილ ღეროთა ან ტოტების კონა რისამე მოსაგველად, ასახვეტად (ქეგლ, VIII, გვ. 654).

იმ ეკლესიაში **ცოცხით** და ჩოტიეთი რამდენი შევა-გამოვა (უგზო-უკვლო, 160, 18).

ხალამი

ხალამი კუთხ. (იმერ. გურ. რაჭ. ლეჩხ.) იგივეა რაც ღერგი (ქეგლ, VIII, გვ. 1320).

ხალმიდან იღებს ყველს (დედა, 53, 3).

ჯაჭვი

ჯაჭვი ერთმანეთში გაყრილი ლითონის რგოლების მწკრივი (თოკის დანიშნულე-ბისა) (ქეგლ, VIII, გვ. 1567).

ბებიას, ალბათ, შეკრული აქვს **ჯაჭვით** ჯორკო, სამფეხი, ნაჭა, საკეცი და ჩოტი (ძალისხმევა, 114, 8).

ბ) საყოფაცხოვრებო ავეჯი:**ბუჯერი**

ბუჯერი ძვ. ცდა კუთხ. “ჭურჭლის შესაწყობი წალო” (საბა); კედელში დატანებული თაროები ჭურჭლის დასაწყობად (ქეგლ, I, გვ. 1112).

“სანამ თბილია, მანამდე უნდა ჩავეკეთო “– **ბუჯერს** მიადგა (თბილი რძე, 465, 15).

ზანდუკი

ზანდუკი [არაბ. სანდუკ] 1. კიდობანი (საბა) – ხის სახურავიანი ყუთი, გარედან ჩვეულებრივ თუნუქით შემოჭყდილი: ხმარობენ საოჯახო ნივთების (ზოგჯერ სანოვაგის შესანახად) (ქეგლ, IV, გვ. 95).

და რა ვიცი, რისი ჩირით არა აქვს ჩვენთვის გამოტენილი **ზანდუკი** (აღათი, 353, 7).

ოჯინჯალი

ოჯინჯალი კუთხ. (იმერ. ტგურ.) შუაღვეთის ზემოთ ხის მოწყობილობა, რომელზედაც ჰკიდია ჯაჭვი (ქეგლ, VI, გვ. 101).

არც მე მინდოდა გამეხედა და მაღლა შუაღვეთზე ჩამოშვებულ ნაჭას მზერა **ოჯინჯალამდე** ავაყოლე (ვარსკვლავოცვენა, თავი XXX, მამლის ნაადრევი ყივილი, 509, 8).

სამფესა

სამფესა 1. რასაც სამი ფეხი აქვს (ქეგლ, VI, გვ. 729)

ოდის სამსაფეხურიან კიბეზე არ ქნა, სამზადის სოხანიან აივანზე ჩამოჯდა

სამფესა ჯორკოზე (მეექვშე რუსი, 255, 32).

ტაბურეტი

ტაბურეტი უზურგო სკამი (ქეგლ, VI, გვ. 729).

იასონი მაგიდასთან დაჯდა ჯვარედინად ფეხებგადაჭედებულ **ტაბურეტზე** (ჯარისკაცი დაბრუნდა, 393, 18).

ფიტონი

ფიტონი კუთხ. (იმერ. ქვ. რაჭ.) თარო, რაფა (ქეგლ, VII, გვ. 119).

კირით თეთრად შეფეთქილ ბუხრის ფიტონზე წმიდა გიორგის ხატი იყო დასვენებული (ჩემი წმიდა გიორგის ხატი, 106, 15).

ჯორკო

ჯორკო დაბალ სკამად გათლილი ნამორი (ქეგლ, VIII, გვ. 1606).

ყიამეთში ფეხით უნდა იპოვო **ჯორკო** და ბუხართან უხმაუროდ მიიხიწო (კოკა წყალზე ტყდება, 312, 2).

ვ) სახლის აღწერილობა:**ბუხარი**

ბუხარი ღია ღუმელი აგურისა ან ქვისა, სახლის კედელში შიგნიდან (ქეგლ, I, გვ. 1111).

ეს დალოცვილი **ბუხარი** მარტო წინ გათბობს ადამიანს და ზურგი თითქოს მინდორში გქონდეს (ზამთარი, 264, 2).

გემი

გემი ჭის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან წნელისაგან გაკეთებული ცილინდრული ზღუდე, გვირგვინი (ქეგლ, II, გვ. 1537).

ჭის დანგრეული ხის **გემი**, ოწინარი, ჭიშკარი და ღობე-ყორე, მათი გული იყო (ნესვი და საზამთრო, 92, 4).

კარაპანი

კარაპანი სახლის უკედლო დერეფანი (ქეგლ, IV, გვ. 1072).

კარაპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხმობდა აწივლებულ წიწილებს (ვარსკვლავოცვენა, თავი II, წყაღდასხმული კერია, 385, 19).

კუტიკარი

კუტიკარი კუთხ. (იმერ.) პატარა ჭიშკარი (ქეგლ, IV, გვ. 1446).

კუტიკარის ბოძს მიუბრუნდა (მონატრება, 229, 3) .

ლაფარო

ლაფარო კუთხ. (იმერ. გურ.) შენობის ირგვლივ ადგილი, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (ქეგლ, IV, გვ. 1488).

გარეთ წვიმა დაიწყო და **ლაფაროში** ნაწრეტი წყალი აჭყაპუნდა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 388, 13).

პალატი

პალატი დიდი ოთახი, ძვირფასად მორთული (ქეგლ, VI, გვ. 107).

და ქვევით, **პალატში** გადასძახა, - ჭიჭიკოს და გრიშასი ხომ არაფერი იცი? (ქალი მაინც ქალია, 44, 13)

საკვამური

საკვამური ნაგებობიდან კვამლის ამოსასვლელი (ქეგლ, VI, გვ. 643).

საკვამურიდან და საფაფურებიდან კვამლი ცაში არ აუშვია, მისი ჩაუქრობელი კერიის მაუწყებელი (ბებია გარდაიცვალა, 240, 8).

სოხანე

სოხანე კუთხ. (იმერ.) მიწის იატაკი (ქეგლ, VI, გვ. 1133).

ქვევით შემოფიცრულ, კარგად მოტკეპნილ **სოხანეზე** კერია ენთო (ივანეს მარიე-მზეთუნახავი, 153, 25).

ქილუქი

ქილუქი არ არის არც ერთ ლექსიკონში, მგონი უნდა ნიშნავდეს, აივნის კუთხეს.

უკანა აივნის თავწამპალ ყურეში, ზედ **ქილუქის** ძირას მოკალათებული, სიბერით დაუძღვრებული უკბილო ნაგაზი – ბათურა, სიკვდილივით უხმოდ ამოქნარებდა (ლევანა, 47, 14).

ყავარი

ყავარი ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად (ქეგლ, VII, გვ. 497).

წვიმისაგან რომ დამპალი **ყავრის** სახურავი ვერ დაგიფარავს (კოლია ბოჭორიშვილი, 401, 24).

წირთხლი

წირთხლი კარის ან ფანჯრის ჩარჩოს ერთი გვერდი (ქეგლ, VIII, გვ. 1138).

და ჩემ გამოთრეულ, იქვე კარის წირთხლთან მიდგმულ სკამზე მუხლებმსავე-ბული ეშვება (დედა გათხოვდა, 199, 12)

დ) **დამხმარე ნაგებობები და მათი აღწერილობა:**

ბაგა

ბაგა დაბმული საქონლისათვის საკვების ჩასაყრელი (წნული ან ფიცრული) (ქეგლ, IV, გვ. 1446).

იქნებ იმდენი მაინც მოგვახერხებინა, ძროხის **ბაგა** გადავფაროთ? (დმერთის გამოცხადება, 328, 8).

ბოსელი

ბოსელი მსხვილფეხა რქიანი საქონლის სადგომი (ქეგლ, IV, გვ. 1053).

რაკი მათ ბარობაზე არავითარი ნაგებობა არ ჩანდა: **ბოსელი**, საღორე ან საქათმე (ომი და სიხარული, 224, 18).

გომური

გომური იგივეა, რაც გომი; მსხვილფეხა რქიანი საქონლის საზამთრო (მიწური) სადგომი (ქეგლ, III, გვ. 1570).

პელომ **გომურიდან** თბილი რძით სავსე ქოთანს გამოიტანა (თბილი რძე, 464, 2).

მარანი

მარანი “სადვინე სახლი” (საბა), დვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი (ქეგლ, IV, გვ. 55).

ველარ იტევდეს **მარანი** ოქროსფერ მტევნის ხვავსაო (გრიგოლ ბაბუა, 359, 20).

სათხებო

სათხებო კუთხ. (იმერ.) თხების ბინა, თხების სადგომი (ქეგლ, V, გვ. 55).

თუ **სათხებოს** ჩელტის კარს უგდავს (დედა, 53, 11).

სამზადი

სამზადი კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც სამზარეულო (ქეგლ, V, გვ. 703).

საღამოობით გამოძვრებოდა სახლიდან, რაღაც გუმანით **სამზადში** შეძვრებოდა (ლევანა, 53, 2).

სანეხველა

სანეხველა (ქეგლში დაფიქსირებულია, როგორც სანეხვე) ნეხვის დასაყრელი ადგილი, -სანაკელე (ქეგლ, V, გვ. 753).

ჩემით, ჩემითაა, თვარა **სანეხველაზე** ამოხდებოდა სული (დედა, 53, 17).

სასიმინდე

სასიმინდე სიმინდის შესანახი ნაგებობა (წნული ან ფიცრული) (ქეგლ, V, გვ. 805).

სასიმინდეში, სიმინდებში მოიკალათე (სიცოცხლის შემოქმედი, 34, 7).

საქათმე

საქათმე ქათმების სადგომი (ქეგლ, V, გვ. 853).

რაკი მათ ბარობაზე არავითარი ნაგებობა არ ჩანდა: ბოსელი, საღორე ან **საქათმე** (ომი და სიხარული, 224, 18)

საღორე

საღორე ღორების სადგომი (ქეგლ, V, გვ. 874).

რაკი მათ ბარობაზე არავითარი ნაგებობა არ ჩანდა: ბოსელი, **საღორე** ან საქათმე (ომი და სიხარული, 224, 18)

სახაბაკო

სახაბაკო ეს სიტყვა არც ქეგლში არც იმერული დიალექტების ლექსიკონებში განმარტებული არ არის. ტგულისხმობს ისეთ დამხმარე ნაგებობას, სადაც უსისტემოდაა შეყრილი ძველი ნივთები, სანოვაგე

სასოლე მოკლე ეკლისა და მუხის გადანაჭრები გამოიტანა იატაკქვეშ შემოშენებულ **სახაბაკოდან** (ლევიანა, 55, 7)

ქართა

ქართა კუთხ. (იმერ. გურ.) მოღობილი საქონლის სამწვეფევად (ქეგლ, VI, გვ. 262).

ნაბამმა პირუტყვმა ძლივს აიშვა და ახლა ბოგაზე დაბმა, **ქართაში** ან ეზოში დამწვეფევა საცოდაობაა (ძალისხმევა, 110, 34).

ქუნა

ქუნა ეს სიტყვა არც ქეგლში არც იმერული დიალექტების ლექსიკონებში განმარტებული არ არის. ტგულისხმობს იმერულ სოფლებში სახლზე მიშენებულ ცალკე სამზარეულოს (სამზადს).

ცალი, ლანჩაგლეჯილი, მგონი, **ქუნის** აივანში რომ პატარა ოთახი აქვთ შემოტყედილი იმის ქვეშ უნდა ეგდოსო (ფეხბურთი, 240, 25),

ხულა

ხულა ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა (ქეგლ, VIII, გვ. 1524).

კლიმენტის **ხულა** გაუქმარცვეო (ვარსკვლავთცვენა, თავი XXVI, გოგონა, 486, 16).

ე) ეზოსთან დაკავშირებული:**ალაგე**

ალაგე ღობეზე გადასასვლელი ადგილი – გადასაბიჯი (ქეგლ, I, გვ. 328).
 დარო ალაგესთან აიტუზა (ქვრივის ცრემლები, 106, 15).

ბოგირი

ბოგირი ხის პატარა ხიდი (ქეგლ, I, გვ. 1038).

ბოგირთან მწვანე მოლზე ჩამოჯდა და ისე გაახვია თუთუნი (ჯარისკაცი დაბრუნდა, 349, 24).

კონდარი

კონდარი მრავალწლოვანი საკვები ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა (ქეგლ, IV, გვ. 1260).
 წინ მოვთხრი **კონდარში** (ვარსკვლავოცვენა, თავი XIV, თავშესაფარი, გვ. 432, 13).

საზვინე

საზვინე ეს სიტყვა არც ქეგლში არც იმერული დიალექტების ლექსიკონებში განმარტებული არ არის. ტგულისხმობს ადგილს ეზოში, სადაც ზვინებს დგამენ.

ფერმაში ძინავს, საზვინეებზე, ხის ფულუროში თუ ცხენის ჩონჩორიკში (მართლმსაჯულება, 38, 10).

საკვალე

საკვალე კუთხ. (გურ.) “წვიმის წყლის საწრეტი თხრილი სახლის გარშემო” (ქეგლ, VI, გვ. 643).
 კრამიტი დაჩოჩებულია და აგერ გდია **საკვალეში** (წედლები, 183, 20).

ყორე

ყორე ქვისა და მისთ. ტგროვა (ქეგლ, VI, გვ. 568).

ქვევით, ვენახის ჩაყოლებზე მესერი ჩასდევდა, ჭიშკარის ზევით კი, სადაც კლდოვანი სჭარბობდა, ეზოს **ყორე** ერტყა (დედუღეთი, 59, 12).

ჭიშკარი

ჭიშკარი ეზოს დიდი კარი, - ალაყაფის კარი (ქეგლ, VIII, გვ. 1269).

ქვევით, ვენახის ჩაყოლებზე მესერი ჩასდევდა, **ჭიშკარის** ზევით კი, სადაც კლდოვანი სჭარბობდა, ეზოს **ყორე** ერტყა (დედუღეთი, 59, 12).

ვ) საკარმიდამო ადგილები:**ბერბოგირი**

ბერბოგირი ეს სიტყვა არც ქეგლში არც იმერული დიალექტების ლექსიკონებში განმარტებული არ არის. გულისხმობს მთავარ ბოგირს.

თორემ **ბერბოგირიდან** ბეკნარას მინდვრებამდე ნაყანები, რაც უნდა კოკისპირუ-ლმა ასხას, წვეთს არ გაიმეტებს იქვე მოჩხრიალე მდინარისთვის (ღმერთის გამოცხადება, 336, 8).

ბოსტანი

ბოსტანი მიწის ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ მწვანელი და ბოსტნეული (ქეგლ, I, გვ. 1054).
ყანა, **ბოსტანი**, ვენახი ბალახად წავიდა (ლევანა, 52, 24)

ვენახი

ვენახი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია ვაზი, -ვაზის ბაღი (ქეგლ, IV, გვ. 47).
მათ თავისი ცხოვრება ჰქონდათ – ყანა და **ვენახი**, ტყე და მინდორი (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 40, 19).

ნავენახარი

ნავენახარი ადგილი, სადაც წინათ ვენახი იყო (ქეგლ, V, გვ. 1282).
ნავენახარის ქვევით, გლედიხიების (ჩვენ ქაჯ-ეკალას ვეძახით) მწკრივამდე, საყანე იყო (სახედარი – ჩემი სიხარული, 156, 1)

ნაყანევი

ნაყანევი ადგილი, სადაც წინათ ყანა იყო (ქეგლ, V, გვ. 1402).
ნაყანევიში ცეცხლი აბრიალდა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 350, 13).

საწრეტი არხი

საწრეტი არხი სადრენაჟო (ქეგლ, VI, გვ. 932).
მაგ მყრალ ბალახს ეზოს ბოლოშიც, ვენახის **საწრეტ არხშიც** არ ვაჭაჭანებ (მოთხრობები ოჯახზე, 26, 34).

ყანა

ყანა თავთავიანი კულტურის ნათესი (ქეგლ, VII, გვ. 505).
და მისდევს სიმინდის მწვანე **ყანები** (მატარებელი და შავი მდინარე, 81, 18).

ზ) სამუშაო იარაღები:

ბარი

ბარი ბრტყელი წვერმახვილი რკინის იარაღი, ხის ტარზე დაგებული (მიწის ჩასატრეღ-გადასაბრუნებლად ან სათხრელად) (ქეგლ, I, გვ. 957).
დედას ეჭირა ორივე ხელში თოხი და **ბარი**, ცელი, ნამგალი და წელი ზამთარ-ზაფხულ დაზლით ჰქონდა გაკრული (კოკა წყალზე ტყდება, 289, 17).

გუთანი

გუთანი მიწის სახნავი იარაღი (საკვეთით, სახნისითა და ფრთით) (ქეგლ, II, გვ. 1607).
მიაბრუნა, **გუთანი** მიაბა და ქვეყანას ამცნო წასვლა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 407, 1).

თოხი

თოხი ხის ტარზე წამოცმული ბრტყელპირიანი რკინის იარაღი, რომლითაც მიწას აფხვიერებენ, სარეველა ბალახებს აცლიან (ქეგლ, IV, გვ. 478).

მას გრძელტარიანი **თოხი** ეჭირა და მიწას არაქათგამოცლილი სცემდა (ვარსკვლავოცვენა, თავი VII, ღვინია, გვ. 401, 10).

კაგი

კაგი მიწის სახენელი ძველი იარაღი (ქეგლ, IV, გვ. 1010).

მე ვითომ წამეხმარა და კაგი ურემზე შევახსოვო (ვარსკვლავოცვენა, თავი VII, ღვინია, გვ. 401, 5).

ნამგალი

ნამგალი მოკლეტარიანი სამკელი იარაღი, რკალად მოხრილი და შიგნითა მხრიდან მჭრელი (ქეგლ, V, გვ. 1324).

რამდენიმე ბერიკაცი ნამგლებით ტაროგაცლილ ჩაღას ჭრიდა იქვე (ვარსკვლავოცვენა, თავი XVIII, კოჭლი ხარი, გვ. 451, 6).

ნაჯახი

ნაჯახი მომცრო ცული (ქეგლ, V, გვ. 1455).

ნაჯახი ხელში შევაბრუნე და ცერა თითით ფხა გაეუსინჯე, როგორც მამამ იცოდა (ვარსკვლავოცვენა, თავი VII, ღვინია, გვ. 399, 1).

ნიჩაბი

ნიჩაბი ხის ან ლითონის ბრტყელი ხისტარიანი იარაღი (ქეგლ, V, გვ. 1503).

მე ბარს და **ნიჩაბს** სახლის წინ მივათრევ და მიწას ვხაზავ (ვარსკვლავოცვენა, თავი XIV, თავშესაფარი, გვ. 451, 6).

სატოხი

სატოხი ეს სიტყვა ქეგლში არ არის. ტგულისხმობს წვირწამახულ რკინის სოლისებურ იარაღს.

ზაზამ ჩაქუჩი კი, მაგრამ **სატოხი** რაა, არ იცის (ვარსკვლავოცვენა, თავი VII, ღვინია, გვ. 400, 35).

სახნისი

სახნისი სახენელის ნაწილი, რომელიც ბელტს ჭრის და იღებს (ქეგლ, V, გვ. 973).

კავს **სახნისი** დაუანგოდა, ერქვნის სახელური მონჯღრეულიყო (ლეგანა, 55, 5)

ფარცხი

ფარცხი სასოფლო-სამეირნეო იარაღი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად (ქეგლ, VII, 36).

ახლა ფარცხი საიდან მოვიტანო? (ჩემი მიწა, 186, 33).

ცელი

ცელი სწორი, წვერში მოხრილი სათიბი იარაღი, რომელიც სახელურიან გრძელ ტარზეა დაგებული (ქეგლ, VIII, 587).

თან **ცელის** ქანგიანი ნატეხი გამოათრია (ვარსკვლავთცვენა, თავი VII, ღვინია, გვ. 402, 14).

წალდი

წალდი ხისტარიანი წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი (ქეგლ, VIII, 859).

ახლა გამახსენდა, რომ მამა არასოდეს არ ტოვებდა **წალდს** და ნაჯახს შეუნახავს, სამზადის აივანში კედელში გაარჭობდა ხოლმე (ვარსკვლავთცვენა, თავი VII, ხარ-ურემი, 398, 25).

წერაქვი

წერაქვი მაგარი ქანების სანგრევი ხისტარიანი იარაღი რკინისა (ქეგლ, VIII, 1058).

წერაქვს, ნიჩაბს და ჩაქუხს ორმოს პირზე ისე ახლოს ვყრი, როცა შიგ წელამდე ჩავდგები, ხელი იოლად მიუწვდინო (სოფლის თვალი, 157, 1).

ამდენად ოტია იოსელიანის პროზაში ჩვენ მიერ დაიძებნა სოფელთან დაკავშირებული 125 ლექსიკური ერთეული, მათგან **7 ერთეული** არც ერთ ლექსიკონში არ არის შეტანილი, სიტყვათა დიდი ნაწილი (ალაგე, ბაგა, ბარამბა, ბარი, ბაწარი, ბოგირი, ბოსელი, ბოსტანი, ბუჯერი, ბუხარი, გვიმი, გომური, გუთ ნი, დგიმ-სავარცხელი, ზანდუკი, თოხი, თუნგი, კავი, კაკვი, კარაპანი, კარდალა, კეცი, კოკა, მარანი, ნავენახევი, ნამგალი, ნაყანევი, ნაჭა, ნაჯახი, ნიჩაბი, პალატე, სათლი, საკეცე, საკვამური, სამზადი, სამფეხა, სანეხველა, სასიმინდე, საღორე, საცერი, საწრეტი არხი, სახნისი, სუთი, სუფრა, ტაბურეტი, ტაშტი, ტიკი, ფორცხი, ქვასანაყი, ქვევრი, ქოთანა, ყავარი, ყანა, ყანწი, ყორე, ცელი, ცოცხი, წალდი, წერაქვი, წირთხლი, ჭიშკარი, ხულა, ჯაჭვი, ჯორკო) ქართული ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა.

ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი (კუტიკარი, ლაფარო, ოჯინჯალი, სათხებო, საკვალე, სოხანე, ფიტონი, ქართა, ქვიჯა, ჩოგანი, ჩოტი, ხალამი) **დიალექტურ სიმდიდრეს** წარმოადგენს.

ზოგი სიტყვა (ბერბოგირი, საზვინე, სატოხი, საურმე ჭრაქი, სახაბაკო, ქილუქი, ქუხნა) ჩვენთვის ხელმისაწვდომ არც ერთ ლექსიკონში არ დასტურდება.

ლიტერატურა:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, (ქეგლ) I, თბ., 2008.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, (ქეგლ) II, თბ., 2010.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, (ქეგლ) III, თბ., 2015.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქეგლ) IV, თბ., 1955.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქეგლ) V, თბ., 1958.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქეგლ) VI, თბ., 1960.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქეგლ) VII, თბ., 1962.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ქეგლ) VIII, თბ., 1964.
ოტია იოსელიანი, ნოველები, I, თბ.,

Манана Микадзе

**Отраслевой словарь, обозначающий деревню
Резюме**

Одним из существенных факторов для тщательного изучения грузинского языка является рассмотрение особенностей отраслевой лексики. Лексический материал, отражающий деревню, демонстрирует тесные связи языка и общественности.

Богатый лексический признак грузинского языка является важным фактором в изучении лексики. Одним из богатств словарного запаса является разнообразный словарь.

В романах Отии Иоселиани четко демонстрируются более богатые лексические возможности грузинского языка. Писатель отлично использует ритм грузинских гигантов и читателей.

Основатель деревни Иоселиани, писатель хорошо знает, как грузинский человек прикован к матери спора, сила деревни - это заповедник страны и нации, поэтому его работы богаты работами, которые описывают деревня.

Мы нашли в прозе Иоселиани 125 слов, связанных с деревней, 7 из которых не искали в одном словаре. Большинство слов написано на литературном языке, 11 из них являются достоянием диалекта.

Manana Mikadze

**On Branch Vocabulary Denoting on the village
Abstract**

One of the significant factors for the thorough study of the Georgian language is the consideration of peculiarities of branch vocabulary. Lexical material reflecting village demonstrates the close ties of the language and public.

The rich lexical found of the Georgian language is an important factor in the study of vocabulary. One of the riches of vocabulary is a diversity vocabulary.

Otia Ioseliani's novels clearly demonstrate the richer lexical capabilities of the Georgian language. The writer uses the rhythm of the Georgian giants and readers in a great way.

The founder of the village Ioseliani, the writer is well aware of how a Georgian man is chained to the mother of the dispute, the strength of the village is the preserve of the country and the nation, so his works are rich in works that describe the village.

We found in the Ioseliani prose 125 words related to the village, 7 of which are not searched in one dictionary. Most of the words are in the literary language, 11 of them are the property of the dialect.

რეცენზენტი: პროფესორი გ. გოგოლაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ცისანა მოღვაძე

თელავი, საქართველო

შიშის ემოციის გამოხატვის ლექსიკური ერთეულები გერმანულ ენაში

სტატიაში წარმოდგენილია შიშის ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები გერმანულ ენაში. მოძიებული მასალა განხილულია შიშის სახეობათა და გამოხატვის ფორმათა მიხედვით.

შიში უხსოვარი დროიდან არაერთი დისციპლინის კვლევის ობიექტს წარმოადგენს. მას იკვლევს ფილოსოფია, ფიზიოლოგია, ფსიქიატრია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ა.შ. ლინგვისტიკაში განიხილავენ, ერთი მხრივ, შიშის აღმნიშვნელ ლექსიკას, მეორე მხრივ შიშის, როგორც ემოციის გამოხატვის საშუალებებს. შიში გერმანულ ენაში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით გამოიხატება: die Angst, die Furcht, der Schreck, das Schrecken, die Erschrockenheit, die Phobie, die Bange, die Bangigkeit, die Panik, der Horror, die Sorge, die Besorgnis, die Feigheit.

Die Angst გამოხატავს ობიექტის არმქონე, ხოლო die Furcht ობიექტზე მიმართულ შიშს.

ძლიერი შიში, შეძრწუნება გამოიხატება სიტყვებით: das Grauen-შიში, საშინელება, das Entsetzen- შეძრწუნება, Höllenangst-ჯოჯოხეთური შიში, Phobie-ფობია, Panik-პანიკა, Horror-საშინელება, Heidenangst-საშინელი შიში.

შიში ხშირად კომპოზიტებით არის გადმოცემული: Angstgefühl-შიშის გრძნობა, W Höllenangst-ჯოჯოხეთური შიში, Heidenangst-საშინელი შიში, Himmelangst-ზეციური შიში, panische Angst-პანიკური შიში. ხშირ შემთხვევაში თანმხლები სიტყვა კიდევ უფრო ამძაფრებს შიშის გრძნობას.

შიში სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაშიც შიშის გამოსახატავად გამოიყენება კომპოზიტები (არსებითი სახელი+არსებითი სახელი): Erwartungsangst(მოლოდინის შიში), W Höhenangst(სიმაღლის შიში), Krankheitsangst (ავადმყოფობის შიში), Krebsangst (კიბოს შიში), Objektangst (ობიექტის შიში), Ortsangst (ადგილის შიში), Platzangst (ადგილის შიში), Prüfungsangst

(გამოცდის შიში), Situationsangst (სიტუაციის შიში), Todesangst (სიკვდილის შიში), Wasserangst (წყლის შიში). Angstzustand ნიშნავს შიშის არაკონტროლირებად გრძნობას, რაც იწვევს ფიზიკურ დარღვევებს: გულის აჩქარებას, გონების დაკარგვას, თავბრუსხვევას. Angstvorstellung ნიშნავს წარმოდგენას, რომელიც შიშის გრძნობას იწვევს. ცალკე უნდა გამოვეყოთ ისეთი მონოსემანტიკური სიტყვა, როგორცაა Ansgtschweiss (შიშის ოფლი). ქართულში მის აღსანიშნავად გამოიყენება შესიტყვება -ჭირის ოფლი, ცივი ოფლი.

შიშების და ფობიების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ინტერნაციონალურ ლექსიკას წარმოადგენს. უთვალავი Phobie(ფობია) ლექსებით ნაწარმოები კომპოზიტები არსებობს. მათგან ყველაზე ხშირად ხმარებულია: Ablutophobie-ბანაობის შიში, Acarophobie-მწერების შიში, Achluophobie-სიბნელის შიში, Acousticophobie/Acoustophobie-ხმაურის შიში, Acrophobie-სიმაღლის შიში, Aelurophobie- კატების შიში, Agliophobie-ტკივილის შიში, Arsonphobie-ცეცხლის შიში, Aquaphobie-წყლის შიში, Aviophobie/Aviotophobie-ფრენის შიში, Calignyphobie-ლამაზი ქალების შიში, Gynophobie-ქალების Canophobie-ძაღლების შიში, Claustrophobie-ჩაკეტილი სივრცის შიში, Coimetrophobie-სასაფლაოს შიში, Dentophobie-კბილის ექიმის შიში, T Gerascophobie-დაბერების შიში, Heliophobie-მზის შიში, Iatrophobie-ექიმის შიში, Keraunophobie-ჭექა-ქუხილის შიში, Kleptophobie-ქურდობის შიში, Monophobie- მარტოობის შიში, Motorphobie-ავტომობილების შიში, Ophidiophobie-გველების შიში, Pathophobie-ავადმყოფობის შიში, Suriphobie-თავგების შიში, Tachophobie-სიჩქარის შიში და სხვა.

Angstzustand ნიშნავს შიშის არაკონტროლირებად გრძნობას, რაც იწვევს ფიზიკურ დარღვევებს-გულის აჩქარებას, გონების დაკარგვას, თავბრუსხვევას.

მშიშარა გერმანულში გამოიხატება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: angstvoll, ängstlich, angsterfüllt, furchtsam, erschreckt, erschrocken, verängstigt.

საშინელი შემდეგი ლექსებებით გამოიხატება: schrecklich, furchtbar, fürchterbar, fürchterlich, furchterregend, furchteinflößend, entsetzlich. ეს სიტყვები მორფოლოგიურად ზედსართავი სახელებია ან მიმღება I.

შიში გერმანულში ხშირად სიტყვათა ჯგუფითაა გადმოცემული. მაგ., von Schrecken ergriffen, von Entsetzen/Grauen gepackt, erschüttert, ergriffen ნიშნავს „ელდანაცემს“.

გერმანულ ენაში არაერთი ფრაზეოლოგიზმი არსებობს, რომელთა სახელების საფუძველს წარმოადგენს შიშის ემოციის ფიზიკური გამოხატულება. Jemandem fällt / rutscht das Herz in die Hose (სიტყვასიტყვით გული შარვალში გაეპარა) ნიშნავს დიდ შიშს; die Angst mit dem Blute sein დიდ, ძვალსა და რბილში გამჯდარ შიშს ნიშნავს, თუმცა გერმანულ ვარიანტში „სისხლს“ უკავშირდება. in den Knien weich werden შიშისგან მუხლების მოკვეთას ნიშნავს. Jemandem bricht der Angstschweiss aus ნიშნავს ძლიერ შეშინებას, შიშის ოფლის დენას. kalte Füße bekommen პირდაპირი მნიშვნელობით ფეხების გაციებას ნიშნავს, მაგრამ ამ ფრაზეოლოგიზმით გამოიხატება შიში. eine Gänsehaut bekommen კანის აბურძგენას ნიშნავს, მაგრამ შიშის ეს თანმხლები მოვლენა გერმანულ ენაში შიშის აღმნიშვნელი გახდა. ფრაზეოლოგიზმით jemandem bricht Angstschweiss aus გამოიხატება ძლიერი შეშინება.

ვადმყოფობის და სიკვდილის შიშს გამოხატავენ შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: tausend Tode sterben-ათასი სიკვდილით სიკვდილი; zu Tode erschrecken/ erschrocken (sein)-სიკვდილამდე

შეშინებულია; (schon) halb tot sein vor Angst- შიშიგან უკვე (ნახევრად) მკვდარია.

შიშის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები გერმანულ ენაში ხშირად დაკავშირებულია სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსემებთან.

ლექსემა გული (**Herz**) ხშირად ფიგურირებს ფრაზეოლოგიზმებში: jemandem fällt/rutscht das Herz in die Hose- გული შარვალში წაუვიდა. ეს გამოთქმა გამოხატავს „დიდ შიშს“. ins Herz getroffen haben გამოხატავს დიდ შიშს, თავხარის დაცემას. jmdm. bleibt (fast) das Herz stehen; jmdm. steht das Herz still-შიშისაგან გული გაუჩერდა.

ხშირია ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც სისხლი (Blute) გვხვდება: ძლიერი შიში გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმით die Angst mit dem Blute sein. jmdm. erstarrt/ gefriert/ gerinnt/ stockt das Blut in den Adern-ძარღვებში სისხლი გაყინა.

მრავალ შიშის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმში ფიგურირებს მუხლები (Knien). in den Knien weich werden ნიშნავს შიშიგან მუხლების მოკვეთას. შიშის თანმხლები ფიზიოლოგიური მოვლენები ხშირად აისახება შიშის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში. მაგალითად, Knie zittern-მუხლების კანკალი. მსგავსი ფრაზეოლოგიზმებია: jmdm. werden die Knie weich; in den Knien weich werden; weiche Knie (kriegen) ნიშნავს მუხლის მოკვეთას.

ფრაზეოლოგიზმებში შიშის თანმდევი ფიზიოლოგიური მოვლენები შეიძლება გამომხატული იყოს სხეულის სხვა ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკითაც, როგორცაა die Kehle/der Hals-ყელი.

jmdm. die Kehle zuschnüren/ jmdm. ist die Kehle zugeschnürt (vor Angst/...); jmdm. die Kehle zusammenschnüren; jmdm. schnürt sich die Kehle zusammen (vor Angst); სამივე ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს შიშისგან ყელში გაჩხერვას ანუ როცა შიშისგან არაფრის თქმა არ შეუძლია ადამიანს. თითქმის იგივე მნიშვნელობისაა: jmdm. bleibt der Bissen/ ... im Hals(e)/ in der Kehle stecken—ლუკმა ყელში გაეჩხირა/სული შეუგუბდა შიშისგან; jmdm. bleibt die Luft weg-სულის შეგუბება/სუნთქვის შეკვრა; nicht atmen können vor Angst- შიშისაგან ვერ სუნთქავს; jmdm. schlägt/(pocht) das Herz bis zum Hals(e)- გულის ამოვარდანა; einen Kloß/ Knödel im Hals/ in der Kehle/(im Mund/in der Stimme) (stecken) haben/ jmdm. ist zumute/ ... als ob er einen Kloß ... hätte-ყელში ბურთი გაეჩხირა; vor jmdm./ etw. Dampf haben-დიდი შიშის ქონა.

შიშის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები დაკავშირებულია სიცხვესთან. მაგალითად, Kalte Füße bekommen/kriegen პირდაპირი მნიშვნელობით ფეხების გაციებას ნიშნავს, მაგრამ ამ ფრაზეოლოგიზმით გამოიხატება შიში. მსგავსი ფრაზეოლოგიზმებია: jmdm. läuft es eiskalt den Rücken hinunter, es läuft jmdm-ზურგი ყინულივით გაუცივდა; es/ etw. geht jmdm. kalt durch den Magen-კუჭში სიცხვე იგრძნო.

„eine Gänsehaut bekommen“ კანის აბურძგენას ნიშნავს, მაგრამ შიშის ეს თანმხლები მოვლენა გერმანულ ენაში შიშის აღმნიშვნელი გახდა. ფრაზეოლოგიზმებში ხშირად შიშს გამოხატავს ადამიანის ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, როგორცაა, კანკალი და ცახცახი: zittern und beben (vor Angst/...)- შიშისგან კანკალი; zittern wie Espenlaub-ვერხვის ფოთლივით კანკალებს; das große Zittern haben-ძალიან აკანკალებს შიშისგან; an allen Gliedern zittern/(schlottern)-ფეხების კანკალი; am ganzen Leib zittern-მთელი სხეულით კანკალი; jmdm. klappern die Zähne-კბილების კაწკაწი; jmdm. schlottern die Knie -მუხლების ცახცახი; mit Zittern und Zagen-კანკალით და ყოყმანით; zittern und zagen-კანკალი და ყოყმანი.

ფრაზეოლოგიზმებში სიცხეც შეიძლება გამოხატავდეს შიშს, რაც ხშირად ოფლის დენასთან არის დაკავშირებული (Angstschweiss): Jemandem bricht der Angstschweiss aus ნიშნავს ძლიერ შეშინებას, შიშის ოფლის დენას; Blut (und Wasser) schwitzen-სისხლი და ოფლი სდის; der Schweiß steht jmdm. wie Perlen auf der Stirn; jmdm. stehen Schweißperlen auf der Stirn-შებლზე შიშის ოფლის დასხმა; ამ შემთხვევაში ოფლი მეტაფორულად მარგალიტთანაა შედარებული. მსგავსი შინაარსისაა ფრაზეოლოგიზმი: (wie) in Schweiß gebadet sein-შიშის ოფლში ბანაობა.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში შიშის გამოსახატავად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სიცვი, ასევე სიცხის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული: jmdn. überläuft es kalt/ heiß; kalt/ siedend heiß; jmdm. läuft es heiß und kalt über den Rücken -გამაცია/გამაცხელა. ამ ფრაზეოლოგიზმებში სიცვი და სიცხე ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. ორივე გამოხატავს შიშს. Bange (შიში): ვინმეს შეშინება გამოიხატება ფრაზეოლოგიზმით j-m Angst und bange machen.

ფრაზეოლოგიზმებში ხშირად სახის ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიც გამოხატავენ შიშს: k Reideweiß/ kreidebleich werden; weiß/ bleich wie die (gekalkte) Wand (sein/ werden); weiß wie Kalk sein/ werden; bleich wie Kreide sein/ werden; jmdm. weicht die Farbe aus dem Gesicht; ganz weiß werden -ცარცივით გაფითრდა; bleich wie Wachs sein/werden-ცვილივით გაფითრდა. ამ ფრაზეოლოგიზმებში შიში მეტაფორულად ცარცთან და ცვილთან არის შედარებული.

შიშს გამოხატავს ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, როგორცაა, „გაშეშება“: wie vom Blitz gerührt/getroffen (dastehen/dasitzen/sein/ ...); wie vom Donner gerührt/getroffen (dastehen/dasitzen/ sein/...) - ელდანაკრავივით გაჩერება; wie versteinert (da)stehen/(da)sitzen/ sein-შიშისაგან გაქვავება; wie angewurzelt dastehen/stehenbleiben-შიშისაგან გახეება; wie festgenagelt dastehen/ stehengeblieben-დაღურსმულივით გაჩერება/გაშეშება; vor Schreck(en) wie gelähmt sein/ starr vor Schreck(en) sein-შიშისაგან გაშეშება.

ძალიან შეშინება სასაუბრო მეტყველებაში გამოიხატება შემდეგი ფრაზეოლოგიზმით: mehr Angst als Vaterlandsliebe haben. იგულისხმება, რომ ადამიანებს სამშობლო ძალიან უყვართ და სამშობლოს სიყვარული გამოყენებულია შიშის სახომად. თუ შიში სამშობლოს სიყვარულზე მეტია, ე. ი. ის უზარმაზარია.

გერმანულ ენაში შიშთანაა დაკავშირებული არსებითი სახელები: „კურდღელი, ბაჭია“. მაგალითად, ლექსიკური ერთეული Angsthase (მშიშარა) (Angst-შიში, Hase-კურდღელი). Hase-კურდღელი ფიგურირებს ფრაზეოლოგიზმებში: ängstlich/furchtsam wie ein Hase sein-კურდღელივით მშიშარა; ein Angsthase sein-მშიშარა; ein Hasenfuß sein-მშიშარა (კურდღლის ფეხია); ein Hasenherz haben-კურდღლის გული აქვს; wie ein Kaninchen /die Schlange anstarren-ბაჭიასავით/გველივით მფრთხალი ყურება; ფრაზეოლოგიზმებში შიშს გახატავს აგრეთვე არაბუნებრივი არსებების სახელები. მაგალითად: Gespenster sehen-მჩვენება/მჩვენებების დანახვა (შიშისგან); wie von Furien gehetzt/ gejagt/ gepeitscht-ძალიან შეშინება (ელდის ცემა).

Die Hose voll haben შიშს აღნიშნავს, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობით იგი შარვლის ავსებას ნიშნავს. მსგავსი ფრაზეოლოგიზმები მრავლადაა გერმანულ ენაში, რომლებიც იგივე ფიზიოლოგიურ მოვლენას გამოხატავენ სხვადასხვა ფორმით: sich einen Bonbon ins Hemd machen; j. macht sich noch/ (doch/ ...) ins Hemd (vor Angst/ ...); mach' dir/ macht euch (bloß/ ...) nicht ins Hemd; mach'

dir/ macht euch/ ... nur keinen Fleck(en) ins Hemd; jmd. schießt sich noch in die Hose; sich in die Hose(n) machen; jmd. macht sich noch/ eher/ lieber in die Hose; Mach' dir/ macht euch/ ... nur/ bloß/ doch nicht in die Hose!; Scheiß dir/ schießt euch/ ... nur/ bloß/ doch nicht in die Hose!; jmd. macht/ schießt sich (noch) die Hose voll (vor Angst); die Hose(n) (gestrichen) voll haben; sich in den Frack machen/ schießen. როგორც ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში ასეთი გამოთქმები შარვალთან და საცვალთან კავშირშია.

ამრიგად, გერმანულ ენაში შიშის ემოცია შეიძლება გამოხატულ იქნას როგორც მარტივი ლექსიკური ერთეულებით, ასევე რთული სიტყვებით (კომპოზიტებით), სიტყვათა ჯგუფით და ფრაზეოლოგიზმებით. ფრაზეოლოგიზმები ხშირად სომატურ ერთეულებთანაა დაკავშირებული, როგორცაა გული, სისხლი, ყელი, მუხლები, ხელები, ფეხები. ასევე ფრაზეოლოგიზმებში ხშირად ფიგურირებს ბუნებრივი მოვლენები, როგორცაა სიცივე, სიცხე.

ლიტერატურა:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ. ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
2. ზეკალაშვილი, რ. ქირია, ჭ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Götz D. u. a.: (2008) Drowörterbuch Deutsch als Fremdsprache; Langenscheidt-Berlin- München -Wien -Zürich -New York.
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Aufgabe) (2003). Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., Mannheim: Dudenverlag.
6. Fleischer W. (1997): Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Max Niemeyer

Цисана Модебадзе

Дексические единицы выражения «страха» в немецком языке

Резюме

В данной статье представлены лексические единицы немецкого языка, которые выражают эмоции страха. В исследуемых материалах рассмотрены виды страхов и формы их выражения

Tsisana Modebadze

The lexical units expressing „fear“ in the German language

Abstract

The article presents the lexical units expressing the emotion of fear in German Language. Based on research materials are revealed the variety of fears and their expression forms.

რეცენზენტი: პროფესორი დ. ბახტაძე

ნინო ოყრეშიძე

ქუთაისი, საქართველო

წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში

სტატიაში განხილულია წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები, როგორცაა ცალკეული მოქმედების წარსული, თანაფარდობითი, მრავალგზისი, პროსპექტული, ექსკლუზიური და ინკლუზიური. ასევე განხილულია წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები, მათი თავისებურებები და დანიშნულება დროის ემოციური შეფერილობის სრულქმნის პროცესში. ფუნქციების გამოყოფა ხდება კომპოზიციური ნიშნის მიხედვით. ფუნქცია ეს არის როლი, რომელიც დაკისრებული აქვს მოცემულ ენობრივ ერთეულს საუბრის პროცესში. კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც ტექსტში რეალიზდება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი. კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების გამოყენება, როგორცაა: თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული, რეტროსპექტული და რეზულტატური - დამახასიათებელია წარსული დროის ამსახველი ტექსტებისათვის. თითოეული ეს ფუნქცია ამა თუ იმ გრამატიკული ფორმით გადმოიცემა.

წარსული დრო თავისი საერთო გრამატიკული სემანტიკიდან გამომდინარე ინგლისურ ენაში აშკარად უპირისპირდება ყველა დანარჩენ დროის ფორმას. წარსულის პარადიგმული მნიშვნელობა საუბრის მომენტთან წინამავლობა და მასთან არმიმართებაა. მოქმედება დროის მიხედვით უკავშირდება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. აქედან გამომდინარეობს მისი ფორმებისათვის დამახასიათებელი დომინანტური ნიშნები.

წარსული დროის სფეროში უფრო ნათლად გადმოიცემა ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლიკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისკენ. ინგლისურ ენაში წარსული დრო ასპექტ-დროის ოთხი მწკრივითაა წარმოდგენილი: მარტივი წარსული (Simple Past), წარსული განგრძობით (Past Continuous), წარსული პერფექტი (Past Perfect), წარსული პერფექტ-განგრძობითი (Past Perfect Continuous). აქვე უნდა შევხებით წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტურ ვარიანტებს.

1. **ცალკეული მოქმედების წარსული** - ამ დროის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. ინგლისურ ენაში იგი გადმოიცემა ორი მწკრივით - მარტივი წარსულითა და წარსული განგრძობითით. მაგალითად:

Yesterday afternoon, a tall, thin old man with a wooden leg and only one eye **came across** the garden from Melanie's house. (M. Mitchell, *Gone with the Wind*)

We **were talking** softly out of the balcony. The moon was supposed to rise but there was a mist over the town and it didn't come up and a little while it started to drizzle and we came in. (E. Hemingway, *A Farewell to Arms*).

რაც შეეხება ცალკეული მოქმედების წარსულ განგრძობის (Past Continuous), იგი დროის ლოკალიზების ტემპორალურ-ასპექტურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნილების ტემპორალურ ნიშნებს დაფუძნებული. ეს გრამატიკული ფორმა აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება ცალკეულ, კონკრეტულ მოქმედებათა გადმოსაცემად. ამრიგად, ცალკეული მოქმედება წარსული დროის ის ვარიანტული მნიშვნელობაა, რომელიც სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესს გამოხატავს. ინგლისურ ენაში იგი ასპექტ-დროის ორი მწკრივის - მარტივი წარსულის (Simple Past) და წარსული განგრძობითის (Past Continuous) საშუალებით რეალიზდება.

2. **თანაფარდობითი წარსულის** მნიშვნელობა თხრობისას გამოიყენება. მხატვრულ ტექსტში მას წამყვანი როლი აკისრია. ინგლისურ ენაში იგი მხოლოდ წარსული მარტივით გადმოიცემა. მაგალითად:

Then one morning, jogging from the mess to stop along the dark tunnel, he **heard** the music and saw the woman and the sea. He **stopped** so abruptly that several men **banged into** him. That **was** that for the morning. (J. Cheever, *Falconer*).

3. **მრავალგზისობა** - მარტივი წარსულის, წარსული განგრძობითის, წარსული პერფექტის და პერფექტ-განგრძობითის ვარიანტული მნიშვნელობაა. მრავალგზისი მარტივი წარსული მიუთითებს მოქმედების სისშირეზე, ციკლურ მოქმედებათა გამოსატვაზე. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ წარმოჩინდება, როცა გრამატიკული ფორმა ითავსებს შემდეგ ლექსიკურ საშუალებებს: often, each time, sometimes, every day, whenever და ა.შ. მაგალითად:

Each time she **came** to see the doctor the hotel keeper's wife and a little more freely and after an hour or two in his presence **went down** feeling renewed and strengthened. (Sh. Anderson, *Death*)

The rain **was constantly slacking** and we were moving along. (E. Hemingway, *A Farewell to Arms*)

Seated on the fallen trunk of a tree, he **had promised for the twentieth time** that if their marriage were not a success, she should be as free as if she had never married him. (J. Galsworthy, *the Man of Property*)

Hallward shook his head; he **had been thinking** for a moment or two and followed Dorian in the library. There was a bright wood fire blazing in the large open hearth. (O. Wilde, *the Picture of Dorian Gray*)

მრავალგზისი მარტივი წარსულის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო, კერძოდ კი მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მრავალგზის ხასიათს განსაზღვრავენ. ინგლისურ ენაში არ არის ზმნის ფორმა, რომელიც ლექსიკური საშუალებების გარეშე გადმოცემდეს მოქმედების მრავალგზის ხასიათს. ეს მნიშვნელობა კონტექსტის დახმარებით წარმოდგება, ან როცა ფორმა რომელიმე გარემოებით სიტყვას იხამებს.

4. **პროსპექტულობის** - უახლოესი მომავალი მოქმედების გადმოსაცემად ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითი ფრომის გამოყენება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა:

It was nearly bedtime and when they awoke next morning land would be in sight. Since some of the passengers **were leaving** the ship **next day** at Pago-Pago they had had a little dance that evening and in his ears hammered still the harsh notes of the mechanical piano. (W.S. Maugham, Theatre)

პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო. კერძოდ, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები და პოზიტიური დროის აღმნიშვნელი ისეთი ტიპის საშუალებები, როგორცაა: soon, the next day და ა.შ.

5. **ექსკლუზიურობა** - წარსული პერფექტისა და წარსული პერფექტ-განგრძობითის ძირითადი ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტია.

As soon as they **had regained** strength, they stood up, joined hands again and continued slowly on their way. (Th. Hardy, Tess of the D'ubervilles)

When the last bell rang, the last class ended, I let out my breath. It seemed **I had been holding** it for all that time. (J. Baldwin, Sonny's Blues)

მისი ძირითადი კატეგორიული ნიშანი - წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართებაა. წინამავლობის მნიშვნელობა გრამატიკულადაა წარმოდგენილი თვით ფორმაში. რაც შეეხება, პერფექტ-განგრძობითის ფორმას, იგი წარსული პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელიცაა.

6. **ინკლუზიური** - მნიშვნელობა აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. იგი გადმოიცემა წარსული პერფექტისა და წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმებით.

For the first time since I met him I noticed that life **had deepened** the distant illness in which he had always moved (ibid)

I had been dreaming about wrapping bread in colored paroblendeum Filmex. I had dreamed a full-page soared in a national magazine. (ibid)

ინკლუზიური წარსული პერფექტის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო: 1. უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები, 2. გარემოებითი სიტყვები, როგორცაა: for the first time, since, since Monday და ა.შ. და ასევე სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის ხანგრძლივობას გადმოცემენ: for a long time, long since და ა.შ.

7. **რეზულტატურ** - მნიშვნელობას ინგლისურ ენაში პერფექტული დროის ფორმები გადმოგვცემს. ისინი გამოხატავენ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს, რომლებიც დასრულებული მოქმედების შედეგია. მაგალითად:

No one knew better than I what you **had gone** through and I wanted to stop fighting and let me fight for you. I wanted you to play; play like a child – for you always had been a child. (M. Mitchell, Gone With the Wind)

Margaret Trafford was still in London with Catherine. Catherine **had been having** insulin treatment and was continually under the influence of drugs. (I. Murdoch, an Unofficial Rose)

წარსულ დროსთან მიმართებაში ასევე გამოყოფთ აღნიშნული დროის კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციებს, მათ თავისებურებებს და დანიშნულებას დროის ემოციური შეფერილობის სრულქმნის პროცესში. ფუნქციების გამოყოფა ხდება კომპოზიციური ნიშნის მიხედვით. **ფუნქციას**

არის როლი, რომელიც დაკისრებული აქვს მოცემულ ენობრივ ერთეულს საუბრის პროცესში. კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც ტექსტში რეალიზდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი. კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების გამოყენება, როგორცაა: **თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული, რეტროსპექტული და რეზულტატური** - დამახასიათებელია წარსული დროის ამსახველი ტექსტებისათვის. თითოეული ეს ფუნქცია ამა თუ იმ გრამატიკული ფორმით გადმოიცემა.

1. თხრობითი ფუნქცია - წარსული დროის მნიშვნელოვანი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. მისთვის დამახასიათებელია მოქმედების თანმიმდევრობა, რომელიც თხრობას ერთი მიმართულებით წარმართავს. აღნიშნული ფუნქციის რეალიზება ინგლისურ ენაში ხდება ასპექტ-დროის ორი მწკრივით: მარტივი წარსულითა და წარსული პერფექტით. მაგალითად:

Ashley bent his head to her face and **as** he bent, at first touch of his lips on hers, he **felt** a sudden tensing of all muscles. Swiftly **dropped** the hat to the floor and, reaching up, detached his arms from her neck. (M. Mitchell, Gone with the Wind)

Rosalind's life in Chicago **had changed**. First it **had run** forward, **had turned**, **had twisted** and then stopped changing. (Sh. Anderson, Death)

2. აღწერილობითი - კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქცია გადმოცემს სუბიექტის თვისობრივ დახასიათებას: მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც სუბიექტს მიეწერება იქნეს კვალიფიციურ მნიშვნელობას. მისი რეალიზება ასპექტ-დროის ორი ფორმით - მარტივი წარსულითა და წარსული განგრძობითით ხდება. აღწერილობითი ფუნქციის გადმოსაცემად მარტივი წარსული დროის ფორმა იყენებს კიდევ ერთ განსაკუთრებულ სტრუქტურას - თანმხლებ გარემოებებსა და ადგილის გარემოებებს. ისინი სივრცითი ორიენტირები არიან, რომლებიც პირის ან საგნის მდებარეობას აზუსტებენ სივრცეში.

წარსული განგრძობითი დროის ფორმა აღწერილობით ფუნქციაში ინარჩუნებს ფორმისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ სემანტიკას და ახდენს მისი სტილისტური პოტენციალის რეალიზებას. მაგალითად:

There was an old two-story yellow house on Fielding Avenue that year. We used to go there and sit on the front porch steps and watch the automobiles go by and act as if we lived in the house. (W. Saroyan, Three, Four, Shut the door)

3. დრამატული ფუნქცია - წარსულ დროში ასპექტ-დროის მხოლოდ ერთი მწკრივით - მარტივი წარსულით ხორციელდება. დრამატული ფუნქციის გადმოცემის საშუალებებს წარსული მარტივი დროის სემების ნაკრები წარმოადგენს. თუმცა ამით ფორმის გრამატიკული სემანტიკა არ ამოიწურება. მისგან მომდინარეობს აგრეთვე მოქმედების წარსულთან განკუთვნების წარმოდგენა. მაგალითად:

Iwelei **was** on the edge of the city. You **went down** side streets by the harbor in the darkness, across a rickety bridge, till you **came** to a deserted road, all ruts and holes, and then suddenly you **came out** in the light. (ibid)

4. რეზულტატურობა - წარსული დროის კიდევ ერთი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, მისი ძირითადი დანიშნულება მოქმედების შედეგების ჩვენებაა. ამ ფუნქციას განსაკუთრებული დატვირთვით პერფექტული დროები (Past Perfect and Past Perfect Continuous) ასრულებს. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციისათვის გრამატიკული ფორმები ითავსებენ სხვადასხვა დონის ლექსიკურ საშუალებებს.

წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმა რეზულტატური ფუნქციის შინაარსს პროცესუალობის მნიშვნელობას მატებს და მიუთითებს განგრძობით მოქმედებაზე. მაგალითად:

It was generally known that he was incompetent resident manager at the mines that he seldom showed up there before eleven. As a father he **had certainly failed** in the rearing of two of his three children. (Th. Wilder, the Eighth Day)

Everything in their old world had changed but the forms. They **had been holding** tightly to the things they knew best and loved best, but all these belonged to the old days. (M. Mitchell, Gone with the Wind)

5. **პროსპექტულობა** - წარსული დროისათვის დამახასიათებელი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. მისი რეალიზება ხდება წარსული პერფექტისა და წარსული პერფექტ-განგრძობითის დროის ფორმებით. წარსული პერფექტით გადმოცემული რეტროსპექტული ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ფორმის მხატვრული დროის მოდელირებაში მონაწილეობასთან. მისი მნიშვნელობა მოვლენათა თანმიმდევრობის მხოლოდ ქრონოლოგიურად აღნუსხვაში კი არ მდგომარეობს, არამედ განსხვავებული ასოციაციების შექმნაშია. რაც შეეხება წარსულ პერფექტ-განგრძობითს, ამ ფორმით გამოხატული მოქმედებები ხასიათდება მოქმედების მიმართ დისტანციურობით, რომელიც ძირითად სიუჟეტურ ხაზს ქმნის. მაგალითად:

Mildred..... She was not a figure to pity: Mildred, whom Hugh **had kissed** passionately, he remembered, on a summer evening over twenty-five years ago, when they were both already sensible middle-aged married people. He wondered, as he watched her dab eyes with small handkerchief, whether she still recalled that curious incident... Fanny **had not lived out** her appointed span. The cancer came sooner. (I. Murdoch, An Unofficial Rose)

ზემოთ განხილული თითოეული ვარიანტული მნიშვნელობა დიდ როლს ასრულებს ტექსტის შინაარსის აგებაში და განსაზღვრულ ამოცანას ემსახურება ტექსტის შიგა ლინგვისტური მიმართებების დადგენაში. მარტივი წარსული, წარსული განგრძობითი, წარსული პერფექტი, წარსული პერფექტ-განგრძობითი მწკრივების კლასიფიკაციის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ მათი კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი. სუბიექტის თვისობრივი დახასიათება, ესთეტიკური სინამდვილის სამყაროს ერთიანობა, სიმრავლის გამოხატვა, დამატებითი დროის პლანის შექმნა, დროის რეზულტატურობის, რეტროსპექტულობისა და პროსპექტულობის გამოხატვა. მხატვრული ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითების მრავალფეროვნება მოწმობს კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა გამოყენების დიდ მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი, მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986
2. Blokh, M.Y.A. A Course in Theoretical English Grammar, 1983.
3. Bull, W.E. Time, Tense and the Verb. A Study in Theoretical Linguistics with particular attention. Los Angeles: University of California Press, vol.19, 1980
4. Leech, G. Meaning and the English Verb. London, Longman Group Limited, 1971

ნინო ოკრეშიძე

**Функционально семантическая категория прошедшего
в времени в английском языке**

Резюме

В статье рассмотрены темпорально-аспектные варианты прошедшего времени такие как прошедшее время отдельного действия, а также многократного, эксклюзивного, инклюзивного действий. Кроме того, проанализированы композиционно-стилистические функции прошедшего времени, их особенности и основное назначение в процессе образования данных форм. Выявление функций стоит по композиционному признаку. Функция – это определенная роль, отведенная данной языковой единицы в процессе речи. Реализуемую в речи композиционно-стилистическую общность функции можно рассматривать как композиционно-стилистический потенциал форм прошедшего времени. Для текстов с использованием примеров прошедшего времени характерно употребление разных композиционно-стилистических функций, таких как повествовательных, описательных, драматических и ретроспективных. Каждая из вышеуказанных функций отображает сивтой или иной грамматический форме.

Nino Okreshidze

Functional and Semantic Category of the Past Tense in English

Abstract

In English Language Past Tense is realized by four aspect-tense forms: Simple Past, Past Continuous, Past Perfect and Past Perfect Continuous. The following temporal-aspect variants of the past tense are discussed in the article: Past Tense of a Separate Action, Correlative Past, Iterative Past, Prospective, Exclusive and Inclusive.

The compositional and stylistic functions and their characteristics are also discussed in the article. The variants of the verbal forms are defined according to their compositional _ stylistic functions such as: narrative, descriptive, dramatic, retrospective, consequent _ are characteristic features of the texts which are given in the past tense.

Each variant meaning has its specific role to frame the content and helps to state the inner linguistic relations inside the text. According to the classification of Simple Past, Past Continuous, Past Perfect and Past Perfect Continuous, we can state their compositional and stylistic potential. The qualitative description of the subject, the creation of the additional time sphere, representation of consequent, retrospective and prospective functions.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ლარიბაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

Saad Mohammed Abdelghaffar yousef

Egypt , New Valley University

THE METATEXTUAL WRITING PHENOMENON IN ARABIC RHETORIC A STUDY OF PATTERNS AND MOTIVATION

Our contact with the middle ages Arabic legacy, particularly literary and rhetoric, is still quite lacking. It needs a full conception of the nature, the motives and the patterns of writing in view of cultural patterns and civilization circumstances of the Ottoman Caliphate. These circumstances have produced a huge quantity of explanations, recapitulations, abbreviations, notes, elucidations etc. They revolve around the central text of the former rhetorical works. Consequently, a lot of those works represent highly complicated parasitical metatextual texts. Such texts, shyly, try to explain or summarize the original text and slightly comment on it.

Since metatextuality indicates an explanatory relation between some text and another (1), then the relation between the emersion of metaphysical writings and the deterioration of the creative process of the Arabic literature over several centuries ought to be noticed according to reason and result pattern as well as the relativity of originality concept. As a result the study of metatextual writings in Arabic rhetoric its patterns and motives become a pressing issue. It shall highly examine the motives and patterns of this phenomenon concerning Arabic rhetorical writings by answering the following questions.

-The research questions:

- What are the features of rhetorical works in the middle centuries?
- Does metatextual writing phenomenon indicate Arabic creativity atrophy?
- What are the patterns of metatextual writings in Arabic rhetoric?
- What are motives and reasons beyond the outbreak of metatextual writings phenomenon in Arabic rhetoric?

-The research aims:

The above mentioned questions excites a number of discussions and argumentations around the metatextual writings phenomenon in Arabic rhetoric during middle ages. As a result the research aspires to obtain some goals including:

- Relating the rhetorical categories of the middle ages to the author's culture, environment, purpose of

writing and the educational needs of the readers. This is a very crucial point to comprehend the reasons why the philological and reasonable style is quite dominant in such works.

- Rereading rhetorical categories of the middle ages and evaluating them according to the relative concept of originality and its relation to the cultural civilization needs of the modern time.
- Analyzing what the metatextual categories added to the Arabic rhetoric.

- Review of literature:

I am not going to focus on what I have experienced of those studies concerning Arabic rhetoric history nor the metatextual writings in Arabic rhetoric. Yet, a study about rhetoric entitled as "The Arabic rhetoric in Bosnia" by the Arabized Bosnian professor *Asaad Durakovich* will be spotted. Western studies institution in Sarajevo, special edition number 32, 3222 A.D.

- Methodology:

The study is based on the descriptive analytic methodology as I had dealt with the Arabic rhetoric history in the middle ages, then I analyzed the reasons beyond this phenomenon in the light of several important considerations. Such considerations are the author's culture, the writing motivations and the needs of the receptor, not to mention the relativity of the "originality" concept and its connection to the cultural and civilization needs of that time. Thus, my study includes a preface, two research fields and a conclusion supported by the most prominent references. The two -

- Research fields are as follows:

The first: the metatextual patterns of the rhetorical writings.

The second: The metatextual writing motives and impulses in Arabic rhetoric.

Allah is he who we seek his satisfaction. *'Allah is He who guide us to the straight path'*(Al-Ahzab Sura_ Verse four)

The first research Field: The metatextual patterns of rhetorical writings in middle ages.

Most Arabic rhetorical categories are featured by strict normative style. Thus, The Arabic rhetoric was being described as "a completely philological science (3)" because it paid its full attention towards studying the literature language_ syntax at the expense of comprehension, concerns and visions such language syntax can lead to. Then I got involved away from checking the text accurately!.

There is no doubt that this philological view of texts or say strict normative linguistic reading is not usually useful for literature. Indeed, figurative language can never be fully aware of what may exist outside its domain. However, we ought to make some excuse for the normative style of the Arabic rhetoric. We should consider not only the motivation beyond such normative style but also its cultural environmental context. We should also take into account the political context of that time which was in charge of maintaining the spiritual life of

the Islamic nation by maintaining its cultural and scientific history.

Hence, the newly produced patterns of rhetoric writing will be wandering in the corridors of the old categories. They will provide explanation, summary, abbreviation, commentary etc. If it is still occurring in the domain of Abdullah Ibn Almoataz book "Albadia" according to the domination of the inductive way proposed for literary blogs and the philological knowledge of the subject of study in a horizontal way even if new rhetoric terms and samples had been added. I have tried to classify the subject except what I have found out in Al- Zamakhshari interpretation book "*Alkashaf*" and "*The key of sciences*" by Abi Jacob Alssakaki.

Those two books represent the ultimate peak of the Arabic rhetoric and highly express the originality of method, language, style, as well as the complete maturity of writing in Arabic rhetoric (4). Nevertheless, the majority of other writings such as: what we can clearly see in the book of *Alkhateeb Alqizwini* "*Al eidah Fi Talkhees Almoftah*", the book of Sa'ad addin Altafatanzi "*Almotawal ala Altalkhees*" and "Notes on Alshreif Algorhani's explanation of the key of sciences" for Muhammad Ibn Mosa

Alaamk Albosoni declaring that the aim of his notes is to solve all problems and to clear all obstacles (5). In the notes on Alharwi's explanation of logic and meaning essence summary, and in the explanation of the Altlfizani's rhetoric book prologue by Mostafa Ibn Youssef Ibn Morad Ayoob Zadah (6) and in many other notes and explanations which resolve the above mentioned abbreviation symbols as in the book of Hassan Kafi Alkhasari (7) "the accurate examination of the summary". Such explanations are for educational reasons in the first place not only in the rhetoric fields but also in the rest of religion, language, and logic fields.

We can easily notice the distinctness of the original text and its over control by the means of misleading and camouflage. As for the interpreters' interference, It exists softly in the original text. The interpreters' interferences usually exist so as to clarify the function of some Arabic conjunction letters or the meaning of some concepts and so on. This meant a withdraw of literary creation in such fields on that time. We can feel the notable absence of argumentative tones. This absence probably occurs due to the domination and the reference of the original text. At the best-case scenario, the interpreters can hardly provide their own understanding of the original text and their knowledge of the parallel texts in the same fields. For this reason, these rhetorical texts are considered to be highly sophisticated and extremely intrusive. They shyly try to explain the original text and softly commenting on it. This has fossilized the Arabic rhetoric and made it revolve in a cosmos of abbreviation, synopsis and reuse of evidences and justifications. The recent book of Rhetoric "*Samarqadian message in rhetoric*" by Abi Alqasm Ibn Abi Bakr Aleithi Assamarqandi (12) is the best example. When we read it we can find that the greatest number of sentences and evidences used to clarify and explain rhetoric are the same ones used in the books that existed in the previous centuries.... Accidentally, they also exist in a collection of the notes and explanation writers' books the writers who were searching in the field of rhetoric(11) . The proof on this is Asamarqandi's instance in " Indirect rhetoric section" with the artificial evidence" Notiqat Al hal bikaza_The situation said so" (13) .This evidence also exist in the previous rhetoric books such as "*Asrar Albalagha_ The secrets of rhetoric*" by Abdelqaher Al_garhani(12)

, "Meftah Al eloom_The key of science" by Alssakaki(14) , "Nihayat Al Arb" by Alnobari(472 after hegira) (15) Al_Traz for the secrets of rhetoric by Yahia Ibn Hamza Al Alawi(745 after hegira) (16) and "Arous Al_Afrah fi sharh Talkhees Al_Mouftah by Baha'a Addin Al_Sobki(772 after hegira)(17)(18).

An example of the occurrence of the direct and indirect rhetoric is in the following verse; (*So Allah made it taste the garment of hunger and fear*) (the bees sura verse:113)

This plague infected the Arabic rhetoric with some kind of fossilization and paralysis. It lost its glitter and vitality in addition to the boredom brought to its readers and examiners. That is because the Arabic rhetoric became a theoretical philological science based on itself stuck in fixed proofs and evidences. However, No one is capable of going beyond these proofs and evidences. This fixed style _even if it aims to gratify the needs of the intended audience _does not improve a talent nor enrich a gift or even foster creativity!

Actually, metatextual writings of Arabic rhetoric have been represented in a combination of explanations, summaries, abbreviations and notes.

such combination has dealt with the Arabic rhetoric in a trivial way according to the strict normative philological limitations as well as abiding the content of the old rhetorical text which enabled the imitation style to prevail for several centuries. That was the manner of many middle ages writings due to reasons I would rather mention in the second section.

The second research field: The metatextual writing motivations in the Arabic rhetoric.

The answer of the most prominent question " what are the motives and reasons beyond the outbreak of the metatextual writing phenomenon in the Arabic rhetoric?" is still missing.

Despite exposing the patterns and the characteristics of metatextual writings . Examining the motives around rhetorical writings in the middle centuries and connecting them to civilization and cultural environment besides the awareness of the scientific nature of the middle centuries literature guide us to the reason why such metatextual writings were prevailing in that time. As a matter of fact, the motivations of rhetoric writings in the middle centuries were not isolated from the scientific educational nature of literary works then. Consequently, the Arabic rhetoric was viewed as " a science seeking for teaching the ability of oration and neat writing more than justifying uniqueness and ethics (beauty) of eloquent texts(19). However those writings were expected to develop in a way that enables them to cope with the unique astonishing evolution of Islamic culture and science during that era. On the contrary, the Arabic rhetoric appeared in the Arabic history of creation as isolated science concerned with literary heritage.

It is quite evident that the civilization circumstances and the cultural contexts of the Ottoman state have greatly participated in the appearance of metatextual rhetoric patterns. The foreign audience especially those who live in countries beyond rivers and the semi Arabian island inhabitants were in a pressing (urgent) need for such summary, abbreviations and clarifications so that they can learn Arabic branches of knowledge necessary for understanding religion in a concise precise way. These branches of knowledge which include grammar,

syntax and rhetoric enable the foreign learners to understand the holly Qur'an verses and the holy Hadith text. It seems that the appearance of the metatextual writing was a civilization must and a true necessity in specific geographical areas. Consequently, the criticism against Al_Emam Alssakaki which claims that his book " Meftah Aleloom_The key of science"(32) is not subjective and quite oppressive. It didn't take into consideration the cultural back ground of the writer nor the motives beyond writing nor the civilization environment nor the audience nature. What doesn't suit the Arabic environment shall suit the alien one.

The great arabized scientist , professor Esad Duraković (1948 A.D_.....) claims that there is a relation between the traditional style of rhetorical writing and the withdraw of the creativity in Arabic literature along many centuries. This relation must be examined within the cause and result domain. As for the relativity of the originality concept, Esad Duraković believes that discussion about the traditional control over the Arabic rhetoric ought to be in the cultural historical context. In the Arabic and Islamic world_ in the post classical era_ Originality does not mean obligatory isolation from the research scopes but to take place within the research border which perform the most suitable classification for the discovered values, besides making some renewals and a new description for the existing values (31).

Having a look at the history of recording those explanations , summaries and notes, we can figure out that the appeared in the Ottoman state era. As a result, we need to study the ottoman state policy towards creation, writing, and education. The Ottoman state policy is highly related to the complex political circumstances of the Ottoman state(33) in that time. The creative process was governed and controlled by the religious authority. The aim of the religious authority then was to maintain the spiritual side of Muslims(32) by caring of the first knowledge and appreciating them. that religious authority aimed to resist the references atrophy and stand against any desire that wishes to ruin the spiritual conventions. It aimed at preventing any western sciences (the blasphemous sciences as they were described by them meanwhile)!. Hence, The literary writings were beautiful and neat in a noticeable manner!.For instance, The rhetoric explanations do not necessarily provide an exact explanation for the same ideas and presuppositions of the original text. Yet, these explanations only revolve around the philology and syntax of the intended text !.

Most of the spiritual works were highly connected to the religious content. They were absolutely monitored by it , so the creators started to collect , explain , summarize and comment on the ancestors' works more than creating their own works or searching for new works or even studying vague ones. Indeed , the Arabic literature was viewed as a means of education. For this reason , a volcano of notation , explanations and far more explanations had erupted. On the other side , such writings were promising to remain(inside). In such atmosphere , it was hard to expect any appearance of pure original independent writings(34). This issue was proved by the introduction of Alsamarqandi message as Alsamarqandi's only purpose was to sum up the explanation of the rhetoric meaning. He says, "I wanted to mention it summarized and accurate" (35).However, This purpose doesn't represent creativity even if it includes summing up a full material with its

chapters into one phrase!, This is cleverness which does not support the rhetoric art at all because it had turned into a process of coding. Thus, such coding will represent barrier for many students to understand the source texts of those summaries.

The encyclopedic culture of the medieval Muslim scientists had stood behind such explanations and notes (36) considering them as aims in themselves, not essential aims of initiating the risk of creativity and achievement, rather than revolving within certainty circle of encyclopedic culture (37).

- Conclusion:

To sum up , this research has led us to several results most importantly are:

- The ancient Arabic rhetoric is known by its induction and strict normatively as it is so similar to classical philology.
- The meta textual writings phenomenon has been represented in the history of Arabic rhetoric as a collection of abbreviations, summaries , explanations , notes and synopsis which appeared in the middle ages.
- The rhetorical compositions in the middle centuries had formed a highly complicated and an extremely intrusive phenomenon . that phenomenon has shyly tried to summarize , explain or softly comment on the original text.
- In the middle ages, the Arabic rhetoric could not renew itself. It was caught in the trap of imitation and submission against the original text domination_ the basic texts in the ancient book. It couldn't free itself from the ancient patterns .Yet, It inherited those pattern with no renewal.
- Speaking of the domination of the traditional style upon The Arabic rhetoric ought to be in Its historical and cultural context.
- The metatextual writings of The Arabic rhetoric in the middle century have witnessed a drawback of Arabic creativity in this field. This absence apparently occurs due to the domination and the reference of the original text.
- The appearance of metatextual phenomenon dates is related to the writers' culture , the environment of their civilization and the differences in civilization and cultural circumstances in the middle centuries.
- The domination of philosophical and philological style in many of the middle ages writings is due to the writers' cultural environment. Most of them were foreigners who have learnt a cultural logical philosophy. They were raised in a foreign environment which is familiar with this type of writings.
- The originality concept highly value and appreciate what the developed writers have achieved of superb creative works as if
 - they found that a proper justification to continue

- Notes:

(1) It also expresses The clarification relation which relates some text to another. Gerar Geneit has defined it as the relation of the text to other texts which analyze it and critically comment on it: lexicon of Translation

study, Mark Shtlobirth and Meracori , Translated by Gamal Algazairi , the national research institution , Cairo 3228 , page: 312 - 311.

(3) The prose of Bosnia and Herzegovina in Eastern languages , page:122.

(2)refer to: lexicon of Translation study , page: 312 - 311.

(4) ARAPSKA STILISTIKA U BOSNI AHMED SIN HASANOV BOSNJKA O METAFORI ,PP 71 . ,71.

(5) refer to: The prose of Bosnia and Herzegovina in Eastern languages , page:332, Aljawhar Al Asna , page 155.

(6) refer to: Aljawhar Al Asna , page 182. The prose of Bosnia and Herzegovina in Eastern languages , page:336.

(7) refer to:Aljawhar Al Asna , page: 61-71 . Al Afhasari books about the Arabic rhetoric , page: 329-312.

(8) refer to: lexicon of Translation study , page: 312 - 311.

(9) There is a confusing phenomenon in many of those explanations , the explainer leaps to the original text passages and sentences .Especially if there is no punctuation marks. This creates some overlap between the clarifications provided and the original text.To be cosidered: Arabic rhetoric in Bosnia , page:18.

(12) He has many works: (Mostakhlash Al haqaiq sharh kanz Adqaik) , (Fi Fekh Alhanifa_An eye on Alhanifa philology) , (Hashia Ala Almotawal Fi Al blagha) and (Sharh Al_Resala AlAdadiah Lel Garhani Fi Al wada).To be cosidered: Al_A'lam by Alzarkli: 5_172.

(11) refer to: Arabic rhetoric in Bosnia , page:18

(13) The Samarqadian message ,P:5.

(12) Rhetoric secrets: Abdelqader Algergani , checked by: Mahmoud Shaker,Almadani printing house in Cairo, P:51.

(14)The key of science:Yousef Ibn Abi bakr Ibn Muhammad Ibn Ali Al_sakaki. Edited by Naeem zarzour , edition 3 ,Dar Al_kotob Al_Elmia (scientific book institution) , Beirut, Lebanon 1427 After Hegra_1987 A.D , P284 , 421.

(15) Nhayat Al_Arb fi funoon Al Adab: Al-Nuwairi, The National Library and Archives institution, Cairo,1432 after hegrah ,7\53,52.

(16) Al traz le Asrar Al_blagha wa eloum Haqaek Al eigaz :Yahya bin Hamza Al-Amawi,modern library, Beirut -Lebanon 1432 after hegrah_1987 A.D, P:53,52.

(17) Aurus al'afrah fi sharah talkhis almufattah: Baha'a Addin Alsobki, first edition, modern library, Beirut -Lebanon 1432 after hegrah_ 3222 A.D, 3|173.

(18) To be considered: Almathal Altha'ar: 3\112. Nihayat Alarb 7\45, Altraad Li Asrar Alblaghah: 1\111, Aurus al'afrah:3\144_146.

(19) ARAPSKA STILISTIKA U BOSNI AHMED SIN HASANOV BOSNJKA O METAFORI ,PP 71.

(32) Muhammad zagloul Salam: The history of Arabic criticism and rhetoric until the fourth century after hegira, P344.

(31) Arapska Stilistika u bosni Ahmed sin hasanov bosnjka o metafori ,pp71

(33) refer to: The Ottoman state (1722_1933) A.D, Donald Quatart , The presence of the Islamic universe; Lutherub Stoudard.

(32) refer to: Albshaniqa , history and culture.

(34)The prose of Bosnia and Herzegovina in Eastern languages,P43,42|The Ottoman empire P:254_262.

(35) Alresala Alsamraqandia fi Al Esti'arat P3(The Samarqadian Message in Rhetoric)

(36) The Arabic rhetoric in Bosnia , P 19,32.

(37)The Arabic rhetoric in Bosnia , P 19.

- References :

1- Ingaleek Khalil: *The Ottoman emperor*, Beograd, 1974.

3- Ibn Al_Athir Dia'a Addin *Almathal Alsa'as Fi Adab Alkatb wa Asha'ar* (The common example in the literature of poets and writers) , Ahmed al- Hofi and Badawi Tabana, I, Dar Nahdit Misr for printing and publishing, Cairo.

2-Popovic, Alexander ,*Ottoman Literature for Muslim Uighsilbf*, Asian Journal Magazine 1971.

4- Al-Jarjani, Abdul-Qayher: Asrar Albalagha. *Secrets of Rhetoric* Mahmoud Shaker (Ed),First edition , Almadani printing house in Cairo, Dar Almadani in Gadah, 1413 hegirah_1991 A.D.

5-Khanji: Muhammad: *The Essence of translation in the Studies of Bosnian Scientists and Poets*, by: Abdel Fattah Mohamed Alhelw, First edition, Alhagr for printing, publishing, distribution and advertisement, Cairo 1412_1993 A.D.

6- Esad ,Duraković: *The Arabic rhetoric in Bosnia, metaphor at Ahmed Hassan al-Bushnaki*, Institute of Oriental Studies, Special Edition, No. 32, Sarajevo 3222.

7- Esad ,Duraković:Bijovic, Fakhrudin Radwan: *The intellectual development of the history and criticism of literaturein the writings of the Bosniak, the Bosniac literature in literary criticism*. Modern Literature , Volume 6,A, Sarajevo 1998.

8- Esad ,Duraković: *Studies in the literature of Bosnia and Herzegovina and in Arabic literature*, Translated by: Gamal El-Din Sayed Mohamed first edition , National Center for Translation, No 1927 , Cairo 3211.

9- Esad ,Duraković:Al-Aqshari's works on the science of Arabic rhetoric, Dialog Magazine, the number 1- 3 Sarajevo 1995.

12-*Aurus al'afrah fi sharah talkhis almufattah*: Baha'a Addin Alsobki, first edition, modern library, Beirut -Lebanon 1432 after hegira 3222.

11-Al-Ssakaki, Abu Ya'qub Yousef bin Ali: Meftah Aleloom : Abdelhamid Hendawi, Scientific Book House, Beirut, 1432 after hegrah-3222 A.D.

13-Al-Samarqandi, Abu al-Qasim ibn Abi Bakr al-Methi: *The Samaritan message in metaphors*, The Honorable scientist Sheikh Abdul-Arzek Al- Ashraf, Eastern Fontana printing house, Algeria 1925.

12-Salam, Muhammed Zaghoul: *The history of Arab criticism and eloquence until the fourth century AH*, The institution of Knowledge, Alexandria 3223.

14-Shtellwerth, Mark and Mirakori: *Translation Studies Dictionary*, Translated by: Jamal Al-Jazairi, Center National Institute for Translation, No. (1153), Cairo 3228.

15-Al-Askari, Abu al-Labl: *The two industries* Omi Mohammed al- Bagawi, Muhammad Abu al-Fadl Ibrahim, (Ed) Modern Library, Sidon - Beirut 1419 A.H.

16-Alawi, Yahya bin Hamza: *The style of the secrets of the communication and the general facts of miracles*, AbdulHameed Hendawi, I., (Ed) Modern Library, Sidon, Beirut 3223.

17- Farid, Muhammad: *The History of the Great Ottoman Empire*, by: Ihsan Hakki, Dar al-Nafas, Beirut - Lebanon 1981.

18-- Vimibović, Nenad: *The literary legacy of the Bosnians in eastern languages in light of the orientation studies*, 1989 Institute of Oriental Studies ,Sarajevo 1992.

19-Alkirtaji , Hazem: Minhaj AlBlgha'a wa Seraj Al_Odaba'a (*The Path of The intelligent and the guide of the Writers*), by Mohammed Al-Habib Bin Al-Khoja, Dar Al-Kutub Al-Sharqia, Tunis 1966.

32-Quattart, Donald: *Ottoman State (1722-1933)*, translated by: Ayman Armanazi, Al Obeikan Library, Riyadh 3224.

31-Ljubović, Aamir, and Gertdwnić, Solomon: *Prose literature of Bosnia and Herzegovina In Western Languages*, Translated by: Jamal Al- Din Syed Mohammad, The National Center of Translation, Cairo 3228.

33-Muhammad, Jamal al-Din Syed: *Contemporary Yugoslav Literature*, Kuwait Knowledge World Series, September 1984.

32- Muhammad, Jamal al-Din Sayed: Al-Bashanqa, *History and Culture*, Supreme Council of Culture, Cairo 3227.

34-Mohammed, Jamal al-Din Sayed: *Bosnia and Herzegovina*, Dar Souad Al-Sabah, Cairo 1993.

35-Al-Nuwairi, Ahmad bin Abdul Wahab: *End of the Lords in the Arts of Literature*: National Library and Archives, Cairo 1432 A.H.

- Foreign references:

36- Arapska Stilistika U Bosni Ahmed Sin Hasanov Bosnjka O Metafori.

რეცენზენტი: პროფესორი ს. თუმანიშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნატო შავრეშიანი, მეღვა სალღიანი

ქუთაისი, საქართველო

რამდენიმე ემოციური შორისდებულისათვის ჩოლურულში
(სვანურის დიალექტებთან მიმართებით)

შორისდებულები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება ენის ემოციურ ფენას და მეტყველებისას მათი საშუალებით გამოიხატება ადამიანის ფსიქო-ემოციური პორტრეტი. აღნიშნული გრამატიკული კატეგორია მოკლებულია რისამე დასახელების ფუნქციას და უშუალოდ გამოსატყვევებს ადამიანის გრძნობასა თუ ნება-სურვილს, შესაბამისად „როგორც მრავალფეროვანია მოვლენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლენის სახეები, ისე მრავალფეროვანია და ჭრელი შორისდებულებიც, რომლებიც წარმოადგენენ გულიდან ამონახეთქს ამ მოვლენათა განცდის გამო“ [გაჩეჩილაძე, 1979 : 51].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად: „სვანური ენა შორისდებულებით მდიდარი არ არის“ [თოფურია, 2002 : 205], მიუხედავად ამისა, შორისდებულთა ის ჯგუფები, რომლებიც სვანურში დიალექტების (ბალსხემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) მიხედვით გამოიყოფა, საკმაო სისრულით ასახავს და გადმოგვცემს ამ ენაზე მეტყველთა ემოციურ სურათს.

ჩოლურულ მეტყველებაში, მსგავსად სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა, შორისდებულის სემანტიკას მისი წარმოთქმის ინტონაცია განაპირობებს, რომელსაც თან ახლავს ემოციის შესაბამისი ფესტიკულაცია, რითიც სუბიექტის სათქმელი უფრო ექსპრესიული და გამომსახველობითი ხდება.

აღნიშნულ მეტყველებაში საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი შორისდებულის სამივე ძირითადი ჯგუფი (ექსპრესიული, იმპერატიული, ფიცილის ფორმულები ქვეჯგუფებითურთ) საკმაო მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. შორისდებულთა ერთი ნაწილი საერთოქართველურია, ნაწილი საკუთრივ სვანური და, ცხადია, დასტურდება ქართულიდან შემოსული ფორმებიც სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით. მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სწორედ

ეს უკანასკნელი სჭარბობს არამხოლოდ საერთოქართველურ, არამედ საკუთრივ სვანურ მასალასაც, თუმცა შორისდებულთა ამა თუ იმ ჯგუფ-ში სხვადასხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სვანურში, როგორც მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, გამოიყოფა შორისდებულთა შემდეგი ჯგუფები: **ნატვრისა, მოწონება-სიხარულისა, აღტაცებისა, მწუხარებისა, ზიზღისა, დანანება-სიბრაღულისა, გაწყრომა-დატუქსვისა და დამუქრებისა, გაკვირვება-გაოცებისა, ხევწნა-მუდარისა, მწუხარება-სინანულისა, დასტურისა, მოწოდებისა, დაცინვა-ნიშნისმოგებისა, მოფერება-დაყვავებისა, დალოცვისა** და ა. შ.

ამჯერად წარმოვადგენთ ჩოლურულ მეტყველებაში არსებული ემოციური შორისდებულების რამდენიმე ქვეჯგუფს (**მოწონება-სიხარულისა, აღტაცებისა; გაკვირვება-გაოცებისა; მოფერება-დაყვავებისა, დალოცვისა**) სვანურის ოთხივე დიალექტის მასალის გათვალისწინებით.

1. მოწონება-სიხარულისა, აღტაცებისა: **იფ** (ბქ., ღნტ.), **რფ** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „იფ“; **ხიადუღ** (ჩოლ.) „ყოჩად, ბარაქადა“; **ცნხ** (ზს., ღნტ., ჩოლ.)/ცაჰ (ზს., ქს.)/ცოხ (ზს., ქს.) „ახ/აჰ, ოხ/ოჰ“; **ო-ხო-ხო-ხო, დებეთღუარა** (ჩოლ.) „ღმერთმანი (ზედმიწ. – **ო-ჰო-ჰო-ჰო, ღმერთ-ს** ვუიცავარ)“; **ჟრ, ბარაქელა** (ჩოლ.) „ყოჩად, თქვენ იცით (ზედმიწ. – **ოო, ბარაქა**)“; **ო** (ზს., ქს.), **რ** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „ო“; **უ** (ზს., ქს.), **ჟ** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „ო“; **ა** (ზს., ქს.), **ნ** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „ა“; **დედე, ნატლაუღ** (ჩოლ.) „ნეტავი (ზედმიწ. – **დედა, ნეტავი**)“; **ლეკჩე(ლღაშ)** (ბქ.), **ლეკჩელღაშ** (ჩოლ.) „სასიხარულო, საყვარელი, დალოცვილი“; **აჰ/ახ** (ზს., ქს.) „აჰ“; **იჰ/უჰ/ეჰ** (ზს., ქს.) „ეჰ/უჰ“; **ჰა, მწდიღ, ა** (ბქ.) „რა კარგია (ზედმიწ. – **ჰა/ჰე, მადღ-ი, აი**)“...

საილუსტრაციო მასალა:

დებეთღუარა, ნიშად ჯანშნლ ითირი ხალხისა, ეჭკაჲ ხოჩა ლესდი ღი (ჩოლ. მივლ. მასალ., მოქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 61 წლისა) „ღმერთმანი, ნიშა ხარვით იცნობა ხალხში, ისეთი ღამაზია (ზედმიწ. – **ღმერთ-მან-ი/ღმერთ-ს** ვუიცავარ, **ნიშა ხარ-ი**-ვით იცნობა **ხალხ**-ში, ის-ყალიბ-ი კარგი სანახავი არის)“

ღისუბის ერ ენბინნახ ამეწუნენ, **დედე-დედე**, ეს უგი, ეშჩუ ღირღრღ ღას, იშა თეატრ, სიმ, იშა ტელევიზორ?! (ჩოლ. მივლ. მასალ., მოქმელი: თინა ჩევიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „ცეკვას რომ დაიწყებდნენ აქ, დედაა, იქ რომ მხიარულება იყო, რისი თეატრი, შე კაცო, რისი ტელევიზორი (ზედმიწ. – ცეკვას რომ დაიწყებდნენ აქ, **დედა-დედა**, ე. ი., იქ ყოფნა იყო, რისი **თეატრ-ი**, შე კაცო, რისი **ტელევიზორ-ი**?!)“

ნატლაუღ, მწ? ხოჩრღუღ ხელრისენხას ისგუა დედეს! (ჩოლ., მივლ. მასალ., მოქმელი: ღალი ბაბლუანი, სოფ. უკვლეში, 76 წლისა) „ნეტავი, რა კარგი ჰყავხარ შენს დედას (ზედმიწ. – **ნეტარ-ი/ნეტავი**, რა კარგუკა ე-ღირს-ე შენ{ს} **დედა-ს**!)“

ო, სი მწრე, მწა ჭაბუგ ხი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ, 117) „ო, შე კაცო, რა ჭაბუკი ხარ“

ლეკჩელღაშ, ა, ალ გუემ მწ ჟენსყან (ბქ., მივლ. მასალ., მოქმელი: ზოია საღლიანი, სოფ. ცხუმარი, 62 წლისა) „კიდევ კარგი, აი, ეს საქმე რომ გაკეთდა (ზედმიწ. – სასიხარულო, აი, ეს საქმე რა გაკეთდა)“

ნაკადდ იბრინლდა ერე,დესმა ხონნნ ეჩა ლიუნარის (ღმშხ.,მიველ. მასალ.,მოქმელი: თამრიკო
ონიანი,სოფ. ნაცული,40 წლისა) „ახ,ისე კარგად მღეროდა,რომ არაფერი ჯობდა იმის მოსმენას“
ეჭ,მაკვლი ხონა ლემშაჟ ლოქ ხნდტენახ ლდელი მინს (ღნტ., სვ. პრ. ტექსტ., 1967:96) „ეჭ,
რა კარგი სამუშაო გვექონდაო დღეს ჩვენ (ზედმიწ. – ეჭ, რა-ყალიბ-ი კარგი სა-მუშ-ა-ო-ო
ჰქონიათ დღე-ს მათ)“...

როგორც მოწონება-სიხარულისა და აღტაცების შორისდებულებზე დაკვირვებამ აჩვენა,
მათი ერთი ნაწილი საერთოქართველურია (მაგ.: ო-ხო-ხო-ხო,ღებეთღტარა (ხოლ.) „ღმერთმანი
(ზედმიწ. – ო-ჰო-ჰო-ჰო, ღმერთ-ს ვფიცავარ), ხიადშელ (ხოლ.) „ყოჩად, ბარაქალა“), ნაწილი
საკუთრივ სვანური (მაგ.: ლგკჩე{ლდდშ} (ბქ.),ღგკჩელდადშ (ხოლ.) „სასიხარულო,საყვარელი,
დალოცვილი“), ნაწილი კი ქართულიდან შემოსული (მაგ.: იფ (ბქ., ღნტ.),რფ (ბზ., ღმშხ., ხოლ.)
„იფ“; ცნხ (ზს., ღნტ., ხოლ.)/ცნჰ (ზს., ქს.)/ცოხ (ზს., ქს.) „ახ/აჰ, ოხ/ოჰ“; ჟრ, ბარაქელა (ხოლ.)
„ყოჩად, თქვენ იცით (ზედმიწ. – ოო, ბარაქა)“; ო (ზს., ქს.),რ (ბზ., ღმშხ., ხოლ.) „ოო“; უ (ზს., ქს.),
ჟ (ბზ., ღმშხ., ხოლ.) „ოო“; ა (ზს., ქს.),ან (ბზ., ღმშხ., ხოლ.) „აა“; დედე, ნატლაშელ (ხოლ.) „ნეტავი
(ზედმიწ. – დედა, ნეტავი)“; აჰ/ახ (ზს., ქს.) „აჰ“; იჰ/ჟჰ/გჰ (ზს., ქს.) „ეჰ/უჰ“; ჰა, მდილი, ა (ბქ.) „რა
კარგია (ზედმიწ. – ჰა/ჰე, მადლ-ი, აი)“ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (უმლაუტი, სიგრძე,
რედუქცია და ა. შ.) გავლით.

2. გაკვირვება-გაოცებისა: ახ (ზს., ქს.) „აჰ“; ცე(ზს., ქს.) „ეჰ“; ცედ (ზს., ქს.) „ეი“; იშტირბ/
იშტირიგილი/იშტირიგილირბ/იშტირიგილისნ (ხოლ.) „გასაოცარი/გა-საკვირი“; იტტი ნაჟ, ა (ბქ.)
„კაი ერთი (ზედმიწ. – ჰაიტ, ბიჭო, აი)“; იშშბ/იშშარნ (ხოლ.) „სასწაული“; სგნ მაროლ (ბქ.),
სგე მარნლ/სგად მარნლ (ხოლ.) „ხალხნო (ზედმიწ. – თქვენ კაცებო)“; ოჰჰა, და (ბქ.) „ოჰჰ/ოჰჰ“;
ეჰჰარა (ხოლ.) „ეჰჰ/ოჰჰ“, დია (ბქ.), დედე (ბზ., ღმშხ., ხოლ.), ტეტე (ხოლ.) „დედა“; ჟიტეტე (ხოლ.)
„ვაი, დედა“; დადო/ადო (ზს., ქს.) „აბა“; უ, დია (ბქ.), უდი/უდრ (ხოლ.)¹ „ვაი, დედა“; ხიატ (ხოლ.)
„სასწაული (ზედმიწ. – სი-ხად-უელ-ი)“; იტტი (ხოლ.) „ოჰჰ/აჰჰ“; ეტ (ზს., ქს.) „ჰაიტ“; ცა (ზს.,
ქს.), ცაჰ (ზს., ქს.), ცნხ (ზს., ღნტ., ხოლ.), ცოჰ (ზს., ქს.), ცუხ (ზს., ქს.) „ოჰ/უჰ“; ოჰ (ზს., ქს.) „ოჰ“; უჰ
(ზს., ქს.) „უჰ“; ეჰე (ბქ., ხოლ.) „ეჰე“; ახა/აჰა (ბქ.), ახჰ (ხოლ.) „აჰჰ/აჰა“; ჰა (ზს., ქს.) „ჰა“; ჰირა
(ღნტ.) „სასწაული/გასაკვირი (ზედმიწ. – ჰირ-ი-მე)“; ედ (ზს., ღნტ., ხოლ.), ე? (ღმშხ., ხოლ.) „ეი“;
ი (ზს., ქს.), ი (ბზ., ღმშხ., ხოლ.) „იი“; ოი (ზს., ქს.) „ოი“; ო (ზს., ქს.), რ (ბზ., ღმშხ., ხოლ.) „ოო“;
ღერმეთ ისგუ ჰამარს ი (ბქ.) „გასაოცარი, გასაკვირი (ზედმიწ. – ღმერთ-ი შენი ამარა და)“; იი,
ღემბჟ, ა (ბქ.) „იი, გასაკვირი“; სკტრელ ისგუ გტემ, ა (ბქ.) „გასაკვირი/გასაოცარი (ზედმიწ.
– საკვირველ-ი შენი საქმე, აი)“...

საიდუსტრაციო მასალა:

იშტირბ, ქა მმ ლოხტტულნ, ათხ'ერ ისკლემფუნლ (ხოლ., მიველ. მასალ., მოქმელი: შუშანი
გარდაფხაძე, 70 წლისა) „სასწაული, არ დავუძახე, ახლა რომ კითხულობს და იოცებს?!“

1 ხოლურულში დედა ფორმის გამოსახატავად ძირითადად ქართულიდან შემოსული დედა ფორმის სხვადასხვა
ფონეტიკური ვარიანტები (დედა/დედე/ტეტა/ტეტე) გვხვდება. აღნიშნულ შორისდებულში (უდი/უდრ < ვაი, დია
„ვაი, დედა“) სინტაგმის მეორე კომპონენტად გამოვლენილი დი/დრ კი წორედ საერთოსვანური დი/დია „დედა“
ფორმა უნდა იყოს, რაც შეეხება უს იგი მარტივი შორისდებულის უჟს ხმოვნითი ელემენტია.

ეგო, იმ ლოქ ხაჩუმსტუნე მიჩ, მაღ ლოქ ოთღნტუშა ამშა ფას?! (ჩოლ., მიველ. მასალ., ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 77 წლისა) „ეი, მე რას მერჩიო რა დაუშაგებიაო ამისი ფასი (ზედმიწ. – ეი, რასო აქნეინებს მას, რასო და-უ-შაგებ-ია ამისი ფას-ი?!)“

ახჰ, მწ? ესერ ხაგდენა მიჩნშდ ძირან ხტუტა? (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939:238) „ოჰ, რა მემართოა შენი ძირიანად რომ ამომწყვიტეო (ზედმიწ. – აჰა, რასო *ნამართება მისთვის ძირ-იან-{ად} წყვეტა?)“

ღერმეთ ისგუ ჰამარს ი, დჰს ხასმა ი დჰს ხამენკა, ეჯი სი გარ იმხენ ანჯე?! (ბქ., მიველინ. მასალ., მთქმელი: ნინა მიქიანი, სოფ. ფარი, 80 წლისა) „ღმერთო, რაც არავის სმენია და რაც არავის სჩვევია, ის მხოლოდ შენ საიდან მოიტანე (ზედმიწ. – ღმერთ-ი შენ[ს] ამარა-ს და, არავის სმ-ენ-ია და არავის *ა-მანკ-ია, ის შენ მარტო საიდან მოიტანე?!)“

ჰა, ეჯი ჩოხა ი ნაბად ლას! (ღშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979:74) „ეჰე, ის ჩოხა და ნაბადი იყო“

ეტ, იმ ლოქ ათოკიდა ეჩოხოჟი? (ღნტ., სვან., ქრესტ., 1978:335) „ჰაიტ, რამ აგიყვანაო იმაზე (ზედმიწ. – ჰაიტ, რასო აუტანია იმ[ის]კენზე?)“...

გაკვირვება-გაოცების აღმნიშვნელ შორისდებულთა მეტი წილი, მსგავსად მოწონება-სიხარულისა და აღტაცების გამომხატველი შორისდებულებისა, ქართულიდანაა ნასესხები (მაგ.: **ახ** (ზს., ქს.) „აჰ“; **ეე** (ზს., ქს.) „ეჰ/ჰე“; **ეე** (ზს., ქს.) „ეი“; **ოჰჰა, და** (ბქ.) „ოჰა/ოჰა“; **ღეღე** (ბზ., ღშხ., ჩოლ.), **ტეტე** (ჩოლ.) „დედა“; **უიტეტე** (ჩოლ.) „ვაი, დედა“; **ეტ** (ზს., ქს.) „ჰაიტ“; **ცა** (ზს., ქს.), **ცაჰ** (ზს., ქს.), **ცაზ** (ზს., ღნტ., ჩოლ.), **ცოჰ** (ზს., ქს.), **ცუხ** (ზს., ქს.) „ოჰ/უჰ“; **ოჰ** (ზს., ქს.) „ოჰ“; **უჰ** (ზს., ქს.) „უჰ“; **ეჰე** (ბქ., ჩოლ.) „ეჰე“; **ახ/აჰა** (ბქ.), **ახჰ** (ჩოლ.) „აჰა/ახა“; **ჰა** (ზს., ქს.) „ჰა“; **ჭირა** (ღნტ.) „სასწაული/გასაკვირი (ზედმიწ. – ჭირ-ი-მე)“; **ედ** (ზს., ღნტ., ჩოლ.), **ე?** (ღშხ., ჩოლ.) „ეი“; **ი** (ზს., ქს.), **ი** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „იი“; **იი** (ზს., ქს.) „იი“; **ო** (ზს., ქს.), **ო** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „ოო“; **ედ** (ზს., ღნტ., ჩოლ.), **ე?** (ღშხ., ჩოლ.) „ეე“; **ი** (ზს., ქს.), **ი** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „იი“; **იი** (ზს., ქს.) „იი“; **ო** (ზს., ქს.), **ო** (ბზ., ღშხ., ჩოლ.) „ოო“; **ჭირა** (ღნტ.) „სასწაული/გასაკვირი (ზედმიწ. – ჭირ-ი-მე)“, ნაწილი საერთოქართველურია (მაგ.: **უ, ღია** (ბქ.), **უდი/უდრ** (ჩოლ.) „ვაი, დედა“; **ხიატ** (ჩოლ.) „სასწაული (ზედმიწ. – სი-ხად-ულ-ი)“...), ნაწილი კი საკუთრივ სვანური (მაგ.: **იშტირიდი/იშტირიგი-ღირ/იშტირიგიდის** (ჩოლ.) „გასაოცარი/გასაკვირი“; **იტტი ნაუ, ა** (ბქ.) „კაი ერთი (ზედმიწ. – ჰაიტ, ბიჭო, აი)“; **იშშრ/იშშარნ** (ჩოლ.) „სასწაული“; **სგნ მაროლ** (ბქ.), **სგე მარნლ/სგად მარნლ** (ჩოლ.) „ხალხნო (ზედმიწ. – თქვენ კაცებო)“; **ეჰჰარა** (ჩოლ.) „ეჰა/ოჰა“, **დაღო/აღო** (ზს., ქს.) „აბა“; **იტტი** (ჩოლ.) „ოჰა/აჰა“; **ღერმეთ ისგუ ჰამარს ი** (ბქ.) „გასაოცარი, გასაკვირი (ზედმიწ. – ღმერთ-ი შენი ამარა და)“; **იი, ლემბჰ, ა** (ბქ.) „იი, გასაკვირი, აი“; **საკურელ ისგუ გტუშ, ა** (ბქ.) „გასაკვირი/გასაოცარი (ზედმიწ. – საკვირველ-ი შენი საქმე, აი)“).

შენიშვნა: საკუთრივ სვანურად მიჩნეულ რამდენიმე სიტყვიან შორისდებულებში (მაგ.: **ღერმეთ ისგუ ჰამარს ი**; **იი, ლემბჰ, ა**; **საკურელ ისგუ გტუშ, ა** და სხვ.) ზოგი სიტყვა საერთოქართველურია, ზოგიც ქართულიდან შემოსული, თუმცა მთლიანი ფრაზები საკუთრივ სვანურად მივიჩნევთ, რადგანაც ქართულში იგივე ფრაზები (ანუ შორისდებულთა ფორმულები) იმავე სემანტიკით არ დასტურდება.

3. მოფერება-დაყვავებისა, დალოცვისა: **ოე** (ბქ.) „ოე“; **{დედე}ლო/{დედე}ჯო** (ბზ.), **{დია}ლო/{დია}ჯო** (ბქ.), **{დედე}ლონ** (ბზ.), **{დია}ლონ** (ბქ.) „დედილამ, დედა გენაცვალოს“; **{ბუა}ლონ** (ბქ.) „მამა გენაცვალოს“; **{დედე}ლუარა** (ბზ., ჩოლ.), **{დედე}ჯუარა** (ჩოლ.), **{დედე}ჯუარან** (ლნტ.) „დედილამ, დედა გენაცვალოს“; **ისგუ თერალო** (ბქ.) „შენ თავს ვფიცავარ (ზედმიწ. – შენი თვალ-ებ-ის} ჭირიმე)“; **ხიად** (ლშხ., ჩოლ.) „სიხარულო (ზედმიწ. – სი-ხად-ულ-ო)“; **ნძჩ** (ჩოლ.) „ატ“; **ისგუტი მაზიგ მი** (ბზ., ქს.), **ისგუ მწიგ მი** (ბქ.) „გენაცვალე (ზედმიწ. – შენი ტკივილი მე)“; **მიშგუტი ლადელ სი** (ბზ., ქს.), **მიშგუ ლადელ სი** (ბქ.) „გენაცვალე (ზედმიწ. – ჩემი დდე შენ)“; **ისგუ თხუმი ჟიქაქა ლუზუნე/ლუსპუნე** (ბქ.) „შემო-გველე (ზედმიწ. – შენი თავს ზემოთ შემოვლებული)“; **ისგუ ლუსპუნე მი** (ბქ.) „შემოგველე (ზედმიწ. – შენი შემოვლებული მე)“; **დია ისგუ ნაცვად** (ბქ.) „დედა გენაცვალოს (ზედმიწ. – დედა შენი ნაცვალი)“; **ე** (ზს., ქს.), **ე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ე“; **ა** (ზს., ქს.), **ა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ა/აი“; **ჰე** (ზს., ქს.), **ჰე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ჰე“...

საილუსტრაციო მასალა:

გიგაჯუარა, უო, ანჯადდა სგად? გუშგუთეო? ურ, ისგუტი მაზიგ მი! (ჩოლ., მივლინ. მასალ., მოქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 74 წლისა) „დედა გენაცვალოს, ჰო, მოხვედით თქვენ ჩვენთან? ჰო, თქვენი ჭირიმე (ზედმიწ. – დედა გენაცვალოს, ჰო, მოხვედით თქვენ ჩვენთან? ჰო, თქვენი ტკივილი მე)!“

ნძჩ, სი კოჭრლ გუთეფრლ! (ჩოლ., მივლინ. მასალ., მოქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 61 წლისა) „დაიკარგე, შე პატარა ეშმაკუნავ (ზედმიწ. – ატ, შე პატარა მზაკვარო)!“

დედელო, მადხუბრლ ესერ ჟრუ ლა? შუემ, ალ რანგილდ ესერ ჩუუ ლარშ... (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939:417) „დედაშვილობას, ცოტა დაისვენეო, ეს რანგი დალიეო... (ზედმიწ. – დედა-ს გაფიცებ, ცოტადენიო დაისვენამცა, ეს რანგ-უკა-ო დალიამცა)“

ალექსანდრე, მწ ჯეჰრ, **მიშგუ თერაჯო**? ქა ემგმბუ, გუთიშგე ლიმხუბ დერთემ **ყერჯო**! (ბქ., სვ. პრ. ტექსტ., 1957:185) „ალექსანდრე, რა დაგემართა, ჩემ თავს გაფიცებ? მომიყევი, ჩვენ ძმობას გაფიცებ (ზედმიწ. – ალექსანდრე, რა დაგემართა, ჩემ თვალ-ებ-ს გაფიცებ? მიაძბე, ჩვენი ძმობა დმერთ-ის ძალას გაფიცებ)!“

მიჩ ლოქ დესამა ხნამედა, **ხიად**, ჩუ ლოქ ერ ედღნუტი, ქა ლოქ ესთენი ნატყუბარად... (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979:77) „მე არაფერი შემიძლიაო, სიხარ-ულო, რომ დაფეხმძიმდებაო, ტყუპები გაუნდებაო (ზედმიწ. – მასო არაფერი ე-იმედ-ებ-ა, სი-ხად-ულ-ო, რომ დაფეხმძიმდებაო, გაუნდებაო ტყუპ-ებ-ი)“

დედეჯუარან, ცხეკხო ლოქ ერ ასხრის, დემის ლოქ ხეწედენისუ ცხეკისა? (ლნტ., სვ. პრ. ტექსტ., 1967:203) „დედას გაფიცებ, ტყეში რომ მიდიხართო, არ დაგინახავენო ტყეში (ზედმიწ. – დედ-ის} მადღმა, ტყეშიო რომ მიდიან, ვერაო დაინახავენ ტყეში)?“...

მოფერება-დაყვავებისა და დალოცვის შორისდებულთა მეტი წილი, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, საკუთრივ სვანურია (მაგ.: **{დედე}ლო/{დედე}ჯო** (ბზ.), **{დია}ლო/{დია}ჯო** (ბქ.), **{დედე}ლონ** (ბზ.), **{დია}ლონ** (ბქ.) „დედილამ, დედა გენაცვალოს“; **{ბუა}ლონ** (ბქ.) „მამა გენაცვალოს“; **{დედე}ლუარა** (ბზ., ჩოლ.), **{დედე}ჯუარა** (ჩოლ.), **{დედე}ჯუარან** (ლნტ.) „დედილამ,

დედა გენაცვალოს“; **ისგუ თერალო** (ბქ.) „შენ თავს ვფიცავარ (ზედმიწ. – შენი თვალ-ებ-
 {ის} ჭირიმე)“; **ნაჩ** (ჩოლ.) „აბ“; **ისგუტი მაზიო მი** (ბზ., ქს.), **ისგუ მზიო მი** (ბქ.) „გენაცვალე
 (ზედმიწ. – შენი ტკივილი მე)“; **მიშგუტი ლადელ სი** (ბზ., ქს.), **მიშგუ ლადელ სი** (ბქ.) „გენაცვალე
 (ზედმიწ. – ჩემი დღე შენ)“; **ისგუ თხუმ ჟიქაქა ლუნუნე/ლუსპუნე** (ბქ.) „შემოგველე (ზედმიწ.
 – შენი თავს ზემოთ შემოვლებული)“; **ისგუ ლუსპუნე მი** (ბქ.) „შემოგველე (ზედმიწ. –
 შენი შემოვლებული მე)“; **დია ისგუ ნაცვად** (ბქ.) „დედა გენაცვალოს (ზედმიწ. – დედა შენი
 ნაცვალი)“, ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული (მაგ.: **ოდ** (ბქ.) „ო“; **ე** (ზს., ქს.), **ე** (ბზ.,
 ლშს., ჩოლ.) „ე“; **ა** (ზს., ქს.), **ა** (ბზ., ლშს., ჩოლ.) „ა/აი“; **ჰე** (ზს., ქს.), **ჰე** (ბზ., ლშს., ჩოლ.) „ჰე“,
 ნაწილი კი საერთოქართველურია (**ხიად** (ლშს., ჩოლ.) „სიხარულო (ზედმიწ. – სი-ხად-ულ-ო)“).

როგორც მრავალფეროვან სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, შორისდებულთა მეტი წილი
 ეტიმოლოგიურად მეტნაკლებად გამჭვირვალეა, თუმცა დადასტურდა ისეთი შორისდებულებიც,
 რომელთა ეტიმოლოგიის გარკვევა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ჩოლურული
 მეტყველება, რომელიც სვანურის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისაგან განსხვავებით ბევრ
 თავისებურებას ავლენს როგორც ფონეტიკა-მორფოლოგიის, ისე ლექსიკური თვალსაზრისით,
 რასაკვირველია, ამ საკითხშიც სხვაობს, რაზეც მოწმობს საკუთრივ ჩოლურული სათვლის
 დამახასიათებელი გაკვირვება-გაოცების გამომხატველი ისეთი შორისდებულები, რომელთა
 პარადლექური ფორმები სვანურის სხვა დიალექტებში არ დაიძებნა: **იშშრ|იშშირრ|იშშირრ|იშშარრ**;
იშტირრ, იშტირიგიდი|იშტირიგიდირრ|იშტირიგიდისნ...

საილუსტრაციო მასალა:

იშშრ, სვა მინწარ მიშგუტი ჯუმილ ი ეჩა ლელლი მად მეღუნერლ?! „სასწაული, მახლდა ჩემი
 ძმა და იმას რას დაველოდებოდი?!“; **იშშირრ**, ქქემერან სერ აღდარე ლითანთახ ძინარუნდო
 ნებოხდ?! „საოცარი, მეყოფა ამათი მსახურება დილიდან დაღამებამდე?!“; **იშშარრ**, მინდ
 ესფხიჟს სოფელს ი ათხე იმ იმუქტანანდხ?! „საოცარი, თვითონ მისდეს სოფელს და ახლა
 რას იკატუნებენ თავს“; **იშტირიგიდისნ**, ქქ მრმ ლოხჭუნენდნდ ეჩქა ეშ რრი „სასწაული, რომ
 არ შევეკითხოდით, მაშინ კიდე ჰო“...

საანალიზო ფორმა, რომლის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები (**იშტირრ/იშტირიგიდი/
 იშტირიგიდირრ/იშტირიგიდისნ**) გვხვდება ჩოლურულში, სავარაუდოდ შემდეგნაირად უნდა
 დაიშალოს: **იშტირი-გიდი**, რის საფუძველსაც გვაძლევს ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად
 გამოყენებული **იშტირი**, რომელიც გაკვირვება-გაოცებას გამოხატავს **გიდი** ფორმის
 დაურთველადაც, თუმცა მისი მნიშვნელობა ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველია. რაც
 შეეხება, შორისდებ-ულის მეორე კომპონენტად გამოყენებულ **გიდი** კომპონენტს, იგი, შესაძლოა,
 ქართულში არსებულ **აი გიდი**, **ჰაი გიდი**-დან მომდინარეობდეს, რომელიც, თავის მხრივ,
 ნასესხებად ითვლება სპარს.-თურქ. **ქითი**-საგან „ქვეყანა, სამყარო“ (გაჩეჩილაძე 1979:78). ამ
 ვარაუდის დაშვება შესაძლებელია, მაგრამ დაბრკოლებას ქმნის, ასევე, ჩოლურულივე **იშტირი-
 გიდი-რრ** ფორმის აუსლაუტში გამოვლენილი **რრ**, რომლის ახსნაც ამ ეტაპზე შეუძლებელია
 მისი რთული სტრუქტურიდან გამომდინარე.

რა შეიძლება ითქვას შორისდებულის ადგილის შესახებ წინადადებაში? ჩვენი დაკვირვებით, თუ ის ახლავს წინადადებას, მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ, სხვა ენების მსგავსად, სვანურშიც ჭარბობს წინადადების საწყის პოზიციებზე, თუმცა გვხვდება როგორც ინლაუტში, ასევე აუსლაუტშიც.

საილუსტრაციო მასალა:

ფლჰჰრ, ლეგ გუემ ენსენ სოფელისა (ჩოლ., მივლ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 77 წლისა) „ოჰო, რა ცუდი საქმე მოხდა სოფელში (ზედმიწ. – **ოჰო**, ცუდი/უვარგისი საქმე გაკეთდა **სოფელ**-ში)“; ეჭვან ფათუ ლოქ ხნგენა, ერე, **ხო-ხო-ხო-ხო**, ეჩა ლისგდრლს მერ დესმა ხაჩრენა (ჩოლ., მივლ. მასალ., მთქმელი: თინა ჩევიანი, სოფ. უკელეში, 74 წლის) „ისეთი თმა ჰქონდაო, რომ იმის ყურებას არაფერი სჯობდაო (ზედმიწ. – **ის-ყალიბი-თმა-ა-ნა-დგ-ამ-ა**, რომ, **ხო-ხო-ხო-ხო**, იმის ყურებას რაღაც არაფერი *ნაჯობა)“; იმჟი ხეკუეს ხეკუად მერბე გეხლა დაგრამაგ, **ხიტ?**! (ჩოლ., მივლ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველი, 61 წლისა) „როგორ უნდა უთხრათ მეორე შვილის სიკვდილი, ნეტა (ზედმიწ. – როგორ უნდა უთხრათ მე-ორ-ე შვილი{ს} სიკვდილიც, **სი-ხად-ულ-ო?!?!**)“

როგორც ზემოთ განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ემოციური შორისდებულების (**მოწონება-სიხარულისა, აღტაცებისა; გაკვირვება-გაოცებისა; მოფერება-დაყვავებისა, დალოცვისა**) გამომხატველი მრავალფეროვანი ფორმები დასტურდება, რომელთა მეშვეობითაც სუბიექტის სათქმელი უფრო ექსპრესიული და გამომსახველობითი ხდება. აღნიშნულ შორისდებულთა ერთი ნაწილი საერთოქართველურია, ნაწილი საკუთრივ სვანური და, ცხადია, დასტურდება ქართულიდან შემოსული ლექსიკური ერთეულებიც სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით. გაირკვა ისიც, რომ ჩოლურ-ული, რომელიც სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისაგან მრავალი თავისებურებებით გამოირჩევა, შორისდებულთა გამოყენების თვალ-საზრისითაც საკმაოდ საინტერესო და განსხვავებულ სურათს აჩვენებს.

ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე 1979 – თ. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 1979

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, შრომები II, 2002

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქაღდანმა, თბილისი, 1957

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქაღდანმა, თბილისი, 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979– სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქაღდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქაღდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სვან. ენის ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

ნათო შავრეშიანი, მედეა საგლიანი

**К некоторым эмоциональным междометиям в чолурском
(по отношению к сванским диалектам)**

Резюме

В диалектах и говорах сванского языка встречаются многообразные формы эмоциональных междометий (радости, восторга, удивления, ласки, благословения), благодаря которым речь субъекта становится более экспрессивной и выразительной. Одна часть данных междометий является общегрузинской, а другая – непосредственно сванской. Естественно, встречаются и такие лексические единицы, которые претерпели различные фонетические процессы.

Nato Shavreshiani, Medea Sagliani

**Towards some emotional interjections in Cholur
(with respect to Svan dialect)**

Abstract

There are many diverse forms expressing of emotional injections (**approval-joy, admiration, astonishment, caressing, blessing**) in Svan dialects and subdialects, with the help of them which saying of the subject becomes more expressive and representational. One part of the mentioned intermediaries is a common Georgian, part of it is Georgian and, certainly, is confirmed lexical units income from Georgian through various phonetic processes.

რეცენზენტი: პროფესორი ვ. შენგელია

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

რამაზ სვანიძე

ქუთაისი, საქართველო

თარგმანის ლინგვისტური, ეულტუროლოგიური და
მეთოდური ასპექტების შესახებ

რობაქიძე და ხარატიშვილი ორივე ენასა და კულტურაში შინ გრძნობენ თავს, თუმცა მთარგმნელისათვის მაინც დიდი გამოწვევაა ორიგინალის ადეკვატური თარგმნა. ორიგინალისა და თარგმანის შედარება საშუალებას იძლევა დავადგინოთ ლინგვისტური მსგავსება-განსხვავებები, ასევე გავეცნოთ ორ სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ-საზოგადოებრივ და კულტურულ კოსმოსს. ეს კოსმოსები მეცნიერთა ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს. ამ ტიპის კვლევები აუცილებელია, რადგან ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი ჯანსაღი კრიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ის ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც თარგმანის წარმატებას ან წარუმატებლობას ობიექტურად განსაზღვრავენ.

თარგმანი საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ, დღესაც მთარგმნელის, როგორც სხვადასხვა კულტურისა და აზროვნების დამაკავშირებლის, წვლილი შეუფასებელია. ის საშუალებას აძლევს საკუთარ ხალხს, დაეწაფოს სხვა კულტურის ფასეულობებს, ხელს უწყობს ენისა და საზოგადოების განვითარებას. აქედან გამომდინარე, თარგმანს გააჩნია „ემანსიპაციური“ ხასიათი და კულტურის ახლებურ აღქმას უწყობს ხელს (კოლერი, 2011: 165). კარგი მთარგმნელი გადალახავს „ენობრივ და კულტურულ ბარიერებს“ (ibid: 165) და ზუსტად აღიქვამს განსხვავებებს (ჰავერკამპი, 1997: 7).

ჰუმბოლდტს ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა თარგმანის მიმართ. მისთვის მთარგმნელობითი სამუშაო „უმაღური ხელობაა“, რადგანაც ორიგინალი ყოველთვის უფრო მეტად ფასობს. ამავდროულად ის ზუსტად აღწერს კარგი მთარგმნელის უნარებს: ტექსტის ატმოსფეროს ასახვა, „შინაარსისა და ფორმის“ გადატანა, ორ კულტურას შორის „შუამავლის“

ფუნქციის შესრულება (ჰუმბოლდტი, 1841: 141 f.). ჰუმბოლდტი მოითხოვს ორიგინალის „ერთგულებას“, ის არ უნდა წარმოადგენდეს პირველწყაროს „კომენტარს“. თარგმანში უნდა იგრძნობოდეს „უცხო“ (das Fremde), მაგრამ არა „გაუცხოება, დისტანცია და უცხოობა“ (die Fremdheit). მთარგმნელი არ უნდა ცდილობდეს „ბუნდოვანი“ ადგილების გამარტივებას, რადგანაც „სიცხადის“ შეტანა ტექსტში მკითხველის პრეროგატივაა (ლაიცმანი, 1909: 132-133).

კოლერის მიხედვით, თარგმანის პროცესი ორ ნაწილად იყოფა: 1. ანალიზი: შესაბამისი ერთეულების მოძიება, 2. სინთეზი: მოძიებული ერთეულების ტრანსფორმაცია ტექსტად (კოლერი, 2011: 94f.).

ლიტერატურული ტექსტების შემთხვევაში ძალზედ რთულია იმპლიკაციების ანუ „მრავალმნიშვნელოვანი და განუსაზღვრელი ადგილების“ თარგმნა (ibid: 118). ასევე ენობრივ-სტილისტური ნორმების რღვევა მთარგმნელის კომპეტენციას განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე აყენებს. სასურველია მათი სპორადულად წარმოდგენა თარგმანში, რაც მკითხველისთვის მნიშვნელოვანი მინიშნებაა და ფუნქციურ დატვირთვას მაინც ასრულებს. ამავედროულად ტექსტის სიცხადეც ნორმაზე ორიენტირებული და უფრო გასაგებია (ibid: 120).

აქ განვიხილავ ტერმინს „ეკვივალენტი“, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. კოლერი განასხვავებს ეკვივალენტობის ხუთ ფორმას: დენოტაციურ, კონოტაციურ, ტექსტობრივ-ნორმატიულ, პრაგმატიკულ და ფორმალურ-ესთეტიკურ ეკვივალენტობას (ibid: 219, 231-239). ამ მიმართებების დაცვა და სიტუაციიდან გამომდინარე ადეკვატური გამოყენება განაპირობებს მაღალი ხარისხის თარგმანს.

ისმის კითხვა - თავისუფალი თუ ზუსტი თარგმანი: როგორც პირველ (ციცერონი, ლუთერი), ასევე მეორე მიდგომას (ჰორაციუსი) ცნობილი მხარდამჭერები ჰყავს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პრინციპი, შექმნის დაგვარად ზუსტად და საჭიროებისამებრ თავისუფლად თარგმნა. მეორე ოპოზიცია „გაშიანურება“ (ლევი) და „გაუცხოება“ (შლაიერმახერი, ბენიამინი) განიხილავს კულტურის თავისებურებებს. რაც შეეხება მესამე ოპოზიციას „თარგმნადობა“ და „უთარგმნელობა“, თარგმანი ფორმის პლანის გადმოცემისას გარკვეულ სიროტულეებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ, ყველაზე დიდი გამოწვევა ლიტერატურული ტექსტების თარგმნაა და მთარგმნელისგან „კრეატიულობისა“ და „ინტუიციის“ მაღალ ხარისხს მოითხოვს (ველუ, 2011: 29-34). თარგმანის კრიტიკის თვალსაზრისით, ბერმანი ჯერ თარგმანის და შემდეგ ორიგინალის წაკითხვას მოითხოვს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს ანალიზი (ibid: 41).

გრიგოლ რობაქიძის უმეტესი ნაწარმოებები ქართულიდან გერმანულ ენაზე ითარგმნა. მისი ტექსტები 20-30-იან წლებში გამოქვეყნდა, როდესაც როგორც საქართველო, ასევე გერმანია ურთულეს პერიოდს განიცდიდა. 1933 წელს გამოქვეყნებულ რომანში „ჩაკლული სული“ რობაქიძემ წარმოადგინა დაუფარავი ჭეშმარიტება ბოლშევიზმთან დაკავშირებით, ეშმაკისეული რეპრესიული მანქანა, „დამანგრეველი ძალა“ (რობაქიძე, 1937: 5), ტოტალური სახელმწიფოს არსი და მეთოდები. ამით ის გაუსწორდა ტოტალურ რეჟიმს, რომელიც ვერ იტანდა თავისუფალ და სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს, დევნიდა, აწუმბდა და კლავდა მათ. ბრეგაძე გამოყოფს სამ დისკურსულ შრეს: ბოლშევიზმის მითოსურ-დემონურ (მეტაფიზიკურ) არსში ჩაწვდომას,

თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის კრიტიკას (ნიცშეანური ნაკადი) და მითოსურ ნაკადს.¹

გერმანულენოვანი ქართველი ავტორი ნინო ხარატიშვილი განსხვავდება რობაქიძისგან პოლიტიკური და სოციალურ-კრიტიკული თემებით. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ხარატიშვილს არ განუცდია ტოტალიტარული სისტემა. ის წერს საკუთარ შთაბეჭდილებებზე, პერიოდზე, რომელშიც საქართველო დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი სუფევდა.

რომანში ჩემი საყვარელი ორეული (2011), რომელშიც მოქმედება ჰამბურგსა და თბილისში მიმდინარეობს, დახატულია ორი ახალგაზრდის უიმედო სიყვარული. ივო და სტელა მშობლებმა საბედისწეროდ დააკავშირეს ერთმანეთს, ბავშვობიდან იცნობენ ერთმანეთს. ბავშვობიდან ნაცნობები ყველანაირად ცდილობენ გაექცნენ რეალობას, მაგრამ ბედისწერა მათ მაინც ერთმანეთთან აკავშირებს. ცხოვრებისეული გარემოებები მათ ბედნიერების საშუალებას არ აძლევს.² „ოიდიპოსის კონსტელაცია“ ბოლოს ტრაგიკული და მოულოდნელი სიკვდილით სრულდება.³

რომანის სტილი, ერთი მხრივ, „პათეტიკურია“⁴, მეორე მხრივ, „შთამბეჭდავი“⁵. მეორე რეცენზიაშიც მსგავსი აზრი გვხვდება: ენა „ძალზედ ემოციონალური“, „ინტენსიურად მგრძნობელობითი“, ასევე „ძალიან რეფლექტირებული“ და „სერიოზულად მშვიდი“.⁶

მთარგმნელები თავისუფლად ეპყრობიან სასვენ ნიშნებს, რაც ზეგავლენას ახდენს ტექსტის რიტმზე. მძიმის ნაცვლად წერტილის გამოყენება ანელებს მოქმედებას; მეორეს მხრივ, წერტილი იცვლება ორწერტილით, რათა ტემპი დაჩქარდეს. ამ გზით ტექსტის ნაწილები ერთ მთლიანობად აღიქმება. ეს ცვლილებები სხვა იერარქიას წარმოშობს.

ზოგჯერ კონტექსტი ენობრივი ერთეულების დამატებას ითხოვს, რომლებიც ავთენტურად იხრდება ტექსტის ორგანიზმში: „Die Morgensonne streute ihre Strahlen über die regendurchträngte Erde aus“ – „დილის მზე უშურველად აფრქვევდა თავის სხივებს წვიმით გაჯერებულ მიწას“.⁷

სიტყვის თარგმანი იცვლება კონტექსტის მიხედვით: მაგალითად, sich recken აღერებულიყვნენ; წელში გასწორდა. სიტყვა „sanft“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარატიშვილის რომანში. ერთ შემთხვევაში ის ითარგმნება როგორც საყვარელი: *Mein sanfter Zwilling* – ჩემი საყვარელი ორეული, სხვა კონტექსტებში როგორც სათუთი, ნახი:

1 <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/15/კოკა-ბრეგაძე-გრიგოლ-რობა/>

2 <https://www.perlentaucher.de/buch/nino-haratischswili/mein-sanfter-zwilling.html>

3 Rezensionennotiz zu Süddeutsche Zeitung 23.11.2011. <https://www.perlentaucher.de/buch/nino-haratischswili/mein-sanfter-zwilling.html>

4 Rezensionennotiz zu Neue Zürcher Zeitung, 29.05.2012

5 Rezensionennotiz zu Die Tageszeitung, 04.01.2012

6 Rezensionennotiz zu Frankfurter Allgemeine Zeitung, 08.10.2011

7 ციტატები ამოღებულია ორიგინალიდან და თარგმანებიდან, რომლებიც მითითებულია დამოწმებულ ლიტერატურაში.

diese sanfte Nähe – ამ სათუთი სიახლოვის; *denn kein Gefühl kann sanft sein* - გრძობა არ შეიძლება ნაზი იყოს; *Ich bin sanft* - სინაზით აღვსილი.

სიტყვების პოზიციის შეცვლით მთარგმნელი მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გამოყოფს: „*Bäume und Pflanzen reckten sich selig*“ – „**ღაღად** აღერებულებიყვნენ ხეები და მცენარეები“.

რობაქიძის თარგმანში ბევრ ადგილზე კავშირები (und, dass,) ამოღებულია: „*Der Mann spürte die Sonne und reckte sich auch: er genoss es – dass man lebt, dass man tiefe festverwurzelte Eiche sieht, dass man das Lachen des Kindes hört*“. „თამაზმაც იგრძნო მზე, წველში გასწორდა: სიამოვნებდა, რომ ცოცხლობდა, ღრმად და მკვიდრად ფესვგამდგარ მუხას უცქერდა, ბავშვის სიცილი ესმოდა“.

ხარატიშვილის რომანის თარგმანი ორიგინალისაგან განსხვავებით მოკლე წინადადებებით, ელიფსური კონსტრუქციებით გამოირჩევა, რაც აზრის კომპრიმირებას უწყობს ხელს. ამ მინიმალისმით თხრობის შენელება და ემოციურობის მძაფრი განცდა მიიღწევა. ეკვივალენტობა ხან ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლებასა და გადაადგილებას ითხოვს, ხან ტექსტის ქსოვილის თითქმის სრულიად ახლებულ დართვას: სიტყვა *Bewegung* თარგმნილია როგორც ლტოლვა, თუმცა ბუნებრივად ჩაექსოვა თარგმანის ტექსტს. „*Allein stehe ich da, zum ersten Mal, in jeglicher Bedeutung des Wortes: gedanklich, körperlich, seelisch*“. „პირველად ვარ აქ მარტო. **სულ მარტო: სულით ხორცამდე უული**“. წინადადების ელიმინაცია სრულიად ბუნებრივსა და ინტიმურს ხდის მიმართვას: „*Ich sehe dein Gesicht an. Du bist schön*“. „რა ღამაზი ხარ“. ენობრივი ერთეულების ტრანსფორმაცია ემოციის ჰიპერბოლიზაციას იწვევს: „*Es bleibt nur diese ungeheure Nähe, diese Sanftmut*“. – „ეს **უსაზღვრო**, სათუთი **ღტოლვა აღარასოდეს გაქრება**“, „*denn kein Gefühl kann sanft sein, weil Sanftheit in sich schon begreift, dass sie nicht währt, dass sie eine Erscheinung ist, die nadelstichartig auftaucht und sich im Nichts verliert*“ – „გრძობა არ შეიძლება ნაზი იყოს. სინაზე **ხომ უსუსურია, წამიერია** ნემსის ჩხვლეტასავით, და **უკვალოდ ქრება**“. წინადადების ნაწილის განცალკევება და პოსტპოზიციის გადატანა ხაზს უსვამს სიტუაციის დრამატიზმს: „*Und genauso wenig wie das Alleinsein, die Stille, die Fragen, die nach all dem kommen werden, die sich vielleicht in dem Wort Zukunft zusammenfassen lassen, macht mir diese Erkenntnis Angst*“. „**და ამის ცოდნა სულ არ მაშინებს**. ისევე, როგორც არ მაშინებს მარტობა, სიჩუმე, შეკითხვები, რომლებიც აუცილებლად დაისმება ამ ყველაფრის შემდეგ, და რომელთაც ალბათ ერთი სიტყვა „მომავალი“ გააერთიანებს“.

მიუხედავად იმისა რომ მთარგმნელები ლექსიკურ-სემანტიკურ და სინტაქსურ დონეზე ტექსტს შორდებიან და უფრო მეტი თავისუფლებისკენ მიიღტვიან, მაინც ახერხებენ ორიგინალის ეფექტის მიღწევას. თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დღესდღეობით „ორიგინალისადმი ერთგულებას“ ნაკლები ყურადღება ექცევა: „*neuerdings [wird] den literarisch Übersetzenden bezüglich der Originaltreue eine größere Freiheit zugestanden*“ (სნელ-ჰორნბი, 2003: 248 ციტირებულია ველის მიერ 2011, 12).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: რობაქიძე და ხარატიშვილი ორივე ენასა და კულტურაში შინ გრძობენ თავს, თუმცა მთარგმნელისათვის მაინც დიდი გამოწვევაა ორიგინალის ადეკვატური თარგმნა. ორიგინალისა და თარგმანის შედარება საშუალებას იძლევა დავადგინოთ ლინგვისტური მსგავსება-განსხვავებები, ასევე გავეცნოთ ორ სრულიად განსხვავებულ

პოლიტიკურ, სოციალურ-საზოგადოებრივ და კულტურულ კოსმოსს. ეს კოსმოსები მეცნიერთა ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს. ამ ტიპის კვლევები აუცილებელია, რადგან ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი ჯანსაღი კრიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ის ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც თარგმანის წარმატებას ან წარუმატებლობას ობიექტურად განსაზღვრავენ.

ლიტერატურა:

1. Haratschwili, Nino: Mein sanfter Zwilling. Frankfurt am Main: Frankfurter Verlagsanstalt, 2011.
2. Haverkamp, Anselm (Hg.): Die Sprache der Anderen. Frankfurt am Main: Fischer, 1997.
3. Humboldt, Wilhelm: Gesammelte Werke. Band 1. Berlin: Reimer, 1841.
4. Leitzmann, Albert (Hg.): Wilhelm von Humboldts Werke. Übersetzungen. Band 8. Berlin: Behr, 1909.
5. Koller, Werner: Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen: Francke 2011.
6. Robakidse, Grigol: Die gemordete Seele. Roman, Eugen Diederichs Verlag, 2. Aufl., Jena, 1937.
7. Welu, Agnès: Neuübersetzungen ins Französische – eine kulturhistorische Übersetzungskritik. Eichendorffs Aus dem Leben eines Taugenichts. Berlin: Frank&Timme, 2011.
8. რობაქიძე, გრიგოლ: ჩაკლული სული (გერმანულიდან თარგმნა ალ. კარტოზიამ). თბილისი: საქართველო, 1997.
9. ხარატიშვილი, ნინო: ჩემი საყვარელი ორეული (გერმანულიდან თარგმნა ნინო ბურღულაძე). თბილისი: ინტელექტი, 2015.

Рамаз Сванидзе

К вопросу о лингвистических, культурологических и методических аспектах перевода

Резюме

И Робакидзе, и Харатишвили в обеих культурах чувствуют себя, как дома. Хотя для переводчика все-таки имеются трудности. Сравнение оригинала и перевода дает возможность установить лингвистические сходства и отличия, а также ознакомиться с двумя совершенно различными политическими, социально-общественными и культурными космосами. Эти космосы являются настоящими сокровищницами для ученых. Исследования подобного типа необходимы, так как сопоставительный анализ оригинала и переводного текста способствует формированию здоровой критики. Он устанавливает те факторы, которые объективно определяют успех или неуспех перевода.

Ramaz Svanidze**On Linguistic, Culturological and Methodical Aspects of Translation**

Abstract

Robakidze and Kharatishvili both feel at home in language and culture, but it is still a big challenge for the translator to do an adequate translation of the original. Comparison of the original and translation allows to identify linguistic similarities and differences between them, as well as to learn about these two totally different political, social and cultural cosmoses. These cosmoses are a real treasure for scientists. Studies of this kind are necessary, because the contrastive analysis of both the original and translation facilitates the formation of healthy criticism. It establishes the factors that objectively determine the success or failure of the translation.

რეცენზენტი: პროფესორი ს. მუჯირი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ქეთევან შარიქაძე

სოხუმი, საქართველო

დიალექტური ლექსიკა ოტია იოსელიანის თხზულებებში

ოტია იოსელიანის თხზულებებში თვალსაჩინოდ აისახა ქვემოიმერული სათავის დამახასიათებელი ფონეტიკური თუ სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებანი, რომლებსაც მწერალი პერსონაჟთა ხასიათის დასახატად, მათი მეტყველების წარმოსახენად იყენებს. იმერული დიალექტის სიღრმისეულად ჩვენებას შემოქმედი განსაკუთრებით ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ლექსიკის გამოყენებით ახერხებს, რომელშიც რამდენიმე ნაკადი გაირჩევა:

1. დიალექტური ლექსიკა უცხოა სალიტერატურო ქართულისათვის:

ორთაყვირი-სატივე ხოპი: ვურევ წყალში, ვურევ ორთაყვირს(IV,144)

2. მწერალი იყენებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ხმარებიდან გასულია:

ჩაუქი-ცქვიტი: ვინაა ეს ზღაპრული ჩაუქი?(VI, 293)

3. საანალიზო მასალაში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც გავრცელებულია ქვემოიმერულში:

მაკვარანცხი-მოსერხებული: მოგეწონა, შე მაკვარანცხო?(I, 17)

4. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასტურდება სხვა დიალექტებსა (ზემოიმერულში, გურულში, რაჭულში...) და ქართველურ ენებში (სვანურში):

ოტია იოსელიანის თხზულებებში თვალსაჩინოდ აისახა ქვემოიმერული სათავის დამახასიათებელი ფონეტიკური თუ სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებანი, რომლებსაც მწერალი პერსონაჟთა მეტყველების გადმოსაცემად იყენებს. თუმცა იმერული დიალექტის სიღრმისეულ წარმოსახენას შემოქმედი, განსაკუთრებით, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გამოყენებით ახერხებს.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ნაწარმოებთა სწორედ ლექსიკურ ნაწილზე, რაც აშკარად გამოარჩევს მწერალს და ნათლად აჩვენებს ავტორისეული დიალექტის ლექსიკური ერთეულებისა და მათთვის დამახასიათებელი სემანტიკური გადაწვევების სიღრმისეულ ცოდნას.

მწერალი თავის თხზულებებში მეტად მრავალფეროვან ლექსიკას იყენებს. მათში გაირჩევა დიალექტური ლექსიკის რამდენიმე ნაკადი:

1. დიალექტური ლექსიკა მნიშვნელობით უცხოა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის:

ორთაყვირი - სატივე ხოპი: ვურევ წყალში, ვურევ ორთაყვირს (IV,144)

ფიორი - ყოვლის რისამე უმცირესი: დაკარგე ერთი ფიორი ტვინი(I,277)

ქესატად - უფულო: არ მითხრა, ქესატადა ვარო (IV, 18)

უწამაკო - უგემური: ხან აქ გაშლის უწამაკო, უგემურ სუფრას, ხან-იქ (IV,211)

ლოხი - დონდლო: როგორი დიდი, დონდლო, ლოხი ტანისა უნდა იყვნენ (IV,12)

დაორწონებული - ვიწრო: დავადექი აორწონებულ გზას (IV,18)

ალუფხული - აყრილ-დაყრილი: ალუფხულ მტვერში ჩაემხო (II, 6)

დაკონება - დასუსტება: წყალი თუ არ ჩადგა, ააყვითლებს, დააკონებს (I, 58)

მოიქურუხა - დაბნელდა: ცხვირ-პირი მოიქურუხა და ჩაიქირქილა (I,29)

ჩასილადებული - შეიარადებული: კაი ჩასილადებული კაცი ყოფილა (I, 215)

დაოჩინებული - გაჯიუტებული: დაოჩინებული მანქანები ხელით მიუგორეს (III, 94)

დღინი - რჯული, ძალა: ჰაიბ, შენ დღინი და მასაფი (II, 126)

ლეზვი - თხელი დორბლი: ასიცხებისთანავე ავარდათ ლეზვი (I, 169)

2. მწერალი იყენებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოძველებულია და თითქმის აღარ იხმარება მეტყველებაში:

ჩაუქი - ცქვიტი: ვინაა ეს ზღაპრული ჩაუქი? (VI,293)

ხაფი - ძლიერი, მკვახე, რიხიანი: ხაფი ხმა არ გამიგონია (VI,276)

ურვა - დარდი: ამისთვისაა ურვა და კაეშანი (VI,257)

მოისრა - განადგურდა: დაილეწა, მოისრა, გაცამტვერდა (I, 165)

იავარყოფა - განადგურება: მე შევძელი იმოდენა ქვეყნის დაქცევა და იავარყოფა? (II,285)

მიჯნურობა - სიყვარული: წუთისოფლის ჯინაზე თუ გინდა, ვიმიჯნუროთ(III,14)

ძალუძდა - შეეძლო: თითქოს არაფრით დათანხმება არ შეეძლო (III, 54)

უჭვრეტდა - უყურებდა: იქ დარაჯსაც უჭვრეტდა შემპარავად (III, 14)

ეული - მარტოდმარტო: ოთხ კედელში, ეულს, გულადმა მწოლარეს, ვინ გინდა გიპასუხოს? (III, 19)

სახმილი - დარდი, ცეცხლი, ტანჯვა: აქედან მე არ ვაკლებ სახმილს (III, 186)

კარაპანი - წინკარი: კარაპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხმობდა აწივლებულ წიწილებს (I, 155)

დამუნათება - დაყვედრება: გიკრძალავენ, გამუნათებენ, გწყევლიან (I, 279)

3. სანალიზო მასალაში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც, ზოგადად, გავრცელებულია ქვემოთმერულ დიალექტში:

მაკვარანცხი - მოხერხებული: მოგეწონა, შე მაკვარანცხო? (I, 17)

ბუჯერი - დაბალი კარადა: ხმა არ გამიცია, ისე დავიწყე ფათური ბუჯერში (I,45)

კვიუი - სიმინდის პატარა ტარო: მოსატეხად ძნელი იყო კვიუი ტარო (I, 101)

- შიშხათი** - თავსხმა წვიმა: გარეთ შიშხათი წვიმა (I, 31)
- გალიგვებული** - გაყინული: მიჭირს ამ დაქცევაში გალიგვებული კაცის გათბობა (I,169)
- ჯანდაგი** - გამხდარი, მჭლე საქონელი: ჯანდაგი ხარივით თავიდან ნუ მოვიშორებთ (I,234)
- ნაჭა** - შუაცეცხლზე ქვების ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი: შუაცეცხლამდე ჩამოშვებულ ნაჭას მხერა ჩავაყოლე (I, 135)
- ფინჩხები** - ნამცეცები: პირიდან ცივი მჭადის ფინჩხები წამომცვივდა (I,46)
4. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასტურდება სხვა დიალექტებსა (ზემოიმერულ, გურულ, რაჭულ და სხვა) თუ ქართველურ ენებში (სვანურში):
- ჯანდაგი** - გამხდარი, მჭლე საქონელი: ასე ყიდულობენ ჯანდაგ ცხენებს იაფად და აჭმევენ (IV,43)
- ბუჯერი** - დაბალი კარადა: სამზადში შევირბინე და საჭმელი მოვებნე (I,60)
- მორადი** - ყანის მეორედ გათოხნვა: ალაგ-ალაგ ზეგნებზე შეიძებოდა მოროდის დაწევა (I, 75)
- ჩაბაზება** - დამწიფება: ტარო ჩაბაზებას ვერ მოასწრებს (X,90)
- წილადობილა** - წინასიტყვაობა: არ უნდა მაგას წილადობილე (I,63)
- ხალამი** - დიდი ქოთან: ნალიაში სიმინდს რწყავს, ხალამში წველა ყველს ანგარიშობს (III, 84)
- არჯალი** - ანჩხლი, სასირცხვილო: ვერ შექელი, გამომტაცო არჯალს (X,324)
- მუწუხი** - გამაღებული მუშაობის დრო: თუ ნამეტანი მუწუხი საქმე მქონდა (IV,265)

როგორც ვხედავთ, ოტია იოსელიანი პერსონაჟთა ხასიათის ჩამოყალიბების მიზნით, მათი შინაგანი ბუნების საჩვენებლად იყენებს საკმაოდ მდიდარ დიალექტურ ლექსიკურ მასალას, რომელთაგან ნაწილი მხოლოდ მწერლის თხზულებებში გვხვდება და უცხოა სალიტერატურო ქართულისათვის, ნაწილი ლექსიკური ერთეულებისა სხვა დიალექტებშიც ფიქსირდება. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც შემოქმედი სათქმელის უკეთ გადმოსაცემად და მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად საყოველთაო ხმარებიდან გასულ სიტყვებს იყენებს და ახალ სიტყვებს სძენს მათ, რაც მხატვრულ ნაწარმოებებს უფრო მეტ ესთეტიკურ ღირებულებას მატებს.

ლიტერატურა:

1. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბილისი
2. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბილისი
3. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბილისი
4. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. V, თბილისი,
5. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. VI, თბილისი
6. იოსელიანი 2006-ლ. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, თბილისი

7. მ. მიქაძე, დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში, დიალექტოლოგთა რესპუბლიკური 35-ე კონფერენციის მასალები, თბ., 2016
8. ნეიმანი-1953-ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი
9. ლიპარტელიანი 2014-ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
10. ორბელიანი 2013-ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.I, თბილისი
11. ორბელიანი 2013-ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.II, თბილისი
12. ქავთარაძე 1986-ი. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები, თბილისი
13. ძოწენიძე 1974-ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი

Ketevan Sharikadze

Dialektisms in the Novels of Otia Ioseliani

Abstract

In the article we have analyzed the dialektisms in the novels of Otia Ioseliani. There are many facts of dialektisms in his novels, but it is the linguistic sarkasm and they have there linguistic function.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

ცოცხალი - არაცოცხალი სემანტიკური კატეგორიის ლექსიკურ დონეზე გამოხატვა მეგრულში¹

ქართულში, რიგი სხვა ენების მსგავსად არსებობს გრამატიკული კატეგორიები სულიერი და უსულო. სულიერ კატეგორიაში ერთიანდებიან ადამიანები, ცხოველები და ფრინველები. ხოლო უსულო კატეგორია აერთიანებს ისეთ საგნებს, როგორცაა: ხე, ქვა, ბაღახი და სხვ. ქართულში სულიერი კატეგორია უსულოს საკუთარი ძალით მოძრაობის უნარით უპირისპირდება.

მეგრული ენისათვის ამგვარი დაყოფა საკმარისი არ ჩანს. მცენარეს, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ცოცხალ ორგანიზმს, ახასიათებს სამი ძირითადი სასიცოცხლო პროცესი: დაბადება, ზრდა და სიკვდილი. გარდა ამისა მცენარეს გამოეყოფა სქესი და ასაკი; ცოცხალი ორგანიზმის არსებობის შესაფერისად სუნთქავს, იკვებება, ახასიათებს მგრძნობელობა, აქვს თავდაცვის უნარი და მოძრაობს მზის სინათლის მიმართულებით. მარჯუნის პალიპს, წყალმცენარეს, რომელსაც დღეს უკვე ცხოველსაც უწოდებენ შეუძლია გამრავლება, საჭმლის მონელება და ახასიათებს სხვა ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელი თვისებები. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით მოძრაობის უნარი ვერ ჩაითვლება ცოცხალი და არაცოცხალი კატეგორიის განმსაზღვრელად მეგრული ენისათვის.

მეგრული ენისთვის შემოგვაქვს გვაქვს კატეგორიები: ცოცხალი და არაცოცხალი. მცენარე მისთვის დამახასიათებელი სასიცოცხლო ციკლის ქონის გამო ადამიანებთან და ცხოველებთან ერთად ერთიანდება ცოცხალ კატეგორიაში. მცენარესათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო პროცესები ენაში ლექსიკურადაა ასახული, რაც სტატიაში შესაბამისი მაგალითებით არის დამოწმებული.

ქართულსა და რიგ სხვა ენაში არსებობს გრამატიკული კატეგორია - სულიერი/უსულო. შდრ. რუსულში: Одушевленные и неодушевленные существительные (სულიერი და უსულო არსებითი სახელები) ინგლისურში: animate and inanimate nouns (სულიერი და უსულო არსებითი სახელები). ქართულისთვის ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავება მოძრაობის უნარით ხასიათდება. „სულიერი ეწოდება საკუთარი ძალით მოძრავე ცოცხალ არსებებს, როგორცაა:

1 პუბლიკაცია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (სამეცნიერო პროექტი „მოძრაობის სემანტიკური კომპონენტები მეგრულსა და ლაზურში“, №217344).

ადამიანები (ქალი, კაცი, ბავშვი, მუშა, მეზღვე, მოწაფე და სხვ.), ცხოველები (ძაღლი, ხარი, ცხენი, მგელი, ლომი, ირემი და სხვ.), ფრინველები (ჩიტი, ქორი, იხვი და სხვ.), თევზები, მწერები, ქვეწარმავლები. უსულო კი ეწოდება ისეთ საგნებს, რომელნიც მოკლებულნი არიან საკუთარი ძალით მოძრაობის უნარს: ხე, ქვა, ბალახი, ფიცარი, კალამი, სახლი და სხვ.” [შანიძე, 1973: 37-38]. ქართულის მსგავსად სხვა ენებშიც მცენარე მოიაზრება უსულო კატეგორიაში.

ამგვარი დაყოფა მეგრული ენისთვის საკმარისი არ ჩანს. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება: მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესები - სასიცოცხლო ციკლის სისრულე: დაბადება, ზრდა და სიკვდილი², რომლებიც ყველა სულიერს ახასიათებს, ახასიათებს ასევე მცენარესაც და ეს პროცესები ლექსიკურადაა ასახული ენაში [წულაია, 2017: 1]. როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, მცენარე სუნთქავს, იკვებება, ახასიათებს მგრძობელობა (შეხებისას ზოგიერთი მცენარე იკუმშება), აქვს თავდაცვის უნარი, მოძრაობს (მზესუმშირა მზის სინათლის მიმართულებით). მაგრამ, გარდა ამ პროცესებისა, მეგრულში, სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად, მცენარე ენობრივად (ლექსიკურად) დახასიათებულია სქესის კატეგორიით³. გარჩეულია მუშული - „მამალი” და დადული - „დედალი”, იმის მიხედვით ისხამს თუ არ ისხამს ნაყოფს (ან თესლის პარკს). ასეთებია მაგ., დაფი - „დაფნა”, ლაკაცია - „აკაცია”, ლანჯი - „ივანი”. არსებობს ახალგაზრდა/„ჭყინტი” (ჭყინტი სიმინდი - „ახალი სიმინდი”) და ჯვეში - „ძველი”, მოხუცი ხე. მაგ.: ჯვეში ჯალეფი ხინაფილი - „ძველი ხეები გამოფიტული” [ქაჯაია, 2002: 609]. ამდენად, უფრო გამართლებული ჩანს ვილაპარაკოთ არა სულიერ/უსულო, არამედ ცოცხალ/არაცოცხალ კატეგორიაზე.


ცოცხალი და არაცოცხალი კატეგორია მოძრაობის უნარის ქონა/არქონით არ განისაზღვრება. მარჯნის პოლიპს, რომელსაც უკვე ცხოველს უწოდებენ და არა წყალმცენარეს, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს, გააჩნია საჭმლის მომნელებელი სისტემა, შეუძლია გამრავლება და ახასიათებს სხვა დანარჩენი სიცოცხლისთვის აუცილებელი თვისებები.

ცოცხალ და არაცოცხალ კატეგორიებად დაყოფა ემთხვევა აქტიურ და არაქტიურ კლასებად დაყოფას. აქტიურ კატეგორიაში ერთიანდებიან ადამიანები, ცხოველები და მცენარეები, რომლებიც წარმოადგენენ ცოცხალ ბუნებას და რომლებსაც გააჩნიათ სამი ძირითადი სასიცოცხლო ციკლი: დაბადება/გაჩენა, ზრდა და სიკვდილი. ხოლო არაქტიურ კლასში ერთიანდება ის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ მკვდარ ბუნებას, ნივთთა კლასს, რომლებსაც არ გააჩნიათ სასიცოცხლო პროცესები” [გამყრელიძე, ივანოვი, 1984:119].

2 აღმოჩნდა, რომ მცენარეული სიცოცხლე არ შეიძლება გრძელდებოდეს განუწყვეტლივ ერთი და იგივე მიმართულებით; დროგამოშვებით მან უნდა შეწყვიტოს თავისი განვითარება, ხელახლა მიადწიოს თავის საწყისებს, პირველ უჯრედს, იმისთვის, რომ განაგრძოს იგივე გზა ისეთივე თანმიმდევრობით. ერთი სიტყვით, მცენარეთა სიცოცხლეში, ისე როგორც ცხოველთა სიცოცხლეში ჩვენ ვამჩნევთ თაობათა აუცილებელ მორიგეობას, განვითარების სხვადასხვა საფეხურების აუცილებელ მორიგეობას, რომელსაც ჩვენ ხნოვანობას ვუწოდებთ [ტიმირიაშვილი, 1945: 202].

3 საკითხს, თუ როგორ წარმოიქმნება ამა თუ იმ ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში ესა თუ ის სქესი, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ბევრი სასოფლო-სამეურნეო მცენარის ყვავილობის ბიოლოგიიდან ვიცით, რომ უხვი და სრულფასოვანი ნაყოფის მიღება დამოკიდებულია მდედრობითი ყვავილის რაოდენობისა და განვითარების ხარისხზე [ჯოხაძე, 1962: 31]. მდედრობითი ყვავილებს ჩვენ ვუწოდებთ ისეთებს, რომელნიც შეიცავენ მხოლოდ ბუტკო ს, რაც დაყვავილების შემდეგ გადაიქცევა ნაყოფად, მამრობითს ვუწოდებთ ისეთ ყვავილებს, რომელნიც შეიცავენ მხოლოდ მტკრიანებს, რომელნიც იძლევიან განაყოფიერებულ მტკერს, მტკერის მარცალს და დაყვავილების შემდეგ ჭკნებიან [ტიმირიაშვილი, 1945: 202].

მეგრული ენისთვის მცენარე ცოცხალია. ეს მოვლენა ლექსიკურად ენაში ასახულია ზმნის ფორმით ჩანს - „მცენობს“, „ხარობს“, „დგას“... (ქართულში ზუსტი შესატყვისი ძირი შემორჩენილია მხოლოდ ორ ფორმაში – მიმღებური წარმომავლობის მ-ცენ-არ-ე და ზმნა აღ-მო-ცენ-ებ-ა). როგორც კი მცენარე, მაგალითად, ხე მოიჭრება, ანუ კარგავს სიცოცხლეს, ის ნივთთა კლასში გადადის, ამიტომაც სემანტიკურად ითავსებს ზმნას გეძუ - „დევს“.



ენობრივი ერთეულები, რომლებიც აღწერენ მცენარის სიცოცხლეს, მცირეა. ქვემოთ, წამოდგენილია თითქმის ყველა ლექსიკური ერთეული, რომელსაც გადის მცენარე გახმობამდე.

გოპირუა, [გოპირუას] - „აყვავილება, კვირტის გამოტანა“ [ქაჯაია, 2001: 380]. **პირუა** [პირუას] - „კვირტის სხმა, გაფურჩქნა, აყვავილება“ [ქაჯაია, 2002: 485].

(1) გაზარხულს იფრელი გოპირანს - „გაზარხულზე ყველაფერი აყვავილდება“ [ქაჯაია, 2001: 380].

(2) მარტი დოჭყაფილი ვარე დო ჯალეფქ გოპირუ [რესპ.] - „მარტი დაწყებული არაა და ხეები აყვავილდნენ“.

(3) სონ ბაღის რე, პირანცენი თი ჩქიმი მაჭუალი ვარდი! [მასალები, 1971: 25] - „რომელ ბაღშია, რომ ყვავის ის ჩემი მწველი ვარდი!“ [ქაჯაია, 2002: 485].

(4) „კინტირი სიმაღლეშა ვარე უღირი დო პირანს“ [რესპ.] - კიტრი სიმაღლეში არაა წასული და ყვავილობს“.

ხომაფა, ხუმაფა [ხო/უმაფს] - „გახმობა“ [ქაჯაია, 2002: 569].

(1) ვორწყექ, ვარდი ქოხომუნი [ყიფშიძე, 1914:115] - „ეხედავ, ვარდი რომ ხმება“ [ქაჯაია, 2002: 569] .

(2) თე უშკურიშ ჯა მუ ჯგირო მიკმიდანდუ დო მუჭო ხომაფა ქიდიჭყუ [რესპ.] - „ეს ვაშლის ხე რა კარგად ისხამდა და როგორ ხმობა დაიწყო“.

(3) ატამაში ჯას ეაქ გელატირხუ დო გოხომუ [რესპ.] - „ატმის ხეს ტოტი ჩამოტყდა და გახმა“.

(4) ცომურიში ჯინჯიშა არგუნი ქიგუშეკუმაღუნა, ანწი თინა გოხომუ [რესპ.] - „ტყემლის ძირისთვის ნაჯახი დაურტყამთ, აწი ის გახმება“.

გუმოღალა / გიმოღალა (გამოტანა) [გუმოღალას] - „გამოსხმა მცენარის ნაყოფისა“.

(1) წი ჯგირო გაგმიღუ უშკურქ [რესპ.] - „წელს კარგად მოისხა ვაშლმა.“

(2) პამინდორი სიგინძაშა ძინელი ვარე დო გუმოღალა ქიდიჭყუ [რესპ.] - „პომიდორი სიგრძეში წასული არაა და გამოსხმა (ნაყოფის გამოტანა) დაიწყო“.

(3) ართი პარტია ფეისო შხუ-შხულეებს გიმიდანს [რესპ.] - „ერთ პარტია ფეისოს მსხვილ-მსხვილი ნაყოფი გამოაქვს“.

მუკოღალა / მიკოღალა [მუკოღალას] - “გამოსხმა, გამოღება ნაყოფისა”.

(1) თხირს მინშა ჯგირო მუკმულ, მინშა საერთოდ ვამკმულუ [რესპ.] - „თხილი ზოგჯერ კარგად ისხამს, (გამოაქვს ნაყოფი), ზოგჯერ საერთოდ არ ისხამს (გამოაქვს ნაყოფი)” .

(2) ათე სხული მეწანიე რე, ართ წანას ჯგირო გიმიდანს, მაჟია წანას შურო ვამკმიდანს - „ეს მსხალი მეწლეურია, ერთ წელს კარგად ისხამს, მეორე წელს საერთოდ არ ისხამს“.

ფალუა [ფალუნს] - „აყავავილება“, „აღმოცენება“, „გაკვირტვა“, „გაფურჩქნა“, „გახარება“, „აფოთლება“ [ქაჯაია, 2002: 82], ზოგადი შინაარსის შემცველი ლექსემაა, რომელთან ოპოზიციამიც არის ზმნისწინიანი ფორმები: **ეფალუა**, **ეშაფალუა** „მიწიდან ამოსვლა“, „ამოწვევრა მცენარისა“, **გოფალუა** „ფოთლების გაშლა“, „ამწვანება, აყვავება“.

(1) ზოთონჯიში ვარდიცალა ვართი პირანს დო ვართი ფალუნს [ენგური, 1991: 247] - „ზამთრის ვარდივით არც ყვავილობს და არც იზრდება“ [ქაჯაია, 2002: 82].

(2) თე სიტყვეფი ჩქიმ გურს თეში ფალუნდუ, მუჭო ვარდი [სამუშია, 1979: 135] - „ეს სიტყვები ჩემს გულში ისე ყვალდა, როგორც ვარდი“ [ქაჯაია, 2002: 82].

(3) და ჯიმაში სინწარეს გეგენსენი, თექ დოლო ვეფალუნცია (ხალხ. სიბრძნე, 1994: 34) - „სადაც და ძმის სიმწარეს (სიკვდილს) გაიგონებს (გაიგებს), იქ (იმ ადგილას) ბალახი არ ამოვაო“ [ქაჯაია, 2002: 82]

(4) ბულქ გოფალუ, გინორჩიაღებური რე ოზე“ [რესპ.] - „ბალი აყვავდა, გადათეთრებულია ეზო“.

ერთუმა [ერთუმას] - „ამოსვლა მცენარის“, ასევე „ახდომა რაღაცის“. [ქაჯაია, 2001: 556]

(1) ცათეჯგურა სქვამი სუკიშა გეურთუმუ ართი ჯას - „ასეთ ღამაზ ბორცვზე ამოსულა ერთი ხე“ [ქაჯაია, 2001: 556].

(2) ზაფანა ბრელი მაფუდუ თახილი, მარა შურო ვეურთუმუ [რესპ.] - პილპილი ბევრი მქონდა დათესილი, მაგრამ საერთოდ არ ამოსულა“.

(3) ცუდემ უკახალე თხირეფი მაფუდეს რგელი დო ართო ლაკაციებს გეურთუმუ [რესპ.] - „სახლის უკან თხილის ხეები გვქონდა დარგული და მთლიანად აკაციები ამოსულა“.

რთ- ძირიანი ფორმები აორისტს ან წარსულდროიან თურმეობითებს წარმოადგენს მეგრულში.

ეულა [ეულას] - „ამოსვლა“, „აღმოცენება“ [ქაჯაია, 2001: 559].

(1) მუსით თახუნქი, თინა ეურსუ - „რასაც დათესავ, ის ამოვა“ [ქაჯაია, 2001: 559].

(2) სუნელეფი გვიანო ვთახინ მიჩქუდუ დო ეულა ქუდუჭყაფუ [რესპ.] - „სუნელები გვიან დავთესე მეგონა და ამოსვლა დაუწყიათ“.

(3) მაკინდოლქ ეულა ქიდიჭყუ, დუდეფი აფუ ეშაჭოფაფილი [რესპ.] - ოხრახუმს ამოსვლა დაუწყია, თავები აქვს ამოყოფილი“.

ჭირაკუა [ჭირაკუას] - „ჭკნობა ნაყოფის ან ყვავილისა“.

(1) ვარდფი არბა დოჭირაკე [რესპ.] - „ვარდები ყველა დამჭკნარა“.

(2) ცინქ ქუმოხვად დო მანდარინფი არბა ქიმკაჭიროკ [რესპ.] - „ყინული მოხვდა და მანდარინები, ყველა მიაჭკნო“.

ქლირაფა [ქლირაფას] - „ჭკნობა მცენარისა“ [ქაჯაია, 2002: 505]

(1) ოდიარე სინჩხეს ქლირუ - „ბალახი მზეზე ჭკნება“ [ქაჯაია, 2002: 505].

(2) გოცინილი ვარდიცალო სხეულ დგნობქლერაფუე [მასალები, 1971: 54] - „გაყინული ვარდივით სხეული ჭკნება“ [ქაჯაია, 2002: 505].

(1) წყარქ ქეთუდოხოდ ნერგებს დო იშო მაქლირუ - წყალი ჩაუდგა ნერგებს და დააჭკნო.“

(2) ამჭუანი ტყა დოცაღეს დო უკვე ქლირაფილ რე - ამ დილით ბალახი მოთიბეს და უკვე დამჭკნარია.“

რდუალა [რდუალას] - „ზრდა“ [ქაჯაია, 2002: 518]

(1) ოდიარე ართი მარაში წოხლე ცაღეს დო მუშ მამალას მორდელე - ბალახი ერთი კვირის წინ მოთიბეს და რა მალე გაზრდილა“ [რესპ.].

(2) ართო დორონჩხირი ფიმფამი ტარი ჰამო ჭკერჭკინით იჭყანს რდუალას - „მოლად დახუნძლული ფოჩიანი ტარო საამო ჭრიჭინით იწყებს ზრდას“ [ქაჯაია, 2002: 518].

(3) სიმინდი მუჯგირი ხეირებული რდუ დო ტყვაციში უკული იშო მიოტუ რდუალა - სიმინდი რა კარგი გახარებული იყო, და სეტყვის მერე მიატოვა ზრდა.“

ჩანა [ჩანას], **ჩანუა** [ჩანუას], **ჩანაფა** [ჩანაფას] „ბმა“ [ქაჯაია, 2002: 291]

[**გოჩანა**] - „სხმა, ბმა რისამე ნაყოფისა“ [ქაჯაია, 2001: 399]; **მეჩანს**, **ალაჩანს**, **აწოჩანს** - „ასხია, აბია ხეს ნაყოფი“;

(1) მუსხე თხომუეფი ჩანდუ დო არძო მუკვათუნა - „რამდენი თხმელა ესხა, და ყველა მოუჭრიათ“.

(2) აბაშა დო ფუთიშ(ი) შქას მეფორჩილი დუმუ ჩანს - „აბაშა და ფოთს შორის მოლიანად (მიწოლილად) დომი (მცენარე) ხარობს (ცენებს)“ [ქაჯაია, 2002: 29].

(3) სხურს წი მანგარო გოჩანს“ - „მსხალს წელს კარგად ასხია.“ [ქაჯაია, 2001: 399]

(4) ათე მანცქას (ჭანჭური) თიზმა გოჩანს ჟირ ურემს ვაღინე [რესპ.] - „ამ ჭანჭურს იმდენი ასხია, ორი ურემი ვერ წაიდებს“.

(5) მეტებულ ბაღჩას, ჯაღეფს ნამუსით ხილი მეჩანდუნი, დუფართხუნა დო მიდუღალუნა [რესპ.] - „მიტოვებულ ბაღში, სადაც ხეებს ხილი ესხათ, დაუფერთხავთ და წაუღიათ“.

(6) ორტვინიშ ბოლოს, დობერწკუმა ეფუშა ცვალმინთა ალაჩანს - „ბოსტნის ბოლოს უამრავი პიტნა ასხია“.

(7) ცუდეში წოხოლე ართო სკვამი ტატალეფი აწოჩანს - „ჭიშკრიდან მინდვრამდე მოლიანად ლამაზი ყვავილები ასხია“.

ზმნისწინები აზუსტებენ ლოკაციას: **გო-ჩანს** - ასხია გარშემო, **მე-ჩანს** - ზოგადად ასხია, **ალაჩანს** - რაღაცის გვერდით არის აღმოცენებული, ამოსული. **აწოჩანს** - რაღაცის წინ არის აღმოცენებული, ამოსული.

ქართველურ ენათაგან მეგრულის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ენობრივად გამოხატული საგნობრივი ერთეულების სიმრავლის დაყოფა ცოცხალ და არაცოცხალ კატეგორიებად. ცოცხალ კატეგორიაში ყველა სულიერად მიხნეული საგნის გვერდით

ერთიანდებიან მცენარეები, რადგან მათ გააჩნიათ ძირითადი სასიცოცხლო პროცესები: დაბადება/გაჩენა, ზრდა/განვითარება და სიკვდილი; აღნიშნული ფაზები მეგრულში ასახულია ლექსიკურად. მათ ასევე, ახასიათებთ ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავება, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მათ სიცოცხლისუნარიანობას. შესაბამისად, ცოცხალ ორგანიზმთან დაკავშირებული ლექსიკა დინამიკური ანუ აქტიურია.

ლიტერატურა:

- ვინოგრადოვი, ვ., 1953: რუსული ენის გრამატიკა. რუსეთი: სსრკ-ის აკადემის გამომცემლობა.
ტიმირიაზევი, კ., 1945: მცენარის სიცოცხლე. თბილისი: საქმეთგამის სტამბა.
„ქართული ენა“, ენციკლოპედია. 2008. რედ. ი. ქობალავა. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინტიტუტი.
შანიძე, ა., 1973: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
წულაია, ნ., 2017: ცოცხალი და არაცოცხალი კატეგორიის გამოხატვა მეგრულში. სამაგისტრო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ჯოხაძე, დ., „სქესი მცენარეებსა და ცხოველებში“, მეცნიერება და ტექნიკა №1 (1962).

ლიქსიკონები:

- ქაჯაია, ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, (2001), II (2002), III (2002). [სარედ. საბჭო: თ. გამყრელიძე (მთ. რედ.) [და სხვ.]]. - თბილისი: ნეკერი.
ქაჯაია, ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, IV (2009). თბილისი : საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.
ქობალია, ა., 2010. მეგრული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ტიქსტიპი:

- И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. Санкт-Петербург, 1914.
სამუშია, კ., 1971. ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები). თბილისი.
სამუშია, კ., 1979. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშები) თბილისი.
შეროზია, რ., მემიშიში, ო., 1994. ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები. თბილისი.
ჩანავა, ა., 1991 აღმანახი „ენგური“. მეგრული პოეზიის ნიმუშები (თარგმანი), თბილისი.

რესონდენტები:

- მაია გოგუა - 49 წლის. ჩხორაწყუს რაიონი, სოფ. ნაფიჩხოვო.
წულაია ზაური – 50 წლის. ხობის რაიონი, სოფ. ქვემო ქვალონი.
ვასილ საჯაია - 57 წლის. ზუგდიდის რაიონი, სოფ. რუხი.

Нино Цулаиа

**Выражение лексического уровня в семантической категории «живая жизнь»
в мегрельской**

Резюме

На грузинском языке, как и на некоторых других языках, существуют грамматические категории духовных и непревзойденных. В духовной категории люди, животные, птицы и неживые вещи объединены. Духовная категория на грузинском языке сталкивается с возможностью мобилизовать свои силы.

В Мегрельском такое разделение недостаточно. Растение, как и другие живые организмы, имеет три основных жизненных процесса: рождение, рост и смерть. Кроме того, растение будет разделять пол и возраст; Как живой организм, дышите, дышите. Чувствительность характеризуется. Коралловый многоугольник, который теперь называется животным, может размножаться, переваривать пищу и характеризовать другие важные свойства. Из-за этого способность движения не может считаться в мегрельском, чтобы определить живую и неживую категорию.

Вот категории: живые и безжизненные. Завод сочетается с людьми и животными в живой категории благодаря своему характерному циклу циклирования. Важнейшими процессами, характерными для растения, являются словарный запас на языке, который подтвержден соответствующими примерами в статье.

Nino Tsulaia

Expressing the lexical level in the live-to-life semantic category in Megrelian

Abstract

In Georgian, as in some other languages, there are grammatical categories of spiritual and unsurpassed. In the spiritual category, people, animals, birds, and non-living things are all united. The spiritual category in Georgian is confronted with the ability to mobilize its own strength.

In Megrelian such division is not enough. The plant, as well as other living organisms, has three basic vital processes: birth, growth and death. In addition, the plant will divide gender and age; Like a living organism, breathe, breathe. Sensitivity is characterized. The coral polygon, which is now called animal, can multiply, digest food, and characterize other vital properties. Because of this the ability to motion can not be considered in the Megrelian to determine the living and non-living category.

Here are the categories: live and lifeless. The plant is combined with humans and animals in the living category due to its characteristic cycling cycle. The vital processes characteristic of the plant are vocabulary in the language, which is certified by the relevant examples in the article.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ქაცარავა

კონცეპტები "ახალგაზრდობა" და "სიბერე" იტალიურ და ქართულ პარემიებში

ნაშრომი ეხება იტალიური და ქართული პარემიების შეპირისპირებით ანალიზს, რომლებიც შეიცავენ კონცეპტებს «ახალგაზრდობა» და «სიბერე». შეპირისპირებითი კვლევის მიზანია აღნიშნულ კონცეპტთა ლინგვოკულტურულ-ნაციონალურ სპეციფიკათა გამოვლენა იტალიურ და ქართულ ენებში.

ნაშრომი ეხება იტალიური და ქართული იმ პარემიების შეპირისპირებით ანალიზს, რომლებიც შეიცავენ კონცეპტებს «ახალგაზრდობა» და «სიბერე». შეპირისპირებითი კვლევის მიზანია აღნიშნულ კონცეპტთა ლინგვოკულტურულ-ნაციონალურ სპეციფიკათა გამოვლენა იტალიურ და ქართულ ენებში. კონცეპტი გამოიყენება როგორც ლინგვოკოგნიტიური, ფსიქოლინგვისტური, ლინგვოკულტურული, ფილოსოფიური და ლინგვისტური ცნება. ჩვენს ნაშრომში კონცეპტი წარმოდგენილია, როგორც კოლექტიური ცოდნა/ცნობიერების (მიმართული მაღალი ფასეულობებისაკენ) ერთეული, რომელსაც აქვს ენობრივი გამოხატულება და გააჩნია ეთნოკულტურული სპეციფიკა. ასაკის კონცეპტი (ბავშვობა, ახალგაზრდობა, სიბერე) განეკუთვნება სამყაროს სურათის საბაზო კონცეპტებს და ფლობს მნიშვნელოვან შემფასებლურ პოტენციალს. ასაკი - უნივერსალური მოვლენაა, რადგან ადამიანები იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან და გარდაიცვლებიან, მაგრამ ყოველივე ეს თითოეულ კულტურაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, რადგან ასაკი სოციალურ კატეგორიასაც წარმოადგენს. ძირითადი ასაკობრივი ოპოზიციის («ახალგაზრდობა – «სიბერე») მიმართ დადებით და უარყოფით შეფასებათა განსაზღვრა არ არის უნივერსალური სხვადასხვა კულტურებში და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში. კონცეპტი შეიძლება ვერბალიზებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებებით, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ პარემიები. ენის პარემიოლოგიურ ფონდში შემონახულია ეთნოსის ცნობიერებისათვის ჩვეული სპეციფიკური ნიშნები. პარემიოლოგიურად ასახული ცოდნა, წარმოდგენილი ცალკეულ

ენობრივ სისტემებში, ეყრდნობა კონკრეტულ ეთნოკულტურათა ერთობის შემადგენელ ადამიანთა ყოველდღიურ გამოცდილებას, ტრადიციებს, ჩვევებსა და რწმენებს. კონცეპტების «ახალგაზრდობისა» და «სიბერის» კვლევის სისრულის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გაგანალიზოთ ამ კონცეპტთა პარემიოლოგიური რეალიზაციები. როგორც წესი, პარემიებს განეკუთვნება ანდაზები და თქმები. ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა «ახალგაზრდობისა» და «სიბერესთან» დაკავშირებულ აზრთა და განსჯათა კომპლექსი იტალიურ და ქართულ პარემიებში და ამ ანალიზის საფუძველზე გამოვვევინა ამ კონცეპტთა ადგილი და მახასიათებლები იმ ხალხთა ცნობიერებაში, რომლებიც ლაპარაკობენ ამ ენებზე. ნიმუშები, რომელთაც ეყრდნობა ჩვენი კვლევა, ამოღებულია იტალიური და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან და ანდაზათა და თქმათა კრებულებიდან.

კონცეპტების «სიბერისა» და «ახალგაზრდობის» ფასოვან მნიშვნელობათა გამოსავლენად გამოვიყენეთ შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი, რის მიხედვითაც დავაფიქსირეთ პარემიები, რომლებიც შეიცავენ ლექსემებს «**ახალგაზრდობა/სიყმაწვილე**» «**gioventù/ giovinezza**» და «**vecchiaia/ vecchiezza**» «**სიბერე**».

იტალიური და ქართული ენების პარემიოლოგიურ ფონდებში აღმოჩნდა დაახლოებით 80 ანდაზა და თქმა, რომლებიც ეხება სიბერის ფიზიკურ და ზნეობრივ მახასიათებლებს. ამ ერთეულთა ანალიზმა გამოავლინა, რომ მათში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ ის ანდაზები და თქმები, რომლებიც გამოხატავენ დადებით და უარყოფით დამოკიდებულებას ამ ასაკისადმი:

1. იტალიურ ანდაზათა იმ ჯგუფში, რომლებიც გამოხატავენ დადებით შეფასებას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სიბერე წარმოადგენს ფასეულობასა და სიმდიდრეს; თითოეულ ოჯახში უნდა იყოს მოხუცი ადამიანი; სიბერე ახალგაზრდობაზე ძვირფასია: **val più l'ombra di un vecchio, che la presenza d'un giovane, val più un vecchio in un canto che un giovane in un campo, guai a quella famiglia che non ha vecchi per molto senno e per età.**

2. სიბერე აღიქმება როგორც ადამიანის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც უნდა პატივი და თაყვანი ვცეთ, რადგან მოხუცი ადამიანი ფასდაუღებელი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სიბრძნის მქონეა: **: molto più fanno gli anni che i libri; credi agli anni, Dio e vecchi si devono onorare, è bello invecchiare dove si onorano i vecchi, la vecchiaia ha per compagna l'esperienza.**

3. ყველა ადამიანი შეიძლება იყოს ახალგაზრდა, მაგრამ ყველანი ვერ აღწევენ სიბერის ასაკამდე, ამიტომაც სიბერე – სასურველი ასაკია. ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ იტალიურ პარემიათა გარკვეული რაოდენობა შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმისათვის, რომ ადამიანმა დიდხანს იცოცხლოს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის გაფრთხილება: **la vecchiaia è da ognun desiderata, quando s'acquista viene disprezzata/odiata, la vecchiaia è una malattia di cui bisogna morire.**

4. გარდა სიბრძნისა, მოხუცი ადამიანი ფლობს სხვა თვისება-ღირსებებსაც: მან იცის ფულის ყადრი, იცის როგორ გამოიყენოს იგი; მოხუც ადამიანს ახასიათებს სიფრთხილე და კეთილგონიერება, ის არ ჩაიდენს დაუფიქრებელ საქციელს: **il vecchio è avaro perché sa ciò che costa il denaro; tutto cala in vecchiezza, fuorchéavarizia, prudenza e saviezza.**

მიუხედავად ყოველივე ამისა, სიბერე არ აღიქმება მხოლოდ აბსოლუტური პოზიტიური

აზრით. იტალიური ენის 17 პარემია ხაზს უსვამს სიბერის უარყოფით მხარეებს.

5. სიბერისას ჯანმრთელობა და ფიზიკური ძალა სუსტდება: **la vecchiaia viene con tutti i malanni; con gli anni vengono gli affanni; nella vecchiaia, la vita pesa e la morte spaventa; uomo vecchio, ogni di malanno nuovo.** მოხუცი ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები რეგრესირდება და სუსტდება, ზოგჯერ თითქოს ბავშვობაში ბრუნდება: **il vecchio rimbambisce, il giovane impazzisce; vecchio che non indovina, non vale una sardina; vorrebbe il vecchio ringiovanire, ma ciò che gli riesce è rimbambire.** სიბერე ცუდია თავისი გარდაუვალობით, არავინ რჩება მუდმივად ახალგაზრდად და სიბერესთან ერთად ახლოვდება სიკვდილიც: **chi è vecchio e non lo crede, al saltar della fossa se n'avvede; tre cose entrano in casa senza chiamarle: vecchiaia, debiti e morte; de' giovani ne muor qualcuno, de' vecchi non ne campa niuno.**

6. იტალიურ ენაში არსებობს პარემიები, რომლებიც გადმოსცემენ, რომ « დრო (ასაკი) – ტვირთია »: **avere/sentirsi molti anni addosso; gli anni pesano/l'età pesa; gli anni si fanno sentire; grave/carico d'anni; portare il peso degli anni, portare bene i propri anni, il peso degli anni è il maggior peso che l'uomo possa portare.**

7. მოხუც ადამიანს უსუსტდება ოპერატიული მეხსიერება და უძლიერდება ე. წ. ავტობიოგრაფიული მეხსიერება. შორეული წარსულის მოგონებები ცხადადაა წარმოდგენილი და მოხუცს ძალიან უყვარს მათი თხრობა. მოხუც ადამიანს ჭირდება ოჯახური კერის სიბოლო და სიყვარული. მოხუც ადამიანს უყვარს ღვინო ისე, როგორც ბავშვს – რძე: **al vecchio non manca mai di raccontare né al sol né al focolare; il vecchio vuole tre c: comodità, caldo, carezze; i vecchi stanno male senza calore/ senza fuoco; il vino è il latte dei vecchi.**

იტალიური ენისაგან განსხვავებით, სადაც ასახულია დადებითი დამოკიდებულება “სიბერისადმი” და “მოხუცებული ადამიანებისადმი”, ქართულ ენაში, სიბერესთან დამოკიდებულ პარემიათა დიდი რაოდენობა უარყოფით შეფასებას შეიცავს:

1. სიბერე აღიქმება ავადმყოფობისა და ფიზიკური უძლიერების მდგომარეობად; მახინჯდება ადამიანის სხეული – თმები და კბილები სცვივა, ჯანმრთელობა უარესდება: **სიბერემდე სიქაჩლეო ; სიბერე ძნელი ყოფილა სიპ ქვასაც შეეწონება.**

2. სიბერეში ადამიანს არა მარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი უნარებიც უსუსტდება, ბავშვად იქცევა: **სიბერემორეული ბაღღს ემსგავსებაო; ბებერი კაცი ბაღღსა ჰგავს; ბებერი კაცი ყმაწვილს ჰგავს; სიბერეს სირეგენემდე მიჰყავს კაციო.**

3. სიბერეში იგრძნობა პესიმიზმი, მომავალი აღარ არსებობს, მხოლოდ სიკვდილია მოსალოდნელი: **სიბერეში სიკვდილი კარზე აკაკუნებსო; სიბერე სიკვდილის მიმწუნხრიაო.**

კვლევის დროს გამოვლინდა ისეთი პარემიებიც, რომლებშიც ჩანს სიბერის დადებით მხარეები:

4. ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრება განვლო, მდიდარია გამოსცდილებით, ბევრი რამ იცის და ბევრის სწავლება შეუძლია, იგი ბრძენია: **ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო; კაცს სწავლა სიბერემდის არ მოსჭარბდებაო; სწავლა სიბერემდეო [stsavla siberemdeo].**

5. მართალია, სიბერე აღიქმება სისუსტითა და ავადმყოფობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ადამიანი სიბერეშიც კი მხნედ იყოს, კარგ ფორმაში იყოს და ახალგაზრდული სულიც შერჩეს: **თმები – ჭადარა, სული – ახალგაზრდა; მოხუცია, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას ჯობია.**

6. სიბერის დადებითი შეფასება ჩანს ისეთ პარემიებში, რომლებიც მოუწოდებენ ხანშიშესულთა პატივისცემას: **ნუ დასცინებ მოხუცს, შენც დაბერდებიო; მწიფეს ესროდნენ, მკვასხე ცვიოდაო; არც შენ შეგრჩება ერთი დრო, დაიცა, გიწვევს სიბერე.**

ქართულ ეთნოსში, “ახალგაზრდობა” აღიქმება უფრო მეტად პოზიტიურად, ის ასოცირდება სილამაზესთან, ჯანმრთელობასთან და ფიზიკურ ძაღასთან, იწვევს ოპტიმიზმს და ნერგავს იმედს უკეთესი მომავლისაკენ.

იტალიურ ეთნოსში კი, “ახალგაზრდობა” განიხილება ორგვარად: ან – ადამიანის განვითარებისა და გაფურჩქვნის ხანად, ან – არასრულყოფილების ფაზად, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ არაა მომწიფებული და არა აქვს გამოცდილება. თუმცა აღსანიშნავია, რომ “ახალგაზრდობისა” და “სიბერის” დადებითი და უარყოფითი შეფასება დაკავშირებულია ერთი და იმავე კონცეპტის სხვადასხვაგვარ გააზრებასთან ადამიანთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

ლიტერატურა:

Nicola Zingarelli, Vocabolario della lingua italiana, Milano, 2016.

Fernando Palazzi, Novissimo dizionario della lingua italiana. Etimologico, fraseologico, grammaticale, ideologico, nomenclatore e dei sinonimi, Milano, 1973.

T. Sakhokia, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 2007.

Maia Djidzava, Tsiuri Akhvlediani

Концепты “молодость” и “старость” в паремиях итальянского и грузинского языков

Резюме

Статья посвящена концептам “молодость” и “старость” на материале итальянского и грузинского языков. Сопоставительный анализ паремий проводится с целью выявления лингвокультурно-национальных специфик этих концептов.

Maia Jijava, Tsiuri akhvlediani

Concepts “youth” and “Old” in Georgian and Italian languages

Abstract

The article is devoted to the concepts of "youth" and "old age" on the material of the Italian and Georgian languages. A comparative analysis of paremiias is carried out in order to identify the linguocultural and national specifics of these concepts.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მეგრელიშვილი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ზურაბ არჩვაძე

ქუთაისი, საქართველო

მხატვრული ტექსტი - სხვადასხვა მოხმარების პროდუქტი

მხატვრული ტექსტის, როგორც პროდუქტის მიმართ დამოკიდებულების შედეგს განსაზღვრავს თუ ვინ არის მომხმარებელი: ჩვეულებრივი მკითხველი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, მწერალი თუ ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენელი.

მომხმარებელი პროდუქტის შედეგად პირველ ორ შემთხვევაში ვიღებთ ერთ შედეგს - მომხმარებელი პროდუქტი არ იცვლება, დანარჩენ სამ შემთხვევაში მომხმარებელი პროდუქტი ნაწილობრივ იცვლება.

მხატვრული ტექსტი, მუდამ არარსებული (ვიდრე მკითხველი არ წაიკითხავს) და მუდამ არსებული (როცა მკითხველი კითხულობს) მოცემულობაა.

თავისი არსით იგი ფიქციის ნაყოფია, რაც განსაზღვრავს მის ღირებულებას.

თავისთავად, მხატვრული ტექსტი, კოსმიურია, უკიდევანოა მისი „შიგთავისი“, რაც ასე კარგად სჩანს და იგრძნობა მისი ინტერპრეტაციის დროს.

მხატვრულ ტექსტს, როგორც ლიტერატურულ პროდუქტს, ჰყავს თავისი მომხმარებელი, რომელთაგან მხოლოდ ძირითადებს აღვნიშნავთ:

1. ჩვეულებრივი მკითხველები.
2. ლიტერატურათმცოდნეები.
3. მხატვრული ტექსტის მთარგმნელები.
4. საკუთრივ მხატვრული ტექსტის ავტორები (მწერლები ფართო გაგებით).
5. ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები (მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკეები, კინორეჟისორები და ა. შ.).

ყველა კატეგორიის მომხმარებელი ამ პროდუქტს თავისი ინტერესების შესაბამისად მოიხმარს, თუმცა არსებობს გარკვეული კანონზომიერებები, რაც ამ ინტერესთა კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

1. ჩვეულებრივი მკითხველი მხატვრულ ტექსტს კითხულობს:

- მხოლოდ „წასაკითხად“.
- მხოლოდ „გასართობად“.
- ერთდროულად წასაკითხად და გასააზრებლად.

- არსებობენ „მკვდარი“ მკითხველებიც,რომლებიც მხოლოდ ავტორს,სათაურს,მოცულობას იმახსოვრებენ,ან უკეთეს შემთხვევაში „გადაურბენენ“ ხოლმე მხატვრული ტექსტის მთლიან სივრცეს.

დონეების შესაბამისად სხვადასხვანაირად აღიქმება და ფასდება ეს პროდუქტი, რაც არავითარ გავლენას ახდენს თვით ამ პროდუქტის თვითღირებულებაზე.

2. ლიტერატურათმცოდნეები პროფესიული ინტერესებით უდგებიან მოცემულ რეალობას. ისინი მხატვრული ტექსტის, როგორც პროდუქტის მიმართ, განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ: ზოგი ლიტერატურულ ტექსტზე კონცენტრირდება, ზოგი კი კონტექსტებზე ამახვილებს ყურადღებას (ბიოგრაფია, ლიტკულტურა, გონებრივი ისტორია, რეცეფცია...) მთავარია, მხატვრული ტექსტის ბაზაზე დაყრდნობით ისინი იკვლევენ მთელ რიგ საკითხებს და ქმნიან მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, მიმდინარეობებს და ა. შ.

მათი შრომა ფუჭი არ არის, გარკვეულ ეტაპზე ღირებულია (რადგან სხვა დრო სხვა მიდგომებს მითითებს უთუოდ), მაგრამ მთავარია, რომ მათი „ჩარევა“ მხატვრული ტექსტის სივრცეში, თავისთავად აღებული, არაფერს ცვლის, ის სივრცე ისეთივე რჩება - არის პროდუქტი, რომელსაც ჰყავდა, ჰყავს და კვლავ ეყოლება სხვადასხვა ჯურის მომხმარებელი.

3. მთარგმნელთა კატეგორია ყველაზე „ხშირი“ მომხმარებელია აღნიშნული პროდუქტის. თარგმანის ინდუსტრია, როგორც მსოფლიო ლიტერატურის წინაპირობა და ევროცენტრიზმის კრიტიკა (რომლის მიზანია ნაციონალურ-ლიტერატურული საზღვრების მოშლა გლობალიზების დროში) ბუნებრივად მითითებს ამ პროდუქტის მრავალჯერად მოხმარებას (სხვადასხვა ქვეყნებში ითარგმნება ერთი და იგივე ნაწარმოები გარკვეული სიხშირით) რაც იწვევს ერთი მხატვრული ტექსტის მრავალი ვარიანტით გაჩენას. ეს ვარიანტები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან საწყისი პროდუქტისაგან, რადგან თითოეული მთარგმნელი საკუთარი პოზიციებიდან (დღეისათვის ძალზედ მომრავლდა თარგმანის თეორიები) და თავისი ფსიქო-კოლტურული მონაცემებიდან გამომდინარე თარგმნის. თარგმანი, როგორც ძველისა და ახლის ერთობლივი ნაზავი, ცხადია, ვერ ინარჩუნებს პროდუქტის თავდაპირველ თვითღირებულებას (ეს ხომ შეუძლებელია, დედანი და თარგმანი ვერასდროს დადგება თანაბარ სიბრტყეზე).

4. თავად პრაქტიკოსი მწერლები ხშირად მოიხმარენ სხვა ავტორთა მხატვრულ ტექსტებს. ისინი ამ პროდუქტს შემოქმედებითად, ყოველგვარი წესების დაცვისა და შეზღუდვის გარეშე უდგებიან. ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია მრავალ ისეთ ფაქტს იცნობს, როცა ერთი მხატვრული პროდუქტი „გადამუშავებულია“ სხვა ახალ პროდუქტად, რომელიც აუცილებლად იმეორებს პირველწარსს. ვთქვათ, თუ ავიღებთ ლიტერატურული ურთიერთობის ნასესხობა-გავლენის ფორმას, დავინახავთ, რომ ეს „გადამუშავებული“ პროდუქტი საგრძნობლად ატარებს პირვანდელის „სუნსა“ და „გემოს“, ის აუცილებლად ძველ პროდუქტად რჩება კომპოზიციურ-სტრუქტურული (აქ შევა ყველა სპექტრი, რომელსაც იშველიებს მხატვრული ტექსტი - ფსიქოლოგია, პოლიტიკა, ფილოსოფია, ეკონომიკა და ა. შ.) თვალსაზრისით, მაგრამ

იქნება მაინც ახალი პროდუქტი. ამ ახალი პროდუქტის „მეორე სიცოცხლის“ (სხვადასხვა დონეზე) აღმოაჩინა მხოლოდ საამისოდ მომზადებულ მომხმარებელს შეუძლია.

ვთქვათ,თუ ავიღებთ ვოლტერის ტრაგედია „ზაირას“,მხოლოდ ის მომხმარებელი აღმოაჩენს „გადამუშავებულ პროდუქტს“,ვინც კითხვის მომენტისათვის უკვე იცნობს შექსპირის ტრაგედია „ოტელოს“. ორივე ტრაგედიას ხომ ერთი აქვს ძირითადი სტრუქტურული საყრდენები:

1. უცხოელი ბარბაროსი (მავრი ოტელი - მუსულმანი ოროსმანი)

2. დეზდემონა და ზაირა „გაორებული“ გმირი ქალები არიან - მამების ინტერესები თუ პირადი გრძნობები?!

3. ტრაგედიების ღერძს ეჭვიანობის კატეგორია წარმოადგენს.

4. ორივეში კონტექსტი ეგზოტიკურია.

5. მამები უარყოფენ გრძნობის კატეგორიას, ასევე, ორივე კვდება.

6. ორივე ტრაგედია აგებულია ღირსების კატეგორიის საფუძველზე.

გავლენა-სესხების გზით შექმნილი მხატვრული ტექსტი „გაორებული“ პროდუქტია, მასში შესაბამისი დოზებით დევს როგორც ახალი, ასევე ძველიც.

5. ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები - მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკეები, კინორეჟისორები და ა. შ. - მხატვრულ ტექსტს, როგორც პროდუქტს, მოხმარენ თავიანთი დარგისთვის მიღებული საშუალებებით (შესაბამისად ბგერა, ფერი, საგანგებო მასალა, კადრები და ა. შ.) და ქმნიან ნაწილობრივ ახალ პროდუქტს, რომელიც შინაარსით ძველის იდენტურია, გამოსატვის ფორმით კი რადიკალურად განსხვავებული.

თუ ზემოთნათქვამს გავაანალიზებთ და შევეცდებით სისტემური კავშირი დავამყაროთ მხატვრული ტექსტის, როგორც მოხმარების პროდუქტის ნაირსახეობებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

იმ დროს, როცა მხატვრული ტექსტის მომხმარებელი არის ჩვეულებრივი მკითხველი და ლიტერატურათმცოდნე, მხატვრული ტექსტი, როგორც მოხმარების პროდუქტი, საერთოდ არ იცვლება.

იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი მთარგმნელია, მიღებული ახალი პროდუქტი, ძველისა და ახლის ერთობლივი ნაზავი, ვერ ინარჩუნებს პროდუქტის თავდაპირველ ღირებულებას.

როცა პრაქტიკოსი მწერალი ამა თუ იმ სახით იყენებს სხვა მწერლის მხატვრულ ტექსტს, ახალი პროდუქტი გვეძლევა „გადამუშავებული“ სახით, რაც არ წარმოადგენს ძველი პროდუქტის ტოლ ღირებულებას.

ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ მოხმარებული მხატვრული ტექსტი გვაძლევს გამოსატვის ფორმის ახალ, მაგრამ შინაარსით უკვე ნაცნობ ძველ პროდუქტს.

ლიტერატურა:

1. ველეკი რენე, DOC. ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთი ცნება. თარგმნა გერმანულიდან გიორგი კეკელიძემ.
2. ვოლტერი Voltaire, Zaïre, 1986.
3. შექსპირი Shakespeare. Othélo ou ye More de Venise. B élec. du Québec.

Зураб Арчвадзе**Текст функции - продукт различных расходных материалов**

Рнезюме

Результат художественного аспекта продукта зависит от того, кто является пользователем: обычного читателя, литературного критика, переводчика, писателя или представителя других искусств.

В первых двух случаях в результате продукта клиента один продукт не изменяется - клиент не меняет продукт, а в остальных трех случаях клиентский продукт частично изменяется.

Zurab Archvadze**Feature text - product of various consumables**

Abstract

The outcome of the artistic aspect of the product depends on who is the user: ordinary reader, literary critic, translator, writer or representative of other arts.

In the first two cases as a result of the customer product, one product is unchanged - the customer does not change the product, in the remaining three Feature text - product of various consumables

რეცენზენტი: პროფესორი ზ. ვალიევა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

სოფიკო გვარამაძე

ახალქალაქი, საქართველო

ნიკო ლორთქიფანიძის „უკვდავება“ და აჯაჯი წერეთლის
„აღმართ-აღმართ“ - ლიტერატურული პარალელები

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „უკვდავება“ ერთი შეხედვით, მოგვაგონებს აკაკის ცნობილ ლექსს „აღმართ-აღმართ“. ორივე ტექსტში აღმართს დაღმართი ენაცვლება, რაც სიმბოლურად ცხოვრების მოდელად შეიძლება გავიაზროთ. ნ. ლორთქიფანიძის ნოველაში ადამიანი მთის თხემიდან დაბლა ეშვება. ადამიანი (ნ. ლორთქიფანიძესთან) და ლირიკული გმირი (აკაკისთან), ცდილობენ სულიერ სრულყოფილებას მიაღწიონ, თუმცა ორივესთვის მიწა ყოფითია, მასთან კავშირი არაა გაწყვეტილი. ადამიანი, თავისი მრავალმხრივი აღმართ-დაღმართიანი ცხოვრებით, ცოდვითა და უცოდველობით, სიკეთითა და ბოროტებით ღვთის უდიდესი სატკივარია, ღვთის სიყვარულს და შემწეობას ადამიანი ცხოვრების აღმართსა და დაღმართზე ერთნაირად გრძნობს. და მაინც რა არის უკვდავება? ამას თავად ლორთქიფანიძის ტექსტი გვკარნახობს. თვით უფალია უკვდავება.

ნიკო ლორთქიფანიძის დიდებული ნოველა „უკვდავება“ ერთი შეხედვით, მოგვაგონებს აკაკის ცნობილ ლექსს „აღმართ-აღმართ“. ორივე ტექსტში აღმართს დაღმართი ენაცვლება, რაც სიმბოლურად ცხოვრების მოდელად შეიძლება გავიაზროთ, უფრო მეტიც, ორივე პოეტის ქმნილება ბიბლიური არქეტიპის მქონეა. ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაში ადამიანი მთის თხემიდან დაბლა-დაბლა ეშვება. ალბათ, მიწასთან უფრო მეტი საერთო აქვს: „მთის თხემიდან ადამიანი დაბლა-დაბლა მოდიოდა. თმაგაწეწილი იყო, ფეხშიშველი, ავადმყოფი. მაინც უხაროდა, რომ მწვერვალის ნისლსა და ბურუსს განშორდა და ამაყად ადგამდა ფეხს: სიამოვნებით უყურებდა განათებულს, ცოცხალ სოფელ-ქვეყანას“. უფალი კი ამ დროს დაღლილი აღმართს მიუყვება. საინტერესო, მრავლისმთქმელი და სიმბოლურია მათ შორის გამართული საუბარი. რაც შეეხება აკაკის, მისი ლექსიც სწორედ ამგვარ პასაჟებს შეიცავს, თუმცა მსგავსებაზე, მეტი ალბათ განსხვავებაა.

საინტერესო მოსაზრება აქვს ლორთქიფანიძის პერსონაჟს - ადამიანს სიკვდილთან დაკავშირებით, რომ იგი საჭიროა, მარადჟამს არსებობას კი მომაბეზრებელია. თითქოს ადამიანი კმაყოფილია იმით, რომ მოკვდავია: „შენი ბედი მანუგეშებს, შენ ჩემზე უბედური ხარ“. რატომღაც ნოველის ბოლომდე ადამიანი საუბრობს მხოლოდ, უფალი კი უსმენს. დასასრულს კი უფალი განაწყენებული აგრძელებს გზას, კვლავ „აღმართ-აღმართ წავიდა“.

აქეთ ლორთქიფანიძე და იქით აკაკი თავიანთი გენიალური ქმნილებით, რომლებიც თითქოსდა ჩამოჰგავს ერთურთს და თითქოსდა განსხვავდება კიდევ. მსგავსება-განსხვავება მეტ-ნაკლები მონაცვლეობით ყველგანაა, თუმცა ჩემი მოკრძალებული აზრია ის, რომ ორივეგან ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაა, ორივეგან სულიერი სრულყოფილების გზა მოიაზრება. ადამიანი (ნ. ლორთქიფანიძესთან) და ლირიკული გმირი (აკაკისთან), ორივე ცდილობს სულიერ სრულყოფილებას მიადწიოს, თუმცა ორივესთვის მიწა ყოფითია, მასთან კავშირი არაა გაწყვეტილი, თუმცა განსხვავებები უფრო მეტია. „აკაკი სატრფოს სახეში სამშობლოს ხედავს“ „სატრფო ქართული ლიტერატურის ტრადიციული კოღია, რომანტიკოსთა მიერ დამკვიდრებული. აკაკი ამ კოდს ხშირად იყენებდა თავის პოეზიაში. ეს კითხვა გამოუჩინებლახავით არის. იმ სიმაღლეზეც კი ბოლომდე არ დავიწყებია ერის ბედი და მის წინაშე საკუთარი მოვალეობა. კი გადაწყვიტა, რომ განდგომოდა ცხოვრების ჭაობს და მხოლოდ საკუთარი სულის გადარჩენაზე ეფიქრა, მაგრამ "მიწამ" არ მოასვენა. პოეტმა "მარტო კაცად" ვერ შეძლო სიცოცხლე. ვერ დაივიწყა ქვეყანა, საზოგადოება, მოყვასი, ვერ მოიშორა ფიქრი სატრფოზე – მამულზე, რომელსაც ხან "ნისლი ჰპურავს" და ხან "დღე უდგას სადარი", მწვერვალზე ასულს არ დავიწყებია სამშობლოს გასაჭირი" (მ. ჯალიაშვილი).

აკაკის ლირიკული გმირი თავად ავტორია. ლორთქიფანიძესთან კი ადამიანის ზოგადი სახეა შექმნილი, რომელიც აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, რა არის სიკვდილი? რატომ არსებობს იგი? ეს ის მარადიული სამსჯელო-საკამათო საკითხებია, უფრო კითხვებია, რომელთა პასუხებიც არაერთხელ გაუდერებულა ლიტერატურაში. რატომღაც პირველი გოდერძი ჩოხელი მახსენდება. „სიკვდილი ვალია. უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი“. აკაკიმაც და ნიკო ლორთქიფანიძემაც პირნათლად მოიხადეს თავიანთი ერისკაცული ვალი, შთამომავლობას სამწერლო მოღვაწეობის დიდებული კვალით დაამახსოვრეს თავი.

როგორც მ. ჯალიაშვილი შენიშნავს, აკაკის ლექსში „პოეტი ფიქრობს, რომ სჯობს, თავის ქვეყანასთან ერთად დაეშვას დაღმართზე, ვიდრე მის გარეშე აღმართზე ბედნიერება მოიპოვოს. მან იცის, რომ გზა, რომელსაც მისი ქვეყანა ადგას, ცისკენ, მზისკენ არ მიიმართება, არამედ სიბნელისაკენ, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავს: „იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით/ბარით, ნინბით, კუბოთი და ლოდებით" (მ. ჯალიაშვილი). ლორთქიფანიძის პერსონაჟი-ადამიანი კი მთის თხემიდან მოემართება დაბლა, მიწისაკენ, შესაძლოა აქ ადამის სახეც მოვიზროთ. ძველი აღთქმის თანახმად, „ადამი და ევა სამოთხეში სულითა და ხორციით მყოფობდნენ. ისინი არა მარტო უკვდავები იყვნენ, არამედ იდგნენ სიცოცხლის კარიბჭესთან, სიცოცხლის გზაზე. შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ სიცოცხლეში იყვნენ, ოღონდ ეს იყო დასაწყისი სიცოცხლისა. ჯერ არ ჰქონდათ გაკეთებული არჩევანი, რომელიც საბოლოოდ დააყენებდა მათ სიცოცხლის გზაზე. ჩვენ ვიცით, როგორ გააკეთეს ეს არჩევანი - უარყვეს სიცოცხლე, იგი ჩაანაცვლეს რაღაც მაგიური რიტუალით, რომელიც თითქოს მათ ამ სიცოცხლეს მოუტანდა. მაგრამ

შეუძლებელია, ღმერთი შეურაცხყოფილი იყოს, ამიტომ ისინი სიცოცხლის გარეშე დარჩნენ" (დეკანოზი თეოდორე გიგნაძე)

ღმერთმა ადამი სამოთხიდან განდევნა, მიწისაკენ დაეშვა, რადგან მისი ნაწილი იყო, სწორედ ალბათ ამიტომ მოემართება დაღმართზე, საუბარშიც ბევს რამეს ეუბნება, მათი დიალოგი, ალბათ უფრო ადამიანის მთავარი სატკივარია. ადამიანი, თავისი მრავალმხრივი აღმართ-დაღმართიანი ცხოვრებით, ცოდვითა და უცოდველობით, სიკეთითა და ბოროტებით ღვთის უდიდესი სატკივარია, ღვთის სიყვარულს და შემწეობას ადამიანი ცხოვრების აღმართსა და დაღმართზე ერთნაირად გრძნობს. და მაინც რა არის უკვდავება? ამას თავად ლორთქიფანიძის ტექსტი გვკარნახობს. თვით უფალია უკვდავება.

ლიტერატურა:

ძველი აღთქმა 1989: წიგნი ძველისა აღთქმისანი, თბილისი, 1989.

ჯალაღვილი 2016: ჯალაღვილი მ; კულტურის კოდები აკაკი წერეთლის "აღმართ-აღმართ" სწავლებისათვის 29 იანვარი, 2016 წელი.

<http://genia.ge/?p=19298>

<http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/rogor-vickhovroth/1623-tsyaro-ukvdavebisa.html>

Софико Гварамадзе

**«Бессмертие» Нико Лорткипанидзе и «Возвышение вверх» Акакий Церетели,
«Литературные параллели»**

Резюме

Великий рассказ Нико Лорткипанидзе «Бессмертие» на первый взгляд мы вспоминаем знаменитую поэму Акаки «Подъем вверх». В обоих текстах спуск заменяется символом, который можно считать символом жизни, более того, создание обоих поэтов является библейским архетипом. В повествовании Нико Лорткипанидзе человек спускается с горной ткани. Человек (Н. Лорткипанидзе) и лирик (с Акаки) пытаются достичь духовного совершенства, хотя земля не для обоих, связь не нарушена, но различия больше. «Акка видит родину перед лицом стратосферы». Человек - величайшая боль Бога через его многогранный образ жизни, греховность и искренность, доброту и зло, любовь и благословение Бога во вселенной. И все же что бессмертно? Текст Лорткипанидзе диктует это. Господь бессмертен.

Sophiko Gvaramadze

Niko Lortkipanidze "Immortality" and Akaki Tsereteli "Elevation-Up", Literary Parallels

Abstract

The great novel of Niko Lortkipanidze "Immortality" At first glance, we recall Akaki's famous poem "Elevate-Up". In both texts, the descent is replaced by the symbolism that can be considered a symbol of life, moreover, the creation of both poets is biblical archetype. In Niko Lortkipanidze's narrative, the man descends down from the mountain cloth. The man (N. Lortkipanidze) and the lyricist (with Akaki) are both trying to achieve spiritual perfection, although the land is not for both, the connection is not broken, but the differences are more. "Akka sees the homeland in the face of the stratosphere". The man is the greatest pain of God through his multifaceted lifestyle, sinfulness and sincerity, kindness and wickedness, the love and allowance of God in the universe. And still what is immortal? Lortkipanidze's text dictates this. The Lord is immortal.

რეცენზენტი: პროფესორი ი. ინკოვა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ლელა ებრაღიძე

თბილისი, საქართველო

პოეტური თარგმანის სირთულეები და მათი გადაჭრის გზები

წინამდებარე ნაშრომში საუბარია პოეტური თარგმანის სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე. კულტურული სხვაობა წყარო და სამიზნე ენაზე მოსაუბრე მკითხველებს შორის. მთარგმნელისაგან საკმაოდ დიდ ცოდნასა და უნარს მოითხოვს კულტურული თავისებურებების ამსახველი ლინგვისტური ელემენტების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა. ნაშრომში ჩამოთვლილი მაქვს ასეთი ელემენტების თარგმნის სტრატეგიები, რომელთაც სხვადასხვა მეცნიერები გვთავაზობენ.

მოცემულ ნაშრომში გაგანალიზეთ და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანეთ საკუთარი თარგმანები, რათა დაგვესახა ლექსის თარგმანთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის გზები.

ცნობილია, რომ ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა ტექსტებისა, რადგან მას გააჩნია ესთეტიკური და ექსპრესიული ღირებულებები. ყველაზე რთულად კი პოეზიის თარგმნაა მიჩნეული და სამართლიანადაც, რადგან ამ დროს, ნაწარმოების შინაარსთან, ავტორის ჩანაფიქრთან, სტილსა თუ ხატოვანებასთან ერთად, მთარგმნელმა წყარო ენიდან სამიზნე ენაზე უნდა გადაიტანოს რიტმი, რითმები, მეტრი და ლექსის სხვა კომპონენტები, რაც ბევრად აძნელებს მის ამოცანას. ეს ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანმა მკითხველზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინოს, როგორსაც დედანი ახდენს თავის მკითხველზე, ანუ, როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი იუჯინ ნაიდა აღნიშნავდა, ურთიერთკავშირი მკითხველსა და ნაწარმოებს შორის (რომელთაც იგი „რეცეპტორსა“ და „მესიჯს“ უწოდებს) არსებითად იგივე უნდა იყოს, რაც თავდაპირველად არსებობდა დედანსა და მის მკითხველებს შორის [Nida, 1964 : 159].

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნათელი ხდება თუ რა საპასუხისმგებლოა პოეზიის მთარგმნელის მისია. ინესა მერაბიშვილის განმარტებით „პოეტური ტექსტი ადამიანის

სამეტყველო აქტის ის ურთულესი მოვლენაა, რომელშიც განსაკუთრებული სიძლიერით მუდგანდება ავტორის შემოქმედებითი ნიჭი, ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მხატვრული ეფექტის უზრუნველყოფა, ღრმა აზრისა და დიდი განცდის სხარტი პოეტური ფორმით გადმოცემა, შინაარსის მკვეთრი ხატოვანება, მუსიკალური დინამიზმი, სივრცისა და დროის სურათის წარმოქმნა და მრავალი სხვა“ [მერაბიშვილი, 2005 : 54].

ამიტომ, ბუნებრივია არსებობს მოსაზრება, რომ ლექსის თარგმნა შეუძლებელია. ასეთი მოსაზრება სხვადასხვა დროს გამოთქმულა არაერთი ცნობილი მეცნიერის, მწერლისა თუ პოეტის მიერ.

აი, რას წერდა ვილჰელმ ჰუმბოლდტი: „ყოველგვარი თარგმანი განუხორციელებელი პრობლემის გადაჭრის მცდელობაა. მთარგმნელი აუცილებლად შეეხლება ორიდან ერთ-ერთ წყალწვეშა კლდეს. ის ან ძალზედ ზუსტად მიჰყვება დედანს საკუთარი ხალხის გემოვნებისა და ენის საშუალებით, ან, პირიქით, იხელმძღვანელებს თავისი ხალხის თავისებურებით დედანზე დაყრდნობით. რაიმე შუალედის მონახვა არამცთუ ძნელად მისაღწევი, არამედ შეუძლებელიცაა.“ [მერაბიშვილი, 2005 : 13].

სერვანტესი თარგმანს უკუღმა პირიდან დანახულ ფლამანდურ ხალიჩას ადარებდა, როდესაც მართალია, ფიგურები ჩანს, მაგრამ სისუფთავე და ფერები დაკარგულია. საინტერესო შედარებას გვთავაზობს სტიუარტ ტომასიც, რომელიც ლექსის თარგმანს პირზე ცხვირსახოცაფარებული ადმიანის კოცნას ამსგავსებს [House, 2013 : 3]. აქვე მოვიყვან ამერიკელი პოეტის რობერტ ფროსტის გამონათქვამს, რომ პოეზია არის ის, რაც თარგმანში იკარგება.

მაგრამ გავიხსენოთ რუსი პოეტისა და კრიტიკოსის ვალერი ბრიუსოვის სიტყვებიც: „პოეტური ქმნილების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა შეუძლებელია, მაგრამ ასევე შეუძლებელი უარი თქვა ასეთ ოცნებაზე“ [Брюсов, 1975].

სწორედ ამ ოცნებაზე ვერ უთქვამს უარი ბევრ მთარგმნელს, რომელთაც ამ საქმეზე ხელი ვერ აადებინა ვერც პოეტური თარგმანისადმი არსებულმა სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ და ვერც მათ წინაშე მდგომი ამოცანის სირთულემ. აქვე უნდა დავძინო, რომ თავადაც ასეთი მთარგმნელების რიცხვს მივეკუთვნები და ამ სტატიაში მინდა პოეტური თარგმანის პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ვისაუბრო საკუთარი თარგმანების მაგალითზე. საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითებს ქართულიდან ინგლისურად შესრულებული პოეტური თარგმანებიდან, რომელთა შორის ბევრი სასიმღერო ტექსტად არის გამოყენებული და მათი თარგმნისას ლექსის სხვადასხვა კომპონენტების ინგლისურ ენაზე გადატანასთან ერთად მიხდებოდა მეტრის ზუსტად შენარჩუნებაც.

რადგან სიტყვა მეტრზე ჩამოვარდა, ლექსის თარგმნისას გასათვალისწინებელ ასპექტებზე საუბარს ფორმიდან დავიწყებ. ლექსის მკითხველს პირველად თვალში სწორედ მისი ფორმა ხვდება. პოეტური ნაწარმოების ფორმას დიდი შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია, რადგან მას ავტორი ირჩევს საკუთარი სათქმელის უკეთ გამოსახატავად. ამიტომ, აუცილებელია თარგმანში ნაწარმოების ფორმისა და სტრუქტურის უცვლელად გადატანა, მაგალითად, როდესაც პოეტი ლექსის ფორმად ჰაიკუს, სონეტს ან ელეგიას ირჩევს, მათი თარგმანებიც უნდა ინარჩუნებდეს ამ ფორმას.

მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო ვაჟა-ფშაველას აოსტრიქონიანი ლექსი „რა ტურფა,

რა ლამაზია“, რომლის თითოეული სტრიქონი რვა მარცვლისაგან შედგება და გართმულია ლექსის მეორე და მეოთხე და შემდგომ, მეექვსე, მერვე და მეთექვსე სტრიქონები. თარგმანში შინაარსთან ერთად ზუსტად არის გადმოტანილი დედნის სტრუქტურა, მეტრი და რითმები:

| | |
|--------------------------|--|
| გუშინწინ ვნახე, გუშინაც, | I saw a snake a while ago, |
| გველი სწამლავდა იასა, | Spew venom where sweet flowers grew, |
| აშლიდა შხამსა და გესლსა, | The violet survived it though, |
| ვერ კი აძლევდა ზიანსა. | Its petals stayed still soft and blue. |
| დღეს ვხედავ, ია მთელია, | The violet now spreads its scent, |
| სურნელოვანი, ნაზია, | It did not change, it was not harmed, |
| გუცქერ და ვამბობ იმასვე: | It looks as if no wrong was meant, |
| რა ტურფა, რა ლამაზია! | Still by its beauty I am charmed! |
| გველი დადღავს მუცლითა, | The snake's beginning to resent |
| ახრჩობს ბოღმა და ბრაზია. | Its spite and anger being disarmed. |

ეს ლექსი იმდერება და ამიტომაც მარცვლების რაოდენობაც ზუსტად შევინარჩუნე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული და ინგლისური ენების თავისებურებებს, კერძოდ კი იმას, რომ ქართული სიტყვა ჩვეულებრივ ინგლისურზე გრძელია, ქართული თარგმანების სტრიქონებში ხშირად მეტი მარცვალი გვხვდება, ვიდრე მათ ინგლისურ დედნებში, მაგალითად შესაძლებელია ათმარცვიანი ინგლისურ სტრიქონს ქართულ თარგმანში თოთხმეტმარცვიანი შეესაბამებოდეს. როდესაც თანამედროვე პოეტის ეთერ თათარაიძის ერთ-ერთ ლექსს ვთარგმნიდი, რომელიც მეტად მოკლე და სხარტია ღრმა შინარსის მიუხედავად, შვიდ და ექვსმარცვიანი ჯვარედინად გართმული სტრიქონები მეც ექვს და ოთხმარცვიანად გადავიტანე ინგლისურად. გთავაზობთ დედანს და თარგმნას:

| | |
|-------------------------|--------------------------------|
| დიდხნის ნადებ თოვლსავით | I'm silent like soft snow |
| ვარ ერთთავად მდუმარ, | That lies for long, |
| იმ თეთრ საფარველსავით | Like snow I'll come and go, |
| წუთისოფლის სტუმარ. | I don't belong |
| სამოკლეო სოფლისა | To this small world, unkind |
| დღედა მზივან, მგმობარ, | Time flies away, |
| იამ დალოცვილ მიწისა | And when I'm gone they'll find |
| ერთ სამართ მშკობარ. | Just one more grave. |

ახლა ფორმიდან შინაარსზე გადავიდეთ. თარგმანის თეორიიდან ცნობილია ი. გალპერინის მიერ გამოყოფილი სამი შინაარსობრივი კატეგორია: შინაარსობრივ-ფაქტობრივი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური და შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია, რომელთაც ინესა მერაბიშვილმა შინაარსობრივ-სატობრივი ინფორმაციაც დაუმატა (მერაბიშვილი, 2005 : 283). ლექსის თარგმნისას საჭიროა თითოეული ამ ინფორმაციის სწორად გადატანა სამიზნე

ენაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თარგმანში დაუმახინჯებლად უნდა იყოს გადმოცემული ნაწარმოების ფაქტობრივი შინაარსი, მისი კონცეპტი და ქვეტექსტი, ასევე შენარჩუნებული უნდა იყოს პოეტური ხატები.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ლექსის თარგმნისას სწორედ ხატოვანება წარმოადგენს, პოეზია ხომ განსაკუთრებით მდიდარია მეტაფორებით და მხატვრული გამოსახვის სხვა სტილისტური ხერხებით – მრავლად გვხვდება ეპითეტები, შედარებები, ჰიპერბოლები, გაპიროვნების მაგალითები. ლექსის მეტაფორული ენა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს მთარგმნელისაგან, მან ჯერ უსტად უნდა განსაზღვროს თუ რა მნიშვნელობით აქვს გამოყენებული ესა თუ ის სიტყვა ავტორს, ხოლო შემდეგ უნდა მოძებნოს ამ სიტყვის ეკვივალენტი თარგმანის ენაზე. ტროპების თარგმნისას, როგორც უკვე ვთქვი, უადრესად მნიშვნელოვანია მათში მოცემული პოეტური ხატების შენარჩუნება, რადგან პოეტური ხატი არის სწორედ ლექსის ის კომპონენტი, რომელიც მკითხველს ცოცხლად წარმოადგენინებს ყოველივე იმას, რაც ლექსშია აღწერილი. ემოციური ეფექტი, რომელსაც პოეზია მკითხველზე ახდენს, ხომ მუსიკასთან ერთად იმ სურათების დამსახურებაა, რომელთაც პოეტური ხატები მკითხველის ცნობიერებაში ხატავენ. სიტყვა მეტისმეტად რომ არ გამიგრძელებდეს, მოვიყვან მაგალითებს, კერძოდ ნაწყვეტს ი. გრიშაშვილის ლექსიდან „ღერწამი ხარ“ და მის საკუთარ თარგმანს ინგლისურ ენაზე:

| | |
|---------------------------|--|
| ღერწამი ხარ, ტბის ასული, | You, pretty daughter of the lake, |
| ცად ასული, ატყორცნილი, | Tall, slender reed that's reached the sky, |
| მყინვარი ხარ, საოცნებო, | Kissed by the sun, sweet as a dream, |
| მზის სხივთაგან დაკოცნილი, | Like Mount Mkinvari you are high. |

| | |
|----------------------------|--|
| და დღეს, როცა სიო ფრთხილი, | Now, stirring in your golden locks |
| ოქროს ქოჩორს გიხუჭუჭებს, | The tender breeze is playing with you, |
| ეს მიტომ, რომ ვითა როვილი | Because upon your lovely lips |
| მე ვადნები შენსა ტუჩებს. | I'm melting like the morning dew. |

| | |
|------------------------------|--|
| მთის თოვლი ხარ, ნაზ-ნარნარი, | Like mountain streams of melting snow, |
| ჩამომდნარი ცივი... ცივი... | Refreshing, cool and pure you are... |
| ვარსკვლავი ხარ, ცის წიაღით | As if you've fallen from the sky, |
| მოწყვეტილი ღვთაებრივი. | Like a divine, amazing star. |

ფორმასთან და შინაარსთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია ნაწარმოების სტილი. ჩემი აზრით, დაუშვებელია ამაღლებული სტილის მქონე ლექსის გაუბრალოება, ან, მაგალითად, ხალხური ლექსებისა და შაირების სტილის შეცვლა. მოვიყვან ხალხური ლექსების თარგმანების მაგალითებს:

| | |
|--------------------------|---|
| - ბიჭო, შენ გახარებასაო, | - Oh, boy, have mercy, don't be cruel, |
| ძაღლებს არ დამაგლეჯინო. | Don't let dogs bite me, help, I'm scared. |

- მაინც არ გაგაშვებინებ,
რო გგლეჯენ, პირშიც ეჭირო...

- Let them have you, you nasty girl,
Why should I help! What do I care!

ან კიდევ

- - რა ხარ, რა დაიარებიო,
ლალო, მა ლალის ცხენითაო,
თავს რად არ შამაიბრუნებ,
ყანას რად მამკევ ცრემლითაო.
- აის არ ხარა, ქალაო,
გუშინ რო მედიდებოდით,
ისე გაგიხდი საქმესაო,
ნემსს ყუნწად ეგებოდეთო.

-You, carefree rider, bold and proud,
On your bold horse you pass me by,
And never look at me, not once,
With bitter tears you make me cry.
- So it is you, the maiden who
Looked down on me the other day.
Just like a string will you pull through
A needle, I will make you pay.

ღუტუ მეგრელის ლექსი „შეეჩვია“ ასე იწყება: „შეეჩვია ტანჯვას სული და გული“. აქცენტი კეთდება სიტყვაზე „შეეჩვია“, ამიტომაც წინადადება იწყება შემასმენლით და არა ქვემდებარით. ლექსში ნათქვამია, რომ ლირიკული გმირს იმდენი ვაება აქვს გადატანილი, რომ ტანჯვა აღარაფრად ეჩვენება. მეტი გამომხატველობისათვის ინგლისურში აქცენტი გაგაკეთე სიტყვაზე „იმდენი“ და შევცვალე წინადადების კლასიკური წყობა: “So much anguish I have suffered, so much pain,” სიტყვა „შეეჩვია“ არ დამიკარგავს, უბრალოდ ორი ხაზით ქვემოთ ჩავიტანე. შესაბამისად, პირველი სტროფის თარგმანი ასე ჟღერს:

შეეჩვია ტანჯვას სული და გული,
ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარ-დაგული;
შეეჩვითე ჭირს, ვაებას მარადის,
შეეჩვითე და აწ მიჩანს არად ის;

So much anguish I have suffered, so much pain,
I’ve been through the hell that’s burning me again,
But I’m used to feeling always sad and sore,
Being unhappy does not scare me anymore.

ზემოთ ვისაუბრეთ ასპექტებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების თარგმნისას, მაგალითად სხვადასხვა ლექსისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია გრამატიკული თვალსაზრისით სპეციფიკური წყობა, ხატოვანება, კულტურული ელფერის მქონე სიტყვების გამოყენება და ა.შ., მაგრამ ყველა სახის ლექსი, ზოგადად პოეზია, მუდამ ასოცირდება მუსიკასთან. ეს, უპირველეს ყოვლისა, იტყმის გართმულ ლექსებზე, თუმცა არა მხოლოდ მათზე. ლექსის მუსიკის შექმნაში რითმასთან ერთად დიდ როლს თამაშობს სხვა ესთეტიკური ფაქტორებიც, კერძოდ რიტმი, ასონანსი, ალიტერაცია, ონომატოპეა.

გართმული ლექსის მუსიკალობის თარგმანში შენარჩუნების ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ მინდა გამოვარჩიო გ. ლეონიძის „კესანე“ და ტ. სიკორსკაიას „იავნანა“, რადგან თარგმნისას ამ ლექსების მუსიკის შენარჩუნება განსაკუთრებით რთული იყო. ლექსის „კესანე“ პირველი და მეოთხე ოთხსტრიქონიანი სტროფი ჯვარედინადაა გართმული,

მეორე ექვსსტრიქონიან სტროფში ერთმანეთს ერთმეობა პირველი–მეორე და მესამე–მეოთხე–მეექვსე სტრიქონები, ხოლო მესამე სტროფში – პირველი–მეორე–მეექვსე და მესამე–მეოთხე–თარგმანში ზუსტად გადავიტანე მარცვლების რაოდენობა, მეორე და მესამე სტროფები კი გავრითმე პარალელურად. ყველაზე საინტერესო იყო პირველი და მეოთხე (რომლებიც თითქმის იდენტურია) სტროფების თარგმნა. კესანე ყვავილის სახელია, რომელსაც პოეტი თავის სატროფოს ადარებს. პირველი სტრიქონი ორად არის გაყოფილი:

კესანე,
შენი კვნესამე,

სიტყვები „კესანე“ და „კვნესამე“ ასონანსურ რითმას ქმნიან. შემდეგ ლექსი ასე გრძელდება:
შეგატყე სეგდა კილოში.
პატარა, მორცხვო ყვავილო,
გაზრდილო საინგილოში.

მე შევინარჩუნე პირველი სტრიქონის შიდა რითმა და თარგმანი ასე აქლერდა:
It's you I've sought,
Forget me not,
I hear true sorrow in your tone,
Shy, tiny flower, sweet and blue,
In Saingilo you were grown.

ზემოთ მიმოვიხილე სხვადასხვა ფაქტორები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია პოეტური თარგმანის წარმატებით შესასრულებლად, ხაზი გავეუსვი იმასაც, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვების სწორად გაგება და თარგმნა. თუმცა არაფერი მითქვამს იმაზე, რომ ტექსტის გააზრებისას თითოეული სიტყვის მნიშვნელობა განიხილება კონტექსტში, ანუ ხდება ტექსტის კონტექსტუალიზაცია, რაც სათარგმნი მასალის სწორად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, სწორი ინტერპრეტაცია კი ადეკვატური თარგმანის შესრულების აუცილებელი პირობაა. ოღონდ ტექსტის კარგად გასაგებად ზოგჯერ კონტექსტიც არ კმარა და მთარგმნელს უწევს ტექსტის ფარგლებს გასცდეს და დამატებითი ინფორმაცია მოიშველიოს ნაწარმოების შექმნის ისტორიის, ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების და სხვა ფაქტორების შესახებ, ანუ აღჭურვილი იყოს როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ცოდნით.

ექსტრალინგვისტური ცოდნა „ტექსტის მიღმა, მის გარეთ არსებობს, მაგრამ ის აუცილებლად მონაწილეობს ტექსტის რეალიზაციაში, რადგან ის ერთ-ერთი ძირითადი დამაკავშირებელი რგოლია მწერალსა და მკითხველს შორის და მას, ჩვეულებრივ, მწერლისა თუ მკითხველის თეზაურუსი ეწოდება, რასაც პირობითად გარე ტექსტს ვუწოდებთ“ [მერაბიშვილი, 2005 : 198]. გარე ტექსტის გაცნობა საშუალებას გვაძლევს უკეთ ჩავწვდეთ ნაწარმოების დედააზრს და უკეთ გადავთარგმნოთ იგი. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ლექსის „იას უთხარით ტურფასა“

თარგმნისას ძალიან დამეხმარა იმის ცოდნა, რომ ვაჟამ ეს ლექსი გარდაცვლილ მეუღლეს – კეკეს მიუძღვნა. სხვა შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მეჩვენებოდა პოეტის გაფრთხილება ყვავილის მიმართ, რომლის გაზაფხულზე მოსვლასაც, ცნობილია, რომ მუდამ შეჰხაროდა და თავის ქალიშვილსაც კი სთხოვდა ხოლმე იეზი დაეკრიფა, წყლიან ჭიქაში ჩაეწყო და მის საწერ მაგიდაზე დაედგა. საქმე ის არის, რომ პოეტი თურმე აფრთხილებდა მომავალ მეუღლეს, შენ იმდენ ჯაფას ვერ გაუძლებ, რაც ჩემს გვერდით გელოდებო, კეკეს კი იმდენად ყვარებია ვაჟა, რომ ვერაფერი გადაათქმევინებდა მისთვის ცოლად გაყოლას. ეს ლექსი კეკეს დაკარგვით გამწარებულ პოეტს ფანდურზე დაუძღვრებია. გთავაზობთ ლექსს და მის ინგლისურ თარგმანს:

იას უთხარით ტურფასა:
 მოვა და შეგჭამს ჭიაო,
 მაგრე მოხდენით, ლამაზო,
 თავი რომ აგიღიაო!
 შენ თუ გგონია სიცოცხლე
 სამოთხის კარი ღიაო;
 ნუ მოხვალ, მიწას ევარე,
 მოსვლაში არა ყრიაო.
 ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
 განა სულმუდამ მზეაო!
 მიწავ, შენ გებარებოდეს
 ეს ჩემი ტურფა იაო,
 შენ უპატრონე, ემშობლე,
 როგორაც შენი ზნეაო.

Warn the sweet violet, I pray,
 This carefree charmer does not know
 She will be food for worms one day,
 No mercy life to her will show.
 Now, coming to the world she thinks
 Life is like heaven, full of fun,
 Tell her it's full of dangerous things,
 Not always will she see the sun.
 I ask you, soil, please heed my prayer,
 Hold her, let her with you abide,
 Of my fair violet take care,
 For she is yours, your own sweet child,
 Hug her with love and keep her there,
 As it's your nature to be kind.

ამგვარად, თუ ზემოთ განხილულ საკითხებს შევაჯამებთ, დავასკვნით, რომ ლექსის მთარგმნელის მისიას წარმოადგენს მკითხველს მიაწოდოს ტექსტი, რომელშიც შენარჩუნებული იქნება დედნის ფორმა და სტილი; დაუმახინჯებლად იქნება გადატანილი დედნის შინაარსი (მასში მოცემული ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია), პოეტური ხატები; რითმის, რიტმისა და ლექსოწყობის სხვა კომპონენტების ადეკვატური ტრანსფორმაციის გზით შექმნილი იქნება დედნის მსგავსი ჟღერდობა, მისი მუსიკა, ყოველივე ეს კი მთარგმნელს შეაძლებინებს მიაღწიოს მთავარ მიზანს – შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ისეთსავე ემოციურ ეფექტს მიახდენს მკითხველზე, როგორსაც დედანი ახდენს წყარო ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაზე. ეს რთული ამოცანაა, რითაც აიხსნება საკმაოდ გავრცელებული სკეპტიკური დამოკიდებულება პოეტური თარგმანის მიმართ, მაგრამ არანაკლებ რთულია ლექსის თარგმნის მცდელობაზე უარის თქმა. მოცემულ ნაშრომში მე გავაანალიზე და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანე საკუთარი თარგმანები, რათა დამესახა ლექსის თარგმანთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის გზები.

ლიტერატურა:

- თათარაიძე 2008: თათარაიძე ე. 2008, მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი, თბილისი
- მერაბიშვილი 2005: მერაბიშვილი ი. 2005, პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბილისი
- House 2013: House J. 2013, Translation, Oxford
- Newmark 1988: Newmark P. 1988, Approaches to Translation. Hertfordshire: Prentice Hall
- Nida 1964: Nida E. 1964, Toward a science of translating. Leiden
- Брюсов 1975: Брюсов В. Я. 1975, Фиалки в тигеле. Собр. соч. в 7-и томах, М., usuaris.tinet.cat/apym/on-line/.../2014_vinay_darbelnet

ლელა ებრალიძე**Трудности поэтических переводов и способы их решения**

Резюме

В настоящей работе рассматриваются трудности поэтического перевода и способы их решения. Эта тема актуальна, потому что поэзия в переводе, который требует содержания работы, автор советует природы или khatovanebas с исходным языком на целевом языке, ритм, рифма, метр и стихи других компонентов передачи, и, наконец, к достижению этой цели, перевод есть на читателе, чтобы произвести впечатление. Что мать делает с ее читателями NAD считается трудной задачей, что ряд известных ученых, писателей и поэтов мнения, высказанные в стихотворении переведено практически невозможно.

Стиль работы должен учитываться в форме и содержании.

Lela Ebralidze**Difficulties of poetic translations and ways of solving them**

Abstract

The present work deals with the difficulties of the poetic translation and the ways of their solution. This theme is relevant because the translation of poetry, which requires the content of the work, along with the author's intention, style or imagination, from the source language into the target language of the rhythm, rhythm, meter and poem of other components, and ultimately aims to translate the reader into the reader's impression. What the mother is doing to her readers NAD is considered a difficult task, that a number of well-known scientists, writers and poets of the views expressed by the poem translated practically impossible.

The style of work must be taken into consideration in the form and content.

რეცენზენტი: პროფესორი ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

თინათინ თუშაბრამიშვილი

თელავი, საქართველო

ოტია იოსელიანის ბეზია

ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ნაწერები წარმოადგენს დოკუმენტურ მასალას, რომლებშიც მწერალმა გამოძერწა საკუთარი ბეზიის უაღრესად თბილი, მოსიყვარულე, საინტერესო, შთამბეჭდავი და, რაც მთავარია, ვალმოხდილი ადამიანის სახე.

პიროვნება ყველაზე სრულქმნილი, მაგრამ ამავედროულად ყველაზე რთული ფენომენია სამყაროსი. მართალია, მასში ბევრი რამ არის წინასწარ კოდირებული გენეტიკური მემკვიდრეობითა და ეროვნული ცნობიერებით, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ყოველივე ამასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გარემოც.

ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი და როგორ ხალხთან აქვს მას ურთიერთობა; როგორია გარშემო მყოფი ადამიანების დამოკიდებულება მის მიმართ. ყოველივე ამას გადაამწყვეტი როლი ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში და ხშირად – საბედისწეროც. ცხოვრებისეული ბედნიერებისთვის უდიდესია მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების კეთილისმყოფელი გავლენა.

ინდივიდის ზრდის პროცესში ოჯახური გარემოს განმსაზღვრელ როლზე მითითებას ხშირად ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე, მაგალითად: „ოჯახური გარემოს ზეგავლენა ასევე საგრძნობლად აისახება ინდივიდის განვითარებაზე“ (ხეჩუაშვილი, 2008: 22). განსაკუთრებული მნიშვნელობა კი აქვს მრავალთაობიან ოჯახებს და ხანდაზმულთა როლს ახალგაზრდა თაობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის გადაცემაში. როგორც ფსიქოლოგი ეკა ფირცხალავა აღნიშნავს: „ქართული ტრადიციული ოჯახი ეს მრავალთაობიანი ოჯახია. ვფიქრობ, რომ არცერთმა ქართულმა ოჯახმა არ უნდა გაწყვიტოს კავშირი წარსულთან. პატარები უნდა იზრდებოდნენ ისეთ ოჯახებში, სადაც მას ბებია და ბაბუა ეყოლება“ (ფირცხალავა, ოჯახი და ტრადიციები http://gipugipugipu.blogspot.com/2008/05/blog-post_28.html).

ქართული ლიტერატურა იცნობს ბეზია-პერსონაჟის საინტერესო, ემოციურ სახეებს.

მაგალითად, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი, მედეა კახიძე და ა.შ. დიდებულად ასახევენ ბებოის სახეს.

ამჯერად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, გვინტერესებს ბებოის როლი ოტია იოსელიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ცოტა რამ მწერლის ბიოგრაფიიდან. როგორც თავად ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი ასავალ-დასავალი“ წერს: „მწერლის შემოქმედებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიოგრაფიას. მწერლები თხზავენ, მაგრამ კი არაფერს იგონებენ, რაც არ უნახავთ ან არ განუცდიათ. მწერალი ბიოგრაფიაა“ (იოსელიანი, 2011: 3).... „...მე არაფერს ვიგონებ და ვწერ იმას, რაც მოხდა, რაც მტკენია და გამხარებია, რაც მძულდა და მიყვარს, რაც ძირმწარე ცრემლი მდენია და რითაც გამთენებია..... „...ქურმოკრული მაქვს, თითქოს ჰემინგუეის ეთქვას: მწერლის აკადემია უბედური ბავშვობააო..... ჩინებულად მაქვს დამთავრებული ეს აკადემია და უზარმაზარი ცოდნა და განათლება გამაჩნია....“ (4).

წლისა და სამი თვის ყოფილა ოტია იოსელიანი, როცა მამა გარდაეცვალა. დარჩნენ ის და თავისი ძმა „ახალგაზრდა, გამოსუცდელი, უნიათო“ დედის ამარა. ქვრივი ქალისთვის ურჩევიათ, რომ კვლავ გათხოვილიყო პატოსან, მშრომელ კაცზე. მწერალი წერს: „უბედურმა ქალმა ვერც ეს ნაბიჯი გადადგა დროულად და როცა ეს მოხდა, უკვე გვიან იყო. ჩვენ, ძმები, ათი-თერთმეტი წლისანი ვიყავით. ბებოის წყალობით კარგად ვიცოდით ქართული ზღაპრები, დედინაცვალი და მამინაცვალი. ადათით და წესით, ცოლი თუ მეორედ გათხოვდება, ეს დალატია.... „მოდალატე“ დედას ჩვენი დიდებული ბებოა გვერჩია.... დედასთან წასვლაზე უარი ვთქვით (სასამართლოც კი შედგა ამის თაობაზე)..... უმამობას უდებობაც დაემატა“ (4-5). ცუდი სიზმრის ნახვის დროს, ძილშიც ახსოვდა მწერალს, რომ თვალეები უნდა გაეხილა და ყველაფერი ცუდი გაქრებოდა. „ვახელდი თვალეებს, მაგრამ ბნელში მაინც მაცახცახებდა და სანამ დედა ჩემთან იყო, ვაღვიძებდი, რომ მარტო არ ვყოფილიყავ.... იმედი მქონდა, ჩემს გვერდით იყო ჩემზე ძლიერი ადამიანი. მალე ისიც აღარ მყავდა“ (5). ოტია იოსელიანის ამ სევდიანი ისტორიის წაკითხვის შემდეგ, გვახსენდება ფსიქოლოგი - ლიკა თუშიშვილის - სიტყვები: „ამ დანაკლისს დედის დეპრეზაცია ანუ დედის ფსიქოემოციური ნაკლებობა ჰქვია. თუ დედა ბავშვთან სათანადო დროის გატარებას ვერ ახერხებს და დედისთვის განკუთვნილი სივრცე რჩება შეუვსებელი, ეს სამომავლოდ აუცილებლად აისახება ბავშვის ქცევაზე, თვითშეფასებაზე, თვითრწმენაზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე“ (<https://www.allnews.ge/sazogadoeba>).

დედა რომ გაუთხოვდა, როგორც მწერალი აღნიშნავს ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „დედა გათხოვდა“: „დავემხე ნაჩრდილავ ეკალ-მაყვლიან მიწაზე, ცრემლად გახეთქილი ვასავსავებ ფეხებს და ფრჩხილით, კბილით, ცხვირით, ვთხრი მიწას და მივძრობი შიგ“ (იოსელიანი, 2011: 177). რძლის გათხოვების ამბის შეტყობის შემდეგ, ბებოც „დამხობილა იატაკზე, თავსაფარი მოუგლეჯია და მოთქვამს: - ამდენ ხანს რა გიჭირდა, შვილოოო!.. ამდენ ხანს ცოცხალი მყავდი, შვილოოო!... ამდენ ხანს მკვდარი არ გეთქმოდა, დედააა..... რაც მახსოვს, ბებოის თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მაგრამ დაჩოქილი, ხმით მოთქმა და დატირება, მაინც რაღაც ახალი უბედურება უნდა იყოს..... ბებოამ ისეთი გულის გამგმირავი მოთქმა იცის, იმდენად დიდია მისი სევდა და ვარამი..... მოხუცის გლოვა იუდას აატირებს“ (175).

ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისეთი

ადამიანი, რომელშიც ახალგაზრდა ხედავს თავისი იდეალების განხორციელებას, ასეთი ადამიანის აზრი მისთვის ღირებულია და იგი გახდება ერთ-ერთი დეტერმინატორი მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ბებია-შვილიშვილის ურთიერთობა შეუცვლელია. ბებია სწორედ ის ადამიანია, ვისგანაც ბავშვი ყველაზე დიდ სითბოს, სიყვარულს იღებს და ასევე, თავშესაფარსაც. როდესაც მშობლები მუშაობაში არიან ჩართულნი, ან ბავშვი დაობლებულია, ასეთ შემთხვევებში ბავშვის აღმზრდელებად ყველაზე ხშირად ბებია გვევლინება.

ადამიანი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ოტია იოსელიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში, გახლავთ ბებია, რომელთანაც გაიზარდა მწერალი. მის აღზრდასა და განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი ბებიაშეიტანა. ბებია იყო პატარა ოტიას მიმხედავიცა და ნუგეშისმცემელიც.

მწერალმა თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში საოცრად ასახა საკუთარი ბებია და მისი მზრუნველობა, სიყვარული.... ეს არის ბებია-შვილიშვილის ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო ამბავიცა და მაგალითიც. მკითხველი ემოციის გარეშე ვერ წაიკითხავს ამ მოთხრობებს.

ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში „ჩემი ასავალ-დასავალი“ ვკითხულობთ: „ბებია!..... არ ვიცი, თავი როგორ შევიკავე, რომ ყველაფერს: მამასაც, დედასაც, შიმშილსაც, სიკვდილსაც, ანგელოზსაც და ოჩოპინტრესაც ქვა და ლოდი არ მივაყარე და ჩემს დიდებულ, ქვეყნის უკეთეს, უამეს და უკეთილშობილეს ბებიაზე თავიდანვე არ ვილაპარაკე“ (6). მწერალს სურს, რომ ბებიას „დიდი ცხოვრებისა და სულის ანარეკლი მაინც მოიტანოს“ ჩვენამდე.

ღმერთმა ყველაფერი წაართვა პატარა ოტია იოსელიანს, მაგრამ ის მაინც მადლობას გამოთქვამს უფლის მიმართ, რადგან, როგორც თავად ამბობს მოთხრობაში „ჩემი ასავალ-დასავალი“: „ასეთი ბებია მყავდა და მყავს (რა ვუყოთ, რომ ის ცოცხალი აღარაა), უმისოდ ერთი დღეც არ მიცხოვრია. ბებია ერთხელ კი არა, ასჯერ რომ მოკვდეს, როგორ იქნება, მიმატოვოს და ამ ძნელბედობით აღსავსე ქვეყანაში მისი უზარმაზარი სიყვარული, ცეცხლოვანი ალერსი, სიბრძნე, „ჭირსა შიგან გამაგრება“ და ბედთან შეურიგებლობა მომაკლავს..... ბებია ვის არ ჰყვარებია, ბებიას ფასი რაა..... ყველას და ყველაფრის სიყვარულმა: მამის, დედის, ბაბუის, დის (რომელიც არ მყოლია), მოყვასის, მტრის, შიშის, ცრემლის და სიხარულის, დაღატის და ერთგულების, მიწის და ბალახის, თვით ერის შვილობამაც კი ბებიაჩემში მოიყარა თავი და ისეთი გაუნელებელი ცეცხლითაა დანთებული ჩემში, ვეჭვობ, იგი ჩემს მერეც ჩაქრეს“ (6-7).

ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში მწერალი გვიყვება ბებიას ბიოგრაფიას. 13 წლის ყოფილა, როდესაც გათხოვილა და 8 შვილის დედა ახალგაზრდა დაქვრივებულია. მწერალი წერს: „დედაჩემივით კი არ დაბნეულა და თავგზა კი არ დაუკარგავს, დედობაც გაუწევია და მამობაც. იმ დროისათვის რა ძნელი იყო და შვილებისათვის განათლებაც მიუცია, შრომაც უსწავლებია და გზაზეც დაუყენებია“ (7). წამოუზრდია შვილები, მაგრამ ჯერ უფროსი ვაჟი გარდაეცვალა, შემდეგ ოტიას მამა, მესამეც ავადმყოფობის შემდეგ დაიღუპა, ერთი სამამულო ომში დაიკარგა. საბოლოოდ ორი ქალიშვილიდა შერჩენია. როგორც მწერალი იხსენებს: „ბებიაჩემი მთელი თავისი სიცოცხლე მოთქვამდა (იმან დატირება იცოდა, ქვას აადულებდა), მაგრამ არასოდეს გატეხილა, არასოდეს ავბედითობას არ შერიგებია..... შვილთაშვილებს მოესწრო და ისინიც მის განიერ, თბილ კალთაში წამოიჩინნენ..... მისი ნანა და სიმღერა, ხალხური ლექსი და ზღაპარი,

გამოცანა და იგავი, ლოცვები, რჩევა-დარიგებები ისეთი შთამაგონებელი და გულშიჩამწვდომი იყო, ახლაც ჩამესმის და ახლაც, როგორც მაშინ, მიმქრალი კერიისა და მიბჟუტული ჭრაქის სინათლეზე, სევდითა და იმედით, ტკივილითა და რწმენით ამავესებს ხოლმე“ (7).

ბებიას, როგორც მწერალი გვიყვება - „ხალხურ სიბრძნესთან და მის გამოცდილებასთან შეხვედრულად ჩვენს დაკაცებამდე ჰქონდა სათქმელი და ჭკუის სასწავლებელი. მერე როგორი თქმა იცოდა და როგორ ფლობდა ქართული სიტყვის უკიდვანო საიდუმლოს..... პირველი სიტყვა მის კალთაში ვთქვი და პირველი ანბანიც მან მასწავლა. მან გვაზიარა ენის ჯავარსა და სინატიფეს...“ (8) „...მე ცხოვრების, საფუძვლიანი ცოდნის სკოლა დავამთავრე, მივიღე მართლა სიმწიფის ატესტატი, რომელსაც ბებიამ ჩემს ხელს მოწერა აკლია და, კაცმა რომ თქვას, მას ყველაზე პირველად და ყველაზე საპატიო ადგილას უნდა მოეწერა ხელი“ (13) - წერს მწერალი.

საოცრად ემოციურდ ასახავს ოტია იოსელიანი საყვარელი ბებიის გარდაცვალებას. იგი წერს ამავე მოთხრობაში: „ბებია არ მომკვდარა - იგი გარდაიცვალა. აბა მასზე უკეთესი რა უნდა დამეკარგა, მაგრამ ისე დავასაფლავეთ, ვერ ვიტყვით, არც იმ დღეებში და არც მერე კარგა ხანს..... ერთ ღამეს მესიზმრა: ბებია მომიკვდა და ვტირი. გამეღვიძა. ოთახში ჩემს მეტი არავინაა.... აბა მასე არ უნდა ტირილი-მეთქი და ვიტყვით და ვიტყვით. გათენდა - ვტირი, მზე ამოვიდა - ვტირი, ვტირი და ვტირი. ჩემს დიდებულ ბებიას რომ ეკადრებოდა, ისე ვიტყვით და იმ თვეებში დავწერე კიდევ ჩემი პირველი რომანი „ვარსკვლავოცვენა“ და შავი ცრემლით გამოვივლოვე ჩემი და ჩემი თაობის დაკარგული ბავშვობა“ (15).

ბებიამ „სიკვდილს, პირიქით, არ დაუცადა, გაასწრო. როცა გათავდა, გული მერეც მუშაობდა. მე უბედურს, რაკი მაჯა ფეთქავდა, მობრუნდებოდა მეგონა. ალბათ, რომ ნდომებოდა, მობრუნდებოდა, მისი ნებისყოფისა და ჭირთამთვრუნავი ხასიათის პატრონს ვაგლახად სიკვდილიც ვერ დაიმორჩილებდა. არაფერი უანდერძია, რაც გააჩნდა, მან სიცოცხლეში გადმოგვცა. სულის ამარა იყო დარჩენილი, რომლის ალიკვალი ჩვენს სიცოცხლეშივე ჩავვიდგა“ - წერს მწერალი მოთხრობაში „ბებია გარდაიცვალა“ (332).

ოტია იოსელიანი ასე ახასიათებს ბებიის პიროვნებასა და ხასიათს ამავე მოთხრობაში: „ძველისძველ, ფესვდონიერ, მორჭმულ, ბებერ, მაგრამ გულიან ხედ მძლავრობდა ბებია. ქარტყილებმა, ელვამ და მეხმა რომ ურტყა, ურტყა და ხან ეს ტოტი ჩამომამტვრია, ხან ის, და მაინც თავისი ქნა, ნატოტვარზე ჩვენ ამოგვიყარა - შვილიშვილები და შვილთაშვილები.... ას წელიწადს ბობოქრობდა, არ მოტყდა, არ დაფუტუროვდა, არ გამოდრუვდა.... ახლად ჩამონაყოფდა, შეთხელდა, შეჭკნა, შებარბაცდა და თვითონვე ინება დასვენება, მენაყოფე ხილივით მეწლეობედ და ურგებად დგომა არ ინდომა, მოჭრილ ხესავით უდრტვინველად, უთქმელად, უცრემლოდ დაშვავდა და მისი საჩრდილობელის არემიდამოზე, თავისი ცხოვრებისეული სიბრძნე და „ჭირსა შიგან გამაგრება“... ვერცხლის ხატებით ნაფოტებად მოფანტა. მას აქეთ, და ალბათ, ყოველთვის, როცა ამდენი გვიჭირს, გვათოვს, გვაწვიმს და ვითოშებით, ვინთებთ იმ ნაფოტების ცეცხლს და დამზრალ ხელებს ვითბობთ“ (332).

ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიულ ნაწერებში შექმნა საკუთარი ბებიას რეალური სახე. მწერალმა დააფასა ის მადლი, რაც მისმა ბებიამ თავისი ცხოვრებით მოიმოქმედა, რასაც შეაღია მთელი თავისი სიცოცხლე. ღირსეულმა ბებიამ ღირსეულად გაზარდა თავისი შვილიშვილი.

მან დიდი წვლილი შეიტანა მწერლის პიროვნების ჩამოყალიბებაში. საფიქრებელია, დედ-მამის ხელში რომ გაზრდილიყო მომავალი მწერალი, იქნებ, ვერც დამდგარიყო ასეთი წარმატებული და მისაბაძი ადამიანი. აკი, თავადაც წერს მოთხრობაში „მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ“: „...გვიქრობ: ყველაფერს რომ სასურველად ჩაეგლო: მყოლოდა მამა... სახელდებული და ცოლ-შვილის ერთგული; დედა - თავიანი, შვილებზე გადაგებული და ოჯახის ბურჯი; მესწავლა სანიმუშოდ, უმაღლესი წარჩინებით დამემთავრებია; სადმე, მამაჩემის ან ბიძაჩემის გავლენით მოვწყობილიყავ სამსახურში ან გავმეცნიერებულიყავი... უფრო მოსაწყენი და უდიდრამო ხომ არ იქნებოდა ჩემი ცხოვრება?! ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ უთქვამთ, მართალი ხომ არაა?“ (333).

ოტია იოსელიანის მიერ დახატული საკუთარი ბებულის სახე მუდამ დარჩება მკითხველის მეხსიერებაში.

ლიტერატურა:

თუშიშვილი ლიკა, ბავშვის აღზრდის აუცილებელი წესები, რომელიც ოჯახის ყველა წევრმა უნდა დაიცვას, 2017, <https://www.allnews.ge/sazogadoeba>;

იოსელიანი ო. (2011): ექვსტომეული, ავტობიოგრაფიული მოთხრობები, ტომი 6, გამომცემლობა „პალიტრა, თბილისი;

ფირცხალავა ე. (2008): ოჯახი და ტრადიციები, http://gipugipugipu.blogspot.com/2008/05/blog-post_28.html;

ხენუაშვილი ლ. (2008): პიროვნების ფსიქოლოგია, შესავალი,

Тинатин Тушабрамишвили

Бабушка Отии Иоселиани

Резюме

Автобиографические записи Отии Иоселиани - документальный материал, в котором автор разработал очень теплую, любящую, интересное, впечатляющее и, самое главное, лицо бабушки.

Tinatin Tushabramishvili

Otia Ioseliani's Grandmother

Abstract

Otia Ioseliani's autobiographical writings represent a documentary material in which the writer created the warmest, caress, interesting, impressive image of the grandmother having done her duty.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. ბორისოვა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

სალომე კენჭოშვილი

ქუთაისი, საქართველო

იტალიური მიგრანტული ლიტერატურის უმთავრესი
მახასიათებლები

სტატიაში აღნიშნულია, რომ მიგრანტი მწერლების მიერ იტალიურ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები წარმოადგენენ თანამედროვე იტალიური ლიტერატურისა და კულტურის სპეციფიკურ შრეს, რომელიც ზეგავლენას ახდენს დომინანტური ლიტერატურული კანონის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. მიგრანტულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ადრინდელ სტადიაზე, შეიმჩნევა დოკუმენტური და ავტობიოგრაფიული ჟანრების აქტუალიზება და ასახვას პპოვებს იტალიურ საზოგადოებაში მიგრანტთა ინტეგრირების სირთულე. მიგრანტი მწერლების მსოფლგანცდის თვალსაჩინო ნიშან-თვისებაა ლიმინალობის, დატოვებულ სამშობლოსა და მასპინძელ ქვეყანას შორის გარეობის განცდა, ახალი იდენტობის, ახალი კულტურული მთლიანობის მტკივნეული ძიება. შესაძლოა მიგრანტული ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო ნიშან-თვისებაა დატოვებული სამშობლოს ნოსტალგიისა და ინტერკულტურული სივრცისადმი, ახალი კულტურული ოიკუმენესადმი თანაზიარობის განცდის ამბივალენტური შეთავსება.

ეროვნული თვითმყოფადობის ხასიათზე, კულტურაზე, ლიტერატურის განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ინტერკულტურული პროცესები, სხვადასხვა ეთნოსთა, რელიგიათა, თვისებრივად განსხვავებული კულტურული შენაკადებისა და დიალოგური ურთიერთობის ინტენსიფიკაცია. მიგრანტული ფერმენტი საგრძნობლად ცვლის არაერთი თანამედროვე ლიტერატურის თვისებრიობას, თემატიკასა და პრობლემატიკას, მისი ტრადიციული ფუნქციონირების ხასიათს. ამ ბოლო დროს ქართული ლიტერატურისმცოდნეობა აქტიურად ჩაერთო მიგრანტი მწერლების მიერ შექმნილი ტექსტებისა და მათთან დაკავშირებული თეორიული საკითხების შესწავლის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით შექმნილი გამოკვლევათა

კრებული “ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა” (2016).

წინამდებარე სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ იტალიაში სხვადასხვა ქვეყნიდან ლტოლვილთა მიერ იტალიურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებთა უმთავრეს ნიშან-თვისებებზე. ამჟამად იტალიაში ხუთასამდე მიგრანტი მწერალი მოღვაწეობს, რომლებიც ყველა კონტინენტის, სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების წარმომადგენლები არიან. არაერთმა მათგანმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა; ზოგიერთი მათი ნაწარმოები ეკრანიზებულია, შექმნილია მიგრანტული მწერლობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ჟურნალი და საკვლევი ცენტრი. კარგა ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც თვალსაჩინო გამომცემლობები თავს არიდებდნენ მიგრანტი ავტორების ნაწარმოებთა გამოქვეყნებას.

იტალიურ მიგრანტულ ლიტერატურას, რომელიც 1990-იანი წლების დამდეგს იღებს სათავეს, ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს იტალიურ საზოგადოებაში ეთნიკურად და რასობრივად განსხვავებულ ადამიანთა ინტეგრირების სირთულესთან დაკავშირებულ პრობლემათა განსჯა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მიგრანტი ავტორების პირველი ნაწარმოებები ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ, თავისებურ აღსარებასა და საკუთარი თავგადასავლის ემოციურ ნარაციას წარმოადგენენ. მათში უაღრესად დიდი ადგილი უკავია დოკუმენტური ხასიათის ფაქტებს. როგორც წესი, ასეთ ნაწარმოებებში ვეცნობით იმ რთულ გზას, რომლებსაც მიგრანტები გადიან სამშობლოდან იტალიამდე და იმ პრობლემებს, რომელთა გადალახვაც უწევთ მათთვის მრავალმხრივ უცხო კულტურულ და სოციალურ გარემოში.

იტალიურ ლიტერატურაში მიგრანტული ნაკადის ერთ-ერთი პირველი და თვალსაჩინო წარმომადგენელია სენეგალელი **პაპ კოუმა** (Pap Khouma, დაბ. 1957), რომელიც თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში “*მე, სპილოების გამყიდველი*” (*Io, venditore di elefanti*, 1990) გვიამბობს, რაოდენ ძნელი იყო მისთვის, შავკანიანი მიგრანტისათვის, რაიმე სამუშაოს შოვნა, ბინის ქირაობა და თავის რჩენა ხისაგან გაკეთებული სპილოებისა და აფრიკული ნიღბების გაყიდვით. იტალიურ საზოგადოებაში შავკანიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლინებებს ეხება პაპ კოუმა თავის მხატვრულ ნარკვევში “*ჩვენ, შავკანიანი იტალიელები*” (*Noi, italiani neri*, 2010).

ასევე ავტობიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება წარმოშობით ბრაზილიელი ტრანსსექსუალი, **ფერნანდინო ფარიას დე ალბუკერკეს** (Fernandinho Farias de Albuquerque, 1963-2000) მიერ ციხეში დაწერილი “*პრინცესა*” (*Princesa*, 1994), რომელშიც ავტორი მოგვითხრობს, როგორ ცდილობდა პროსტიტუციით ჯერ ბრაზილიაში, ხოლო შემდეგ იტალიაში ფულის შეგროვებას თავისი სქესის შესაცვლელად. 2001 წელს “*პრინცესა*” ეკრანიზებულ იქნა. იმავე წელს უკვე ციხიდან გამოსული ალბუკერკე შიდასით გარდაიცვალა.

დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა აგრეთვე მაროკოელი მიგრანტი მწერლის **ტაჰერ ბენ ჯელუნის** (Tahar Ben Jelloun, დაბ. 1944) კრებული “*იქ, სადაც ხელისუფლება არ არის*” (*Dove lo Stato non c'è: Racconti italiani*, 1991), რომლის ერთ-ერთ მოთხრობაში ფაქტების ზუსტი შესწავლის საფუძველზე 1989 წელს იტალიის ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი მიგრანტის მკვლელობის ამბავია გადმოცემული.

ასევე დოკუმენტური პროზის ნიშან-თვისებებითაა აღბეჭდილი მაროკოელი მიგრანტის – **ამარა**

ლაკჰუსის (Amara Lakhous, დაბ. 1970) რომანი მრავლისმეტყველი სათაურით “ცივილიზაციათა შეჯახება ლიფტის გამო პიაჯა ვიტორიაზე” (*Scontro di civiltà per un ascensore a piazza Vittorio*, 2010). ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რომი ისტორიულად სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, სადაც “ყველა, მათ შორის – ემიგრანტი, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, აქ მაინც საგრძნობია “ყველაზე უარესი, რაც შეიძლება იყოს ორი საზოგადოების ურთიერთობაში, კერძოდ: გულგრილობა”.

იტალიაში მოღვაწე მიგრანტი ავტორების საერთო ნიშან-თვისებაა აგრეთვე თავისი ენობრივი და კულტურული კუთვნილების ცვლილებით გამოწვეული ლიმინალობის, ეთნიკურ სამშობლოსა და იტალიას შორის ფსიქოლოგიური გაორების მტკივნეული განცდა, რაც ცხადად მუდგანდება სომალელი **იგიაბა შეგოს** (Igiaba Scego, დაბ. 1974) შემდეგ სიტყვებში: “შინ სომალის კულტურისა და ისლამის შესაბამისად ვცხოვრობ, სომალურ ენაზე ვსაუბრობ და სომალურ კერძებს ვამზადებ. მაგრამ სახლს გარეთ ურთიერთობა მაქვს იტალიურ სინამდვილესთან, სკოლასთან, ტელევიზიასთან, იტალიელ მეგობრებთან. ეს გაორება, ბუნებრივია, ირეკლება ჩემს შემოქმედებაში”. შეგოს მოთხრობაში “სოსისი” (2003) პროტაგონისტი – მუსლიმი სომალელი გოგო – ცდილობს თავისი სარწმუნოების საწინააღმდეგოდ ღორის ხორცისაგან დამზადებული სოსისი შეჭამოს, რათა “ნაკლებად განსხვავდებოდეს” იტალიელებისაგან.

მიგრანტთა შემოქმედებაში კულტურული ჰიბრიდულობის განცდას განსაკუთრებით ამაფრებს ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – მშობლიურ ენის ნაცვლად იტალიურის გამოყენება. ამასთანავე მიგრანტი მწერლები ყოველნაირად ცდილობენ იმის არგუმენტირებას, რომ თავიანთ ნაწარმოებებში მასპინძელი ქვეყნის ენის გამოყენება სულაც არ ნიშნავს საკუთარ ნაციონალურ იდენტობაზე უარის თქმას.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ალბანელი მიგრანტი მწერლის – **ორნელა ვორპსის** (Ornela Vorpsi, დაბ. 1968) შემდეგი სიტყვები: “იტალიურად რომ ვწერ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიელი ვარ. მე 100%-იანი ალბანელი ვარ”. ეროვნული იდენტობის საწყისი მის რომანებში ნაწილობრივ, მხოლოდ თემატიკის დონეზე ვლინდება: მათი უმრავლესობა XX საუკუნის ალბანეთის პოლიტიკური და სოციალური სინამდვილის ასახვას ეძღვნება. ასევე კიდევ ერთი იტალიურენოვანი ალბანელი მწერლის – **ანილდა იბრაჰიმის** (Anilda Ibrahimi, დაბ. 1972) რომანების თემატიკა დაკავშირებულია არა იტალიასთან, არამედ ალბანეთის საკვანძო ისტორიულ მომენტებთან უძველესი დროიდან კომუნისტური და პოსტ-კომუნისტური ხანის ჩათვლით.

შეიძლება ითქვას, რომ მიგრანტულ ლიტერატურაში კულტურული ჰიბრიდულობის ცალკეული ელემენტები ხშირად მაშინაც იჩენენ თავს, როდესაც თითქოსდა სრულ ინტეგრირებასთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული წარმოშობით სომალელი იგიაბა შეგო იტალიაშია დაბადებული და იტალიური ენა მისი მეორე მშობლიური ენაა, მის მოთხრობებსა და რომანებში უმთავრესი ყურადღება ემიგრანტების მდგომარეობას ეთმობა და ამასთანავე იგრძნობა წინაპართა სამშობლოს ნოსტალგიური განცდა. მის რომანში – “ადუა” (*Adua*, 2005) – სომალის ისტორიული პერიპეტეები ირეკლება, ხოლო პროტაგონისტ ქალს იმ ადგილის, ადუას, სახელი ჰქვია, სადაც XIX საუკუნის დამლევეს აფრიკელებმა იტალიელთა ჯარი დაამარცხეს.

მიგრანტული ლიტერატურის კიდევ ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა “სახლიდან მოწყვეტის”, სამშობლოს ნოსტალგიურ განცდასთან ერთად, ინტერკულტურულ სივრცეში, მრავალ კულტურულ ოიკუმენეში ჩართულობის აქცენტირება, რომელიც ყველაფერთან ერთად, მიგრანტების მიერ თავიანთ შემოქმედებაში მშობლიურ ენაზე უარის თქმის თავისებური თვითგამართლების ფორმასაც წარმოადგენს. ეს მომენტი თავისებურად მქდავდება წარმომართობით კამერუნელი პოეტის, **ნდჯოკ ნგანას** (Ndjock Ngana, დაბ. 1952) ლექსში “ციხე”:

მხოლოდ ერთი სიცოცხლე,
 მხოლოდ ერთ ქალაქში,
 მხოლოდ ერთ ქვეყანაში,
 მხოლოდ ერთ სივრცეში ყოფნა –
 ციხეა.
 მხოლოდ ერთი მეგობრის,
 მხოლოდ ერთი მამის,
 მხოლოდ ერთი დედის,
 მხოლოდ ერთი ოჯახის,
 მხოლოდ ერთი ადამიანის სიყვარული –
 ციხეა.
 მხოლოდ ერთი ენის,
 მხოლოდ ერთი ხელობის,
 მხოლოდ ერთი წეს-ჩვეულების,
 მხოლოდ ერთი ცივილიზაციის,
 მხოლოდ ერთი ლოგიკის ცოდნა –
 ციხეა.
 მხოლოდ ერთ სხეულის ქონა,
 მხოლოდ ერთი აზრის,
 მხოლოდ ერთი ცოდნის,
 მხოლოდ ერთი მრწამსის რწმენა,
 მხოლოდ შენთვის ყოფნა –
 ციხეა.

აქ ხაზგასმულია კულტურათა შორის დიალოგური ურთიერთობის უქონლობის ნეგატიური მხარე, ყურადღება გამახვილებულია კულტურული მონდიალიზაციის დადებით ასპექტებზე, მაგრამ ამასთანავე უგელებელყოფილია, მიჩუმათებულია სამშობლოსთან, “სახლიდან მოწყვეტისა” და ახალ კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული ტრავმული, ნოსტალგიური მომენტები.

ამგვარად, იტალიური მიგრანტული ლიტერატურის უმთავრესი მახასიათებლებია როგორც სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულ ადამიანთა იტალიურ სინამდევლეში ინტეგრირებასთან დაკავშირებული პრობლემების განსჯა, ასევე ხშირ შემთხვევაში – ტრავმირებული ცნობიერების, შინაგანი გაორებისა და ჰიბრიდული იდენტობის გამოვლინებანი.

Саломе Кенчოшвили

Основные черты итальянской мигрантской литературы
Резюме

В статье отмечается, что произведения, создаваемые писателями-мигрантами на итальянском языке, являются специфическим слоем современной итальянской литературы и культуры, в определённой степени влияющем на становление и развитие доминантного литературного канона. В мигрантской литературе, особенно на ранней стадии, наблюдается актуализация документальных и автобиографических жанров и отражение сложности интеграции мигрантов в итальянское общество. Заметная черта мировосприятия писателей-мигрантов - это ощущение лиминальности, переходного состояния своего «я» между покинутой родиной и новым отечеством, болезненный поиск новой идентичности, стремление к обретению новой культурной целостности. Возможно наиболее характерной признаком мигрантской литературы является амбивалентное сочетание ностальгии по покинутой родине и причастности к интеркультурному пространству, к новым культурным ойкуменам.

Salome Kenchoshvili

The Main Features of Italian Migrant Literature
Abstract

It is noted in the article that the works created by migrant writers in Italian compose a specific layer of modern Italian literature and culture, influencing to a certain extent the formation and development of the dominant literary canon. The Italian migrant literature especially on the early stage is marked by an actualization of documentary and autobiographical genres and a reflection of the complexity of the integration of migrants into the Italian society. One of the prominent features of the worldview of migrant writers is a sense of liminality, the transitional state of one's "I" between the abandoned homeland and the new one, the painful search for a new identity, the desire to acquire a new cultural integrity. Perhaps the most characteristic feature of migrant literature is the ambivalent combination of nostalgia for the deserted homeland and inclusion in the intercultural space, in new cultural ecumene.

რეცენზენტი: პროფესორი ა. ლევიცკი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

მარიამ ყვერელიძე

თბილისი, საქართველო

სახარებისეული „მწყემსი კეთილი“ წმ. გრიგოლ ხანძთელის მნიშვნელობის გამოსაყვეთად

სტატია სახარებისა და ჰაგიოგრაფიული ტექსტის ურთიერთობას ეხება; საუბარია სახარებისეული სახე-სიმბოლოს გამოყენებაზე ჰაგიოგრაფიულ ტექსტში და მის მიზანდასახულობაზე (გმირის მნიშვნელობის წარმოჩენა). საანალიზოდ მოტანილია გრიგოლ ხანძთელის სახელდება „მწყემსი კეთილი“, რომელიც სახარებისეული მეტაფორაა და მაცხოვარს აღნიშნავს. წარმოდგენილია კეთილი მწყემსის ხატი სახარებაში, შემოთავაზებულია მისი იოანე ოქროპირისეული განმარტება და ეს ყოველივე გააზრებულია მამა გრიგოლის მეტაფორულ სახესთან მიმართებით. დასკვნის მიხედვით მოცემული სახარებისეული სახე-სიმბოლო საქრისტიანოსთვის მამა გრიგოლის მნიშვნელობის ხაზგასმას ისახავს მიზნად.

გიორგი მერჩულის წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება შუა საუკუნეების გამორჩეულ ქრისტიან ქართველ მამაზე (მოღვაწეებზე) მოგვითხრობს და მრავალმხრივად მნიშვნელოვანი ჩვენს სტატიაში ამ საგულისხმო მომენტების ერთ, საღვთისმეტყველო, ასპექტზე ვისაუბრებთ. ამგვარი კუთხით ტექსტების კვლევა ჩვენში განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ამ მხრივ ბევრი რამაა შესასწავლი და ახლებურად გასააზრებელიც კი.

ჰაგიოგრაფიული ტექსტის უმთავრესი დანიშნულება ადამიანის ცხოვრება და ღმერთამდე მიყვანაა, სხვა ადამიანთა მაგალითის ჩვენებით. ამ ფუნქციის შესასრულებლად ჰაგიოგრაფები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ; ერთი ასეთი არსებითი ხერხია მეტაფორული სახეების გამოყენება წმინდა წერილის წიგნებიდან. მათი დახმარებით მწერალი, ერთი მხრივ, მკვიდრად აკავშირებდა თავისი გმირისა თუ გმირების ღვაწლს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, ნათლად წარმოაჩენდა მათ ურთიერთმიმართებას, ხოლო, მეორე მხრივ, მკითხველისთვის უფრო ახლობელს ხდიდა ჰაგიოგრაფიული ტექსტის გმირს - „ახალ“ წმიდანს, ნაცნობ-ახლობელ ბიბლიურ გმირებთან პარალელების გავლებით. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი,

რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ბიბლიური ტექსტის ციტირება უაღრესად ხშირია. ალბათ, ბიბლიური ციტატებით ასე დატვირთული ჰაგიოგრაფიული თხზულება ძნელად მოიძებნება“ [დათაშვილი, 2004: 150]. ჩვენს სტატიაში ბიბლიური წიგნებიდან ყურადღება შევჩერეთ სახარება-ოთხთავზე, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მქონე წიგნზე, ტექსტში გამოყენებული სახარებისეული რემინისცენციებიდან კი შევარჩიეთ ის, რომელიც გრიგოლ ხანძთელის (და, შესაბამისად, მისი დაარსებული კერის) მნიშვნელობის წარმოჩენა-განმტკიცებას ემსახურება. მეტაფორული სახეები, ზოგადად, კარგად წარმოაჩენს ჰაგიოგრაფიაში წარმოდგენილი წმიდანის წმიდანად ჩამოყალიბების ორ საგულისხმო საფეხურს - „ბაძვასა“ და „ზიარებას“, რაც „განდმრობით“ სრულდება.¹ ჩვენ მიერ მოხმობილი მეტაფორული სახეც თავის თავში მოიცავს ამ საფეხურებს.

პირველი სახარებისეული სახე-სიმბოლო, რომელიც წარმოგვიდგენს მამა გრიგოლისა და მისი სამოღვაწეო კერის მნიშვნელობას ქრისტიანული სამყაროსთვის (მასში, რა თქმა უნდა, მოიაზრება ქართველი ერიც) არის „მწყემსი კეთილის“ სახე-სიმბოლო; მას ბერი ხუედიოსი გამოიხმობს, როდესაც პირველად შეხვდება მამა გრიგოლს და უწინასწარმეტყველებს პირმეტყველი ცხვრების, ე. ი. ადამიანთა მწყემსობას - „შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტესთა...“ სახარებაში „მწყემსი კეთილი“ მაცხოვრის მეტაფორაა, მისი აღმნიშვნელია. იოანეს სახარებაში² ქრისტე თავად სახელდება თავს მწყემსად, რომელიც ბოლომდე პატრონობს ცხვარს და საჭიროებისამებრ თავსაც დებს მის გადასარჩენად. სახარების ტექსტის მიხედვით მწყემსი შემდეგი თვისებებითაა შემკული: ა) ის კარით შედის ფარეხში, განსხვავებით ქურდისა და ავაზაკისგან, ამგვარად ის კანონიერს იღებს – ეკუთვნის კარით შესვლა და შედის; ბ) იგი არაა მოძალადე – ცხვრები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თვითონ მიჰყვებიან მას; გ) მწყემსი თავდადებულია ცხვრებისთვის, რადგან უყვარს და საკუთრად თვლის მათ; მოჯამაგირე შეიძლება გაიქცეს მგლის შიშით და მიატოვოს ფარა, მაგრამ მწყემსს არ შეუძლია თავისთავის მიტოვება, რადგან ის, რაც მისია, მასზე მინდობილია, თვითონ ისაა...

გარდა მოცემული მომენტისა სახარებაში მაცხოვარი გვიამბობს იგავს კეთილი მწყემსის შესახებ, რომელშიც მწყემსი ტოვებს ფარას და ერთი დაკარგული ცხვრის საძებნელად მიდის, პოულობს მას ჭაში ჩავარდნილს, ამოჰყავს და ფარაში მხრებზეშესმულს აბრუნებს.³ იგავი ერთგვარად განამტკიცებს კეთილი მწყემსის, ზემოთ აღნიშნულ, უმთავრეს თვისებას – თავდადებას და ხაზს უსვამს მის ინდივიდუალურ, პიროვნულ ხასიათს – მწყემსისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ცხვარი, მისთვის მნიშვნელოვანია გადარჩენა, ხსნა და ის, რომ არცერთი მისი ფარიდან არ დაიღუპოს. „უსაზღვროდ კეთილ ღვთიურ მწყემსს სულებისა-ამბობს მიტროპოლიტი ფილარეტი, - ზეციურ მთებში ჰყავს არა ოთხმოცდაცხრამეტი, არამედ ათასობით და ათობით ათასობით მის მიერ დამწყესილნი, მისი ხმით მავალნი, ნათელ ანგელოზთა სულები; მაგრამ მას არ სძულს ერთიც კი, თავისი ნებით მისგან განდგომილი, ქვეყნიურ

¹ წარმოდგენილი ტერმინები მოტანილია ნ. სულავას სტატიიდან „წმინდანის სულიერი ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში“.

² იოანე 10:1-18;

³ მათე 18: 12,13

ულრანში გზაბნეული მეტყველი ცხვარი. იგი თავად იკიდებს მას მხარზე და სიხარულითა და მზრუნველობით მიჰყავს სახლში. ხარობს ცოდვილთა გადარჩენით და მოუწოდებს ამ სიხარულისაკენ თავის ყველა ანგელოსს, რამეთუ ჩვენი ცხოვრება – მისი სიხარულია, ხოლო ჩვენი დაღუპვა, - მისი დარდი”... [მათეს სახარების განმარტება: იგავი დაკარგულ ცხვარზე (18, 10-14), ინტერნეტ რესურსი]

მწვემსობა არა მხოლოდ სახარებაში, არამედ ზოგადად ბიბლიაში ატარებდა გამოხატულად დადებით ფუნქციას; მწვემსი იყო აბელი, რომელმაც საუკეთესო ცხვარი შესწირა უფალს, მწვემსი გახლდათ დავით მეფე და მწვემსობაშივე გამოარჩია იგი უფალმა... და ყველა ეს სახე იციან ხუედიოსმა, გრიგოლმა, გიორგი მერჩულემ და ქრისტიანებმა, ამიტომ ხუედიოსის სიტყვების გააზრებისას ისინი კარგად ხედავენ მამა გრიგოლის ღირსებას, დეაწლის მნიშვნელობასა და დანიშნულებას. ხუედიოსი ლაკონიურად საუბრობს, ის მხოლოდ აუცილებელს ამბობს, დანარჩენი კი მკითხველზე თუ მსმენელზეა მინდობილი. სქემატურად ეს ყოველივე ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ძველი აღთქმისეული მწვემსი

(ქრისტეს ერთგვარი წინასახეები – აბელი, დავით მეფე...)



ახალი აღთქმისეული მწვემსი


(ქრისტე და მისი წმიდანები)

თვით გიორგი მერჩულეც არაერთხელ ადასტურებს ხუედიოსის ერთგვარ წინასწარმეტყველებას მამა გრიგოლის მწვემსობის შესახებ; გავიხსენოთ ფრაზა, სადაც იგი წმიდა მამის მიერ ხანძთის უდაბნოს აღორძიებაზე საუბრობს - „ვიდრე მოსვლადმდგ გრიგოლ მწვემსისა მის კეთილისა მკვეცთა/გან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განბნეულ იყვნეს თითოე ანუ თუ ორ ორი სივრცესა მას უდაბნოთასა: ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმკვნიდეს და მკვეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოდ განემართა” [მერჩულე, 1911: 103]

სწორად შენიშნავს ლ. დათაშვილი, როცა წერს, რომ გრიგოლი მწვემსს მაცხოვარს ჰგავს არამარტო წინამძღოლობისა თუ მასწავლებლობის ნიშნით, არამედ იმითაც, რომ მწვემსივით იბრძვის ბოროტთაგან ცხვრების დასაცავად - „მათი სულების საცხონებელად იბრძვის ლოცვის, ჯვრის გამოსახვის, სწავლა მოძღვრებისა თუ სამონასტრო მშენებლობის ძალით” [დათაშვილი, 2004: 103].

ხუედიოსის სიტყვები იმასაც შეგვახსენებს, რომ მამა გრიგოლის ცხოვრება უკავშირდება სახარებას, მისითაა განმსჭვალული და, შესაბამისად - „დამოწმებული”; ამავე დროს ჰაგიოგრაფიული ტექსტი, მისი გმირი წარმოადგენს ერთგვარ განმარტებას სახარებისას, რამდენადაც გვიჩვენებს სახარებისეულის განხორციელებას დღეს, ქრისტეს ცოცხალი რწმენის მაგალითს გვთავაზობს ახლა. ცდროის საზღვრების ამგვარი მოშლა კი ქრისტიანობის მარადიულობასა და მისი ტექსტების – სახარებისა თუ ჰაგიოგრაფიის მარადიული თემებით დაინტერესებაზე მეტყველებს.

საინტერესო იქნება თუ კეთილი მწყემსის სახე-სიმბოლოსა და წმიდა გრიგოლის დაკავშირებისას მოვიშველიებთ წმიდა იოანე ოქროპირისეულ სახარების განმარტებას, სადაც იგი კარად, რომლითაც შედის მაცხოვარი ფარესში, მოიაზრებს „წერილებს“⁴, რომლებიც, მისი თქმით, გვიხსნიან გულს უფლის შესაცნობად და გვიცავენ, როგორც მაგარი კარი მწვალებელთაგან. ისინი გვიჩვენებენ ვინაა მწყემსი და ვინ არ, ვინ შემოდის მათი მეშვეობით და ვინ მათ გარეშე. კარი, სახარების მიხედვით, მაცხოვარსაც უკავშირდება („მე ვარ კარი ცხოვართაჲ...“ [იოანე 10:7]), რაც იოანე ოქროპირის განმარტებით მოასწავებს უფლის მრავალმხრივობას, ქრისტე ის ხდება ჩვენთვის, რაც ჩვენ გვჭირდება გადარჩენისთვის, ისაა კარიც, მწყემსიცა და ცხოვარიც - „ნუ გიკვრს, რამეთუ იგი კარადცა სახელ-სდებს თავსა თვისსა და მწყემსადცა და ცხოვრად თვისა და თუთოსახედ ქადაგებს თვისსა განგებულებასა, რამეთუ რაჟამს მამისა მიმიყვანებდეს ჩუენ, კარად უწესს თავსა თვისსა და გზად ცხორებისად, ხოლო ოდეს გვლწიდე ჩუენ, მაშინ მწყემსად უწესს თავსა თვისსა, და ოდეს ჩუენთვის დაიკლვოდის, მაშინ ცხოვრად, და რაჟამს გამოზრდასა ჩუენსა მოასწავებდეს, მაშინ პურად ცხორებისად, ხოლო აქა მწყემსად იტყვს, რომლისაჲ ისმინიან ცხოვართა“ [წმ. იოანე ოქროპირი, 1993: 96]; სქემატურად:



თუ ოქროპირის განმარტებას მამა გრიგოლთან დავაკავშირებთ დავინახავთ, რომ იგი კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებს წარმოდგენილ სახე-სიმბოლოებთან; მამა გრიგოლიც ქრისტეს მსგავსად არის კარი, რადგან „წერილები“ ზედმიწევნით იცის და ეს მისი ღვაწლის ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ტექსტის მიხედვით; მამა გრიგოლის მწყემსობაზე უკვე ვისაუბრეთ, დავამატებთ მხოლოდ, რომ მისი სახელი „ფხიზელს, მღვიძარეს ნიშნავს“ [სულავა, 2018: 129], ხოლო რაც შეეხება მის ცხვრად მყოფობას, ის როგორც ქრისტიანი არის კიდევ ცხვარი - „აჰა, მე მიგაველინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა...“ [მათე, 10:16]; ნათქვამიდან გამომდინარე სქემაში „ქრისტეს“ შეესაბამება წმიდა გრიგოლი.

საგულისხმოა ის მომენტიც, რომ „მეკარე“, ის ვინც კარს უღებს ნამდვილ მწყემსს – ქრისტეს, იოანე ოქროპირის განმარტებით არის მოსე, რამდენადაც იგი ერის წინამძღოლი და სჯულმდებელია. მამა გრიგოლიც ანალოგიური ნიშნებით უკავშირდება ამ მეტაფორულ სახეს, როგორც ერის მამა და რჯულის დამცველი, ტიპიკონის შემდგენელი.

როგორც ვხედავთ კეთილი მწყემსის სახე-სიმბოლო საკვირველი სიღრმითა და სიმარტივით, სიცხადითა და დაფარულობით ხასიათდება ერთდროულად და საოცრად კარგად, მოკლედ, დაწურულად ახერხებს მამა გრიგოლის ღვაწლის მნიშვნელობის წარმოჩენას უფლის, სახარების, ბიბლიის, ქრისტიანული აზროვნების, მრევლის/ერის შუქზე.

4 წერილი (წერილები) – ძველი აღთქმის წიგნები;

ლიტერატურა:

დათაშვილი ლ., საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბ., 2004წ.

მათე, ლუკა, იოანე : ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეორე სრული გამოცემის მიხედვით, http://www.orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/akhali_agtqma.htm .

მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, შემდგ. ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), ინტერნეტ რესური, http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/18_10-14.htm .

გიორგი მერხულე, შრომაი და მოღუაწეობაი ღირსად-ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისაი ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მის თანა მრავალთ მამათა ნეტართაი, Георги Мегчул. Житие св. Григория Хандзтийского / Грузинский текст. Введение, издание, перевод **Н. Марра** с дневником поездки в Шавшию и Кларджию. - СПб., (тип. Акад. наук), 1911.

სულავა ნ., „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, „წმინდანის სულიერი ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში“, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2018წ.

სულავა ნ., წიგნიდან „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, „ანთროპონიმთა სიმბოლიკის მიმართება წმინდანთა და ჰაგიოგრაფთა ხატ-სახეებთან“, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2018წ.

წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწილი მე-2, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა, გამომც. საწარმო „მერკური“, 1993წ.

Мариам Квергелидзе

**Евангелический «Добрый пастырь» для выявления значение
св. Григория Хандзтели**

Резюме

В статье рассматриваются отношения между Евангелием и агиографическим текстом; Речь идет об использовании образом Евангелия в агиографическом тексте и его целях (показать важность героя). Было проанализированно имя Григола Хандзтели «Добрый пастырь», который является метафорой Евангелия и отмечает Спасителя. В статье представлен - Образ Доброго Пастыря в Евангелии и по определению Иоанна Златоустого и как все это связано с метафорическим образом отца Григория. Согласно заключению, это евангельское лицо символизирует значение отца Григория в христианском мире.

Mariam Kvergelidze

Evangelical "Good Shepherd" to identify the value of St. Grigol Khandzteli

Abstract

The article discusses the relationship between the Gospel and the hagiographic text; We are talking about the use of the Gospel image in the hagiographic text and its goals (to show the importance of the hero). For analysis, the name of the "Good Shepherd" of Grigol Khandzteli, which is a metaphor of the Gospel and notes the Savior, is attached. The article presents the image of the Good Shepherd in the Gospel and, by definition, John Chrysostom and all this is connected with the metaphorical image of Father Grigol. According to the conclusion, this gospel icon symbolizes the meaning of Father Gregory in the Christian world.

რეცენზენტი: პროფესორი ხ. არსლანი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

შორენა შავრეშიანი

თბილისი, საქართველო

პერსონაჟი და ქრონოტოპოსი

(იაკობ გოგებაშვილის აბრისი ანა მორჩილაძის პოსტმოდერნისტულ ტექსტში "ქართულის რვეულები - XIX საუკუნის სურათები")

ბიოგრაფიული ხასიათის ამ ნაწარმოებში აკა მორჩილაძე გადმოგვცემს პერსონაჟთა პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო დეტალებს იმ სიზუსტითა და თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მის მეხსიერებას შემორჩენია. ავტორი ისეთივე ზუსტი, ზედმიწევნით შესაფერისი და მტკიცე იაკობის შეფასებისას, როგორც ზუსტი, აკურატული, სერიოზული და კეთილი კაციც იყო ეს უკანასკნელი. მწერალმა თავისი პერსონაჟური სტილით თითქოს თავიდან გაგვაცნო ბუმბერაზი ქართველი მოღვაწე უბრალო, უშუალო და ადამიანური კუთხიდან, რაც კიდევ ერთხელ აღძრავს პატივისცემას მკითხველში, როგორც იაკობ გოგებაშვილის მიმართ, ისე თავად ავტორისადმი.

აკა მორჩილაძე ნაწარმოებში „ქართულის რვეულები – XX საუკუნის სურათები“ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს ყველა იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, რომელთა ამაგი ფასდაუდებელია ქართველი ერის წინაშე და რომელთა ნამოღვაწერმაც მოიყვანა დღემდე საქართველო. ეს არის ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც ავტორი გადმოგვცემს პერსონაჟთა პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო დეტალებს იმ სიზუსტითა და თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მის მეხსიერებას შემორჩენია. წიგნს თან ახლავს ისტორიული პიროვნებებისა და ადგილების ფოტოსურათები, რაც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს სძენს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიულ-კულტურულ თუ ეკონომიკურ ყოფას. იგი არ დებს თავს ფაქტთა ისტორიულ ნამდვილობასა და უტყუარობაზე, თუმცა საკითხისადმი სერიოზულ და სათუთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს: „ერთი ხნის წინათ ბევრს ვკითხულობდი ასე წლის წინანდელი ქართველების მოგონებებსა და ჩანაწერებს. წაკითხულიდან რაც დამეღეპა თავში, იმის ერთი ნაწილი ასეთი გამოდგა. ეგებ ამ ნაწერებში ბევრი რამ ზუსტი არ იყოს, მაგრამ ამბად ასე დამრჩა გონებაში და აღარ გამო-

ვედევენე. მთავარი ხომ მაინც ის არის, რომ გულს სამუდამოდ დააჩნდება. მეტი არაფერი“ [მორჩილაძე, 2014 : 5].

აკა მორჩილაძე პოსტმოდერნისტი მწერალია. მას ახასიათებს მოველენებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. „**პოსტმოდერნიზმი არც მასობრივი ხელოვნებაა და არც ელიტარული. ის, უბრალოდ, ხელოვნებაა**“ [ბარბაქაძე, 2008].

ამ „ხელოვნების ხელოვნებაში“, ისტორიის აღქმის სრულიად განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბდა ისტორიული მეტარომანი. ისტორიული მეტარომანის ძირითადი მახასიათებელია ის ფაქტორი, რომ ავტორი ისტორიულ ფაქტებს არ არის მიჯაჭვული. იგი არ თვლის საკუთარ თავს ვალდებულად, გადმოსცეს სინამდვილე ისტორიული სიზუსტით დროისა და ადგილის გათვალისწინებით. განურჩეველია მისი მიდგომა სტილის, ჟანრისა თუ გამოსატყვის ფორმებისადმი. ავტორი ახდენს რეალობის ინტერპრეტაციას, ქმნის ახალ რეალობას აღუზიებით, სურათის სრული თუ ფრაგმენტული წარმოდგენით. აქ არ არის მნიშვნელოვანი მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების ქრონოლოგიური აღწერა, აქ მთავარია მთელი საქართველო თავისი კუთხეებით, უბნებით, საზოგადოება თავისი პატარ-პატარა ნიუანსებით, ურთიერთობით, ღირებულებებით. აკა მორჩილაძის შემოქმედება ერთროულად ისტორიულიცაა, დოკუმენტურიც და მხატვრულიც.

აღნიშნულ ნაწარმოებში, „ქართულის რვეულები - XIX საუკუნის სურათებიდან“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაკობ გოგებაშვილის პორტრეტი. ვინაიდან გასული რამდენიმე წლის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილის მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაღვივდა, რაც ქართული სკოლებიდან მისი „დედაენის“ ამოღებამ გამოიწვია. საქართველოს სკოლებში „დედაენა“ თავისი პირვანდელი სახით აღარ ისწავლება. არსებობს წიგნები, რომლებიც შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით, მათში შეტანილია ძირეული ცვლილებები და წარმოდგენს სახეცვლილებას, რაც იაკობ გოგებაშვილის საავტორო უფლებების მკაცრ დარღვევად მიიჩნევა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მიერ: „**სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იაკობ გოგებაშვილის დედაენა ეწირება კერძო ინტერესებს**“ [გიორგაძე, გოგოლაშვილი, 2018 : 42].

სანამ „დედაენა“ შეიქმნებოდა, იაკობი გოგებაშვილი გაეცნო მისი თანამედროვე მეცნიერების, პედაგოგების, საზოგადო მოღვაწეების ნაშრომებს, მათ დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პრინციპებს და, მათი მოძღვრებების გაანალიზებისა და დამუშავების შემდეგ, შეიქმნა ქართულ ტრადიციულ აზროვნებას, მწერლობასა და კულტურას მორგებული უნივერსალური საანბანე წიგნი „დედაენა“.

ავტორი თითოეულ სიტყვასა და ფრაზას მოთხრობასა თუ ლექსში აზუსტებდა და ხვეწდა, რომ სვლა მარტივიდან რთულისკენ ბუნებრივი და სახალისო ყოფილიყო. „**1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, მსოფლიო საანბანე წიგნების კონკურსზე, გოგებაშვილის „დედაენამ“, როგორც მსოფლიოში საუკეთესო საანბანე წიგნმა, გრან-პრი და ოქროს მედალი აიღო**“ (ჩიბურდანიძე, 2015).

2014 წელს „დედაენას“ ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

„**2016 წლიდან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ ნომინირებულია იუნესკოს ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში.**

ამ ნომინაციის მნიშვნელოვან ნაწილადაა მიჩნეული „დედაენა“ [გიორგაძე, გოგოლაშვილი, 2018 : 48].

იაკობ გოგებაშვილმა ტერმინი „დედაენა“ ქართულ ისტორიულ და კულტურულ მდგომარეობას სამართლიანად მოარგო. ამ ერთმა სიტყვამ თავისთავში გაერთიანა მთელი საქართველო თავისი კილოკავებითა თუ დიალექტებით. მის შექმნაზე 10 წელი ფიქრობდა იაკობ გოგებაშვილი და „1876 წელს გამოდის კიდევ „დედაენა“ – მწვერვალი ქართული პედაგოგიური აზროვნებისა“ [გიორგაძე, გოგოლაშვილი, 2018 : 14].

მნიშვნელოვანი და საგულისხმო საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალების გარდა, აკა მორჩილაძე ყურადღებას ამახვილებს მოღვაწის პირადი ცხოვრების საკმაოდ სახალისო და საინტერესო ეპიზოდებზე.

მთელ თავს გასდევს მწერლისა და იაკობ გოგებაშვილის მეგობრების იუმორისტული დამოკიდებულება მისი ავადმყოფობისა და მასთან დაკავშირებული უამრავი ფობიისადმი. იაკობ გოგებაშვილს ჭლექი ჰქონია გადატანილი, ავადმყოფობა შეჩერებული, თუმცა ბოლომდე მორჩენილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ, თანამოაზრეების შეფასებით, მას არაფერი სჭირდა საგანგაშო „რა ამისთანა ავად ეგ არის, რთ შეხედავ, დაღანებსო“ [მორჩილაძე, 2014 : 81], იაკობი თავს მაინც ავადმყოფად მიიჩნევდა.

„მის ცხოვრებაში ყველაფერი ემორჩილებოდა ორ რამეს: წიგნებს ქართველი მოწაფეებისათვის და მის ამ ავადმყოფობას“ [მორჩილაძე, 2014 : 81], ორივე საკითხისადმი მისი დამოკიდებულება იყო სერიოზული და უპირობო.

წიგნს თან ახლავს ხუთი ჩანართი – ისტორიული პიროვნებებისა და ადგილების ფოტოები, რომელთაგან ბევრი შეიძლება უცნობიც კი იყოს მკითხველისთვის.

იაკობ გოგებაშვილი გორის რაიონის სოფელ ვარიანში დაიბადა, თუმცა, მას შემდეგ, რაც 16 წელი შეუსრულდა, მშობლიურ სოფელს არ სტუმრებია, რადგან თავისი ავადმყოფობის გამო მის კლიმატს უფრთხოდა. ნათესავებს გორში უყრიდა თავს და იქ ნახულობდა. ამავე მიზეზით ზაფხულშიც კალაში ეცვა და მუდმივად ექებდა ნათელ და მზიან ბინებს საცხოვრებლად, დასასვენებლად კი მხოლოდ ბორჯომსა და სურამში მიდიოდა. მისი ასეთი ერთგულება ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი „საზოგადოებაში ხალისს ბადებდა, დაცივნას კი - არასდროს... ეს იყო ძალიან გამორჩეული არამარტო თავისი ნიჭითა და საოცარი წიგნებით, არამედ, თავისი ცხოვრების წესითაც“ [მორჩილაძე, 2014 : 81] ცოლიც ამავე მიზეზით არ ითხოვდა. „ცოლი იმიტომ არ შევირთე, რომ მე თვითონ ავადმყოფი ვარ და არ მინდა ავადმყოფები გავამრავლო“ [იქვე, 81].

მისი მკურნალი ექიმი ტიტე ქიქოძე იყო. „კურორტზეც კი დაიბარებდა ხოლმე მას, რაღაც ვერა ვარ კარგადო“ [მორჩილაძე, 2014 : 83].

იაკობ გოგებაშვილი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაშინ, როდესაც ქართველი ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს მატერიალურად ძალიან უჭირდა, ის უიშვიათესი გამონაკლისი იყო, რომელიც საკუთარი ლიტერატურული შემოქმედების საფასურით ცხოვრობდა.

მისი „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა სასკოლო წიგნები ყოველ წელს ტირაჟდებოდა. ხდებოდა სახელმძღვანელოთა ხელახალი კორექტურა. იგი ამას უდიდესი პასუხისმგებლობით და მზრუნველობით ეკიდებოდა. თუკი ხელახლა გამოცემისას თბილისში არ იმყოფებოდა,

ბილეთებს ყიდულობდა თავისი თანამშრომლებისთვის, რომ მათ ჩამოეტანათ და კიდევ ერთხელ ენახებინათ. საქმისადმი თავისი მედგარი, პატრიოტული და დიდაქტიკური დამოკიდებულების გამო ანტიქართული პროპაგანდისტის, იანოვსკის რისხვად იქცა.

იაკობს ჰქონდა ფული, კარგად ცხოვრობდა და სხვებსაც ეხმარებოდა. აკაკი წერეთელს, ეგნატე ნინოშვილს, თავის ნათესავებსა და სკოლებს არაერთხელ დახმარებია. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებს ერთგული მუშაობისთვის მუდმივად ასაჩუქრებდა.

ფასდაუდებელია მისი წვლილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესების დაცვით იაკობმა შეძლო 72 წლამდე ეცოცხლა, მაშინაც „ფილტვებს არ უღალატიათ, უცებ ჩავარდა ლოგინად, ნაწლავებში კუ გაუჩნდაო, რაც, ალბათ, სიმსივნეს ნიშნავდა იმ დროის სიტყვებით და ამან ძალიან მალე გამოიწვია სიკვდილი“ [იქვე, 88].

როგორც საკუთარი ცხოვრების ყველა წუთი და წამი, ისე ჰქონდა გათვლილი და გაანგარიშებული ანდერძიც: „ვარიანს – სკოლა, ფული ამას, ფული – იმას, ყველას თავის ნათესავებს... წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არცერთი თანამშრომელი არ იყო, რომლისთვისაც თუნდაც ასი მანეთი არ დაეტოვებინა“ [მორჩილაძე, 2014 : 88].

რაც შეეხება ისტორიულ სინამდვილეს, იაკობ გოგებაშვილი ნამდვილად დაიბადა გორის რაიონის სოფელ ვარიანში: „ი. გოგებაშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ვარიანში, დარიბი მღვდლის სიმონ გოგებაშვილის ოჯახში“ (რჩეული თხზულებანი, 1989 : 7).

ცნობილი და დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ამის შესახებ არაერთგან შეგვიძლია წავიკითხოთ: „ახალგაზრდობაში დაავადებული ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ მუდამ თბილად იყო ჩაცმული, მძიმე ჰაერს ერიდებოდა, სტამბაში არ შედიოდა, ასოთამწყობებს გარეთ გამოჰქონდათ ნიმუშები და იქ არჩევდნენ“ [ვერულავა, 2009].

სოფელი ვარიანი მისი ავადმყოფობის ერთ-ერთი მიზეზი იყო – „სამხრეთით შხამიანი ჭაობი ერტყა, რომელიც მოსახლეობას ფილტვებს უწამლავდა“ [ბექიშვილი, 2015].

1861 წელს იაკობ გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. „მან ვერ აიტანა კიევის ცივი ჰავა, ორჯერ იავადმყოფა ფილტვების ანთებით, სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მაგრამ სამუდამოდ დაუავადდა ფილტვები და მესამე კურსიდან იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა“ (რჩეული თხზულებანი, 1989 : 8).

ცნობილია ის ფაქტიც, რომ „დედაენის“ კორექტურას და მის ხელახალ გამოცემას პროფესიული სერიოზულობით ეკიდებოდა: „ყოველი წიგნის კორექტურას ოთხჯერ კითხულობდა, ამონაბეჭდებს ასოთამწყობებს ურიგებდა და თითო ნაპოვნ შეცდომაზე პრემიად ორ შაურს აძლევდა. მანამდე არ ისვენებდა, ვიდრე ყველაფერს საგულდაგულოდ არ გაჩხრეკდა“ [ვერულავა, 2009].

სახალისოდ ქცეული ავადმყოფობის გამო იაკობ გოგებაშვილს ოჯახი არ შეუქმნია. როგორც თავად ამბობდა, მას არ სურდა, შთამომავლობაც დაეავადებინა ამ სენით და არჩია უცოლოდ დარჩენა. ამას მხოლოდ აკა მორჩილაძე არ აღნიშნავს: „ჭლექის შიშით ცოლიც არ უთხოვია, რომ შთამომავლობისთვის არ გადაედო ეს მძიმე სენი“ [იქვე, 2009]

ექიმებიდან ქიქოძეს ენდობოდა. ავადმყოფობის პერიოდში თავისი ახლობლები და მეგობრები ადგნენ თავს, მკურნალობით კი „მას მკურნალობდა ექიმი ტიტე ქიქოძე“ (გენია. ჯი, 2014).

არც მისი ხელგაშლილობაა მოგონილი ამბავი: „იგი მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს. სისტემატურად უზრუნველყოფდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ – პოლიტიკურ მოღვაწეებს. ბევრმა მისი შუამდგომლობით სტიპენდია მიიღო. ამ დროს კი თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა, ყოფილა დრო, როცა ბინის ქირის გადასახადიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ“ [ვერულავა, 2009].

ეროვნული იდეებისა და სულისკვეთებით გამსჭვალული საზოგადო მოღვაწე რუსეთის კოლონიური რეჟიმისათვის ყოველად მიუღებელი იყო. სასულიერო აკადემიიდან ვითომ ფულის არამიზნობრივ ხარჯვასა და ფლანგვაში დადანაშაულებული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის არაკეთილსაიმედოდ მიჩნეულმა, მთელი ცხოვრება იაკობ გოგებაშვილმა ქვეყნის საგანმანათლებლო საქმიანობას მიუძღვნა. იანოვსკი ერთ-ერთი იყო პრორუსული მენტალიტეტის მქონე მოხელეთაგან, რომელსაც იაკობი არ ეპუებოდა „საოცარი გაშმაგებით ებრძოდა იანოვსკის, ქართველთა დაუბინებელ მტერს“ [იქვე, 2009].

როგორც საკუთარი პრობლემებით, ისე არც ავადმყოფობით შეუწუხებია ვინმე. „იაკობ გოგებაშვილს დიდხანს არ უავადმყოფია. როგორც სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, იაკობს ფილტვების დაზიანება და ნაწლავების კიბო აწუხებდა, თუმცა მისი სიკვდილის უმთავრესი მიზეზი სულ სხვა ავადმყოფობა, კერძოდ – მუცლის აპკის ანთება იყო“ (გენია. ჯი, 2014).

„სიკვდილის წინ, 1912 წელს ანდერძი დაწერა და მთელი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა. შავი ღლისთვის გადანახული ფული გაანაწილა და ათ-ათი თუმანი გადასცა ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებებს, ვარსიანის სახლი თანასოფლელებს უანდერძა, სადაც სკოლა გაიხსნა“ [ვერულავა, 2009].

აკა მორჩილაძე იუმორით იხსენებს, ანდერძის წინასწარი გავრცელების შემდეგ თუ როგორ მივიდა ლოგინად ჩავარდნილ იაკობთან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი თანამშრომელი და შეახსენა, რომ თურმე თვითონ არ იყო ანდერძში მოხსენიებული და სთხოვა, რომ შეეტანა. იაკობმა მეგობრებს დაუბარა, რომ ამ ადამიანისთვის ზეპირი მოლაპარაკების საფუძველზე მიეცათ ფული. მწერალი ამბობს: „ასეთს მეორეს ვერ ნახავდი. ასეთი დრო იყო, არავინ ჰგავდა ერთმანეთს“ [მორჩილაძე, 2014 : 89].

ბიოგრაფიული ხასიათის ამ ნაწარმოებში ქვეთავს, რომელშიც აკა მორჩილაძე იაკობ გოგებაშვილზე გვიყვება, ეწოდება „მარტოდ და მტკიცედ“. მწერალიც ისეთივე ზუსტი, ზედმიწევნით შესაფერისი და მტკიცეა იაკობის შეფასებისას, როგორც ზუსტი, აკურატული, სერიოზული და კეთილი კაციც იყო ეს უკანასკნელი. ავტორმა თავისი პერსონალური სტილით თითქოს თავიდან გაგვაცნო ბუმბერაზი ქართველი მოღვაწე უბრალო, უშუალო და ადამიანური კუთხიდან, რაც კიდევ ერთხელ აღძრავს პატივისცემას მკითხველში, როგორც იაკობ გოგებაშვილის მიმართ, ისე თავად ავტორისადმი.

შემთხვევითი არ არის, როდესაც „დედაენას“ „ვეფხისტყაოსნის“ ბადალი უწოდეს. როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ეს ერთი სიტყვა იტევს ჩვენი ქვეყნის ისტორიას თავისი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური მახასიათებლებით, ისე ეს ერთი სიტყვა - „დედაენა“ იტევს ჩვენი დედაენის, მშობლიური ენის ყველა ნიშანს, დიდაქტიკური მოძღვრების ყველა საჭირო დოგმატს.

ლიტერატურა

- გაგუა, გურგენიძე, სიხარულიძე, ქაჯაია 1989 – ვლ. გაგუა ვლ.დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე, ლ. ქაჯაია იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1989
- გოგოლაძე, გიორგაძე 2018 – გოგოლაძე გ. დეკანოზი გიორგაძე კ. „დედაენა“, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“, თბ., 2018
- მორჩილაძე 2014 – მორჩილაძე ა. „ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“, 2014

ელექტრონული წყაროები

- ბარბაქაძე 2008 – „პოსტმოდერნიზმი და პოსტმოდერნი“, „სემიოტიკა“ № 3, თბილისი, 2008
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6416>
- ბექიშვილი 2015 – თ. ბექიშვილი, [<http://mastsavlebeli.ge/?p=1533>, მასწავლებელი-მოსწავლე-მასწავლებელი-უწყვეტი ჯაჭვი, თეონა ბექიშვილი, 2015]
- გენია. ჯი 2014 – [<http://genia.ge/?p=15785>, იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, 2014].
- ვერულავა 2019 – თ. ვერულავა, ბურუსი, <https://burusi.wordpress.com/2009/09/16/iakob-gogebashvili/> იაკობგოგებაშვილი – ბიოგრაფია, 2009]
- ჩიბურდანიძე 2015 – თ. ჩიბურდანიძე, [<http://www.mediacity.ge/news.php?id=274>., 2015 პირველი ზარი ქართულ სკოლებში - გოგებაშვილის „დედაენის“ გარეშე]

Шорена Шаврешиани

Персонаж и хронотоп

(Абрис Якова Гогобашвили в постмодернистском тексте Аки Морчиладзе «Тетради по грузинскому – картины XIX века»)

Резюме

В данном произведении биографического характера Ака Морчиладзе передаёт интересные детали личной или общественной жизни персонажей в той точности и последовательности, как это сохранилось в его памяти. Автор является таким же точным, соответственно, и крайне твёрдым при оценке Якова, каким точным, аккуратным, серьёзным и добрым был сам Яков. Писатель, благодаря своему персональному стилю, показал нам великого грузинского деятеля с совершенно новой, простой, непосредственной, человеческой стороны, тем самым лишней раз вызывая в читателе уважение как к Якову Гогобашвили, так и к самому автору.

Shavreshiani Shorena

Character and Chronotopos
(The portrait of Iakob Gogebashvili in postmodern text by Aka Morchiladze
“Georgian notebooks”)

Abstract

In this biographical work Aka Morchiladze describes important and interesting moments of the characters' personal or social lives and in the sequence and accuracy he remembers. At the assessment of Iakob the author is just as precise, exactly adapted and solid as accurate, punctual, serious and kind was that man himself. The writer, in his personal style, reintroduce the greatest Georgian public figure to us from a simple, direct and human point of view, which again arises respect of readers to Iakob Gogebashvili as well as to the author himself.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. ხელაია

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

მეგი შალციანი-სხირელი

ქუთაისი, საქართველო

დრამატულ დიალოგთა სემიოესთეტიკური ხედვა:
ტემპორალურ და სიმბოლურ ასპექტთა
ენობრივ-კულტურული ერთიანობა

დრამატულ დიალოგთა საბოლოო თეორიული ხედვა ახდენს სემიოესთეტიკურ და ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვათა სინთეზს. სემიოესთეტიკის მიხედვით ყოველი დიალოგი წარმოადგენს კომუნიკაციური ხდომილების ისეთი სამი ასპექტის ექსპლიციტურად წარმოდგენილ ერთიანობას, როგორცაა კრეატიული, რეფერენტული და რეცეფციული ასპექტები, ხოლო ესთეტიკური თვალსაზრისით ასპექტთა ხსენებული ერთიანობა ასახავს დიალოგურ რეპლიკათა სუბიექტების ეგზისტენციალურ განზომილებას.

დრამატულ დიალოგთა ინტეგრალური ანუ მათი მთლიანი სტრუქტურის ამსახველი გააზრება შეიძლება გატოლებული იქნეს მათ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტეგრაციასთან. თუ გვსურს ამ ამოცანის შესრულება, აუცილებელია, ერთ კონცეპტუალურ სივრცეში მოვაქციოთ შემდეგი სამი კვლევითი მომენტი: ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ინტერდისციპლინარულ და საკუთრივ ლინგვისტურ თვალსაზრისთა შერწყმას, ქრონოტოპის როგორც კულტურულ-ესთეტიკურ კონცეპტის გამოყენებას და, საბოლოოდ, სამივე ამ ხედვის გაერთიანებას შინაგანად ინტეგრირებული ხედვის ფარგლებში.

დიალოგთა ერთობლიობის ლინგვოკულტუროლოგიური გააზრება უნდა ნიშნავდეს მათ ტემპორალურ და სიმბოლურ ასპექტთა ერთიანობას. ჩვენს კვლევით კონტექსტში რეპლიკათა ტემპორალური სტრუქტურა გულისხმობს ისეთ დროით განზომილებათა შერწყმას, როგორცაა ქრონოტოპული და საკუთრივ ენობრივი, მაგრამ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმასაც, რომ ხსენებული შერწყმა უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი ორი ნიშნით: 1) იგი უნდა უკავშირდებოდეს სიუჟეტს და, 2) ამავე დროს უნდა ამჟღავნებდეს ქრონოტოპული განზომილების გარკვეულ

დომინირებას. რატომ? როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ნებისმიერი მხატვრული ქმნილება გარდუვალად ეკუთვნის ამა თუ იმ მხატვრულ-ესთეტიკურ პარადიგმას, ეს პარადიგმა კი, თავის მხრივ, ეკუთვნის ამა თუ იმ ქრონოტოპს. რაც შეეხება სიმბოლურ ფუნქციას, იგი თეორიული თვალსაზრისით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც უკავშირდება მხატვრული ტექსტის ქვეტექსტურ ასპექტს. მაგრამ იმისათვის, რომ ტემპორალურ და სიმბოლურ ასპექტთა ამგვარი ერთიანობა ბოლომდე რეალური იყოს, აუცილებელია, ამ ერთიანობის ინტეგრირება მხატვრული ტექსტის იმ სინთეზური კონცეფციის ფარგლებში, რომელსაც ამგვარი ტექსტის “სემიოესთეტიკური კონცეფცია” ეწოდება. ამისათვის კი საჭიროა გავითვალისწინოთ, ერთის მხრივ, თავად სემიოესთეტიკური კონცეფცია იმ სახით, რომლითაც იგი არსებობს თანამედროვე კვლევით ლიტერატურაში, შემდეგ კი ასევე გავითვალისწინოთ სიმბოლური ნომინაციის ის ასპექტი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ეპოქალური კულტურის შინაგან სტრუქტურას და რომლის გათვალისწინების გარეშე ვერ იქნებოდა სრული ვერც თავად სემიოესთეტიკური კონცეფცია და ვერც ჩვენი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა.

რაც შეეხება თანამედროვე სემიოესთეტიკურ თეორიას და დრამატულ დიალოგთა ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას, დრამატულ დიალოგთა როგორც ტემპორალური, ისე სიმბოლური განხილვის დროს, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით ნაგულისხმევ ლიტერატურათმცოდნეობით და მათთან დაკავშირებულ სიმბოლოლოგიურ მონაცემებს. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ გვსურს დრამატული დიალოგებისადმი ჩვენმა მიდგომამ და, რაც მთავარია, ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებულმა ლინგვისტურად ცენტრირებულობამ მიიღოს საბოლოოდ ადეკვატური სახე, აუცილებელია მივმართოთ იმ თანამედროვე მაინტეგრირებელ თეორიას, რომლის ფარგლებში სინთეზურად იქნება წარმოდგენილი ჩვენი კვლევის ობიექტი (ანუ დრამატული დიალოგების როგორც ენობრივი, ისე ესთეტიკური განზომილება). ამისათვის კი, ვფიქრობთ, ხაზი უნდა გაესვას დიალოგთა შემდეგ სპეციფიკას: ა) ეს დიალოგები საბოლოო ანგარიშში წარმოადგენს ვერბალური დისკურსის ერთ-ერთ სახეობას, სახელდობრ კი იმ სახეობას, რომლის ფარგლებში ვერბალური კომუნიკაცია გვევლინება მაქსიმალურად კონცენტრირებული სახით, ე.ი. იმ სახით, როცა კომუნიკაცია წარმოუდგენელია დიალოგის ფორმით, თავად დიალოგები კი – რეპლიკების სახით. როგორც წესი, ჩვეულებრივი, ანუ ყოველდღიური სახით წარმოდგენილი კომუნიკაციის ფარგლებში არც დიალოგურობა, არც რეპლიკურობა არ არის ხოლმე რეალიზებული ამგვარი ექსპლიციტურობით; ბ) ამავე დროს კი კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი შემდეგ გარემოებას: ვერბალური კომუნიკაციის ამგვარი, ანუ მაქსიმალურად ექსპლიციტური სახით რეალიზაცია შესაძლებელია სწორედ მხატვრული ვერბალური შემოქმედების ისეთი სახეობის ფარგლებში, როგორიცაა დრამა. ზემოთ აღნიშნული ამ ორი მომენტის თეორიული გაერთიანება უნდა ნიშნავდეს სწორედ სემიოესთეტიკას, ანუ ისეთ თეორიულ ხედვას, რომლის ფარგლებში სინთეზირებულია ვერბალური კომუნიკაციის ორივე ეს – როგორც ლინგვოსემიოტიკური, ისე ესთეტიკური – განზომილება. შესაბამისად, თუ გვსურს საბოლოო სახე მიიღოს დრამატულ დიალოგთა ჩვენეულმა ხედვამ უნდა მივმართოთ თანამედროვე სემიოესთეტიკის შემდეგ ორ თვალსაზრისს – თვალსაზრისს, რომელიც

ეფუძნება ვერბალური კომუნიკაციის აქტის ელემენტარულ, მაგრამ ამავე დროს ფუნდამენტურ კონცეპტუალიზაციას და თვალსაზრისს, რომელიც ახდენს ამ კონცეპტუალიზაციის ესთეტიკურ გააზრებას. საკუთრივ ლინგვოსემიოტიკურ ასპექტში სემიოესთეტიკა, როგორც უკვე ითქვა, ეფუძნება კომუნიკაციური აქტის სტრუქტურას, უწოდებს რა ამ სტრუქტურას “კომუნიკაციურ ხდომილებას”. სემიოესთეტიკური კონცეფციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელდობრ ვ. ტიუპა, ამგვარად აღწერს დასახელებულ ხდომილებას, თუმცა ამავე დროს წინსწრებით განიხილავს მას უკვე ესთეტიკურად, რადგან ხედავს მას ძირითადად მხატვრული ნაწარმოების ფარგლებში. მისი აზრით კომუნიკაციური ხდომილება შეიცავს ისეთ სამ ასპექტს, რომლებიც ერთნაირად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი ტექსტის მიერ, ესენია: კრეატიული ასპექტი, ანუ კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი (ავტორი); რეფერენტული ასპექტი, ანუ ინტენციონალური კომუნიკაციური ობიექტი (გამონათქვამის საგნობრივ-საზრისობრივი მხარე) და რეცეფციული ასპექტი, ანუ ადრესატის აუცილებელი ფიგურა (ტიუპა 2001 : 24). რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მივყვებით ბოლომდე, ანუ ყველა მისი დეტალის გათვალისწინებით სემიოესთეტიკური თეორიის მთელ შინაარსს, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ გავითვალისწინოთ სემიოესთეტიკის როგორც ერთიანი თეორიული სისტემის არი შემდეგი ასპექტი: ა) ის, რაც იგულისხმება მხატვრულობის (თუ მხატვრული ტექსტის) ძირითად შინაარსად და ბ) როგორ უნდა წარმოვადგინოთ ზოგადი სახით სემიოესთეტიკის არსი.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის პროცესში საქმე გვქონდა არა მხოლოდ დიალოგურ რეპლიკებთან როგორც ენობრივ მონაცემებთან, არამედ ამ რეპლიკებს მივაკუთვნებდით დრამის პერსონაჟებს, ხაზი უნდა გაესვას ამ პერსონაჟთა (და ასევე ნებისმიერ პერსონაჟთა) არსს ამ სიტყვის, რა თქმა უნდა, ესთეტიკური გაგებით, სწორედ ამ მოსაზრებით ციტირებული ავტორი ამბობს, რომ მხატვრულობის საგანს წარმოადგენს ადამიანის არსებობა როგორც მთლიანი ფენომენი, ანუ “მე-სამყარო“-ში ე.ი. თუ გამოვიყენებთ თანამედროვე ფილოსოფიურ ენას, ეგზისტენცია – არსებობის სპეციფიკურად ადამიანური სახეობა (გარე სინამდვილეში შინაგანი არსებობა) (ტიუპა 1999 : 463). მას შემდეგ, როცა უკვე შექმნილი გვაქვს დრამატულ დიალოგთა ანალიზით გამომუშავებული ცოდნა. შეგვიძლია, ალბათ, თამამად ვთქვათ, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ტემპორალური თუ სიმბოლური თვალსაზრისით ვაანალიზებდით დიალოგთა სტრუქტურას, საბოლოო ანგარიშში ვეხებოდით სწორედ რეპლიკებით წარმოდგენილ სუბიექტებს როგორც ეგზისტენციებს.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ციტატებით უკვე ცხადი გაგზადეთ ჩვენს მიერ ჩატარებულ ანალიზთა სემიოესთეტიკური არსი. ზოგადად კი, იგივე ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, სემიოესთეტიკური ანალიზი თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს როგორც მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ სპეციფიკას, ის ამ სპეციფიკის ტექსტობრივი გამოხატულების სემიოტიკურ ბუნებას (ტიუპა 2006 : 34).

ლიტერატურა:

1. ტიუპა 2001 - Тюпа В. (2001). Аналитика художественного. Москва.
2. ტიუპა 1999 - Тюпа В. (1999). Художественность, in: Введение в Литературоведение, Москва.
3. ტიუპა 2006 - Тюпа В. (2006). Анализ художественного текста. М., Академия. м
4. ჯულაყიძე 2015 – ჯულაყიძე ე. (2015), ინტერტექსტუალობის თეორია და ჟურნალისტურ ჟანრთა ენობრივი ასპექტი ინტერვიუს ტექსტობრივი კვლევი საფუძველზე, ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.

Меги Шаликиани_Схирели**Семистическое видение драматических диалогов: языковая и культурная целостность временных и символических аспектов**

Резюме

Окончательное теоретическое видение драматических диалогов выполняет синтез семиоэстетических и лингвокультурных видений. Согласно семиоэстетике каждый диалог явно представляет собой единство следующих трех аспектов коммуникативных явлений: творческих, референтных и восприимчивых аспектов, но с эстетической точки зрения единство этих аспектов отражает экзистенциальное измерение реплики в диалоге субъектов.

Megi Shalikian-Skhireli**Semiesthetic vision of dramatic dialogues: linguistic and cultural integrity of temporal and symbolic aspects**

Abstract

The final theoretical vision of the dramatic dialogues carries out the synthesis of the semioaesthetic and linguocultural visions. According to semioaesthetics every dialogue is the explicitly presented unity of the following three aspects: creative, referential and receptive aspects, but from the aesthetic standpoint the unity of these aspects reflects the existential dimension of the subjects of the remarks.

რეცენზენტი: პროფესორი ა. ლევიცკი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნათია ჯიქია

ქუთაისი, საქართველო

„სამოციანელებთან“ წილნაყარი ჟალამნისტი

ტერმინი „სვეტი“ წარმოადგენს ინგლისური „column“-ის თარგმანს, რის გამოც იმ ადამიანებს, რომელთა ტექსტებიც ამ სპეციალურ საგაზეთო სივრცეს ავსებს, „კალამნისტებს“ უწოდებდნენ. კოლუმბიის უნივერსიტეტის ელექტრონული ენციკლოპედია „კალამნისტს“ განსაზღვრავს, როგორც მრავალრიცხოვან ესეთ ავტორს, რომლებიც რეგულარულად ჩნდება პერიოდიკაში, ყველაზე ხშირად კი - მუდმივ რუბრიკაში (ნ. სვანიძე, 2016:2).

თემატური ორიენტაციის მხრივ, საავტორო სვეტი შესაძლოა იყოს ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, მიმდინარე მოვლენათა ამსახველი; იგი შესაძლოა გადმოგვცემდეს ავტორის კერძო პოზიციას გარკვეულ მოვლენასთან მიმართებით.

ქართულ ჟურნალისტიკაში გვყავს ისეთი თანამედროვე ავტორები, რომლებიც აგრძელებენ ამ ჟანრის წინამორბედთა ძველ ტრადიციას და ბეჭდავენ წერილებს ამ ჟანრში. მათ შორისაა: აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი - ეს არასრული ჩამონათვალია თანამედროვე ქართველი მწერლებისა, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში საავტორო სვეტებს წერენ. ჩვენ მიერ განხილულ გამოცემათა შორის, ამ მხრივ პროდუქტიულობით გაზეთი „24 საათი“ გამოირჩევა, რომელიც 2002 წლის 1 იანვარიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე ყოველდღიურად გამოდიოდა. იგი წლების განმავლობაში, ვიდრე ბეჭდური სახით არსებობას შეწყვეტდა, სისტემატურად უთმობდა ადგილს მწერლების პუბლიცისტურ ნაღვაწს. გაზეთ „24 საათის“ Columnist-ებს ტიპური ამერიკული („ნიუ-იორკ ტაიმის“) სისტემით, კვირის დღეები ჰქონდათ განაწილებული.

ყველასათვის კარგად ცნობილი თანამედროვე ქართველი **მწერალი აკა მორჩილაძე**, იგივე გიო ახვლედიანი, 1995 წლიდან 2009 წლამდე სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ მოღვაწეობდა. მწერალი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა სვეტებს სპორტის თითქმის ყველა სახეობის, უმეტესად კი ფეხბურთის შესახებ. 14 წლის განმავლობაში ათასობით სვეტი დაწერა. 2010, 2011, 2014 წლებში აკა მორჩილაძის სვეტები ჟურნალ „ლიბერალშიც“ იბეჭდებოდა. აკა მორჩილაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მესვეტეა, რომლის სვეტებიც წიგნად გამოიცა.

„ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ოდესმე ვინმე შეკრებდა და გამოსცემდა ამ ლიბერალურ საფეხბურთო მხესუმზირას. რახან მოხდა და ასე გამოდის, ალბათ ეს წიგნაკი არაფერს დააშავებს და მხესუმზირადაც ივარგებს, სახალისოდაც და ახლო წარსულის სურათებსაც გაახსენებს მის გადამფურცლავ ფეხბურთის მოყვარულ ხალხს...“ -- ასე შეაფასა თავად ავტორმა მისი სპორტული სვეტების წიგნებად დასტამბვის ფაქტი. უნდა ითქვას, რომ მათთაც კი, ვისთვისაც სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი, არცთუ მიმზიდველი თემაა, აკა მორჩილადის სპორტული სვეტები სახალისო, მსუბუქი, სიამოვნებით წასაკითხია. ყველა სვეტს ეტყობა, რომ მას სპორტული კომენტატორი კი არა, მწერალი წერს. აკა მორჩილადის სპორტულ სვეტებში მსოფლიოს სპორტული ცხოვრების ამსახველი ფაქტობრივი მასალა მხატვრული ელემენტებითაა გაჯერებული და თხრობის გადამღები სისადავით გამოირჩევა. დავიმოწმებთ ნიმუშს:

„აჰმეთს ინგლისის არ სჯერა“ „... მსოფლიოში ბევრ გუნდს არ ეყოლება ისეთი მწვრთნელი, როგორც ინგლისს უშოვნია. ფაბიო კაპელო. გაგრძელება კი საჭირო არ არის. კაპელო და მორჩა... კაპელომ თქვა, - ოჯახობა, გელფრენდები და ასეთი რამეები აფრიკაში არ დავინახო... მოკლედ ინგლისი ემზადება. კაპელოს ხელში, სადილზე სპორტულებით ვერ ჩახვალ, და საერთოდ, შორტებით ტანტალი და ინგლისელთათვის ტრადიციული ბანქოს თამაში თავისუფალ დროს დამთავრებული. სამაგიეროდ მსოფლიო ჩემპიონატი იწყება“ (31 მაისი-6 ივნისი, 2010 წ. ჟურნალი „ლიბერალი“). (ნ. სვანიძე, 2016;2)

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ აკა მორჩილადის სვეტები დაბეჭდილი „სარბიელში“ (1995-1997) წიგნიდან „აკა მორჩილადე სარბიელში-1“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) და გავეცანით მისი წერის სტილს, იმ ნიუანსებსა და დეტალებს, რომელიც სხვა რიგითი მკითხველის თვალისათვის შესაძლოა, ძნელი აღსაქმელი იყოს, გამოვარჩიეთ ის პუბლიცისტური ნიშნები და ნაწილაკები, რომელიც ქმნის მისი სვეტების ხერხემალს, ავსებს ფაბულას, რითაც ავტორი ამბობს სათქმელს და აგებინებს იოლად მკითხველს.

აკა მორჩილადეს საინტერესო სტილი აქვს, იგი რაღაცით მე-19 საუკუნეების პუბლიცისტებს წააგავს, გეგონება, რომ იღია ჭავჭავაძის რომელიმე თანამედროვე წერს, მაგ.; „ილუმინოვმა კი საჭადრაკო წრეში იწყო ტრიალი (ფულიან კაცს, აბა სად დაუხშობდნენ კარს?) და დაუშობილდა ჩამრგვალებულ ადვოკატ მაკაროვს, რომელიც რუსთა ფედერაციას თავკაცობს“ (აკა მორჩილადე, 2012;14).

არამხოლოდ წერის მანერით, არამედ **შინაარსით**, ძარვიანი ქართულის მოშველიებითაც ჰგავს სამოციანელებს: „ჭეშმარიტად რუსი უნდა იყო, რომ შეეყარო კვიპროსს“, ან კიდევ: სიტყვა მოგების ნაცვლად ასეთ ფრაზას გვთავაზობს: „იტალიასთან გაგვიჭირდება, პოლონეთი უნდა გადავხნათო“, სიტყვა „თვალსაჩინო წარმომადგენლის“ ნაცვლად ამბობს: „ქართული სპორტის ბობოლა“... „გაზეთები და გამორჩევით „სარბიელი“ ყოველ იქაურ ნაბიჯს აღბეჭდავენ ხოლმე თავის ფურცლებზე“ (აკა მორჩილადე, 2012;105)

აკა მორჩილადე **ფრაზის** დიდოსტატია, ისეთი ლამაზი ჩიქორთულით თუ ლამაზი ჩუქურთმით გვთავაზობს სპორტულ მასალას, რომ ხანდახან ზღვარი გეგონება მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტურობას შორის იშლება და ეს მის სათქმელს უფრო მოხდენილსა და დახვეწილს ქმნის: „თორემ აფრიკის შუა წელზე დაფენილ ქვეყანას ბევრი არაფერი აქვს სატრიაბო...“

დიას, გადაშლილია ნიგერია თვალწვედენელ ველებზე", ან კიდევ: „ეპიდემიები ერსა სრავს"... ფეხბურთის ყურებითაც გაგძეხით და გართობაც ცალკე შეგვრჩა"... მაგრამ ამ დიდ ლიგას ახლა სხვაფრივ შეუდგა წყალი- ზემოთ ნახსენები „ერთეულები" დაუცოტავდა("აკა მორჩილაძე, 2012 ;39). „დღეს საქმე სხვაგვარადაა, ფეხბურთელები ლამის საზოგადო მოღვაწეებად იქცნენ"... მერე სახემცვლილმა „ბუნტის" სიომ აღმოსავლეთით გამოიქროლა და პარიზში ფეხბურთელთა ასოციაციის შექმნა გამოაცხადა" (აკა მორჩილაძე, 2012;42). „ყაფლან ჯანდიერი უელოქტროფოსტებს „სარბიელს" კრიკეტის, ლიგისა და სქეოშის გამო"... "მსოფლიო ფეხბურთის მოლად გულისგულს აღწერს".

მასთან ვერ ნახავთ **შაბლონს**, ვერც ერთ ტრივიალურ ფრაზასა და ტრაფარეტს. ის წერის კვალდაკვალ მოქმედების, პროცესის წიადში აღწერს ამბავს: მას იოლად შეეძლო ეთქვა, რომ ტაისონის მოგება ძნელია, მაგრამ, ნახეთ, როგორი პასაჟი შემოაცურა: „ვერ ასცდები ამ შერკინებას და ამიტომ ფუთაში გამოკრული სიკტიკარის ქარხნის ხელთათმანებით რომ ჩახვალ ამერიკაში, დაფიქრდი, ვისთან საჩხუბრად მისულხარ დიდ ქალაქში". თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგი გაურბის ჰიპერ-თანამედროვე ტერმინებსა და ახალ სიტყვებს, მაგ. პიარი, რეკლამა, მის ნაცვლად კი ასეთ გამონათქვამებს სჯერდება: „რა გინდა იქ რომ არ ეწეროს. ჯერ მარტო რუსეთის ჩემპიონატი იმგვარი პომპით და ფოიერვერკით შექდება, რომ ეს უაზრო ბურთის გაგორება და წიხლაობა ლამის ტიტანთა შერკინებად წარმოგვიდგება"...

სამოციანელთა მსგავსად ისიც **ეროვნული** სულისკვეთებითაა შთაგონებული, წერის პროცესში ის აქცენტებს პოლიტიკაზეც აკეთებს, მაგრამ არა პირდაპირ, - შენიღბულად, თან ირონიითა და მსუბუქი სარკაზმით: „სპორტ-ექსპრესი" სიამაყითა და ხოტბით მხოლოდ იმ ქართველებზე წერს, ვისაც რუსული მაისური და ხელთათმანი მოურგია, სხვათა მიმართ კი ეშმაკურ ხერხს მიმართავს. „... რევიშვილს კი არ ვუმცირებთ ღვაწლს, მაგრამ მას რომ მოვლი აღბიონი ნორმანივით დაეპყრო, „სპორტ-ექსპრესი" ბევრს არას გაიმეტებდა მისთვის". გალაკტიონის ლექსის ცნობილი მფრინავი ციტატა მან შესანიშნავად ჩააწნა ერთ-ერთ სათაურში: „THE SCENT OF ATLANTA ანუ დროშები ჩქარა".

სვეტის ღირებულება და აქტუალობა მის **სათაურშივე** ჩანს, აკა მორჩილაძის სვეტების სათაურები არის დამინტრიგებელიც, გულახდილიც, კუთხურობის კოლორიტით შეფერილი, არქაული სტილით ნასაზრდოები, ირონიითა და სარკაზმით შეზავებული. აქვე, მოგაწოდებთ ამ სვეტთა სათაურების მცირე ჩამონათვალს, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს მათი თავისებურებები და არაორდინალურობა: „ტაისონის წაქცევის ერთი გზა", „ოქროს მედალი ლონგ აილენდის უბანში" „...ქართველი რომ ყოფილიყო, ვერ დაიჭერდნენ" „...ბურთი ჩამოგორდა როკის გვირაბიდან და სიმინდის ხმაზე ჩამოგვირბინა", „მოთქმით ტირილი ინგლისურ ფეხბურთსა ზედა", . სათაურებში არის მოწოდებაცა და რიტორიკული შეკითხვაც, ესეც მის პუბლიცისტურობაზე მიუთითებს: „წიხლით, ბატონებო, წიხლით!!!", „წინ, ვეროპისაკენ, ავტოქარხნის გავლით!" „...დღეს, ოო, დღეს დიდი მატჩია!", „სან კრისტობაო, შენ ისევ ცოცხალი ხარ?", „მეშუქებო, რატომ არ გიყვართ ფეხბურთი?", „არასოდეს მისდით ბრბოს!" და ასე შემდეგ.

აკა მორჩილაძე არის კოლოსალური ცოდნის მქონე, ის სპორტის ნებისმიერ თემაზე აგებს თავის დაუვიწყარ სვეტებს, მის სხვადასხვა სახეობებზე გვთავაზობს მოკლე რეპლიკებს, ვრცელ კომენტარებს, თავისუფალ დიალოგს მკითხველთან. ეს სახეობებია: რაგბი, კრივი, ფეხბურთი,

ჭადრაკი, კალათბურთი, თითოეულ მათგანზე მას მრავალმხრივი **ინფორმაციის** მოცემა ძალუძს. ის გათვითცნობიერებულა სპორტის წარმომადგენელთა ბიოგრაფიებში, ამხვეილებს რა ყურადღებას მათ ბიოგრაფიულ დეტალებსა თუ უცნობ ნიუანსებზე: „გვარი ცნობილი აქვს. მისი წინაპარი პიერ სამუელ დიუპონ დე ნემური მეფე ლუი XVI-ის ძმაცა და კარისკაცი იყო. 1802 წელს ნაპოლეონს ამერიკაში გაექცა და და აქ ფინდიხის ტყვია-წამლის ქარხანა გახსნა. ამით იშოვეს დიუპონებმა ფული – რაც მაშინ ომები იყო“ (აკა მორჩილაძე, 2012;37). "ჩვენთვის ეს ამბავი იმით არის საინტერესო, რომ ლონგ აილენდელი კაცი სპორტსმენია, მას პოვარდ დევისი ჰქვია, 39 წლისაა და კრივის საშუალო წონაში მოღვაწეობს. ... და შემდეგ აღწერს ამ დევისის მიერ ოქროს მედლის დაკარგვისა და პოვნის საინტერესო ისტორიას, რომელიც თავისი პასაჟებით ძალიან საინტერესოა.

იუმორი- რა ადგილი უჭირავს ამ მოვლენას მის სვეტებში, ალბათ გადამწყვეტი, რადგანაც რომ არა ხუმრობანარევი, ოდნავ სევდიანი ისტორიები, ამ სვეტების წაკითხვა, ალბათ ნაწილობრივ მოსაწყენი იქნებოდა: „ეგებ ისე მოხდეს, რომ გასკოინმა ჩვენს საპატივცემულოდ თმა ჩაღისფრად შეიღებოს, რავანელიმ კი გლოვის ნიშნად შავი ფერის თმა დაიყენოს"... "ჩვენი განთქმული სტადიონის ხაჭაპური ისე გაუთხელებიათ, რომ ზედ შეიძლება ლექსი დაწერო, კონვერტში ჩადო და შეყვარებულს გაუგზავნო."... „თანაც გამუდმებით მეფარებოდა ერთი მენაყინე ქალი, რომელსაც მთელი სექტორი აგინებდა, მაგრამ მაინც ვერ მოიცილა. ამ ქალის წყალობით ექვსიდან 2 გოლი დავინახე, ისიც- პენალტები..." მართლის მოქმედ ზანგს (იქ ხარებით დადიან) ხარი შეკაზმული უნდა ჰყავდეს"...

გარდა ზემოთქმულისა, აკა მორჩილაძის სვეტებში **პორტრეტის** საოცარი ესკიზებია მოცემული, რომელიც რეალობის ნათელ სახეებად მოგვეწოდება: პორტრეტი-როგორ ახერხებს კალამნისტი ამ მიმართულებით მოღვაწეობას?- უნდა ითქვას, რომ მას შესანიშნავად ხელეწიფება მისი დახატვა ხან ერთი ფრაზით, ხანაც სრული პლანით: „ჯეო ფრეზერაც, თავისი განუმეორებელი მფრინავი მუშტით", ...არის ერთი ბიჭი- როდიკ ბოუ ჰქვია. შუბლზე დიდი ნაოჭი და მთვლემაე თვალები აქვს, ... „კრივის გაუცინარი ხელმწიფე ნახევარი წლის წინ გამოუშვეს ინდიანას ციხიდან, ბეჭზე მათქე ღუნი ახატია, თათრულ წესზე აბდულ აზიზი ჰქვია და გარაჟში ექვსი ლიმუზინი უყენია"... „ჩხუბის მანერა არცთუ ისე მიმზიდველი აქვს, ფეხები წვრილი, რინგზე ცეკვა არ ეხერხება"...

სვეტების არაორდინალურობა მწერლის უსახღვრო **ფანტაზიაში** ძვეს. გრძნობის ექსპრესიისა და თემის უფრო მკვეთრად გამოსატყვის მიზნით ხანდახან ის ამ ხერხს საოცრად ოსტატურად მიმართავს: „როდესაც შაბათ-კვირას შენ ოჯახობის გართობას გადაწყვეტ - იყიდი პოპ-კორნს, ორ ბოთლ კოკა-კოლას, მრავალ ჰამბურგერს, ჩიზბურგერს, ვეჯიბურგერს და ასიოდ კოლოფ პიცას, რათა ეს ყველაფერი ბეისბოლის მატჩის მსვლელობისას მიირთვა სტადიონზე, დაფიქრდი!"

დიდი ადგილი უჭირავს სვეტების გაღერებაში **მაყურებლის რეაქციის** დაფიქსირებას. იგი ისე გულდასმით უგდებს ყურს მკითხველის მაჯისცემას, რომ ამ გაღერებაში უჩვეულო გმირადაც კი შემოჰყავს იგი. ამით ის ინარჩუნებს ბუნებრივ სიახლოვეს საზოგადოებასთან და მათი გადმოსახედიდან აფასებს მოვლენებს, ფაქტებს, ტენდენციებს, საკმაოდ უცნაური ხელწერაა, თუმცა აქაც ილია ჭავჭავაძის ტექნიკა მეორდება, რომლითაც მან „გლახის

ნაამბობი" დაწერა, რომლის მეშვეობით შეიქმნა „მეზავრის წერილები“- დიალოგი საკუთარ ხალხთან- უმთავრესი პუბლიცისტური ხერხი და მეთოდი. „აგერ ერთი კვირაა დავდივარ ამ ჩვენს უცბათ გამთბარ ქალაქში და ქომაგ-გულშემატკივართა ლაპარაკს ვუგდებ ყურს...ჰოდა, დავდივარ და ვისმენ. თბილისი, როგორც წესია, ბანაკებად არის დაყოფილი. ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ე. წ. „იტალიაშკები" და ე. წ. „გალანდისტები". ალბათ, სწორედ სამეტყველო სტილთან დაახლოვება ამ დიალოგის უშუალო გაგრძელებაა ის, რის გამოც ის თავს ვერ აღწევს ვულგარიზმებსა და ჟარგონს.

მისი ენა ისეა დაახლოებული სამეტყველო ენასთან, რომ ხშირად **ვულგარიზმები**, ბუნებრივ კონტექსტში ერწყმის ჩვეულებრივ სამწერლო ენას. ზოგან ეს თვალშისაცემიც არაა და არსად უხეშად არ ესმის ყურს: „რაც შეხება იტალიას, ამ ქვეყანამ მოიგონა არწაგების და გაჭირვებით მოგების სისტემა- კატენაჩო- და იმგვარი ძაღლუმადური სტილით „აფარჩაკებს" ხალხს, გული გაგისკდება"... "აბა, რაღა ინტრიგა იყო, როდესაც შარშან „სამტრედია" რომ იბრძოდა, ხედავდი, რომ ვერ გაქაჩავდა, ვერ მოერეოდა და მაინც მეორე დარჩებოდა (72).

ასე და ამგვარად, ჩვენ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილეთ აკა მორჩილაძის პუბლიცისტის მცირე მონაკვეთი „სარბიელში" (1994-1997) და ყურადღება გავამახვილეთ მისი პუბლიცისტის უმთავრეს მომენტებზე.

ლიტერატურა:

1. „აკა მორჩილაძე „სარბიელში"(1994-1997)-1, თბ. 2012. ბაკურ სულაკაურის გამომც.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი", საბჭ. საქართველო, 1984
3. მარიამ გერსამია, „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში", ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2011წ.

ნათია სვანიძე, ქართველ მწერალ-მესვეტეთა შემოქმედებითი თავისებურებები, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი № 3 ივლისი 2016

ნათია დჯიკია

აკა მორჩილაძე - публицист

Резюме

Термин «Свети» - это грузинский перевод слова «столбец». Стоит упомянуть, что грузинское слово «Каламнистеби» происходит от этого слова, и этим именем мы называем людей, чьи тексты охватывают специальное газетное пространство. Ака Морчиладзе, Давид Турашвили, Лаша Бугадзе, Баса Джаникашвили - Это неполный список современных грузинских писателей, которые пишут редакционные колонки в газетах и журналах.

Мы приложили некоторые усилия для изучения колонн Ака Морчиладзе, опубликованных в «Сарбьели» (195-1997). Из-за книги «А. М в Sarbieli-1 »(Издательский дом Бакура Сулакаури). Мы узнали стиль его письма, эти нюансы и детали, которые могут быть вызваны общим читателем, мы разбираем эти феноменальные знаки и частицы, которые образуют основу его колонны и создать сюжет, по которому автор выражает себя и заставляет читателей понять его повествование.

Natia Jikia

**Aka Morchiladze - publicist
Abstract**

The term "Sveti" is a /Georgian translation of the English word "column". It's worth mentioning that a Georgian word "Kalamnistebi" just comes from this word and by this name we call the people whose texts cover special newspaper space. Aka Morchiladze, David Turashvili, Lasha Bughadze, Basa Janikashvili _ this is an incomplete list of modern Georgian writers who write editorial columns in newspapers and magazines.

We put some effort into studying the columns of Aka Morchiladze published in "Sarbieli " (195-1997) Due to the book "A. M in Sarbieli-1" (Bakur Sulakauri's Publishing House) we got to know the style of his writing, those nuances and detail that might be hard to be comprehended by a common reader, we sort out those publicistic signs and particles that form the backbone of his columns and create plot through which the author expresses himself and makes the readers understand his narration.

რეკონსტრუქცი: პროფესორი ს. სიგუა

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ლელა თავდგირიძე

ბათუმი, საქართველო

სამასწავლებლო სასწავლებლები და ინტერკულტურული განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

პედაგოგიის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის, სკოლის განვითარების, პედაგოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლა; ისტორიული მეცნიერებების შესაბამისად, ერთ მთლიანობაში მოაქციოს კაცობრიობის გამოცდილება, გაანალიზოს, გაიაზროს და ჩააყენოს თანამედროვეობის სამსახურში. სტატიაში წარმოდგენილია საგრანტო პროექტ *KEAC BSR* ცოდნის და აკადემიური კულტურათა გაცვლა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის XVIII-XXI საუკუნეებში ფარგლებში ქ. ბაქოში სამეცნიერო მივლინების დროს ბაქოს მეცნიერებათა აკადემიის, ახუნდოვის სახელობის ბიბლიოთეკაში და გამოკითხვით და ინტერვიუთ მოპოვებული მასალა. «ამიერკავკასიის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია» წარმოდგენილია როგორც მულტიკულტურული განათლების, ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი, სომეხი ხალხის დაახლოების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების, მასწავლებელთა, ინტელიგენციის აღზრდის მნიშვნელოვანი ცენტრი.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის მიზანია განათლების ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს განათლების ხარისხის შესაბამისობას მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებთან, მსოფლიო პრაქტიკის და იმ მიღწევების გათვალისწინებას, რომლებმაც დარგი პრიორიტეტული გახადა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. მაგრამ ამავე დროს განათლების ხარისხის ამაღლება ადაპტირებული უნდა იყოს ქვეყნის ისტორიულ წარსულთან, მის ტრადიციებთან და სხვა უამრავ ფაქტორთან, რომლებიც ერთიან მთლიანობაში წარმოადგენს განათლების განვითარების უწყვეტ სისტემას. ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის ყველა რეგიონის სასწავლო დაწესებულებებს. ეს წვლილი თავისი შინაარსობრივი და ფუნქციური გამოსატყულებებით სხვადასხვა რეგიონისათვის განსხვავებულია, მაგრამ ერთიან მთლიანობაში ყველა რეგიონმა თავისებური და განუმეორებელი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

თანამედროვე საზოგადოებას უწოდებენ ცოდნის საზოგადოებას. სწორედ ცოდნა, ინტელექტუალური კაპიტალი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას ცივილიზაციის ამ ეტაპზე. განათლება ხდება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მაგისტრალურ, პრიორიტეტულ მიმართულებად, რომელიც განაპირობებს ადამიანის ორიენტირებას ცხოვრების გზის არჩევაში. როდესაც კითხვებს აქვს მარტივი პასუხები, მაგრამ მათი გადაწყვეტა რეალობაში, პრაქტიკულ საქმიანობაში მარტივი არ არის. როცა ვამბობთ „ყველაფერი გენიალური მარტივია“, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ გადაწყვეტილება გენიალური ხდება მხოლოდ მაშინ, როცა აღმოჩენილ იქნა და შემდეგში ცხოვრებამ აჩვენა მისი მართებულობა, გენიალურობა. ცოდნა არის მარტივი გადაწყვეტილების ილუზია. განათლების სისტემა ვერ იარსებებს თვითგანვითარების, უწყვეტი განვითარების, გლობალური თუ ლოკალური რეფორმების გარეშე. ცნობილი ფილოსოფოსი ი.ა ილინა აღნიშნავს: ჯანსაღი, ბრძნული, გადამრჩენელი პოლიტიკა ყოველთვის კონსერვატორულია, რადგან ის იცავს, უფრო ხილდება, მხარს უჭერს და ინარჩუნებს ქვეყნის ყველა ისტორიულ მემკვიდრეობას და მხარს უჭერს მაშინაც, როცა სახეს უცვლის, არგებს, შეუსაბამებს არსებულს. ჯანსაღი პოლიტიკა პროგრესულია, რადგან სრულყოფს, აახლებს ისტორიულ მემკვიდრეობას მისივე მხარდაჭერისა და დაცვისათვის [Страженев, 2004: 255].

საგანმანათლებლო სისტემის, სკოლის, უმაღლესი სკოლის რეფორმირება შეუძლებელია არსებული ტრადიციების იგნორირებით. რადგან უმაღლესი სკოლის განვითარება დამყარებულია მსოფლიო საგანმანათლებლო ტენდენციებზე, გამოცდილების გაზიარებაზე. ყველა ქვეყნის ისტორიაში არის პერიოდები, რომელიც იქცევა ქვეყნის გზამკვლევად, გენერირებას უწევს ხალხის შემოქმედებით აზროვნებას, მიმართავს მათ აზროვნებას სულიერი წინსვლისაკენ, პროგრესისაკენ.

დღეს გლობალიზაციის პირობებში, ხალხში იზრდება ნაციონალური თვითშეგნება, ინტერესი საკუთარი ისტორიისადმი, განათლების ისტორიისადმი. პედაგოგიკის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის, სკოლის განვითარების, პედაგოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლა. ისტორიული მეცნიერებების შესაბამისად, პედაგოგიკის ისტორიის ამოცანაა ერთ მოლიანობაში მოაქციოს კაცობრიობის გამოცდილება, გაანალიზოს, გაიაზროს და ჩააყენოს თანამედროვეობის სამსახურში. ისტორიაში არაფერი იკარგება უკვალად. რჩება ამა თუ იმ ეპოქის წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი დადასტურება, არტეფაქტები, მონაცემები რომლებიც აისახება მეხსიერებაში და გადაეცემა თაობიდან თაობას. მთავარია არ დაკარგოთ, არ დავივიწყოთ არც ერთი ფაქტი წარსულიდან, შევისწავლოთ და გადავცეთ მომავალ თაობას. ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს რომ მრავალმხრივ შევაფასოთ განათლების განვითარების პროცესი. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია 1876 წელს ამიერკავკასიაში დაარსებული გორის სემინარია და მისი საქმიანობა, რომელიც იქცა ამიერკავკასიაში ინტერკულტურული განათლების სამჭედლოდ და რომელშიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხორციელდებოდა პედაგოგთა მომზადება, კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა კულტურის, რელიგიის წარმომადგენლებს შორის კულტურათა დიალოგი. საქართველო ოდითგანვე მრავალეროვანი, მრავალენოვანი, მულტიკულტურული და მრავალრელიგიური ქვეყანა იყო, აქ მცხოვრები ხალხი სხვადასხვა

აღმსარებლობის, კულტურისა და ტრადიციების მატარებელი არიან. ქართველებს მრავალსაკუნოვანი მეგობრობა და თანაცხოვრება აქვთ ებრაელებთან, სომხებთან, ქურთებთან, რუსებთან, აზერბაიჯანელებთან და ა. შ. საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური ეკლესია, ებრაული სინაგოგა და მუსლიმანური მეჩეთი. ასეთი რამის ნახვა კი იშვიათად შეიძლება მსოფლიოში. თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ: მსგავსი დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ, საქართველოში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო, იმდენად ჩვეულებრივი, რომ ქართულ წყაროებში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება არც კი ხდებოდა [მასურაშვილი, 2015: 1]. გორის სამასწავლებლო სემინარია ამის ნათელი დასტურია.

პროექტის KASC „ცოდნის და აკადემიური კულტურათა გაცვლა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის XVIII-XXI საუკუნეებში“ ფარგლებში მომეცა საშუალება სიღრმისეულად შემესწავლა და გამეანალიზებინა: ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ფორმირება მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში. საქართველოსა და აზერბაიჯანში მეცნიერების განვითარების შესახებ ევროპული და რუსული სამეცნიერო ტრადიციების გავლენა. ევროპელი, ქართველი და აზერბაიჯანელი მეცნიერების გავლენა ქართული და აზერბაიჯანული პედაგოგიკის ისტორიის განვითარებაზე. პირველდაწყებითი ქართული და აზერბაიჯანული სკოლების შექმნის, მშობლიურ ენაზე სწავლების, მასწავლებელთა მომზადების, საქველმოქმედო ორგანიზაციების როლის, აზერბაიჯანული ანბანის, სახელმძღვანელოების შექმნაში აზერბაიჯანელი მეცნიერის განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწის, ტიფლისის (ახლანდელი თბილისის) სამხარეო სასწავლებლის მასწავლებლის მ.ფ. ახუნდოვის, ამიერკავკასიის სასწავლებლის დირექტორის მოვადლეობის შემსრულებლის ნ. დემენტიევის, მ. შ. ვახეხის, შახნაზაროვის დამსახურება აზერბაიჯანული სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ. პირველი აზერბაიჯანული ანბანი და საკითხავი წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა 1839 წ. ტიფლისის ტიპოლოგიაში.

კავკასიაში მასწავლებელთა მომზადებელი პროგრამების შესწავლისას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრი მსგავსება აღმოვაჩინეთ პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში საქართველოსა და აზერბაიჯანში. ძალიან გავს ერთმანეთს. მრავალი პარალელის გავლებაა შესაძლებელი. აზერბაიჯანელმა ხალხმა, ისევე როგორც ქართველმა, გაიარა რთული და ხანგრძლივი გზა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა კულტურის, განათლების, აღზრდის განვითარებაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განათლებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით ინტერესი პედაგოგიური კადრებისადმი. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველ მასწავლებელთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა, რის შესახებაც იაკობი წერდა: “ერთი ძალიან სანუგეშო და საიმედო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში გახლავთ ისა, რომ ქართველი მოზარდი თაობა ძლიერ ეტანება პედაგოგიურ განათლებას” [გოგებაშვილი, 1940:120]. ამიერკავკასიაში მოქმედ სასწავლებლებს შორის 1876 წელს დაარსებული გორის სემინარია იყო ერთ-ერთი მოწინავე სასწავლებელი იმ პერიოდში. სემინარიის მიზანს წარმოადგენდა ამიერკავკასიის სკოლებისათვის კვალიფიციურ მასწავლებელთა მომზადება და ამიტომაც მას «ამიერკავკასიის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია“ ეწოდებოდა. ცარიზმის მცდელობა ხელი შეეშალა

ხალხის დაბალი ფენების განათლების პროგრესისათვის უშედეგო აღმოჩნდა. რადგან ცარიზმს სჭირდებოდა რუსული ენის ფართოდ გავრცელება, რუსული ენის მასწავლებელთა მომზადება და თარჯიმნები, ამიტომაც იძულებული გახდა დათანხმებოდა კავკასიაში მასწავლებლის მოსამზადებელი გორის სემინარიის დაარსებას. საოსტატო სემინარიაში მოსწავლეებად მიღებული უნდა ყოფილიყვნენ არა მარტო ქართველები და რუსები, არამედ სომხებიც, აზერბაიჯანელები და თათრებიც. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელს შეადგენდა. გორის სემინარიაში სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, არ ისწავლებოდა მშობლიური ენა, რის შესახებაც ილია ჭავჭავაძე წერილში „ვიცინოთ თუ ვიტყვით?“ წერდა: „გორში არსებობს შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებლისათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ენიჭება სხვათა შორის, მაგრამ ეგ ვერ არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუჩუყებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოვწონთ? შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისთვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ თუ ვიტყვით?“ [ჭავჭავაძე, 1938: 136].

ამავე პერიოდში აზერბაიჯანელი მოსახლეობა მოითხოვდა, მუსლიმებისათვის, გახსნილიყო ცალკე განყოფილება ტიფლისში ან ნებისმიერ აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქრისტიანულ ქალაქში. მუსლიმებს თვლიდა რა ჩამორჩენილ ხალხად, მათ ამ თხოვნას კავკასიის გუბერნატორმა, ჯერ კიდევ 1875 წ., უპასუხა, რომ მათი მოთხოვნის განხორციელება დაკავშირებული იყო გარკვეულ პრობლემებთან, რომელთა გადაჭრა შესაძლებელი იყო საცხოვრებელი ადგილის, სკოლისთვის შენობის და სხვადასხვა ინვენტარის შექმნით. ამიტომ შესთავაზა, ქართველებისა და სომხების მსგავსად დათანხმებულიყვნენ სასწავლებლის გორში გახსნაზე. გორის სემინარია ამიერკავკასიაში მასწავლებელთა მომზადების მნიშვნელოვან კერად გადაიქცა. 1876 წელს გაზეთი «Пахар» («Экинчи») Пахарь პირველი გაზეთი, რომელიც გამოიცემოდა აზერბაიჯანულ ენაზე ბაქოში 1875-1977 წწ.) წერდა: „... ქალაქ გორში გაიხსნა სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულები ხდებიან მასწავლებლები. 20 ადამიანი (სომეხი და ქართველი) მიიღებს განათლებას ამ სასწავლებელში სახელმწიფოს ხარჯზე. გაზეთი „კავკასი“ წერს, რომ გაიხსნება ცალკეული სასწავლებლები, რათა განათლება მისცეს მუსულმანური სკოლის მასწავლებლებს. მაგრამ დღეს თუ რომელიმე მუსულმანს გაუჩნდება სურვილი ისწავლოს გორის სასწავლებელში მას აქვს უფლება ისწავლოს, ოღონდ თავისი ხარჯებით. სასწავლებელში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა პირველდაწყებითი განათლების ქონა და 16-19წ ასაკობრივი შუალედი, სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი“ [Ученые записки, 1961:10].

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1879 წლის სექტემბრიდან, როცა დირექტორად დაინიშნა სემიონოვი, სემინარიაში შემოდებული იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლება. უფრო მეტიც, გაიხსნა ქართული, სომხური და თათრული დაწყებითი სასწავლებლები. ამ ფაქტის შესახებ იაკობ გოგებაშვილი, თავის წერილში "უცნაური ცვლილება გორის

სამასწავლებლო სემინარიაში" წერდა: "გორის საოსტატო სემინარიასთან დაარსებულნი არიან სამნი პირველ-დაწყებითნი სასწავლებელნი: ქართული, სომხური და თათრული. ამათი დანიშნულება ორ-გვარი იყო და არის: პედაგოგიურად ემზადებიან სამივე ტომის მოსწავლეები ეგრედ წოდებულ პროსემინარიისათვის, რომელიც თავისის მხრივ ამზადებს საოსტატო სემინარიაში შესასვლელად. პედაგოგიური მომზადება იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვები ჯერ საგნებს ისმენდნენ თავის დედა-ენაზედ, კარგად იმართებოდნენ ქართულს წერა-კითხვაში. სწავლობდნენ რუსულს ენასა და რუსულს წერა-კითხვასა დედა-ენის შემწეობით და თვალსაჩინო ღონისძიებით. ბოლოს იგინი შეუდგებოდნენ ხოლმე სწავლას საგნებისას რუსულს ენაზედა. მეორე დანიშნულება ამ სკოლებისა უფრო კიდევ დიდი იყო: მათში სემინარიის მოწაფენი, როგორც მომავალნი მასწავლებელნი სახალხო სკოლებისა, თვალ-ყურს ადევნებდნენ სწავლების ხერხებს, ოსტატობასა, აძლევდნენ გაკვეთილებს დედა-ენისას, ვარჯიშობდნენ საგნებისა და რუსულის ენის სწავლებაში დედა-ენის შემწეობით, და ამ სახით მზადდებოდნენ თავისის დანიშნულებისათვის ისე, როგორც გონივრული პედაგოგია მოითხოვს. ერთი სიტყვით, ეს სკოლები იყვნენ სამაგალითონი, სანიმუშონი, რომლის მსგავსად უნდა მოწყობილიყო ყოველი სახალხო სკოლა. . . ." [გოგებაშვილი, 1940:120].

გორის სემინარიაში გვერდიგვერდ სწავლობდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ქრისტიანი და მუსლიმი ახალგაზრდები. აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა დაანგრიეს მუსლიმი ახალგაზრდების შესახებ მაშინ არსებული სტერეოტიპები მათი განვითარების დაბალი ღონის შესახებ. ქრისტიანი სტუდენტები და პედაგოგები აღფრთოვანებულნი იყვნენ მუსლიმების გულმოდგინეობით, ცოდნისმოყვარეობით და კულტურის მაღალი ღონით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აზერბაიჯანელმა საზოგადო მოღვაწემ ფირუდუნ ბეკ კოჩარლიმ გადათარგმნა „სოკრატეს სწავლებანი“. მოგვიანებით საღეს ბეგ ველიბეკოვთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელო თურქებისათვის. ს. ველიბეკოვმა კი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა რუსულს, სპასულს და არაბულს შეადგინა ენციკლოპედიური ნაშრომი «Хазинейи-ахбар. სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილების პირველი გამოსვლების წარმატებით დასრულების შემდგომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1881 წელს ველიბეკოვი დაინიშნა მშობლიური ენის მასწავლებლად. ფირუდინი კი გაიგზავნა ირევანის გიმნაზიაში მასწავლებლად, თ. ლენკორანი, მ. მუჰამმედი-ნახიევიანის დაწყებით რუსულ-თათრულ სკოლაში. რ. ევენდიევი გაიგზავნა დირექტორად სოფ. კურთკაშენში [ХАНДЖАНБЕКОВА, 2017: 15].

ქრისტიანი და მუსლიმანი მოსწავლეებისათვის სემინარიაში არსებობდა ორი საცხოვრებელი პანსიონი. ყველა ეს სასწავლებელი ერთკლასიანი იყო და თითოეული შედგებოდა სამი განყოფილებისაგან. ყოველ განყოფილებაში სწავლის ხანგრძლივობა თითო წელს უდრიდა. პირველ განყოფილებაში მოსწავლეები წერა-კითხვის შესწავლას მშობლიურ ენაზე იწყებდნენ და ამავე ენაზე მიმდინარეობდა მეცადინეობაც. შემდეგ განყოფილებაში სწავლა მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მშობლიური ენა აღარ ისწავლებოდა. ქართულ ენას, როგორც დამოუკიდებელი საგანს ასწავლიდნენ: ა. ქუთათელაძე, მ. ყიფიანი, ნ. ლომოური და კ. არველაძე. სემინარიასთან არსებობდა ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლები, სადაც სემინარიის მოსწავლეები გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. ამასთანავე, საოსტატო სემინარიაში იღებდნენ ორკლასიან დაწყებით სკოლადამთავრებულ

მოსწავლეებს. ამას ემატებოდა ერთი წელი მოსამზადებელი და 3 წელი სასწავლო კურსი. ე.ი. სემინარიის კურსდამთავრებულები სულ 8-9 წელი სწავლობდნენ, რის საფუძველზეც ენიჭებოდათ მასწავლებლობის უფლება. მაშინ როცა, ვაჟთა და ქაღთა გიმნაზიაში სწავლება 11-12 წელი გრძელდებოდა, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მათ უფრო უკეთესი ცოდნა ჰქონდათ, თუმცა მასწავლებელთა მომზადების სპეციალურ საგნებს არ გადიოდნენ. სემინარიაში სასწავლო წელი იწყებოდა ყოველი წლის სექტემბერში და მთავრდებოდა მომდევნო წლის ივნისის პირველ ნახევარში. წარჩინებული მოსწავლეები გამოცდებიდან თავისუფლდებოდნენ. საოსტატო სემინარია კურსდამთავრებულებს არ ანიჭებდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. პედაგოგიური ციკლის საგნებიდან დასაწყისში ისწავლებოდა პედაგოგია და პედაგოგიური პრაქტიკა, ხოლო შემდეგ, ცალკეული საგნების სწავლების მეთოდებიც. აღსანიშნავია, რომ საოსტატო სემინარიის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ორწლიან პედაგოგიურ პრაქტიკას. პრაქტიკის პროგრამაში შედიოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მუშაობის შესწავლა, სანიმუშო გაკვეთილების მოსმენა, საცდელი და დამოუკიდებელი გაკვეთილების მომზადება და ჩატარება, სასწავლო დოკუმენტაციის გაცნობა, ასევე, სემინარიელებს ევალებოდათ დაწყებითი სასწავლებლის სახელმძღვანელოების ანალიზი. სემინარიელების მიერ მეორე წლის ბოლოს ჩატარებული სამი დამოუკიდებელი გაკვეთილის გარჩევა და საბოლოო შეფასება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც გამოჰქონდათ დადგენილება მოსწავლის გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებისა, თუ არ დაშვების შესახებ. მიიჩნდათ, რომ მასწავლებელი ფიზიკურად ძლიერი და ყოველმხრივ განათლებული, საზოგადოებაში პატივცემული და ნდობით აღჭურვილი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამიტომ მაღალ დონეზე იდგა მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და მუსიკალური განათლების საქმე და სემინარია მომავალ მასწავლებელს მრავალმხრივ განათლებას სთავაზობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლებლის მიზანი იყო დაწყებითი კლასების პედაგოგიური კადრების მომზადება და კურსდამთავრებულებს არ ჰქონდა უფლება სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში მისი კურსდამთავრებულები, როგორც ქართველი ასევე აზერბაიჯანელი და სომეხი, ითვლებოდნენ ნაღებ საზოგადოებად, რომელთაც განათლება მიიღეს ცარიზმის, მეფის იმპერიის ბატონობის პერიოდში კავკასიაში. ეს მოსახრება გამოხატულია არა ერთ ქართველ, აზერბაიჯანელ საზოგადო მოღვაწის მიერ. გორის კურსდამთავრებულმა ბევრმა თავი გამოიჩინა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე. მათ შორის 300 აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, მუსიკის და ხელოვნების წარმომადგენელი იყო. მის კედლებში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსები: ნ. ნარიმანოვი, უ. ჰაჯიბეკოვი, მ. მაგომაევი, ია კარგარეთელი, ლადო აღნიაშვილი, რომელიც შემდეგ სემინარიის გუნდსაც ხელმძღვანელობდა. გორის საოსტატო სემინარიაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, ვანო ავალიშვილი, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), თედო რაზიკაშვილი, ვანო გიუნაშვილი, ტარასი მამალაძე, ნიკო ჯანაშია, თეოფილე ხუსკივაძე და სხვები. და სხვები. მათ განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული და აზერბაიჯანული მუსიკის, კულტურის, განათლების განვითარებასა და პროგრესში, აზერბაიჯანელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

იმ პერიოდის მოწინავე ქართული ინტელიგენცია ცდილობდა დახმარებოდა აზერბაიჯანელ მოსახლეობას მათი ნატურის-აზერბაიჯანში საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნის შესახებ. შეიქმნა გორის სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა. ჩერნიავსკი. რომელიც კარდაკარ დადიოდა აზერბაიჯანულ სოფლებში, აგროვებდა აზერბაიჯანელ ბავშვებს, თან მშობლებს უხსნიდა განათლების მნიშვნელობას, რომ განათლება მისცემდა მათ შვილებს, აზერბაიჯანელ ხალხს უკეთეს მომავალს, ხვალინდელ დღეს. ამ დღისათვის წლების მანძილზე იბრძოდა აზერბაიჯანელი ხალხი და სთხოვდა მათი შვილებისათვის არ წაერთმიათ ეს შესაძლებლობა. მას უხდებოდა ასობით კილომეტრის გავლა ფაეტონით, ურმით, მატარებლით და ზოგჯერ ფეხითაც. ის იმედს არ კარგავდა, რომ აზერბაიჯანშიც შემოვიდოდა განათლება. ა. ჩერნიავსკი დაიბადა და გაიზარდა ღარიბ რუსულ ოჯახში შემახეში. ის თავიდან ბოლომდე იყო აზერბაიჯანის ერთგული. მან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა აზერბაიჯანელი ბავშვების განათლებას. მან აზერბაიჯანელი ბავშვებისათვის შეადგინა მშობლური ენის სახელმძღვანელო. აზერბაიჯანელი განმანათლებელი ფირუდუკ ბეკ ქოჩარლი მოგვიანებით წერდა: ყველაფერი კარგი და მნიშვნელოვანი გორის სემინარიის აზერბაიჯანულ განყოფილებაში დაკავშირებულია ჩერნიავსკის სახელთან. „მშობლიური ენის“ სახელმძღვანელოს შექმნით მან სათავე დაუდო ჩვენი სკოლების ახალ ეპოქას .

გორის სემინარია გახდა სახალხო პედაგოგების მომზადების წყაროდ. ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი ხალხის პედაგოგიური კავშირების ცენტრად. აქ განხორციელდა მათი საქმიანი, მეგობრული ურთიერთობები. გორის სემინარიას დღეს აზერბაიჯანელი საზოგადოების აკადემიური პირები სიამაყით, სიყვარულით ახასიათებენ. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ჩვენის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი. ინტერვიუში, სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში, აზერბაიჯანელი მკვლევრები სიამაყით აღნიშნავენ, რომ გორის სემინარიის კურსდამთავრებულები მომავალში გახდნენ მწერლები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. მწერალი-დემოკრატი ჯ. მამედქულიზადე, აზერბაიჯანელი პროფესიონალური და საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი, კომპოზიტორი უხ. ჰაჯიბეკოვი, კომპოზიტორი მ. მაგომაევი, ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ნ. ნარიმანოვი, პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი ფ. აგაზადე, ფ. კოჩარლი, პ. ეფენდიევი, ს.მ. განიზადე, ს. ველიბეკოვი, გ. მინასაზოვი და სხვა. [Пашаев, 1997: 94].

მწერალი, პუბლიცისტი შამისტან ნაზირლი გაზეთი „კასპი“ -ში წერს, რომ 1879 - 1918 წლებში გორის სემინარიაში განათლება მიიღო ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნების ადამიანმა. მათ შორის მარტო 300 -აზერბაიჯანელი იყო. სამწუხაროდ, საქართველოს განათლების ისტორიის მუზეუმში იმ პერიოდის ამსახველი დოკუმენტები არ არის შემოჩენილი. გორის სემინარიის შესახებ არსებული საარქივო მასალები განადგურდა თბილისში 90-იან წლებში სამოქალაქო ომის დროს, როცა ნანგრევებად იქცა საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი. სემინარიის 4200 დოკუმენტი, ექსპონატი, ფოტომასალა ფერფლად იქცა-ვეითხელობით მწერალისა და პუბლიცისტის შამისტან ნაზირლის კვლევაში [НАЗИРЛИ, 2016: 11]. საზოგადო მოღვაწე ფირიდუნ ბექ კოჩარლი გაზეთისათვის მიცემულ

ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ სემინარიის აზერბაიჯანული (თათრების) განყოფილების აღსაზრდელები სარგებლობდნენ კეთილგანწყობით და უდიდესი პატივისცემით ქართველებში. აზერბაიჯანელმა კურსდამთავრებულებმა შემოინახეს საუკეთესო მოგონებები. საქართველო იქცა მათ სულიერ სამშობლოდ. შეიძლება ასეთი სამშობლოს დაგიწყება? მე გამოვხატავ ღრმა პატივისცემას საქართველოს და გორის სასწავლებლის მიმართ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ამ მოსაზრებას შეუერთა გაზეთის რედაქცია. მადლობა გადაუხადა საქართველოს, რომ ქართულ მიწაზე განათლება მიიღეს და მშობლიურ აზერბაიჯანს აღუზარდეს არაერთი განათლებული თაობა [НАЗИРЛИ, 2016: 11].

გორის სასულიერო სემინარიის ბაზაზე დღეს ფუნქციონირებს გორის მე-9 სკოლა, რომელიც ამაყად ატარებს მის სახელს. 1876 წელს დაარსებული გორის საოსტატო სემინარიის წიგნადი ფონდი 1935 წელს გადაეცა ახლად დაარსებულ სამასწავლებლო ინსტიტუტში (ამჟამად გორის სასწავლო უნივერსიტეტი).

ძველი შენობიდან სარდაფის სართულზე ახლაცაა შემორჩენილი ძველი საძირკველის ნაწილი, ხოლო სკოლის წინ ქუჩის სავალ ნაწილზე დღემდე ამაყად დგას ორი უზარმაზარი თუთის ხე [სკოლის ისტორია,1]. სკოლის ყველა მოსწავლემ იცის, რომ ეს ხეები ჩვენი დიდი წინაპრის ვაჟა-ფშაველას ხელითაა დარგული და რომ აქ ერთად სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი და სომეხი, ქრისტიანი და მუსლიმი ახალგაზრდობა. ისინი რუსულ ენასთან და სხვა ძირითად საგნებთან ერთად სწავლობდნენ მშობლიურ ენას და შარიათს. გორის საოსტატო სემინარია დაიხურა 1918 წ. სემინარიამ თავისი არსებობის 42 წლის მანძილზე 700-ზე მეტი მასწავლებელი გამოუშვა ამიერკავკასიაში მოქმედ სხვადასხვა სკოლებისათვის და ამით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თავის დროზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის სკოლებს.

ლიტერატურა:

1. ი.გოგებაშვილი რჩ. ნაწერები, 1940 ტ II. თბილისი
2. [ნ. მასურაშვილი_მულტიკულტურული განათლების ასპექტები 25 ნოემბერი, 2015](http://mastsavlebeli.ge/?p=1534) http://mastsavlebeli.ge/?p=1534
3. სკოლის ისტორია. http://skola9gori.blogspot.com/p/blog-page_24.html
4. ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938, თბილისი
5. Ш. НАЗИРЛИ, писатель-публицист გაზეთი Каспий. -2016. 26 ნოემბერი
6. А.Х. Пашаев «Очерки истории Азербайджанской школы в Грузии в конце XIX начале XX веков. Баку 1997 წ.
7. В. И. Страженеев, «Образование и наука в современном обществе» БГУ, 2004 г.
8. Ученые записки (отдельное издание). Баку. Издательство АГУ, 1961
9. Ф. ХАНДЖАНБЕКОВА, Человек на все времена, Рашид бек Эфендиев. Просветитель, педагог, драматург, этнограф გაზეთი Каспий.-2017. - 3 ივნისი

ლელა ტავდგირიძე

Учебные семинарии по подготовке учителей в Грузии и межкультурное образование во второй половине XIX века

Резюме

В истории всех стран существуют значительные периоды, превращающиеся в руководство страны, создающие творческий ум людей, направляя их мышление на духовный рост и прогресс. В настоящее время глобализация способствует национальному самосознанию, возрастает интерес к истории и к истории образования. Ничего не потеряно в истории без следов. Есть некоторые письменные или устные свидетельства, артефакты, данные, отраженные в памяти и передаваемые из поколения в поколение. Важно не потерять или забыть какие-либо факты из прошлого, изучить и перейти к следующему поколению. Одной из важнейших задач истории педагогики является изучение истории культурного наследия, развития школы, педагогического мышления; в соответствии с историческими науками, объединить опыт человечества, проанализировать, изучить и ввести в действие современное общество. Цель статьи - представить роль Грузии в Закавказье в процессе подготовки квалифицированных учителей, в частности азербайджанских, грузинских учителей; Целью семинарии было подготовить квалифицированных учителей для закавказских школ Грузия стала важным центром многокультурного образования, поддерживая тесные отношения между грузинским, азербайджанским, русским, армянским народом, развивая их культуру и науку, воспитывая учителей и интеллектуалов.

Lela Tavdgiridze

Educational seminaries preparing teachers in Georgia and Intercultural education in the second half of the 19th century..

Abstract

In the history of all countries there are significant periods turning into the country's guide, generating people's creative mind, directing their thinking to spiritual growth and progress. Nowadays globalization promotes national self-consciousness, increasing interest in the own history and education history. Nothing is lost in history without traces. There are some written or verbal evidences, artifacts, data reflected in the memory and transmitted from generation to generation. It is important to not lose or forget any of the facts from the past, to study and pass on to the next generation. One of the most important tasks of the pedagogy history is to study the history of cultural heritage, school development, pedagogical thinking; in accordance with historical sciences, to combine the experience of humanity, analyze, study and put into service of contemporary society. The report presents materials obtained at Baku academy of science, Akhundova's Library, as well as materials obtained by inquires and interviews performed during the academic trip in Baku in the framework of project KEAC BSR - Knowledge Exchange and Academic Cultures in the Humanities, Europe and the Black Sea Region, late 19th - 21st Centuries.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. მაღლაკელიძე

პედაგოგია Педагогика Pedagogic

ნინო სოსხაძე

ქუთაისი, საქართველო

საგანმანათლებლო ურბი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასობრივი სასწავლებლები იყო საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ამ სასწავლებლებში გამეფებული იყო ზეპირობა, რაც სასწავლო პროცესს უინტერესოს ხდიდა.

XX საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციური მოძრაობის დაწყებამ თავისი წვლილი შეიტანა სასწავლებლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში. განსაკუთრებით გაძლიერდა მოსწავლეთა საგაფიცვო გამოსვლები რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა მრავალრიცხოვანი კადრი მოუმზადა საქართველოს.

რაც შეეხება ქალთა განათლებას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქალთა საქველმოქმედო სკოლას, რომელიც 70-ანი წლების დასაწყისში დაარსდა ქუთაისში და რომლის გახსნას მხურვალედ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. ის წერდა, რომ: „მთელს ქუთაისის გუბერნიაში ამჟამად მხოლოდ ერთი სასწავლებელია, სადაც ღარიბების შვილები უფასოდ იზრდებიან. ეს არის ქალების სკოლა. მაგრამ, არ იფიქროთ, რომ ის ან საზოგადოების და ან ქართველი კერძო პირის წყალობით იყოს. ის ეკუთვნის ისეთ პირს, როგორც არის კნენა მირსკაია და გრაფინია ლევაშოვი“.

ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის პედაგოგიური მეცნიერებების შესწავლა ისტორიულ კონტექსტში. ანუ კონკრეტულ პერიოდში როგორ ვითარდებოდა ქვეყნის ესა თუ ის რეგიონი, რაც ქვეყნის განათლების განვითარების მთლიან სურათს იძლევა.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიერთება ბოლონის პროცესთან, ქართველი ხალხის სწრაფვას ევროპისაკენ თან უნდა სდევდეს ქვეყანაში მაღალგანვითარებული ევროპული სისტემის შექმნა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს წარსულში მიღებული გამოცდილების მაგალითზე.

ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის ყველა რეგიონის სასწავლო დაწესებულებებს.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რეგიონებს შორის განათლების კერების და სასწავლო დაწესებულებების სახეების სიმრავლით განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ საქართველო, რომელმაც ქართულად სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის რაოდენობითა და მრავალფეროვნებით, განსაკუთრებული როლი ითამაშა. დიდი წვლილი შეიტანეს იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა განმანათლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სასწავლებლებმა და ამ სასწავლებლებში მოღვაწე სახალხო მასწავლებლებმა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასობრივი სასწავლებლები საეკლესიო-სამრევლო სკოლები იყო.

თავიდან ისინი საქალაქო ტიპის დასახლებების სკოლებთან იქმნებოდა. მსგავსადა სკოლებმა განვითარების ორი ეტაპი განვლო. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ორწლიანი სწავლა იყო და მათ უფრო ხშირად „საშინაო სკოლებად“ მოიხსენიებდნენ. მსგავსი ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ მღვდლები ან დიაკვნები, მაგრამ მათ ანაზღაურება არ ეძლეოდათ. ამიტომ მათგან უფასოდ ესწავლებინათ ეს სურვილი მცირე იყო (9).

მთავრობა დაწყებითი განათლების საქმისთვის მცირე სახსრებს იღებდა. აქედან, ცხადია, თუ როგორი „ყურადღებით“ ექცეოდა მეფის მთავრობა სახალხო განათლების საქმეს საქართველოში.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი საქართველოში და, შესაბამისად, ქუთაისშიც ყოველწლიურად იზრდებოდა. მათ უმრავლესობაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

XX საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-გამათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის დაწყებამ თავისი წვლილი შეიტანა სასწავლებლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში. განსაკუთრებით გაძლიერდა მოსწავლეთა საგაფიცვო გამოსვლები რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით განათლების სისტემაში ასევე საგულისხმოა სკოლათა რაოდენობის პრობლემა, რომელიც არ იყო საკმარისი მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა 50%-ზე მეტი რჩებოდა სასწავლებლის გარეთ.

ოთხმოციან ჭლებში რეაქცია თავს დაატყდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობებს, განსაკუთრებით კი ქართველებს.

ამ პერიოდში მთელი რუსეთის საშუალო სასწავლებლებში სასტიკად სდევნიდნენ ყოველგვარ პროგრესულს და საერთოდ ადამიანურს. ეს ყოველივე კი გიმნაზიებში პოულობდა გამოძახილს და შესაბამისად სასწავლებლებში სამხედრო წესები იქნა შემოღებული.

მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა ამ პერიოდისათვის გაუქმებული იყო, მაგრამ არსებობდა არანაკლებ დამამცირებელი დასჯის წესი. ეს იყო მოწაფეთა კარცერში დამწყვდევა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ახალგაზრდების მიმართ მსგავსი რეაქცია და ცინიზმი იმდროინდელ დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში შეტანილი იყო განცხადება მოსწავლეთა ამ წესით დასჯის გაუქმების შესახებ, კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარში მოცემულია განმარტება ამ წესის შენარჩუნების შესახებ, რაც ძალიან სამარცხვინოა და მიუღებელია ყველასათვის (117).

ამ პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გულისტკივილი მთელი ქართული ინტელიგენციის და მოწინავე საზოგადოების იყო ის, რომ სასწავლებელში შეიმჩნეოდა ქართველ მოსწავლეთა სიმცირე. ქართული პრესა დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა ქართველ მოსწავლეთა სიმცირეს გიმნაზიებსა და სემინარიებში. ქართველ მოსწავლეთა რიცხვის ზრდა სააშუალო სასწავლებლებში საკმაოდ ნელი ტემპით ხდებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მცირე რაოდენობით ამთავრებდნენ ქართველი ახალგაზრდები სააშუალო სასწავლებლის კურსს. რურსდამთავრებულთა რიცხვი ორჯერ ჩამორჩებოდა მიღებულთა რიცხვს. 1890 წელს დამტკიცებული გიმნაზიის სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული და სლავური ენა სიტყვიერებით და ლოგიკით, ლათინური ენა, ბერძნული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ფრანგული ენა, მართლწერა და ხაზვა. სწავლება უადრესად დოგმატურ და ზეპირ ხასიათს ატარებდა. იგოგებაშივე წერს: „მოსწავლეებს აზვირებინებდნენ გაკვეთილებს იმ ენაზე, რომელიც მათ კარგად არ ესმოდათ. ამ მიზეზის გამო ყმაწვილებს სასწავლებელი სატუსალოდ მიაჩნდათ“.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საფუძველი ეყრება ქალთა სააშუალო განათლებას კავკასიაში. პირველი ქალთა სააშუალო სასწავლებელი, რომელიც კავკასიაში შეიქმნა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი იყო. მაგრამ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ჰქონდა.

XX საუკუნის დასაწყისში რადიკალურად დაისვა საკითხი სკოლის რეფორმის შესახებ და მრავალი პროექტიც დამუშავდა.

1907 წელს ხელახლა დაისვა საკითხი გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ.

სააშუალო სასწავლებლების ქსელი ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში თბილისის და ქუთაისის ეპარქიელთა სასწავლებლები სააშუალო სასწავლებლებად გადაკეთდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო სისტემა ნელ-ნელა იზრდებოდა, იხვეწებოდა, მაგრამ მას ჰქონდა წინააღმდეგობრივი და რთული ხასიათი, რაც გამომწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობით.

ლიტერატურა:

1. ი.ჭავჭავაძე. რჩეული ექვსტომეული, ტომი I, გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი, 2012 წელი.
2. გაგუა გ. სახალხო განათლება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმის შემდეგ საქართველოში. თბილისი, 1974 წელი.
3. იგოგებაშიველი. „როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიის სახალხო სკოლა“.

Нино Сохадзе

**Очаги образования в Западной Грузии в конце XIX века
и начале 20-го века**

Резюме

В конце 19-го и начале двадцатого веков самыми массовыми школами в западной Грузии были церковно-приходские школы.

К сожалению, в этих школах господствовало зазубривание, что и понижало интерес к процессу обучения.

Начало национально-освободительного и революционного движения в начале XX века наложило свой отпечаток на организацию учебно-воспитательного процесса в учебных заведениях. Особенно усилилось выражение протеста против царского самодержавия.

Кутаисский богословский институт подготовил большое количество кадров для Грузии.

Что касается женского образования, нельзя не высказаться о Женской благотворительной школе, основанной в начале 70-х годов в Кутаиси, которую горячо приветствовал Акаки Церетели. Он писал: «Во всей Кутаисской губернии есть только одна школа, где дети бедняков обучаются и воспитываются бесплатно. Это женская школа. Но не подумайте, что она общественная или основана грузинским частным лицом. Она принадлежит таким лицам, как княгиня Мирская и графиня Левашова».

Вот так находились благородные люди, которые желали сделать образование доступным для всех.

Nino Sokhadze

**Education centres in the end of XIX century and in the beginning of XX century
In West Georgia
Abstract**

In the end of XIX century and in the beginning of XX century massive schools were parish _ Purochial schools.

At these schools learn by heart which made learning process boring.

In the beginning of XX century started social-educational moment, got stronger pupil's strikes against church reign. Kutaisi's Parish pansions grew up lot persons for Georgia.

Also these exested women's charity school. This school was high praised by Akaki Tsereteli.

In Georgia there were people who wanted to give education poor people.

It had a big meaning for Georgians' future.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. კიროვა

სწავლების მეთოდოლოგია Методика Methodic of teaching

თამარ გოგოლაძე

გორი, საქართველო

გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის
სწავლების ისტორიისათვის

გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877) სწავლება თამაზ ვასაძის „X კლასის ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელოს მიხედვით (გამომც. „ლიოგენე“, 2006) გათვალისწინებულია I თავში - „დაკარგული ედემი“. იმავე კლასში ისწავლებოდა იგი თითქმის 70 წლის მანძილზე საბჭოურ სკოლაში.

ლექსი საკმაოდ პრობლემურია და მისი სწავლება რომანტიზმის ეპოქის სხვა ქართველი თუ უცხოელი პოეტების შემოქმედების პარალელურად ბევრ კითხვებს ბადებს სწავლებისა და წერითი დავალებების თვალსაზრისით.

გრ. ორბელიანის ზემოდასახელებული ლექსის განხილვის თვალსაზრისით არსებობს საკმაოდ ბევრი საბჭოური, პოსტსაბჭოური ლიტერატურათმცოდნეობითი ნაზრევი. ამ მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით თ. ვასაძეს მოჰყავს შედარებისათვის იტალიელი რომანტიკოსის, ჯაკომო ლეოპარდის, ლექსი „იტალიისადმი“.

ეს მასალა კი არ შეესაბამება რომანტიზმის ეპოქის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ პათოსს და ტოვებს გააზრებისათვის გაუგებარ მითითებას, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ჯ. ლეოპარდის ლექსის ნაცვლად აქვე მოეყვანილიყო ესეიგი გიორგი ლეონიძისა (1917 წ. 30 აპრ. გ. „საქართველო“) „თამარ!“, რისი დასაბუთების მცდელობაცაა წარმოდგენილი წინამდებარე სტატიაში.

გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი ბოლო პერიოდის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877) შედის ქართული ლიტერატურის პროგრამაში საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. მისი სწავლება გათვალისწინებულია საბაზო სკოლის X კლასის პროგრამაში. თამაზ ვასაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს I თავში - „დაკარგული ედემი“ (2006), და დათმობილი აქვს 2 სთ., საიდანაც თ. ვასაძისეული სახელმძღვანელოს ეროვნულ გეგმასთან შესატყვისობის „შინაარსისა და მიზნების რუკის“ მიხედვით კითხვას,

ზეპირმეტყველებას და წერას (ესეი) თავისი მიზნები გააჩნია: „მოსწავლე კითხულობს, აანალიზებს სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებს“, მოსწავლე მონაწილეობს საკლასო და სასკოლო დისკუსიებში, ხოლო ბოლოს ეძლევა დავალება დაწეროს ესეი „აქვთ თუ არა რაიმე საფუძველი მომავლის პესიმისტურ ხედვას“, ხოლო „კითხვებში მსჯელობისათვის“ ისინი ასეა განლაგებული: წარსული, აწმყო მომავლის ხატი“. შედარებისათვის ქვეთავში „ციტატა“ მოყვანილია იტალიელი რომანტიკოსი პოეტის ჯაკომო ლეოპარდის ლექსი „იტალიისადმი“.

სახელმძღვანელოს ავტორის მიზანია, მოსწავლემ ლექსის წაკითხვის შემდეგ განასხვავოს ფაქტობრივი კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია და შემდგომ ესეიში დავალების მეშვეობით უკვე დააფიქსიროს თავისუფალი აზრი.

სავარაუდოდ, ამ ლექსის სწავლება სოციალიზმის ეპოქაშიც მიზნად ისახავდა გრიგოლ ორბელიანის ლექსში რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი პრინციპების გაგება-განზოგადებას. შემდგომად კი 1897 წელს ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (№104) წარდგენილი იყო „საფიხნოზე“ X კლასის სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლის სამმართველოს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტის ზ. ბურდილაძისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტების მიერ შემუშავებულ პროგრამის პროექტში მას დათმობილი ჰქონდა (გრ. ორბელიანის სხვა ლექსებთან ერთად) 7 საათი.

2003 წელს ეგიდით „ქართველი მწერლები სკოლაში“ (ტ. I) შევიდა (აღ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედება) აღნიშნული ლექსიც, რომელსაც ახლავს კითხვები და დავალებები. ისინი 7 კითხვის სახითაა წარმოდგენილი და ყურადღება გამახვილებულია პოეტის გრძნობებზე თამარის ფრესკის ნახვისა, მის საწუხარზე, რა არის საჭირო, რომ ქვეყანა გაძლიერდეს, პასუხობს თუ არა თამარი პოეტის ვედრებას და რატომ, რა მიზეზები ქვეყნის მიმე მდგომარეობისა მტრის შემოსევების გარდა და სხვ. აქ კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის ნაკლებად მოჩანს. მაგრამ მოყვანილი ამონარიდები (აკაკი გაწერილიას (1989) ელგუჯა მადრაძისა (1973) და თამარ შარაბიძის (1999) მიხედვით) აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოსწავლეებს, ვფიქრობთ, უნდა გაუჭირდეს. მაგრამ საყურადღებოა თამარ შარაბიძის ნააზრევიდან გრ. ორბელიანის მიერ კონტრასტის სახით მოცემული 3 საკითხის შესატყვისობა ქრისტიანულ სიმბოლიკასთან. ერის მიძინების, სულით დაცემის, უმეცრების სიბნელეში ყოფნისა: „აქ ნეტარ არიან ის მონები, რომლებსაც დაბრუნებული ბატონი ფიხნელთ ნახავს“ (ლუკა, 12,37); II „ღმერთი მკვდრებისა კი არა, არამედ ცოცხლებისაა“ (მათე, 22,32); III. „მე სინათლე ვარ ქვეყნიერებისა, ვინც წამომყვება, სიბნელეში არ ივლის“... (იოანე, 8,12) (ქს. ტ. I, 2003:159).

მაგრამ ე. მადრაძის „გრიგოლ ორბელიანიდან“ საჭირო ამონარიდები, ვფიქრობთ, უფრო სიღრმისეულისაკენ მიმართავდა მოსწავლის აზროვნებას. კერძოდ, ე. მადრაძეს მოჰყავს ერთი წერილი გრ. ორბელიანისა (დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, 1938 წ. №16, აკაკი გაწერილიას მიერ) საღამოე დადიან-მიურატისადმი: „შემდეგ გრიგოლი მადლობას სწირავს საღამოს და დედას-ეკატერინეს, რომ მოსწონებიათ მისი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. უგზავნის მას მთლიანად, რადგან ცენზურამ წაართვა და ჩივის, რომ „სიბერემ წაართვა პოეზიის ძალი“ (ე. მადრაძე, 1989:211). ბუნებრივია, საჭიროა აქ ლიტერატურათმცოდნის

ჩაღრმავება, წერილის დამუშავება და ლექსის მთლიანი ტექსტის (როგორც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული) ანალიზი, იმ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, რაც ე. მაღრაძის ნააზრევშია წარმოდგენილი. ასე, რომ მასწავლებლისათვის, უპირველესად აუცილებელი, რაზედაც კარგ წარმოდგენას იძლევა თვით დისკი, ბეთანიის ეკლესიის შემოგარენით და თვით თამარის ფრესკით.

საყურადღებო და მნიშვნელოვანი სულ ახლათახალი წიგნი თენგიზ წოწონავასი „მწვერვალები“ (ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნეში, ქრესტომათიური ისტორია - 2018), სადაც ადგილი აქვს დათმობილი ლექსის ახლებურ წაკითხვას (თავებში: „აქროს ხანიდან ბედერულ აწმყომდე“, „საზრისი“, „სახეები და კომპოზიცია“, „მხატვრულობა“, „მოსუცების ამბობება“, „პოეტები, მეფეები, გენერლები“ – „თამარის წინაშე“) ავტორისეულ ნააზრევთან ერთად მნიშვნელოვანია ის მიკვლევა, რომ „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ უსწრებს ფრესკული ლირიკის ნიმუშებს“ (წოწონავა, 2018:15), რაშიც მაინც გულისხმობს წინამორბედ თეიმურაზ I ლექსს „თამარის სახე დავით გარეჯას“, რომლის მხოლოდ I სტროფი ეხმიანება ფრესკით გაცოცხლებულ თამარ მეფის სახეს დავით გარეჯას:

„მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,
სხიფ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავ-მყოფელად გგონებენ,
იშვებენ, მათთა პატიუთა, მათ ლხინთა შეუწონებენ“.

(„ჩვენი საუნჯე“, IV, 1960:99).

თუმცა დანარჩენ სტრიქონებში უკვე მიმართვაა წმინდა სამებისადმი. აქვე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის (არც თეიმურაზ I, არც გრიგოლ ორბელიანის დროს) თამარ მეფე ეკლესიის მიერ ჯერ არაა შერაცხული წმინდანად.

რაც შეეხება ჯაკომო ლეოპარდის ლექსს „იტალიისადმი“, მიუხედავად იმისა, რომ იგი რომანტიკული პოეზიის ნიმუშია, მაინც უფრო სამშობლოსადმი მიმართვა და არა ფრესკაზე გამოსახული თამარ მეფისადმი. ამიტომ თავად ლექსის არქიტექტონიკაც უფრო აკაკი წერეთლისეულ „აღმართ-აღმართთან“ იჩენს სიახლოვით შედარებას, ვიდრე გრიგოლ ორბელიანის ლექსთან.

ჩვენი აზრით, ამ კუთხით მასწავლებელისათვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს გიორგი ლეონიძის მცირე ესეი „თამარ!“, რომელიც პოეტმა გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“ 1917 წლის 30 აპრილს. ამ ლექსშიც უკვე სხვა ეპოქის პოეტის მიმართვაა, მონოლოგი დიდებული მეფისადმი, რომელშიც სევდაც არის, ღრმა თავყვანისცემაც და იმედი ქვეყნის უკვდავებისა:

„მე მიხარია, რომ საქართველო შენი სახელით შეიმოსა. მე მიხარია, რომ შენ ედებოფლე მას - უკვდავი მშვენიერება და სიხარული! და კვდავ თავყვანსა გცემ, თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!“

გულს ვერ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა („შავი ყორანი“ – გრიგოლ ორბელიანთან). უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე, - უკვდავია, რადგანაც შენით უჭკნობ მშვენიერებას ეზიარა - ჰოი, თამარ!...“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“) (1984, №4, 82-83).

მიუხედავად იმისა, რომ გ. ლეონიძე არაა თამარის სამეფო შთამომავალი, იმ ეპოქის შვილია,

რომელიც თავისუფლდება რუსეთის იმპერიის ბრჭყალებიდან და პოეტიც უფრო სიმბოლურად შლის თემას, თანაც ეს ესხება და არა ლექსი, ვფიქრობთ, წერითი დავალების გახსნისათვის კარგად დაეხმარება მოსწავლეს და მასწავლებელსაც წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხატის გასიგრძეგანებაში.

ლიტერატურა:

- ვასაძე თ. „ქართული ლიტერატურა 10“, „დიოგენე“, თბილისი, 2006;
 ვასაძე თ., „ქართული ლიტერატურა 10“, (მასწავლებლის წიგნი), „დიოგენე“, თბილისი, 2006;
 ორბელიანი გ., „სადამო გამოსაღებისა“, „მერანი“, თბილისი, 1989;
 „ჩვენი საუნჯე“, 4, „ნაკადული“, თბილისი, 1960;
 ქ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1987, 1-4;
 ქართველი მწერლები სკოლაში, წ.1, „დია“, თბილისი, 2003;
 მალრაძე ე., „გრიგოლ ორბელიანი, წერილები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989;
 წოწონავა თ., „მწვერვალები (ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნეში), საავტორო გამომცემლობა, 2018.

Тамар Гоголадзе

К изучению одного стихотворения Григола Орбелиани

Резюме

Изучение стихотворения Григола Орбелиани «Лик царицы Тамары в Бетанийской церкви» (1877) по учебнику Тамаза Васадзе «Грузинская литература X класса» (издательство «Диогене», 2008) предусмотрено в I главе – «Потерянный эдем». В том же классе в советской школе оно изучалось почти в течении 70 лет. С точки зрения рассмотрения вышеназванного стихотворения Григола Орбелиани существует множество советских и постсоветских литературоведческих рассуждений. Заслуживает внимания I книга многотомника, изданного в 2003 году под эгидой «Грузинские писатели в школе» (Алекandre Чавчавадзе, Григол Орбелиани), в которой приведены рассмотрение-оценка тремя исследователями стихотворения (Акакий Гацерелия, Елгуджа Маграмдзе и Тамар Шарабидзе). Сам автор учебника Т.Васадзе, исходя из принципов современного обучения, на «Карте содержания и целей», помещенной в «Книге учителей», отводит 2 часа. Тут предусмотрены следующие задачи:

С учетом специфики указанного материала Т.Васадзе для сравнения приводит стихотворение итальянского романтика Джакомо Леопарди «К Италии».

Все вышеуказанное вместе с письменным заданием не соответствует пафосу стихотворения поэта эпохи романтизма «Лик царицы Тамары в Бетанийской церкви» и оставляет непонятные указания для осмысления. Думаем, желательно было бы вместо стихотворения Дж.Леопарди привести эссе Георгия Леонидзе (1917 г. 30 апр., изд. «Сакартвело») «Тамар!», попытка обоснованности которого приведена в настоящей статье.

Tamar Gogoladze**For the History of Teaching a poem by Grigol Orbeliani
(“*King Tamar’s Face in the Church of Bethany*”)**

Abstract

Teaching Grigol Orbeliani's poem "King Tamar's Face in the Church of Bethany" (1877) according to the textbook of "Georgian Literature of X class" by Tamaz Vasadze ("Diogene", 2006) is prescribed in Chapter I - "Lost Edemy". It was taught in the same class for nearly 70 years at the Soviet schools.

Taking into consideration the specifics of this material T. Vasadze quotes a poem "To Italy" by Italian Romantic, Giacomo Leopard.

All of the above-mentioned tasks do not match the pathethics of romantic epoch "King Tamar's Face in the Church of Bethany" and leaves unclear understanding of the idea of thinking. Instead of Leopard's poem, it was desirable to presents here that essay by Giorgi Leonidze (30 April 1917 "Georgia") "Tamar!" An attempt to prove this, is in the present article.

რეცენზენტი: პროფესორი მ. მიქაძე

სწავლების მეთოდოლოგია Методика Methodic of teaching

Atina Toidze

ბათუმი, საქართველო

“The role of teaching pronunciation to EFL learners”

Learning to pronounce English well takes muscle coordination, and that means practice - not just mental activity! Methodologists remind us that the most relevant features of pronunciation - stress, rhythm, and intonation - play a greater role in English communication than the individual sounds themselves. Learning pronunciation should not be limited to finding primary stress and comparing individual vowel and consonant sounds in a given word, as has often been the case with pronunciation learning in the past [Kenneth Beare: 2018]. At the beginning level, English learners need to focus on the basics of pronunciation. In general, the use of rote learning is best for this level. For example, the use of grammar chants is a great way to help students pick up pronunciation skills through repetition. Focusing on individual vowel and consonant sounds is only the first step in learning English speech. The ultimate goal of language teaching is to encourage learners to acquire communicative competence [С.Ю.Николаевой. - К.: Ленвіт, 1999]. This makes it all the more important that pronunciation instruction should be approached holistically, not phonetically, and that teaching pronunciation be directed more from the supra segmental perspective.

Using Minimal Pairs is a great way to focus pronunciation on just one sound, I often used them in my classes at the beginner level. Students also found it cheerful to pronounce them, for example, *rat* and *rate* , only the vowel sound differs between the two words, *pin* and *pen*, *dim* and *dime*, and *bat* and *pat*. They helped my students with their pronunciation by focusing on one particular sound.

Using a **device to record** is the best way to develop their pronunciation, what our students are actually saying, we have empirical data to play back for each person. I encourage them to listen to what they actually said rather than what they think they said. We can also compare a recording of a native speaker against their recording. In this way, my students had more objective understanding of their true pronunciation and could take steps to correct it.

Differences of opinion existed over the years in the language teaching about the value of teaching pronunciation and about how best to teach it. The usefulness of teaching pronunciation is a widely debated subject in the language teaching world. Some of the current research would suggest that teachers can make little or no

difference in improving their students' pronunciation. Whereas, there is research that indicates that the teacher can make a noticeable difference if certain criteria, such as the teaching of supra segmentals and the linking of pronunciation with listening practice, are fulfilled [Hewings, M:1993].

The role of pronunciation in different schools of language teaching has varied widely from having virtually no role in the grammar-translation method to being the main focus in the audio-lingual method where emphasis is on the traditional notions of pronunciation, minimal pairs, drills and short conversations. Situational language teaching, developed in Britain, also mirrored the audio-lingual view of the pronunciation class. **Singing** is also great way for your ESL students to practice their vowel pronunciation. This method required a student to maintain vowel sounds over more than just a moment, it gave my students a chance to focus in on the target sound and adjust what sound she is making.

In many language programs the teaching of pronunciation was pushed aside, as many studies concluded 'that little relationship exists between teaching pronunciation in the classroom and attained proficiency in pronunciation; the strongest factors found to affect pronunciation (i.e. native language and motivation) seem to have little to do with classroom activities. More recently, however, the widespread adoption of communicative approaches to language teaching has brought renewed urgency to pronunciation teaching. One of the studies suggests that there is a threshold level of pronunciation in English and if a given nonnative speaker's pronunciation falls below this level, he or she will not be able to communicate orally no matter how good his or her control of English grammar and vocabulary might be.

ლიტერატურა:

1. Hewings, M. Pronunciation tasks: A Course for Pre-intermediate Learners. - Cambridge: Cambridge University Press, 1993.
2. Методика навчання іноземних мов у середніх навчальних закладах: Підручник / Кол. авторів під керівн. С.Ю.Ніколаєвої. - К.: Ленвіт, 1999
3. Kenneth Beare 25, 2018 <https://www.thoughtco.com/how-to-teach-pronunciation-1210483>

შინაარსი

ენათმეცნიერება

| | |
|--|----|
| ლელა ავალიანი ლექსემები „ენა“, „სიტყვა“, „საუბარი“ და მათი მნიშვნელობა (არაბული და ქართული ჰარემიების საფუძველზე)..... | 9 |
| ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია ფრანგული ენის ისტორიული ევოლუცია..... | 16 |
| თამარ გელაშვილი საწყისისა და ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციის ტიპოლოგიური მახასიათებლები ქართულ და ინგლისურ ენებში..... | 21 |
| ელენე იაგოჯიანა ენა, როგორც ნიშანთა სისტემა..... | 32 |
| მანანა მიქაძე სოფლის დარგობრივი ლექსიკა ოტია იოსელიანის ჰროზაში (მასალები)..... | 33 |
| ცისანა მოღებაძე შიშის ემოციის გამოხატვის ლექსიკური ერთეულები გერმანულ ენაში..... | 47 |
| ნინო ოყრეშიძე წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში..... | 52 |
| ნატო შავრეშიანი, მედეა სალღიანი რამდენიმე ემოციური შორისდებულისათვის ჩოლურულში (სვანურის დიალექტებთან მიმართებით)..... | 67 |
| რამაზ სვანიძე თარგმანის ლინგვისტური, კულტუროლოგიური და მეთოდური ასპექტების შესახებ..... | 75 |
| ქეთევან შარიქაძე დიალექტური ლექსიკა ოტია იოსელიანის თხზულებებში..... | 81 |

ნინო წულაია
 ცოცხალი - არაცოცხალი სემანტიკური კატეგორიის
 ტექსიურ დონეზე გამოხატვა მეგრულში.....85

მანა ჯიჯავა, ციური ახვლედიანი
 კონცეპტები "ახალგაზრდობა" და "სიბერე" იტალიურ და ქართულ ჰარემიებში.....92

ლიტერატურათმცოდნეობა

ზურაბ არჩვაძე
 მხატვრული ტექსტი - სხვადასხვა მოხმარების პროდუქტი.....96

სოფიკო გვარამაძე
 ნიკო ლორთქიფანიძის „უკვდავება“ და აჯაკი წერეთლის „აღმართ-აღმართ“ -
 ლიტერატურული პარალელები.....100

ტელა ებრაღიძე
 პოეტური თარგმანის სირთულეები და მათი გადაჭრის გზები.....104

თინათინ თუშაბრამიშვილი
 ოტია იოსელიანის ბებია.....112

სალომე ენჭოშვილი
 იტალიური მიგრანტული ლიტერატურის უმთავრესი მახასიათებლები.....117

მარიამ კვერელიძე
 სახარებისეული „მწყემსი კეთილი“ წმ. გრიგოლ ხანძთელის
 მნიშვნელობის გამოსაკვეთად.....122

შორენა შავრუშიანი
 პერსონაჟი და ქრონოტოპოსი
 (იაკობ გოგებაშვილის აბრისი აქა მორჩილადის პოსტმოდერნისტულ ტექსტში "
 ქართულის რვეულები - XIX საუკუნის სურათები").....128

მეგი შალიკიანი-სხირელი
 დრამატულ დიალოგთა სემიოქსთეტიკური ხედვა: ტემპორალურ

და სიმბოლურ ასპექტთა ენობრივ-კულტურული ერთიანობა.....135

ნათია ჯიქია

„სამოციანელებთან“ წილნაყარი ქალამნისტი.....139

ჰედაგოგია

ლელა თავდგირიძე

სამასწავლებლო სასწავლებლები და ინტერკულტურული განათლება

საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.....145

ნინო სოხაძე

საგანმანათლებლო კერები XIX საუკუნის ბოლოს

და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში.....154

სწავლების მეთოდია

თამარ გოგოლაძე

გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის

სწავლების ისტორიისათვის.....158

Содержание

Языковедение

| | |
|---|----|
| Лела Авалиани Лексические единицы «язык», «слово», «беседа» и их значение (на основе арабских и грузинских пословиц)..... | 15 |
| Циури Ахвледиани, Кетеван Габуниа Историческая эволюция французского языка | 20 |
| Тамар Гелашвили Типологическое взаимодействие синтаксической функции инфинитива и саткиси в грузинском и английском языках..... | 28 |
| Яговкина Елена Язык как знаковая система..... | 29 |
| Манана Микадзе Отраслевой словарь, обозначающий деревню..... | 46 |
| Цисана Модебадзе Лексические единицы выражения «страха» в немецком языке..... | 51 |
| Нино Окрешидзе Функционально семантическая категория прошедшего в ремени ванглийском языке..... | 57 |
| Нато Шаврешиани, Медея Саглиани К некоторым эмоциональным междометиям в чолурском (по отношению к сванским диалектам)..... | 74 |
| Рамаз Сванидзе К вопросу о лингвистических, культурологических и методических аспектах перевода..... | 79 |

Нино Цулаиа
Выражение лексического уровня в семантической категории «живая жизнь» в мегрельской.....91

Маиа Джиджава, Циури Ахвледиани
Концепты “молодость” и “старость” в паремиях итальянского и грузинского языков95

Литературоведение

Зураб Арчвадзе
Текст функции - продукт различных расходных материалов.....99

Софико Гварамадзе
«Бессмертие» Нико Лорткипанидзе и «Возвышение вверх» Акакий Церетели,
«Литературные параллели».....102

Лела Ебралидзе
Трудности поэтических переводов и способы их решения.....111

Тинатин Тушабрамишвили
Бабушка Отии Иоселиани.....116

Саломе Кенчошвили
Основные черты итальянской мигрантской литературы.....121

Мариам Квергелидзе
Евангелический «Добрый пастырь» для выявления значение св. Григория Хандзтели.....126

Шорена Шаврешиани
Персонаж и хронотопос
(Абрис Якова Гогешашвили в постмодернистском тексте
Аки Морчиладзе «Тетради по грузинскому – картины XIX века»).....133

Меги Шаликиани-Схирели
Семистическое видение драматических диалогов:
языковая и культурная целостность временных и символических аспектов.....138

| | |
|---|-----|
| Натиа Джикиа Ака Морчиладзе - публицист..... | 143 |
|---|-----|

| | |
|---|-----|
| Лела Тавдгиридзе Учебные семинарии по подготовке учителей в Грузии и межкультурное образование во второй половине XIX века..... | 153 |
|---|-----|

Педагогика

| | |
|--|-----|
| Нино Сохадзе Очаги образования в Западной Грузии в конце XIX века и начале 20-го века..... | 157 |
|--|-----|

Методика Обучения

| | |
|--|-----|
| Тамар Гоголадзе К изучению одного стихотворения Григола Орбелиани | 161 |
|--|-----|

Contents

Linguistic

| | |
|--|----|
| Lela Avaliani | |
| Lexical units "tongue", "word", "conversation" and their meaning (based on Arabic and Georgian proverbs)..... | 15 |
| Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia | |
| The historical evolution of the French language..... | 20 |
| Tamar Gelashvili | |
| The Typological Features of the Syntactic Functions of Satskisi and Infinitive in the Georgian and English Languages..... | 28 |
| Yagovkina Elena | |
| Language as a system of signs..... | 32 |
| Manana Mikadze | |
| On Branch Vocabulary Denoting on the village..... | 46 |
| Tsisana Modebadze | |
| The lexical units expressing „fear“ in the German language..... | 51 |
| Nino Okreshidze | |
| Functional and Semantic Category of the Past Tense in English..... | 57 |
| Saad Mohammed Abdelghaffar yousef | |
| The metatextual writing phenomenon in Arabic rhetoric A study of patterns and motivation..... | 58 |
| Nato Shavreshiani, Medea Sagliani | |
| Towards some emotional interjections in Cholur (with respect to Svan dialect)..... | 74 |

| | |
|--|----|
| Ramaz Svanidze | |
| On Linguistic, Culturological and Methodical Aspects of Translation..... | 80 |
| Ketevan Sharikadze | |
| Dialektisms in the Novels of Otia Ioseliani | |
| Nino Tsulaia | |
| Expressing the lexical level in the live-to-life semantic category in Megrelian..... | 91 |
| Maia Jijava, Tsiuri akhvlediani | |
| Concepts “youth” and “Old” in Georgian and Italian languages..... | 95 |

Literature

| | |
|---|-----|
| Zurab Archvadze | |
| Feature text - product of various consumables..... | 99 |
| Sophiko Gvaramadze | |
| Niko Lortkipanidze "Immortality" and Akaki Tsereteli "Elevation-Up", Literary Parallels | 103 |
| Lela Ebralidze | |
| Difficulties of poetic translations and ways of solving them..... | 111 |
| Tinatin Tushabramishvili | |
| Otia Ioseliani’s Grandmother..... | 116 |
| Salome Kenchoshvili | |
| The Main Features of Italian Migrant Literature..... | 121 |
| Mariam Kvergelidze | |
| Evangelical "Good Shepherd" to identify the value of St. Grigol Khandzteli..... | 127 |
| Shavreshiani Shorena | |
| Character and Chronotopos | |
| (The portrait of Iakob Gogebashvili in postmodern text by Aka Morchiladze “Georgian notebooks”)..... | 134 |

| | |
|---|-----|
| Megi Shalikiani-Skhireli Semiesthetic vision of dramatic dialogues: linguistic and cultural integrity of temporal and symbolic aspects..... | 138 |
|---|-----|

| | |
|---|-----|
| Natia Jikia Aka Morchiladze - publicist..... | 144 |
|---|-----|

Pedagogic

| | |
|---|-----|
| Lela Tavdgiridze Educational seminaries preparing teachers in Georgia and Intercultural education in the second half of the 19th century..... | 153 |
|---|-----|

| | |
|---|-----|
| Nino Sokhadze Education centres in the end of XIX century and in the beginning of XX century In West Georgia..... | 157 |
|---|-----|

Methodic of Teaching

| | |
|--|-----|
| Tamar Gogoladze For the History of Teaching a poem by Grigol Orbeliani ("King Tamar's Face in the Church of Bethany")..... | 162 |
|--|-----|

| | |
|--|-----|
| Atina Toidze "The role of teaching pronunciation to EFL learners" | 163 |
|--|-----|

